საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№21 (159)
6 – 12 ივნისი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## რამ გაახსენა მიშას ამინის სასახლის შტურმი? 2



ნინო ჯინჭარაძე:

## ნიკოლოზობას სააკაშვილმა თავის შვილს დაბადების დღე მიულოცა, მე კი 8 წლის ანგელოზი ხელში ჩამაკლა 10



## «ნაცმოძრაობის პანაშვიდი» და სიცოცხლე ხელისუფლების შემდეგ 5

## «რუსეთის ხელისუფლება სააკაშვილისგან ელოდება პროვოკაციულ ქმედებას» 12

## „საქართველოს ექვს ნაწილად გაყოფის გეგმა, შესაძლოა, არჩევნებამდე განხორციელდეს“ 7




## ფრთხილად, ტრიბუნაზე ტერორისტია! 8

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსგავსი ოპერაციების ჩატარებას, როგორც წესი, მაშინ ცდილობენ, როდესაც ლიდერი „წინააღმდეგობის ღერძს“ წარმოადგენს და მის ნეიტრალიზებას სიტუაციაში გარდატეხის შეტანა შეუძლია, 2008-ში კი, საქმე ეხებოდა წელში გატეხილ, შეშინებულ სააკაშვილს (გაქცევა გორში, ჰალსტუხის ეპიზოდი და ა. შ.), რომელიც კი არ აძლიერებდა წინააღმდეგობას, არამედ თავისი ქაოტური ჩარევით შეიარაღებული ძალების მართვაში, წაშლილი სახით და ერთობ ისტერიული განცხადებებით ძირს უთხრიდა მას.**


საქართველო, თბილისი. მიხეილ სააკაშვილის სასახლე


ავღანეთი, ქაბული. ხაფიზულა ამინის სასახლე

**სპეციალური ოპერაციების ჩატარება რუსებს ნამდვილად ეხერხებათ და მსოფლიოში ამას ეჭვქვეშ არავინ აყენებს... გრუ-ს ქვედანაყოფებმა, რომლებიც ნატოს ძალების ზურგში მოქმედებისთვის მოამზადეს, ისეთ სუსტ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, შეიძლება ნამდვილი არმაგედონი მოაწყონ.**

# რამ გაახსენა სააკაშვილს ამინის სასახლის შტურმი?

**მიხეილ სააკაშვილის ბოლო გამოსვლებში გამოიკვეთა ორი თემა, რომლებიც მიანიშნებს, რომ ის საკმაოდ საშიშ სცენარებს განიხილავს. სააკაშვილი კვლავინდებურად უკავშირებს ერთმანეთს საპარლამენტო არჩევნებს და რუსეთიდან მომავალ საფრთხეს: „მათ მორიგ შემოტევას ოქტომბრის არჩევნებზე ველოდები“, — განაცხადა მან გასულ კვირას რიგაში, ხოლო ადრინდელ გამოსვლებში არაერთგზის აღნიშნა, რომ მოსკოვმა მასშტაბური სამხედრო სწავლება „კავკასია-2012“ ქართულ არჩევნებს მიზანმიმართულად დაამთხვია. ამასთანავე, მან დაიწყო საუბარი მოსკოვის მოქმედებაზე უცხო ქვეყნების ლიდერების წინააღმდეგ; პრინსტონსა და რიგაში მან ერთი და იგივე ფრაზა თქვა: „ავღანეთის პრეზიდენტი ერთ საათში მოკლეს“. 1956 წლის უნგრეთისა და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის მოვლენებზე მან (პრინსტონში) ამავე კონტექსტში ისაუბრა და განაცხადა, რომ ერთგან ...პრეზიდენტი ოკუპანტებმა ჩამოახრჩეს“, ხოლო მეორეგან „მთავრობა რამდენიმე საათში დაეცა და იძულებული გახდა, ხელი მოეწერა სამარცხვინო კაპიტულაციაზე“. მთელი ეს ვარიაციები რიგაში გაკეთებულმა განცხადებამ დააგვირგვინა: „საქართველოში იმისთვის შემოიჭრნენ, რომ მე მოვეკალი და მთავრობა დაემხოთ“. საინტერესოა, რატომ მოუხშირა სააკაშვილმა საუბარს ამ თემებზე.**

## ისევ დათვები პარაშუტებით

ყურადღება მივაქციოთ ერთ ნიუანსს, სააკაშვილი საუბრობს არა ხელისუფლების პირველი პირების ნეიტრალიზაციაზე ზოგადად, არამედ იმ ეპიზოდებზე, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში ჯარების შეყვანას უკავშირდება. ეს, ალბათ, პირველი მინიშნებაა, რომელიც რებუსის ამოხსნაში დაგვეხმარება.

**სპეციალური ოპერაციების ჩატარება რუსებს ნამდვილად ეხერხებათ და მსოფლიოში ამას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. დღევანდელი რუსული სპეცნაზი იმ საბჭოთა ქვედანაყოფების მემკვიდრეა, რომლებმაც 1979-ში ჰაფიზულა ამინის სასახლე აიღეს, ხოლო 1968-ში მცირე ძალებით, ელვისებურად დაამყარეს კონტროლი პრაღის საკვანძო წერტილებზე და ჩეხოსლოვაკიის პირველი პირები დააკავეს. საინტერესოა, რომ მეორე მსოფლიო ომის ლეგენდარულმა დივერსანტმა ოტო სკორცენიმ, რომელიც სსრკ-ის თაყვანისმცემელთა რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა, ამ ოპერაციას „ბრწყინვალე“ უწოდა. გრუ-ს ქვედანაყოფებმა, რომლებიც ნატოს ძალების ზურგში მოქმედებისთვის მოამზადეს, ისეთ სუსტ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, შეიძლება ნამდვილი არმაგედონი მოაწყონ.**

საინტერესოა, რომ სააკაშვილმა თავის განცხადებებში უნგრეთის ყოფილი ხელმძღვანელი იმრე ნადიც გაიხსენა. მის შემთხვევაში კი, 1956-ში, სპეციალური დანიშნულების ძალების ბენეფისს ადგილი არ ჰქონია. შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ სააკაშვილის მშფოთვარე წარმოსახვაზე ქვეყნის ყოფილი მეთაურის ჩამოხრჩობის სცენამ იმოქმედა, თუმცა აქ ყურადღება ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ: იმრე ნადმა თავშესაფრისთვის იუგოსლავიის საელჩოს მიაშურა, ისევე, როგორც 1989-ში პანამის მმართველმა გენერალმა ნორიეგამ ვატიკანის წარმომადგენლობას, და იქიდან მის გამოყვანას მოლაპარაკების გამართვა დასჭირდა. **ნადის და ნორიეგას ისტორია ცხადყოფს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უცხო ქვეყნის საელჩოში შევარდნა თავის გადასარჩენად საკმარისი არ არის და გამორიცხული არაა, რომ სააკაშვილის ყურადღება ყველაზე მეტად ამ გარემოებამ მიიზიდა.**

**რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ რუსებმა თბილისში ამინის სასახლის შტურმის მსგავსი ამბები დაატრიალონ, მაშინ, როდესაც ამის გაკეთება 2008-ში არ უცდიათ?** მართალია, რუსული მედიის ცნობით, გრუ-ს და სადესანტო ჯარების სპეციალური პოლკის რამდენიმე ჯგუფი თბილისის გარეუბანში იმყოფებოდა, სააკაშვილის გადაადგილებას აკვირდებოდა და ელოდა ბრძანებას მისი დაკავების ან ლიკვიდაციის შესახებ, თუმცა, საბოლოოდ, მათ თბილისიდან გასვლა უბრძანეს („არგუმენტი ნედელი“ 11.08.10).

დაუჯერებელი ამ ისტორიაში არაფერია, ომის დროს მსგავსი ოპერაციები მზადდება და ხანდახან ტარდება კიდეც, ზოგჯერ — წარმატებით, ზოგჯერ კი — წარუმატებლად; თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს — უცხო ქვეყნის ხელმძღვანელის ლიკვიდაციას საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური და საიმიჯო გართულებები მოსდევს. **მსგავსი ოპერაციების ჩატარებას, როგორც წესი, მაშინ ცდილობენ, როდესაც ლიდერი „წინააღმდეგობის ღერძს“ წარმოადგენს და მის ნეიტრალიზებას სიტუაციაში გარდატეხის შეტანა შეუძლია, 2008-ში კი, საქმე ეხებოდა წელში გატეხილ, შეშინებულ სააკაშვილს** (გაქცევა გორში, ჰალსტუხის ეპიზოდი და ა. შ.), **რომელიც კი არ აძლიერებდა წინააღმდეგობას, არამედ თავისი ქაოტური ჩარევით შეიარაღებული ძალების მართვაში, წაშლილი სახით და ერთობ ისტერიული განცხადებებით ძირს უთხრიდა მას.**

ვინაიდან მიხეილ სააკაშვილზე ვსაუბრობთ, პრობლემის სამხედრო და პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად, გვერდს ვერც ფსიქოლოგიურ შემადგენელს ავუვლით. **არაერთი ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ ომთან დაკავშირებით სააკაშვილმა უმძიმესი სტრესი გადაიტანა და შიში, რომელიც მაშინ განიცადა, დღემდე ვერ დაძლია. ავიღოთ თუნდაც მისი მონოლოგები „სხეულის გარკვეულ ნაწილებზე“, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც მედიაში გაჩნდა ინფორმაცია ვლადიმერ პუტინის ცნობილი მუქარის შესახებ. სააკაშვილმა მუდმივი საუბრით ამ თემაზე, დიდი ხანია, ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა.** ეს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ძალიან ცუდად აღიქმება და შეუძლებელია ამის შესახებ არ იცოდეს, თუმცა მაინც არ (ვერ?) ჩერდება. **იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის უბრალოდ „დაიციკლა“, ეს კი ხშირ შემთხვევაში მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი წარმოსახვით საფრთხეს სავსებით რეალურად, ხელშესახებად აღიქვამს. შედეგად ჩვენ მივიღეთ ფენომენი, რომელსაც კახა კალაძემ ენამოსწრებულად „კასტრირების შიშის ქვეშ მყოფი მთავარსარდალი“ უწოდა.**

გამორიცხული არაა, რომ ამჯერად სააკაშვილი ფიზიკური ლიკვიდაციის საფრთხეზე „დაიციკლა“ და თვალწინ ამინის სასახლის დერეფნები უდგას. საინტერესოა, რამ გახადა ეს თემა მისთვის ესოდენ აქტუალური? ეს ცარიელი სიტყვებია, თუ მართლაც შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რაც ვლადიმერ პუტინს შესაბამისი ბრძანების გაცემისკენ უბიძგებს, მიუხედავად იმისა, რომ არც 2008-ში და არც მოგვიანებით მას (და დიმიტრი მედვედევს) ეს არ გაუკეთებია?

ან რატომ უნდა გაეკეთებია? აგვისტოს ომის დასკვნით ეტაპზე, მაშინ, როდესაც საქმეში შუამავლები ჩაერთნენ და ცეცხლის შეწყვეტამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, **სააკაშვილის ხელისუფლებამ ბრძოლის გარეშე ჩააბარა პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით საკვანძო ტერიტორიები — ქსნის ხეობა და კოდორის ხეობა (ამის გარეშე რუსების დღევანდელი პოზიციები ასეთი დამაჯერებელი არ იქნებოდა), ყველაფერზე ხელი მოაწერა**

**ძალზე საგულისხმოა, რომ სააკაშვილი იმაზე კი არ საუბრობს, რომ უცხო ქვეყანაში შეჭრილმა ჯარმა ხალხი დახოცა, დასახლებები მიწასთან გაასწორა და (სიტყვაზე) ბიბლიოთეკები გადაწვა, არამედ აქცენტი ხელისუფალთა საბოლოო ხვედრზე გადააქვს. ალბათ, მას არ ანაღვლებს, რომ ამ დროს შეიძლება ბანალურ მშიშარად აღიქვან, თუმცა, პრინციპში, რატომ უნდა ანაღვლებდეს, მას შემდეგ, რაც ომის დროს გორში გააკეთა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის, უბრალოდ, „დაიციკლა“, ეს კი ხშირ შემთხვევაში მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი წარმოსახვით საფრთხეს სავსებით რეალურად, ხელშესახებად აღიქვამს. შედეგად ჩვენ მივიღეთ ფენომენი, რომელსაც კახა კალაძემ ენამოსწრებულად „კასტრირების შიშის ქვეშ მყოფი მთავარსარდალი“ უწოდა.**



**ხაფიზულა ამინი — ავღანეთის მეორე პრეზიდენტი. 1957 წელს მიიღო სტიპენდია კოლუმბიის უნივერსიტეტში (აშშ, ნიუ იორკი) სწავლის გასაგრძელებლად, სადაც გახდა მაგისტრი. დაიღუპა 1979 წელს, საბჭოთა სპეცრაზმის მიერ ქაბულში ამინის სასახლის შტურმისას.**

**სააკაშვილი მიხეილ — საქართველოს მესამე პრეზიდენტი. 90-იანი წლების დასაწყისში მიიღო აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი კოლუმბიის უნივერსიტეტში (აშშ, ნიუ იორკი) განათლების გასაგრძელებლად. 1994 წელს გახდა მაგისტრი. 2003 წლიდან დღემდე არის საქართველოს პრეზიდენტი**



და, ომს თავი რომ დავანებოთ, ეკონომიკის ყველაზე „გემრიელი ლუკმები“ რუსულ კაპიტალს დაუთმო. დღეს, ღირსებააყრილი, მეტად უცნაურ მენტალურ მდგომარეობაში მყოფი სააკაშვილი სათავეში დანაწევრებულ, მიწასთან გასწორებულ ქვეყანას უდგას და წარმოადგენს თვითმავალ ილუსტრაციას თემაზე „არასწორი პოლიტიკა რუსეთის მიმართ“. გაუგებარია, რატომ უნდა ჩაატაროს მოსკოვმა სპეცოპერაცია ასეთ ვითარებაში.

## შიში ვერ იხსნის სიკვდილსა

დღეს სააკაშვილი მოწადინებულია, წინასაარჩევნო სიტუაცია ისე წარმოაჩინოს, თითქოსდა მას არა ოპოზიცია და საზოგადოების დიდი ნაწილი, არამედ ვლადიმერ პუტინი და უზარმაზარი რუსეთი ებრძვის. მისი გათვლა გასაგებია: ერთია, მსოფლიოს წინაშე წარსდგე როგორც წვრილფეხა დიქტატორი („დიქტატორუკა“, როგორც მათ ხულიო კორტასარი უწოდებდა), რომელიც მისი უგემოვნო სასახლიდან საკუთარმა ხალხმა გააპანღურა და სულ სხვაა წარმოჩინდე რაინდად, რომელიც „ბოროტების იმპერიის“ და სრულიად მორდორის უთვალავ ლეგიონებთან ბრძოლაში დამარცხდა.

**ქართველმა პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა არაერთგზის განიხილეს სცენარი, რომლის ფარგლებში სააკაშვილი ახალი ომის პროვოცირებას მოახდენს, შემდეგ კი „დევნილი პრეზიდენტის“ სტატუსით დასავლეთში გაიქცევა.**

თუმცა მათ ერთი გარემოება ავიწყდებოდათ: **100%-ით უსაფრთხო გაქცევის გარანტია არ არსებობს, რადგან საქმეში შეიძლება მშიერი მგლების ხროვასავით საშიში რუსული სპეცნაზი ჩაერთოს.**

ვინ იცის, იქნებ ამ გარემოებიდან იღებს სათავეს ბელადის ბოლოდროინდელი სევდიანი ფიქრები ჰაფიზულა ამინის სასახლეზე?

რა თქმა უნდა, არის ამქვეყნად სიტუაციები, როდესაც ვაშინგტონის ჩარევამ შეიძლება გადაგარჩინოს, თუმცა არც იმის გარანტია არსებობს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამერიკელები ამის გაკეთებას მოისურვებენ. მეტიც, თუ სააკაშვილი საომარ თამაშს დაიწყებს, რუსულ სპეცნაზამდე საქმე შეიძლება არც მივიდეს, რადგან ძია სემის რქებიც, საჭიროების შემთხვევაშიც, ძალიან კარგად ხნავს; დეტალების დაზუსტება ლათინურ ამერიკაში შეიძლება, სადაც ამ პროცესს გამორჩეულად ხატოვნად აღწერენ. **იმის განცდა, რომ ბუშის მმართველობის წლებისგან განსხვავებით, სააკაშვილს ამერიკული გარანტიები არ აქვს, რამაც, შესაძლოა, იმდენად დამთრგუნველად იმოქმედა მასზე, რომ საკუთარ ხვედრზე გაფაციცებული ფიქრი და შემზარავი სურათების წარმოდგენა დაიწყო.**

**ქართველმა პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა არაერთგზის განიხილეს სცენარი, რომლის ფარგლებში სააკაშვილი ახალი ომის პროვოცირებას მოახდენს, შემდეგ კი «დევნილი პრეზიდენტის» სტატუსით დასავლეთში გაიქცევა. თუმცა მათ ერთი გარემოება ავიწყდებოდათ: 100%-ით უსაფრთხო გაქცევის გარანტია არ არსებობს, რადგან საქმეში შეიძლება მშიერი მგლების ხროვასავით საშიში რუსული სპეცნაზი ჩაერთოს. ვინ იცის, იქნებ ამ გარემოებიდან იღებს სათავეს ბელადის ბოლოდროინდელი სევდიანი ფიქრები ჰაფიზულა ამინის სასახლეზე?**

გამორიცხული არაა, რომ ვაშინგტონმა და, შესაძლოა, მოსკოვმაც გააფრთხილეს სააკაშვილი, რომ, თუ გარკვეული სცენარის კალაპოტში ამოქმედდება, ეს დღის წესრიგში მისი „პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს. ეს ჰიპოთეტური სცენარი შეიძლება გულისხმობდეს რუსეთ-საქართველოს ახალი ომის პროვოცირებას, საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყებას, სისხლიანი დიქტატურის დამყარებას, ოპონენტების ფიზიკურ განადგურებას ან რაიმე მსგავს უბედურებას. მნიშვნელობა არ აქვს, რა ვარიანტზე ვსაუბრობთ; ამ კონტექსტში მთავარია, გააფრთხილეს თუ არა სააკაშვილი, თანაც ისე დამაჯერებლად, რომ თავის გამოსვლებში ერთი და იმავე თემის განვითარება დაეწყო: **„სულ რაღაც ერთ საათში... ერთ საათში“** (ცნობისთვის, ამინის სასახლის, „ტაჯ-ბეკის“, შტურმი 43 წუთს გაგრძელდა). **ძალზე საგულისხმოა, რომ სააკაშვილი იმაზე კი არ საუბრობს, რომ უცხო ქვეყანაში შეჭრილმა ჟარმა ხალხი დახოცა, დასახლებები მიწასთან გაასწორა და** (სიტყვაზე) **ბიბლიოთეკები გადაწვა, არამედ აქცენტი ხელისუფალთა საბოლოო ხვედრზე გადააქვს.**

ალბათ, მას არ ანაღვლებს, რომ ამ დროს შეიძლება ბანალურ მშიშარად აღიქვან, თუმცა, პრინციპში, რატომ უნდა ანაღვლებდეს, მას შემდეგ, რაც ომის დროს გორში გააკეთა.

**„ნაცმოძრაობის“ ბელადის პრობლემა ისაა, რომ „მგელი, მგელი!“-ს ძახილი აღარ შველის. მას არ აქვს ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებს ოპოზიციის კავშირს მოსკოვთან და არ აქვს საბაბი იმისთვის, რომ, გარე საფრთხიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, არჩევნები გადადოს** (გააუქმოს, ტოტალურად გააყალბოს და ა. შ.) **და ოპოზიციას გაუსწორდეს.** არჩევნები კი, პირველი ღამის არ იყოს, ახლოვდება.

მიხეილ სააკაშვილი არ არის მამაცი ოფიცერი, კლასიკური თავზეხელაღებული პოლკოვნიკი, რომელმაც შეიძლება დაცლილი ჭიქა ძირს დაანარცხოს და საკუთარი სიცოცხლე სასწორზე შეაგდოს. მას, როგორც სუსტ მოთამაშეს, მარტივად რომ ვთქვათ, „დედიკოს ბიჭს“, „დიდი ბიძიებისგან“ მყარი გარანტიები სჭირდება. რამდენადმე ღირებულ გარანტიებს კი ამ შემთხვევაში (უკაცრავად, მაგრამ) არავინ მისცემს. ასეთ პირობებში რისკზე წასვლას მიხეილ სააკაშვილი, ძალიან დიდი ალბათობით, ვერ გაბედავს.

## წაგვიგია და ვერ გაგვიგია

სააკაშვილის პროპაგანდამ ერთი პრინციპული ხასიათის შეცდომა დაუშვა, მან ბოლო დროს იმდენი ისაუბრა მოსალოდნელ ომზე, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილში ფატალისტური, ერთობ ფლეგმატური განწყობა გაალვივა, რომლის მოკლე შინაარსი შეიძლება დაახლოებით ასე ჩამოვაყალიბოთ: **„თუ იქნება ომი, ესე იგი იქნება. ერთხელ ვცოცხლობთ, ერთხელ მოვკვდებით. მოდით ახლა სხვა რამეზე ვისაუბროთ“.** მანიპულირება ამ თემით ხელისუფლებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. მეტიც, მსგავსი საუბრები დღეს აძლიერებს გაღიზიანებას იმ ლიდერის მიმართ, რომელსაც არ შეუძლია საქართველოს, თუნდაც დროებით, რამდენადმე მყარი მშვიდობა მოუტანოს.

**ზოგადად, საუბარი მოსალოდნელ ომზე, ხელისუფლებას, სავარაუდოდ, კიდევ ერთი მიზნისთვის სჭირდება, კერძოდ იმისთვის, რომ საზოგადოებამ 2008 წლის კატასტროფის შედეგები სრულად არ გაიაზროს, მხოლოდ მომავალზე იფიქროს და ნაკლები ყურადღება მიაქციოს უახლოეს წარსულს** (აგვისტოს ომს) **და აწმყოს** (რომელიც ამ ომის გამანადგურებელი შედეგებიდან იშვა).

სხვათა შორის, ამ მოწადინებამ გარკვეული შედეგი გამოიღო, რადგან ყველას როდი ეყო ვაჟკაცობა იმისთვის, რომ აგვისტოს ომის შედეგებისთვის თვალი გაესწორებია და დღესაც იმ რეალობაში ცხოვრობს, რომელშიც **„ომი არ წაგვიგია“** ან **„ისე არ წაგვიგია, როგორც ზოგს ჰგონია“** და, საერთოდ, **„მათ საბოლოო მიზანს ვერ მიაღწიეს“.** ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთები „ქაუნთერ სტრაიკის“ რაუნდზე საუბრობენ, რომელიც შეიძლება უპრობლემოდ თავიდან გადაათამაშო. **საინტერესოა, საქართველოსგან მხოლოდ თბილისი თუ დარჩება, მაშინაც იტყვიან „მათ საწადელს ვერ მიაღწიესო“?**

მარცხის გააზრება მომავალი გამარჯვების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, რაც კაცობრიობის ისტორიამ არაერთგზის დაადასტურა. ეს მხოლოდ სამხედროებს როდი ეხებათ, არამედ ყველა მოქალაქეს — ხელოვანი იქნება ის, ეკონომისტი თუ პედაგოგი, ეს საერთო-ეროვნული გამოცდილებაა, რომლის ამოგდება ქვეყნის ისტორიიდან არც შეიძლება და ვერც მოხერხდება. ამიტომ, **როდესაც სააკაშვილი მომავლის წარმოსახვით ომზე საუბარს დაიწყებს, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ვუთხრათ: „მოდი ამ, რეალურ ომზე ვისაუბროთ“, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მასთან დისკუსიის გამართვის სურვილი გვექნება, რომელიც საზოგადოებაში ბოლო დროს სულ უფრო იშვიათად ფიქსირდება; კომუნიკაცია პრაქტიკულად სრულად მოიშალა, მხარეებმა ერთმანეთს, დიდი ხანია, ყველაფერი უთხრეს.**

ისე კი, ომისა და მშვიდობის საკითხებზე სერიოზული საუბრის დაწყებას, ალბათ, მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ, როდესაც სეზონური გამწვავება ერთ ცალკე აღებულ თავში ქართულ პოლიტიკაში განმსაზღვრელი ფაქტორის როლს აღარ შეასრულებს.

**დიმიტრი მონიავა**

სპეცრაზმ „ვიმპელის“ ვარჯიში



**დღეს, ღირსებააყრილი, მეტად უცნაურ მენტალურ მდგომარეობაში მყოფი სააკაშვილი სათავეში დანაწევრებულ, მიწასთან გასწორებულ ქვეყანას უდგას და წარმოადგენს თვითმავალ ილუსტრაციას თემაზე «არასწორი პოლიტიკა რუსეთის მიმართ». გაუგებარია, რატომ უნდა ჩაატაროს მოსკოვმა სპეცოპერაცია ასეთ ვითარებაში.**

**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თვალში საცემი იყო, რომ ჰილარი კლინტონი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან ხაზგასმით ახსენებდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. ეს პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ სააკაშვილი 2013 წლის შემოდგომამდე პრეზიდენტად რჩება და ეიფორია შემოდგომის არჩევნებით მისი მოსალოდნელი გაძევების ირგვლივ, სულ ცოტა, ბავშვურ გულუბრყვილობას ჰგავს.**

**ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოთქმული სურვილის მიუხედავად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მას ერთი-ერთზე არ შეხვდა. როგორც საელჩომ განმარტა, ჰილარი კლინტონს ოპოზიციურ ლიდერებთან პერსონალური შეხვედრები დაგეგმილი არ ჰქონდა. თუმცა არც კოალიციის სამი ლიდერის – მანანა კობახიძის, დავით უსუფაშვილისა და თეა წულუკიანის (ირაკლი ალასანია ამ დროს თედო ჯაფარიძესთან ერთად ვაშინგტონში კლინტონის მოადგილეს – ტომას მელიას ხვდებოდა) შეხვედრა შედგა განცალკევებული ფორმატით; მათ გვერდით გიორგი თარგამაძე და დავით გამყრელიძე ისხდნენ.**



# ვარგისია 2013 წლის ოქტომბრამდე

როგორც წესი და რიგია, სახელმწიფო მდივანმა დემოკრატიაზეც ილაპარაკა, კონკურენტულ სამართლიან არჩევნებზეც და ისიც გაიკვირვა, რომ ბიძინა ივანიშვილი საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად მინიჭებული უფლებებით არ სარგებლობს. მისივე პარტიის თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ კოლეგებთან ერთად ჰილარი კლინტონს ბიძინა ივანიშვილის უარის მოტივაცია განუმარტა:

**„ვთქვით, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის კონსტიტუციის ერთ ადამიანზე მორგება მიუღებელია. განვუმარტეთ ასევე, რომ მას მოქალაქეობის საკითხი გასაჩივრებული აქვს, თუმცა სასამართლო მის განხილვას თვეების განმავლობაში აჭიანურებს. მთავარი მიზეზი კი, რატომაც ბიძინა ივანიშვილი ამ ცვლილებით არ სარგებლობს, ის არის, რომ ხელისუფლება მას მოქალაქეობას არ ანიჭებს და პრობლემას სამართლებრივად არ ჭრის. არ შეიძლება, ქვეყნის ფუნდამენტური კანონი იცვლებოდეს ერთი ადამიანისთვის და მიღებული იყოს ისეთი ნორმები, რომლებიც დისკრიმინაციულია თუნდაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანებისთვის“,** — განაცხადა კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

იქვე გასაგებად ითქვა ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილის მიზანია, იყოს პრემიერ-მინისტრი და არა „ჩვეულებრივი დეპუტატი“. იმისთვის, რომ ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდეს, სულ ცოტა, 76 „ჩვეულებრივი დეპუტატი“ მაინც უნდა გაიყვანოს პარლამენტში. 75 მაჟორიტარისა და ამდენივე პროპორციული მანდატის იმგვარი გადანაწილება უნდა მოხდეს, რომ „ნაცმოძრაობამ“ უმრავლესობის მიღება ვერ მოახერხოს. პროცენტებით ანგარიში თითქოს მოსახერხებელია, მაგრამ აბსოლუტურ ციფრებში გადაყვანისას ერთობ პრობლემური სურათი იხატება.

საარჩევნო მარათონში მხოლოდ ორი პარტია რომ მონაწილეობდეს, ანგარიში გაიოლდებოდა, მაგრამ ასე არასოდეს ხდება თვით ორპარტიულ ამერიკაშიც კი. იმ სუბიექტების მიღებული ხმები, რომლებიც ბარიერს ვერ გადალახავენ, გამარჯვებულთა სასარგებლოდ გადანაწილდება მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. ასეც რომ არ იყოს, თუ დავით გამყრელიძეს ვენდობით, **კლინტონმა აქცენტი მომავალი პარლამენტის მრავალპარტიულობის აუცილებლობაზე გააკეთა. რაც უფრო მრავალპარტიული იქნება მომავალი პარლამენტი** (ანუ რაც უფრო მეტი სუბიექტი გადალახავს ბარიერს **მით უფრო გართულდება მასში 50%–ს პლიუს ერთი მანდატის მიღება**), მაინცდამაინც ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტს დაამთხვია საკუთარი პრესკონფერენცია უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „ღია დემოკრატიის კომიტეტის“ მიწვეულმა ექსპერტმა იაროსლავ დავიდოვიჩმა. „ღია დემოკრატიის კომიტეტმა“ საქართველოში მუშაობა აპრილიდან დაიწყო. კომიტეტი არჩევნებზე მონიტორინგს და დაკვირვებას განახორციელებს.

**დავიდოვიჩის განცხადებით, წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოში მასმედიას თავისუფლად მუშაობაში პრობლემები ექმნება. თავის მხრივ, პარტიები აცხადებენ, რომ მათ არ აქვთ პრესასთან თავისუფლად მუშაობის საშუალება. „თუ პრესასთან პრობლემაა, მაშინ პრობლემა იქნება კიდევ ბევრ საკითხში. აქედან გამომდინარე, საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები არსებობს“,** — აღნიშნა დავიდოვიჩმა.

იგი, უკვე რამდენიმე დღეა, საქართველოში მიმდინარე პროცესებს სწავლობს, აკვირდება მედიის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობას. **„ცუდია, რომ საქართველომ ვერ მოახერხა არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია მიღებული, საარჩევნო კანონმდებლობის დროულად მოწესრიგება. ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ ქართულ მედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიების მაუწყებლობასთან მიმართებაში სერიოზული პრობლემებია“,** — აღნიშნა დავიდოვიჩმა და დასძინა, რომ მოსახლეობაში ცენტრალური საარჩევნო კომისიისადმი ნდობის აღდგენის პროცესი უნდა დაიწყოს.

**„ღია დემოკრატიის კომიტეტის“ წარმომადგენლების განცხადებით, მას შემდეგ, რაც ისინი საქართველოში იმყოფებიან და მიმდინარე პროცესებს აკვირდებიან, მოქალაქეთა დაშინების არაერთი ფაქტი გამოიკვეთა, მათ შორის მოქალაქის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტიც.**

კლინტონთან შეხვედრის შემდეგ ოპოზიციონერები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ **„სახელმწიფო მდივანი კარგად არის ინფორმირებული საქართველოში არსებულ ვითარებაზე“,** მაგრამ საჯაროდ ჰილარი კლინტონს არც დავიდოვიჩის მიერ ჩამოთვლილ პრობლემებზე უსაუბრია და არც პასუხი მოუთხოვია მისთვის.

**თუ თომას დე ვაალს ვენდობით, აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტი ვაშინგტონის ბოლო გაფრთხილებაა.**

დე ვაალის აზრით, კლინტონმა სააკაშვილს უნდა შეახსენოს, რომ *საქართველო უფრო მეტია, ვიდრე სააკაშვილი.* The National Interest-ში გამოქვეყნებულ სტატიაში მიმომხილველი ჯეიმს ბეიკერის ვიზიტთან პარალელს ავლებს და აღნიშნავს, რომ სწორედ ბეიკერის ვიზიტის შემდეგ შეირყა შევარდნაძის ხელისუფლება, რადგან მან დააფიქსირა, რომ შევარდნაძეს აშშ-ის მხარდაჭერა აღარ ჰქონდა.

მიუხედავად ღრმა პატივისცემისა თომას დე ვაალის მიმართ, მსგავსი პროგნოზის გამამართლებელი ერთი მინიშნებაც კი არ ყოფილა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ამ ბათუმური ვიზიტისას.

**რამდენჯერაც უნდა გაიმეოროს ჩვენმა ოპოზიციამ, რომ არჩევანს ქართველი ხალხი აკეთებს, გულში ყველა** (ან თითქმის ყველა) **მათგანი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამ არჩევანის ლეგიტიმაცია სწორედ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელშია.** ამიტომაც სტუმრობენ ასე ხშირად ჩვენი პოლიტიკოსები ოკენის გაღმა და ამიტომ არის ასეთი ყურადღება მიპყრობილი სახელმწიფო მდივნის ვიზიტისადმი. ისიც ამბობს, რომ არჩევანს ქართველი ხალხი გააკეთებს, მაგრამ ოპოზიციისთვის ასე სანატრელი დატუქსვა სააკაშვილის მიმართ არ ყოფილა, მეტიც, **თავად სააკაშვილს არ უქია ისე მისი მიღწევები, დემოკრატია და რეფორმები, როგორც ეს ჰილარი კლინტონმა გააკეთა.**

**არც სააკაშვილი დაზარდა და იმდენი მადლობა გადაუხადა, რამდენიც არც ერთ „უმცროს სტრატეგიულ მოკავშირეს“ არ უთქვამს ამერიკისთვის.**

სააკაშვილმა არ უპასუხა ბრიფინგზე დასმულ კითხვას იმის შესახებ, მზად არის თუ არა, კატეგორიულად დაადასტუროს, რომ პრემიერ-მინისტრობას არ აპირებს. ისევ მიღწევებზე ისაუბრა. სამაგიეროდ, **თვალში საცემი იყო, რომ ჰილარი კლინტონი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან ხაზგასმით ახსენებდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. ეს პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ სააკაშვილი 2013 წლის შემოდგომამდე პრეზიდენტად რჩება და ეიფორია შემოდგომის არჩევნებით მისი მოსალოდნელი გაძევების ირგვლივ, სულ ცოტა, ბავშვურ გულუბრყვილობას ჰგავს.**

მართლაც, თუ ამომრჩეველი „ნაცმოძრაობას“ მხარს დაუჭერს (ან ამაში ყველას დარწმუნებას შეძლებს, რაც სულერთია), **რა ქნას მიშამ: საკუთარ მხარდამჭერებს უთხრას — მართალია, თქვენ „ნაცმოძრაობას“ მიეცით ხმები და არჩევნები მოაგებინეთ, მაგრამ ჩვენ ამ გამარჯვებას ივანიშვილს გადავულოცავთო? თუ დავუშვებთ, რომ „ნაცმოძრაობა“ შემოდგომის არჩევნებზე ოპოზიციას „ჩაბარდება“ (რაც ერთობ რთული წარმოსადგენია), პრეზიდენტ სააკაშვილს კიდევ ერთი წელი რჩება იმისთვის, რომ ვითარებაზე ზემოქმედება მოახდინოს. როგორც ივანიშვილის გუნდს აქვს იმედი, რომ უკვე პარლამენტის შიგნით მოახერხებს დეპუტატების მიმხრობას, ასევე შეეცდება „ნაცმოძრაობა“, კვლავ აღიდგინოს დომინანტური მდგომარეობა პარლამენტში.**

არ არის დასამალი, რომ საპარლამენტო ცხოვრებაში ე. წ. დვურუშნიკი დეპუტატებიც არიან ხოლმე, რომლებიც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ხან ერთ ძალას ევაჭრებიან და ხან მეორეს. ასეა თუ ისე, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ორი ძირითადი ოპონენტი იძულებული აღმოჩნდეს, ითანამშრომლოს და კოალიციური მთავრობაც შექმნას. ყოველ შემთხვევაში, რომელიმე ძალის დამაჯერებელი გამარჯვება ერთობ საეჭვოდ გამოიყურება.

ისინი, ვინც იმედს ამყარებდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი („გუდიანი ქალი“) მიშას ხელს მოჰკიდებდა და წაიყვანდა, უთუოდ გულდაწყვეტილი იქნებიან. ვიღაცას კი მაინც სჯერა, რომ სააკაშვილის საკითხი გადაწყვეტილია და იგი უნდა წავიდეს. **2012 წელს რომ იგი არსად წავა, ეს კლინტონის ვიზიტმაც დაადასტურა და ელემენტარული პოლიტიკური ლოგიკაც ამაზე მიანიშნებს.** დარჩენილი ერთი წელი პოლიტიკაში ბევრის შეცვლის შესაძლებლობას იძლევა. **ქებით თავბრუდასხმული მიშა ხაზგასმით ამბობს, რომ გაისად „ნამდვილ ამერიკულ უნივერსიტეტს“ გახსნის და ქალბატონ ჰილარის დაპატიჟებს.** ეს ერთგვარი პოლიტიკური ხუმრობაა, რადგან სააკაშვილი იმ დროისთვის ჯერ კიდევ პრეზიდენტი იქნება, ხოლო ჰილარი კლინტონი — გადამდგარი სახელმწიფო მდივანი. 2012 წლის 6 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებია და ვინც უნდა გაიმარჯვოს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ კლინტონი პოსტს შეინარჩუნებს.

ასეა თუ ისე, რევოლუციის აჩრდილი საქართველოში არ დაძრწის, არც კლინტონის რიტორიკა ჰგავს წინასარევოლუციო გაფრთხილებას, თუმცა საქართველო არაერთხელ ყოფილა მოვლენათა მოულოდნელი განვითარების არენა. **ძალაუფლების გადაბარება, რომელსაც ხელისუფლება და ოპოზიცია სხვადასხვანაირად განმარტავენ, ქალბატონი სახელმწიფო მდივნის განმარტებით, მხოლოდ 2013 წლისთვის არის სავარაუდო:**

**„აშშ ქართველი ხალხის გვერდით იდგება, როცა ისინი თავიანთი უფლებების განსამტკიცებლად ნაბიჯებს გადადგამენ. ყველა ქართველი იმსახურებს, რომ დემოკრატიულ საქართველოში იცხოვროს. დღეს მე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შევხვდი და მათი მნიშვნელოვანი როლი განვიხილეთ საქართველოს დემოკრატიის გაღრმავებაში. აშშ-ს სჯერა, რომ დემოკრატიული პროცესისთვის ეს მამოძრავებელი ძალები ძალიან მნიშვნელოვანია. სამოქალაქო აქტივიზმი, ღია დებატები, თანაბარი სამუშაო გარემო, საინფორმაციო შეღწევადობა — ეს ყველაფერი საპარლამენტო არჩევნებისთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ველით, რომ საქართველომ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ჩაატაროს შემოდგომაზე და შემდეგ ძალაუფლების გადაცემა 2013 წელს დემოკრატიულად მოხდეს. ჩვენ გვჯერა, რომ ყველა პარტიამ, ყველა კანდიდატმა პატივი უნდა სცეს პოლიტიკურ პროცესს და მოუთმენლად ველით, რომ ძლიერი ურთიერთობები იყოს იმ ადამიანთან, რომელსაც ქართველი ხალხი აირჩევს“.**

2013 წელს კი, როგორც ცნობილია, პრეზიდენტის არჩევნები უნდა გაიმართოს. ნაკლებ სავარაუდოა, ახალი, საპარლამენტო მოდელის პირობებში უპირველესი მნიშვნელობა ახალი პრეზიდენტის ვინაობას ჰქონდეს. უფრო მნიშვნელოვანია, ვინ გახდება პრემიერ-მინისტრი. ეს კი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება პარლამენტში მხარდაჭერა.

**მანდატების განაწილების ეშმაკური სისტემა და 75 მაჟორიტარული მანდატი მმართველ პარტიას მანევრისთვის ვრცელ არეალს უტოვებს. მით უფრო, რომ მისი ძირითადი ოპონენტის გუნდში ერთმანდატიან ოლქში გამსვლელი სახეები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. ამ საკითხზე „მიუმხრობელ ოპოზიციასთან“ მოლაპარაკება ივანიშვილის კეთილი ნება კი არა, გადაუდებელი აუცილებლობაა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ყველაზე რთული ბატალიები სწორედ ერთმანდატიან ოლქებშია მოსალოდნელი. პრემიერს ის გაიყვანს, ვინც ამ ბრძოლას მოიგებს.**

**ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი („ნაცმოძრაობის“) ფუნქციონირება ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობის პირობებში, როდესაც „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში უმრავლესობა ეყოლება, მაგრამ პრეზიდენტის პოსტს ერთი წლის განმავლობაში სააკაშვილი შეინარჩუნებს. ეს ძალზე ხიფათიანი პერიოდი იქნება, დღევანდელი მმართველები ყველა ხერხის გამოყენებით შეეცდებიან, დაკარგული პოზიციები დაიბრუნონ. ავლაბრის რეზიდენცია ამ სცენარის ფარგლებში, ალბათ, შეთქმულების ნამდვილ ბუდედ გადაიქცევა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნაცმოძრაობის პანაშვიდი»

## და სიცოცხლე ხელისუფლების შემდეგ

**ჩართეთ ვაგნერი, ბოლო-ბოლო ამხელა პარტია კვდება. „ნაციონალური მოძრაობა“ ნელი, მერყევი ნაბიჯით უახლოვდება მიჯნას, რომელიც აწმყოს წარსულისგან ჰყოფს. ციკლოპური ნანგრევები (მაგის მეტი რა გვაქვს), დაღმავალი მზის სხივები (ესეც იშოვება) და ვაგნერის მონუმენტური ჰანგები (იმედია, ჩართავენ) ამ პროცესს, იდეაში, რაიონული მასშტაბის გოტერდამერუნგად გადააქცევდა. მათ, ვინც გერმანული არ იცის და ბოლო სიტყვა ვერ გაიგო, შეგვიძლია განვუმარტოთ, რომ ეს „აუფიდერზეინის“ და „ალეს კაპუტის“ გამორჩეულად შთამბეჭდავი სიმბიოზია.**



ჩვენ ვერასოდეს დავადგენთ, კითხულობს თუ არა ნუგზარ წიკლაური ღამ-ღამობით შოპენჰაუერს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია შემდეგი ციტატა: **„ის, რასაც ადამიანები ბედისწერას უწოდებენ, არსებითად მათ მიერ ჩადენილი სისულელეების ერთობლიობას წარმოადგენს“.** მმართველი პარტიის აღზევებისა და დაცემის საიდუმლო, სავარაუდოდ, ამ ფორმულის უშუალო სიახლოვეს უნდა მოვძებნოთ. ამ დროს ნუგზარ წიკლაური (ამ შემთხვევაში, აღნიშნულ ნუგზარს ვიყენებთ, როგორც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა კრებით სახეს) შეიძლება შეგვეკამათოს და გვითხრას, რომ მისი პარტია ცოცხალი და მარადმწვანეა, თუმცა მთელი რიგი ნიშნები, სრულიად საპირისპიროზე მიუთითებს.

პარადოქსულია, მაგრამ **„ნაციონალური მოძრაობა“ უცნაურად ჩამოჰგავს ტოტალიტარულ სექტას, რომლის წევრები კანონის ფარგლებს მიღმა მოქმედებენ და ნაგიჟარ „გურუს“ ემორჩილებიან.** თუ საკითხს პუნქტობრივად განვიხილავთ, ვნახავთ, რომ წინარე მტკიცებულება არ წარმოადგენდა მმართველი პარტიის მხარდამჭერთა შეურაცხყოფის მცდელობას, არამედ, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაცია იყო. მაშ, ასე:

**ა) ჯგუფის წევრები მორჩილად ემსახურებიან ლიდერს და მის სიტყვებსა და ქმედებებს ეჭვქვეშ არ აყენებენ;**

**ბ) ისინი მიიჩნევენ, რომ მათ ჯგუფსა და ლიდერს აქვთ განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც სხვებისგან გამოყოფს და მათზე მაღლა აყენებს;**

**გ) ჯგუფის წევრები საკუთარ თავს ჭეშმარიტებასნაზიარები ელიტის წარმომადგენლებად თვლიან, დანარჩენებს კი შემცდარ ადამიანებად, რომლებიც შესაძლებლობას არ აძლევენ ჯგუფის წევრებს, გადაარჩინონ** (იხსნან) **ისინი;**

**დ) განსხვავებული შეხედულებების მატარებელნი არ განიხილებიან როგორც დამოუკიდებელი პიროვნებები, არამედ — როგორც მარიონეტები, რომელთა უკან ლამის დემონური ბუნების მქონე ძალები დგანან;**

**ე) ჯგუფის ლიდერი არავითარ შემთხვევაში არ განიხილება როგორც წარუმატებლობის პირველწყარო; პრობლემების მიზეზად არასაკმარისი რწმენა და საზოგადოების ზოგადი „სიბნელე“ განიხილება;**

**ვ) ლიდერს ზებუნებრივი ძალების რჩეულად მიიჩნევენ** (ჩვენ პოლიტიკურ მითოლოგიაში ამ როლს შეერთებული შტატების ხელისუფლება ასრულებს)**;**

**ზ) შიდა დისციპლინა, ჯგუფის წევრების კონტაქტები გარე სამყაროსთან მკაცრად კონტროლდება, მუშაობს თვალთვალისა და დასმენის მანქანა, მიზანმიმართულად ინერგება აზრი, რომ ლიდერმა ყველაფერი იცის;**

**თ) ახალი წევრების მოზიდვისა და ძველების შენარჩუნებისთვის გამოიყენება ფსიქოლოგიური ზემოქმედების სპეციალური ტექნოლოგიები** (ის, რასაც პროპაგანდასთან მიმართებაში „ტვინის გამორეცხვას“ ვუწოდებთ) **და დამორჩილების სხვა საშუალებები;**

**ი) ჯგუფის წევრები გამუდმებით ცდილობენ, გაამარტივონ სამყაროს სურათი და ურთულესი პრობლემები მარტივი სქემების ფარგლებში** (შავი-თეთრი, სიკეთე-ბოროტება) **მოაქციონ;**

**კ) ჯგუფის წევრებს წევრებს ახასიათებთ მუდმივი, მიზანმიმართული სწრაფვა შემოსავლის ნებისმიერი წყარო ჯგუფის** (და ამავე დროს პირად) **ინტერესებს დაუქვემდებარონ;**

**ლ) განდგომილები განიხილებიან როგორც დამნაშავეები** (ცოდვილები)**, რომელთა დასჯა ჯგუფის ნებისმიერი წევრის „წმინდა“ მოვალეობაა;**

**მ) ჯგუფის წევრები რეგულარულად, ხშირ შემთხვევაში სრულიად უადგილოდ, იმეორებენ მოკლე, იოლად დასამახსოვრებელ ტექსტებს, ერთგვარ მანტრებს, რომლებიც მედიტაციის საშუალებას წარმოადგენს და სიხარულსაც ანიჭებთ** („მიშა მაგარია“, „მადგუ დიადია“ და ა. შ.)**;**

**ნ) ლიდერის ბრძანება ჯგუფის წევრებისთვის კანონზე და ნებისმიერ სხვა შემზღუდავ ნორმაზე მაღლა დგას.**

ანბანის ბოლოში გასვლა, ალბათ, არ დაგვჭირდება, რადგან ყველაფერი ისედაც ცხადია. მეცნიერებმა უზარმაზარი შრომა გაწიეს იმისთვის, რომ ტოტალიტარული სექტები შეესწავლათ; ეს მათი წარმომადგენლების მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენციის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. კიდევ ერთხელ გადავხედოთ ჩამონათვალს, გულზე ხელი დავიდოთ და შევეცადოთ, შემდეგ კითხვას ვუპასუხოთ: **დგას თუ არა მმართველი ძალის ერთიანობა და „მიშიზმი“, ზოგადად, სწორედ ამ ფუნდამენტზე?**

თუმცა **ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა და ამას ამჩნევს ყველა, ვინც სააკაშვილის მომხრეთა შეთხელებულ რიგებს აკვირდება. უპირველეს ყოვლისა, შეირყა ბელადის ავტორიტეტი და ეჭვქვეშ დადგა მისი შეუცდომლობის დოგმატი, სადღაც გაქრა ირაციონალური** (ოპონენტების აზრით, სრულიად შიზოფრენიული) **რწმენა და მისი ადგილი ცივმა გათვლამ დაიკავა. ფართოდ გავრცელდა გაურკვეველი მომავლის შიში და მსჯელობა იმაზე, არსებობს თუ არა „სიცოცხლე ხელისუფლების შემდეგ“;** ამ ბოლო პრობლემას, მიზანშეწონილია, გარკვეული ყურადღება დავუთმოთ.

ამას წინათ ირაკლი ალასანიამ „ივერონისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საინტერესო განცხადება გააკეთა. საერთოდ, ალასანია ბოლო დროს თვალსა და ხელს შუა გაიზარდა და წარსულში დატოვა ის მომაბეზრებელი დუდღუნი, რომლითაც ადგილობრივი არჩევნების დროს გამოირჩეოდა. მისი გაგზავნა სამეგრელოში, სადაც „ხალხში გასვლა“ თითქმის ყოველდღიურად უწევს, პრინციპულად სწორი გადაწყვეტილება იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იქ ალასანია „გაიხსნა“ და მეტ-ნაკლებად სხარტი საუბარი ისწავლა. ეს კარგი სკოლაა, მითუმეტეს რომ 2013-ში ის, სავარაუდოდ, პრეზიდენტობის კანდიდატად მოგვევლინება. თუმცა დავუბრუნდეთ ინტერვიუს. **„ჩვენი მიზანი „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმცირესობაში გადაყვანაა. ეს არის მიღწევადი ამოცანა. მე არ მსურს „ნაციონალური მოძრაობის“ ქართული პოლიტიკიდან სრულიად წაშლა. ქართულ პოლიტიკაში მტრობა და გაუტანლობა, პერსონალიებზე აგებული პოლიტიკა უნდა დასრულდეს. ჩვენ ინსტიტუტების აგებაზე უნდა ვიფიქროთ და ამიტომაც პარლამენტი აღარასდროს უნდა გახდეს ერთი პარტიის სახლი. ბალანსი უნდა დამყარდეს. ჩვენ რომ უმრავლესობაში ვიქნებით, ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ პარლამენტში სხვა პარტიებიც იქნება და მათ შორის „ნაციონალური მოძრაობაც“. ჩვენ მათ ვასწავლით, როგორ ღირსეულად უნდა მოექცე ოპონენტს. პარლამენტში შეიქმნება ახალი, თანამშრომლობის სივრცე“,** — განაცხადა ალასანიამ.

გასაგებია, რომ ირაკლი ალასანიას არ სურს შეძახილით „ყველანი ეშაფოტზე!“ ბოზბოლა „ნაციონალებს“ საპატიო კაპიტულაციის შესაძლებლობა მოუსპოს, თუმცა **ეჭვგარეშეა ისიც, რომ ხელისუფლების რადიკალური მოწინააღმდეგეები მსგავს განცხადებებს ცუდად დაფარული გაღიზიანებით შეხვდებიან, რადგან მათ დიდ ნაწილს მმართველი პარტიის სრული, ლამის რიტუალური ანიჰილაცია სწყურია, ყველა იმ საშინელების შემდეგ, რაც საქართველოში მოხდა.**

ალასანიას მოსაზრებას დამარცხებულ „ნაციონალებთან“ თანამშრომლობაზე ან მათთვის პარლამენტში „ღირსების სკოლის“ გახსნაზე ეს ადამიანები, დიდი ალბათობით, ვერასოდეს გაიზიარებენ. თუმცა აქ მთავარია არა ეს რეაქცია, არამედ პრობლემის ძალიან საინტერესო პოლიტიკური ქვეტექსტი.

**დღეს „ნაცმოძრაობა“ ბანალური პოსტსაბჭოთა სახელისუფლო პარტიაა, ხელისუფალთა ერთგვარი პროფკავშირი; მას, როგორც ინვალიდს, აღმასრულებელი ხელისუფლების ყავარჯნების გარეშე გადაადგილება არ შეუძლია. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი ფუნქციონირება ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობის პირობებში, როდესაც „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში უმრავლესობა ეყოლება, მაგრამ პრეზიდენტის პოსტს ერთი წლის განმავლობაში სააკაშვილი შეინარჩუნებს. ეს ძალზე ხიფათიანი პერიოდი იქნება, დღევანდელი მმართველები ყველა ხერხის გამოყენებით შეეცდებიან, დაკარგული პოზიციები დაიბრუნონ. ავლაბრის რეზიდენცია ამ სცენარის ფარგლებში, ალბათ, შეთქმულების ნამდვილ ბუდედ გადაიქცევა.** მაგრამ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება „ნაციონალური მოძრაობის“ წარმოდგენა კლასიკურ ოპოზიციად იმ პირობებში, როდესაც მისი ლიდერები აღმასრულებელი ხელისუფლებიდან (და ზოგადად — პოლიტიკიდან, როგორც ეს, 99%-იანი ალბათობით, სააკაშვილისა და მერაბიშვილის შემთხვევაში მოხდება) წავლენ, რადგან აღარ იარსებებს „ცემენტი“, რომელიც მის ერთიანობას უზრუნველყოფს. **რა შეკრავს პარტიას, რომლის საპროგრამო დოკუმენტებს პოლიტოლოგები, ამდენი წელია, სანთლით დაეძებენ? იდეები? პრინციპები? ნუგზარ წიკლაური?**

სიტუაციას პრაგმატულად და ოდნავ ცინიკურად თუ შევხედავთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ახალი ხელისუფლებისთვის ეს ძალზე კომფორტული ოპოზიცია იქნება: იგივე საგარეო კურსის მომხრე, კონსტრუქციული, შეშინებული ძველი ცოდვების გახსენების შესაძლებლობით, ნეგატიური წარსულის მქონე და, შესაბამისად, პერსპექტივების არმქონე. თუმცა **დასანანი იქნება, თუ ახალი ხელისუფლება, სააკაშვილის დარად, მისთვის კომფორტული ოპოზიციის ხელოვნურ გაძლიერებას დაიწყებს. ეს ძველ ტიკში ახალი ღვინის ჩასხმას დაემსგავსება და სტრატეგიულად წამგებიანი გამოდგება.**

ალბათ, არავინ იდავებს იმაზე, რომ დღეს ხელისუფლებაში მყოფი „ნაცმოძრაობა“ გაცილებით მეტ მანდატს მოიპოვებს (რა მეთოდებით, ცალკე საუბრის თემაა), ვიდრე მაშინ, როდესაც ხელისუფლებას დაემშვიდობება. **რა იქნება ამ სიტუაციაში უფრო მართებული: ოთხი წლის განმავლობაში შევინარჩუნოთ არარსებული სახელისუფლო პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლობა, ის დეპუტატები, რომლებმაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ტოტალიტარული სექტის სულისკვეთება შემოიტანეს, თუ ახალი, თავისუფალი არჩევნები ჩავატაროთ, რათა ახალმა პარლამენტმა მოსახლეობის პოლიტიკური სიმპათიები 100%-იანი ადეკვატურობით ასახოს?** ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

არავინ საუბრობს ისეთ უკიდურესობაზე, როგორიცაა „ნაციონალური მოძრაობის“ გამოცხადება დანაშაულებრივ ორგანიზაციად, თუმცა მისი წარმომადგენლებისთვის გარდამავალ პერიოდში სასათბურე პირობების შექმნას ოპოზიციური ამომრჩევლების უმრავლესობა, სავარაუდოდ, მხარს არ დაუჭერს. ყოველგვარ გარანტიებს და დაპირებებს ამ მიმართულებით, ალბათ, გონივრული ზღვარი უნდა ჰქონდეს.

**მომავალში ძალიან შორს გავიჭერით და, ალბათ, აჯობებს, ისევ აწმყოს დავუბრუნდეთ, ვაგნერის მუსიკა ჩავრთოთ და, სპორტული ინტერესიდან გამომდინარე, თვალი მივადევნოთ იმას, თუ როგორ მიემართება „ნაციონალური მოძრაობა“ მერყევი ნაბიჯით სადღაც იქ, სადაც წინაპრებს ხანდახან „მოუსავლეთი“, ხანდახან კი „ჯანდაბა“ ეგულებოდათ.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარი ის არის, რომ აჭარელს აჭარაში არაფრის უფლება აღარ აქვს, თურქები კი განუსაზღვრელი უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობენ, მათთვის ყველგან ყველა გზა ხსნილია. ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ბათუმში მათი რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ეს კი „დიდი თურქობის“ ახალი ეტაპის დასაწყისია.**

# ახალი თურქობის მოლოდინში

**სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმის ხელშეწყობით აჭარაში, უკვე დიდი ხანია, თურქეთი ეკონომიკურ და პოლიტიკურ ექსპანსიას ახორციელებს. რამდენიმე დღის წინ კი შემაშფოთებელი ინფორმაცია გავრცელდა. როგორც ცნობილი გახდა, თურქულ სკოლებში მე-11 კლასელებს ასწავლიან, რომ თურმე თავის დროზე ქართველებმა დაიპყრეს ბათუმი და რიზე. თუმცა თურქებმა რიზეს უკან დაბრუნება შეძლეს, ბათუმის კი — ვერა და ის დღეს საქართველოს მიერ არის ოკუპირებული.**





ეს ფაქტი ყურდღებას, ალბათ, არც მიიქცევდა, საქმე ვინმე იმპერიული აზროვნების ავტორის მიერ გამოცემულ წიგნს რომ ეხებოდეს, მაგრამ ეს არის სახელმძღვანელო, რომელიც თურქეთის განათლების სამინისტროს მიერაა დამტკიცებული და, შესაბამისად, მასში სახელმწიფო პოლიტიკაა გატარებული. ასეთი ქმედებით თურქეთის ხელისუფლება მიზნად ისახავს მომავალი თაობის იდეოლოგიურ დაამუშავებას, რა დროსაც მათ მეხსიერებაში უნერგავენ, თითქოს აჭარა და ბათუმი მათი ისტორიული საკუთრებაა და მის დასაბრუნებლად უნდა იბრძოლონ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა უარყოფით შედეგს გამოიღებს საქართველოსთვის ყოველივე ეს, მითუმეტეს რომ ჩვენი ქვეყანა დღეს პატარა და სუსტი, ხოლო თურქეთი ძლიერი და მზარდი ამბიციის მქონე სახელმწიფოა.

**დღეს თურქეთი ღიად ცდილობს, დაანახოს მსოფლიოს, რომ მას აქვს პრეტენზია, გახდეს ისლამური სამყაროს ლიდერი სახელმწიფო და რეგიონში დომინანტური ძალა. ამ მიზნის მიღწევაში კი მას ზურგს ამერიკა უმაგრებს, ვინაიდან თურქეთის სახელმწიფო ინტერესები თანხვედრაშია აშშ-ის ინტერესებთან ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.** შესაბამისად, ამერიკის პოლიტიკის გამტარებელი ამ სივრცეში თურქეთია, საქართველოს ხელისუფლება კი ამერიკის ფაქტორის გათვალისწინებით თურქეთს თავისი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებაში ხელს ვერ შეუშლის. არადა, თურქეთის მზარდი ამბიცია და ეკონომიკურ-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მორიგი დაქუცმაცებით ემუქრება. ჯერ კიდევ წლების წინ ერთ-ერთ ინტერვიუში **პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია** აცხადებდა: **„საქართველოს ნატოში შესვლით დაინტერესებულია თურქეთი და აფხაზეთისა და ოსეთის პოლიტიკური წრეები. თურქეთს ეს მისცემს საშუალებას, რუსეთს არც შეხედოს, ნატოს ბაზების ეგიდით შეიყვანოს თავისი ჯარები საქართველოში, საიდანაც 200 წლის წინათ ისინი რუსებმა გაყარეს. ხოლო ძველი ურთიერთობების აღდგენის მოწინააღმდეგეებს აფხაზეთსა და ოსეთში ეს იმის გარანტიას აძლევს, რომ არანაირ რეინტეგრაციულ პროექტებზე საქართველოსთან აღარასოდეს იქნება საუბარი. რა ინტეგრაცია უნდა იყოს მაშინ, როდესაც საზღვრის ერთ მხარეს ნატოს თურქული ჯარები დგას, მეორე მხარეს კი – რუსეთის ჯარები“?!**

საქართველო დღეს კოლონიური სახელმწიფოა, რომელსაც დამოუკიდებელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გატარება არ შეუძლია, არ შესწევს უნარი, დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები და თვითმყოფადობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქვეყნის „სტრატეგიული პარტნიორი“ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკით მის სახელმწიფოებრიობას და მოქალაქეების კეთილდღეობას საფრთხე ექმნება, იძულებული ხდება, გადადგას დამღუპველი ნაბიჯი, რამაც შეიძლება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საერთაშორისო რუკიდან გაქრობა გამოიწვიოს. ასეთია კოლონიური სახელმწიფოს ბედი.

ყოველივე ეს განპირობებულია ქვეყნის სათავეში მარიონეტული და ანტიეროვნული რეჟიმის ყოფნით, რომელიც ღიად უწყობს ხელს თურქეთს ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებაში. უკვე არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ **სააკაშვილის რეჟიმი თვალს ხუჭავს ბევრ უკანონობაზე, რომელთაც თურქეთი საქართველოს წინააღმდეგ ახორციელებს, კერძოდ, არც კეთილმეზობლურია და არც პარტნიორული ის ფაქტი, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში თურქული კომპანიები უპრობლემოდ საქმიანობენ და თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი გემები აფხაზეთის პორტებში თითქმის ყოველდღე შედიან.**

საინტერესოა, რატომ აძლევს ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“ სახელმწიფო თავს იმის უფლებას, რომ საქართველოს სუვერენიტეტის შელახვით და ქართული კანონმდებლობის დარღვევით აწარმოოს სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები სეპარატისტულ აფხაზეთთან? მართალია, ასეთი ქმედებების გამო თურქულ მხარეს საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმეჯერ საპროტესტო ნოტა გადასცა, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

**დღეს აჭარა არის რეგიონი, რომელშიც თურქეთი ისლამის პროპაგანდას ღიად ეწევა, ხსნის და აფინანსებს მეჩეთებს თუ მედრესეებს. წარჩინებულ მუსლიმან ახალგაზრდებს კი თურქეთის უნივერსიტეტებში გზავნის, ისლამის კანონების ძირფესვიანად შესწავლის მიზნით. ამას კი აუცილებლად მოჰყვება ქართველი ერისთვის საზიანო შედეგი.**

ბუნებრივია, იმის საშიშროება არ არსებობს, რომ აჭარლებმა თუნდაც სარწმუნოებრივი მოტივით მოითხოვონ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა თურქეთის სასარგებლოდ, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ **აჭარელს აჭარაში არაფრის უფლება აღარ აქვს, თურქები კი განუსაზღვრელი უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობენ, მათთვის ყველგან ყველა გზა ხსნილია. ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ბათუმში მათი რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ეს კი „დიდი თურქობის“ ახალი ეტაპის დასაწყისია.**

თუმცა თურქეთის ასეთი პოლიტიკის გამო დამნაშავე არა თურქეთი, არამედ ჩვენი ხელისუფლებაა, რადგან აჭარაში თურქებს განსაკუთრებული პრივილეგირებული მდგომარეობა სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმის მიერ მიენიჭა. მაგრამ სხვას რას უნდა ველოდოთ სახელმწიფოს მეთაურისგან, რომელმაც სინდისის ქენჯნის გარეშე განაცხადა, რომ თურმე **„სოხუმი არასდროს არ იყო საქართველოს შემადგენლობაში“**. სააკაშვილს აფხაზეთის დაბრუნება არ სურს, ამიტომ აქცენტი ბათუმზე გააკეთა და მისი ტურისტულ „მექად“ გადაქცევა დაისახა მიზნად, რათა საზოგადოების ყურადღება სოხუმიდან ბათუმზე გადაეტანა. ამან კი მისცა შესაძლებლობა თურქეთს, თავისი იმპერიული მიზნების რეალიზება დაეწყო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ასეთი შესაძლებლობით ისარგებლებდა და შორსმიმავალ გეგმებსაც დასახავდა. ამაზე სწორი შეფასება გააკეთა **ალექსანდრე ჭაჭიამ: „თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ უკვე პოლიტიკაშიც თვისობრივად ახალ ძვრებს მოითხოვს, ამისთვის კი ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადებაა საჭირო. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ აჭარის ახალი ობიექტები, რომლითაც ასე ამაყობს ჩვენი ხელისუფლება, თურქების აშენებულია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. ფეშენებელური სასტუმროების და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, შეუძლებელია, აჭარაში რენტაბელური იყოს: მისით სარგებლობისთვის ქართველებს ფული არ აქვთ, ხოლო სომხური ტურისტული ნაკადი ასეთი სიმძლავრეების ასათვისებლად საკმარისი არაა, საკურორტო სეზონიც აჭარაში ძალიან ხანმოკლეა. მიუხედავად ამისა, თურქები მაინც ყიდულობენ მიწას, აშენებენ თავიანთ ობიექტებს, შესაძლოა, იმის იმედად, რომ ცოტა ხანში შეძლებენ თანამემამულეებისთვის მათ საცხოვრებელ ბინებად რეალიზებას. დღეს ბათუმში 23 ათასი თურქია ჩაწერილი. ეს საკმაოდ სოლიდური რაოდენობაა. მთელ აჭარაში არასოდეს უცხოვრია ამდენ თურქს, მაშინაც კი, როდესაც იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო“.**

ასევე ძალიან უადგილო, თუმცა მრავლისმეტყველი იყო, 26 მაისს ქუთაისში ახლადგახსნილი პარლამენტის წინ ჩატარებულ აღლუმზე თურქეთის სახელმწიფო დროშა ქართული დროშის გვერდით რომ ფრიალებდა. ძნელია იმის გარკვევა, თუ რატომ გახდა აუცილებელი მეზობელი სახელმწიფოს დროშის აფრიალება საქართველოს სამხედრო აღლუმის დროს, მაგრამ ეს ფაქტი უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ **ჩვენი „პროდასავლური“ ხელისუფლება, რომელიც თითქოს საქართველოს ევროპულ ოჯახში გასაწევრიანებლად ძალღონეს არ იშურებს, სინამდვილეში საქართველოს განიხილავს ისლამური თურქეთის გავლენის სფეროდ.** ეს აღიარა კიდეც სააკაშვილმა 31 მაისს სტამბოლში, გაეროს ცივილიზაციების ალიანსის პარტნიორების ფორუმზე, სიტყვით გამოსვლისას მან თურქეთი ლამის საქართველოს მფარველად გამოაცხადა: **„საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ლიდერი სახელმწიფოების რეაქციები სრულიად განსხვავებული იყო — იყო ნევროზული და ისტერიული რეაქციები, ყოფილი იმპერიები ცდილობდენ ჩვენი დამოუკიდებლობის წართმევას. ამ მხრივ, გამოირჩეოდა თურქული მოდელი. ჩვენი დამოუკიდებლობის პირველი დღიდან თურქეთი მხარს უჭერდა და ამხნევებდა საქართველოს. ცდილობდა, დაგვხმარებოდა ფეხზე დადგომაში და ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობდა“. „ახალ ბალანსს დღეს ახალი იდეები და ახალი შესაძლებლობები გვკარნახობს, რომლებიც ხან დიდი ქვეყნებიდან მოდის, ხან კი — მცირე. ასევე ვხედავთ, რომ აღმოსავლეთში თურქეთი ძირითადი ლიდერის სტატუსს იძენს, როგორც მშვიდობის ინიციატორი და მოვლენების განსხვავებული ხედვის შესაძლებლობის მქონე სახელმწიფო“.**

მიხეილ სააკაშვილმა თურქეთში სიტყვით გამოსვლისას თავისი „ტოლერანტული“ ბუნების სადემონსტრაციოდ განაცხადა: **„მე გავიზარდე ისეთ ქალაქში, სადაც მეჩეთი და სინაგოგა გვერდიგვერდ დგას — ეს არის ჩვენი იდენტურობა“,** თუნცა რატომღაც სააკაშვილს არ უთქვამს მეჩეთი და სინაგოგა მართლმადიდებლური ეკლესიების გვერდით რომ არის აგებული, მაგრამ მან ეკლესია პრინციპულად არ ახსენა. რატომ? — იმიტომ, რომ ეს არის სააკაშვილის „იდენტურობა“. **მას სძულს ყოველივე ის, რაც ფასეულია ქართველი ერისთვის, რაც ქართველი ერის იდენტურობას განსაზღვრავს, ანუ ჩვენი სარწმუნოება, მართლმადიდებლობა, ხოლო ჩვენი სარწმუნოების ბურჯი — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელიც განუსაზღვრელი ავტორიტეტით სარგებლობს ქართულ საზოგადოებაში, პირად მტრად მიაჩნია.** ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც 26 მაისს ქუთაისის ახალი პარლამენტის გახსნაზე უწმინდესი არ მივიდა. შესაბამისად, პატრიარქს ახალი საკანონმდებლო ორგანო არ უკურთხებია, რითაც სააკაშვილს დაგეგმილი პიარსვლა ჩაუშალა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

დაბოლოს, **ხელისუფლების მოღალატური ქმედებების ალაგმვა მხოლოდ ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე მუდამ ფხიზლად მყოფ საზოგადოებას შეუძლია.** უკანასკნელ პერიოდში ყველაზე დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საქართველო-თურქეთის მთავრობების შეთანხმებას, რომელიც თურქეთში ქართული ისტორიული ძეგლების — ოშკისა და იშხანის რესტავრაციის სანაცვლოდ ბათუმში ოსმალეთის ბატონობის სიმბოლოს — აზიზის მეჩეთის ასლის აშენებას ითვალისწინებდა. საზოგადოების აქტიურობისა და წინააღმდეგობის შედეგად სააკაშვილის რეჟიმი იძულებული გახდა, მოჩვენებით მაინც დაეხია უკან და საიდუმლო შეთანხმებისთვის ხელი არ მოეწერა. მართალია, ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილებაზე საბოლოოდ უარი არ უთქვამს, მაგრამ პროცესი დროებით შეჩერებულია. ასევე, ხელისუფლებამ ხელი აიღო ბათუმის ცენტრში ერთ-ერთ წმინდა ადგილზე, იუნკრების საფლავებთან, 40-სართულიანი შენობის აგებაზე, რომელიც თურქულ კომპანია „სისთემ ინშაათს“ უნდა აეშენებია. ბათუმელებისა და არამარტო ბათუმელების აქტიურობამ, რომლებიც თვეების განმავლობაში აპროტესტებდნენ ამ ფაქტს, შედეგი გამოიღო — ტერიტორიული მთლიანობისთვის დაცემული გმირების საფლავები ხელუხლებელი დარჩება.

**ამიტომ, როცა საზოგადოებას არ ჰყავს ხელისუფლება, მაშინ თავად საზოგადოება უნდა გახდეს ხელისუფლება, საზოგადოებამ უნდა შეძლოს, წარმართოს პოლიტიკური პროცესები ისე, რომ ქვეყანა მორიგი დანაწევრების და ტერიტორიების დაკარგვის წინაშე არ აღმოჩნდეს.**

მხოლოდ და მხოლოდ ქართული საზოგადოების აქტიურობის შემთხვევაში გახდება იძულებული საქართველოს ხელისუფლება, შეაჩეროს აჭარაში გამალებული თურქული ექსპანსია.

**გიორგი მექმარიაშვილი**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არსებობს საფრთხე, რომ შეიძლება ბათუმი თურქებმა წაიღონ. ჩვენ არაფერს ვთხოვთ თურქეთის ხელისუფლებას, ჩვენ ვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან, აღასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგება საქართველოს ხელისუფლების შეცვლის საკითხი, ვინაიდან ეს არის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. რომ არა საქართველოს ხელისუფლების უნიათობა, არა მგონია, თურქებს ეს გაებედათ“.






## შალვა ხაჭაპურიძე:

# გეგმა საქართველოს ექვს ნაწილად გაყოფის შესახებ, შესაძლოა, უახლოეს მომავალში — არჩევნებამდე განხორციელდეს

**ადვოკატი და მოძრაობა „ეროვნულების“ ერთ-ერთი ლიდერი შალვა ხაჭაპურიძე სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს. მისი განცხადებით, თურქულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ბათუმი თურქეთის საკუთრებად არის მოხსენიებული. თურქული სასკოლო სახელმძღვანელოს — „ქემალიზმის ისტორიის“ 35-ე გვერდზე განთავსებულ რუკაზე ბათუმი, როგორც საქართველოს მიერ ოკუპირებული ტერიტორია, საგანგებოდ წითლად არის აღნიშნული. როგორი უნდა იყოს ქართული მხარის პოზიცია, როგორ მიმდინარეობს საქართველოს ექვს ნაწილად დაყოფის გეგმა და აშენებს თუ არა ასპინძაში ატომურ ელექტროსადგურს ხელისუფლება, ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრება.**



Mondros Ateşkes Anlaşması'ndan Sonra Osmanlı Devleti (30 Ekim 1918)

**— მას შემდეგ, რაც თქვენ გაახმაურეთ ინფორმაცია, რომ თურქულ სასკოლო სახელმძღვანელოში ბათუმი საქართველოს მიერ ოკუპირებულ თურქულ ტერიტორიადაა მიჩნეული, აღნიშნული ფაქტით თუ დაინტერესდა საქართველოს ხელისუფლება?**

— ეს ხელისუფლება არ არის დაინტერესებული თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დაცვით. 30-31 მაისს თურქეთში საქართველო-თურქეთის მეგობრობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე ესწრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვაშაკიძემ კარგად იცოდა აღნიშნული სახელმძღვანელოს თაობაზე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას ზემოხსენებული ფაქტის შესახებ ერთი სიტყვაც არ დასცდენია. უფრო მეტიც, პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმაც უნიათობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა — საქართველოში სტუმრად ჩამოსულ თურქეთის ვიცე-პრემიერთან არც მას უთქვამს რამე.

ამის პარალელურად, შევხედოთ, რა ხდება ბათუმში. **შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ბათუმი თურქების მიერ ეკონომიკურად უკვე ანექსირებულია. უფრო მეტიც, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბათუმის რამდენიმე ქუჩაზე, სადაც თურქები კომპაქტურად ჩასახლდნენ, მართლმადიდებელ სასულიერო პირებს გავლა საერთოდ აეკრძალათ. ინციდენტიც მოხდა — მღვდელს ანაფორაც კი შემოახიეს.**

ჩვენ მივმართეთ თხოვნით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს და საქართველოს პრეზიდენტს, დაუყოვნებლივ დაიწყონ თურქეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები, რათა თურქული სახელმძღვანელოებიდან ამოიღონ ის რუკა და ტექსტი, რომლის მიხედვითაც, ბათუმი საქართველოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად არის გამოცხადებული. ამასთან, საქართველოს სასკოლო სახელმძღვანელოებში აჭარისა და ბათუმის შესახებ ქართველ ახალგაზრდებს ვრცლად მიეწოდოს ინფორმაცია, რათა ქართველებმა არასდროს დასვან კითხვა — ვისია ბათუმი?

**— თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბიულენთ არინჩმა უარყო აღნიშნული ინფორმაცია და მას დეზინფორმაცია უწოდა.**

— თურქეთის ვიცე-პრემიერი ან არ იყო ინფორმირებული, ან შეგნებულად დამალა სიმართლე. ამას ჰქვია „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. საქვეყნოდ ვაცხადებ: მე არ დამიბეჭდავს ეს წიგნი, რომელშიც მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ **ქართველებმა თურმე რიზესა და ბათუმის ოკუპაცია განახორციელეს, რის შემდეგაც, 1918 წელს, რიზე დაუბრუნდა თურქეთს, ხოლო ბათუმი კვლავ რჩება ქართველების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად.** მაშინ, როცა თურქეთში ასეთ აზრს უნერგავენ მე-11 კლასელებს, რომლებიც ხვალზეგ უნდა გახდნენ პოლიტიკოსები, სამხედროები, საზოგადო მოღვაწეები, რას მოგვიტანს ეს ყველაფერი?

ამას გარდა, სარწმუნო წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ **თურქეთის ვიცე-პრემიერის ვიზიტის რეალური მიზეზი ასპინძაში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაა, რომლის გეოლოგიური სამუშაოები უკვე ჩატარებულია და 50 მილიონია დახარჯული.** ამ სადგურიდან საქართველო 59 წელი ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებს, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა თურქეთის 2004-2006 წლების დავალიანება და შესაბამისად, თურქეთმა აიძულა ქართული მხარე, გაეფორმებია კაბალური ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ასპინძაში ატომური ელექტროსადგური აშენდება. ეს სამუშაოები უკვე ფარულად მიმდინარეობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააკაშვილს მოუწევს სიმართლის თქმა, რომ 200 მილიონი აშშ დოლარი დაედო სახელმწიფოს ვალი და იძულებული გახდა, ამ ანტისახელმწიფოებრივ გარიგებაზე წასულიყო. ამიტომ მას არჩევნებამდე არ სურს ამ ინფორმაციის გახმაურება, ვინაიდან იმ 2%-იან ელექტორატსაც დაკარგავს, რომელიც ჯერ კიდევ ჰყავს. საქართველოს მხრიდან ამ მოლაპარაკებებს ხეთაგური და ხაჩიძე ხელმძღვანელობდნენ და მათ უკვე შეუერთდა გილაურიც.

**— თურქული სახელმძღვანელოების შესახებ აღნიშნული ინფორმაცია თქვენ საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელმა მოგაწოდათ. თქვენამდე შეატყობინა თუ არა მან აღნიშნულის თაობაზე საქართველოს ხელისუფლებას?**

— მან მიაწოდა ინფორმაცია თურქეთში საქართველოს ელჩს, თუმცა ამას ელჩის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ბოლო დროს ბევრი კითხვა ჩნდება. მაგალითად, **საინტერესოა, ქუთაისში გამართულ სამხედრო აღლუმზე რატომ ფრიალებდა თურქული დროშა.**

**— გავრცელებული ინფორმაციით, მიუხედავად საზოგადოების პროტესტისა, ბათუმში უკვე დაიწყო მეჩეთის მშენებლობა...**

— ამ საკითხის გაჟღერების შემდეგ, მეჩეთის აშენება ნიშნავს, რომ ვეთანხმებით აზრს — ბათუმი თურქების ყოფილა. ამას უკვე სახელმწიფოს ღალატი კი არა, კრეტინიზმი ჰქვია. არსებობს საფრთხე, რომ შეიძლება ბათუმი თურქებმა წაიღონ. ჩვენ არაფერს ვთხოვთ თურქეთის ხელისუფლებას, ჩვენ ვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან, აღასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგება საქართველოს ხელისუფლების შეცვლის საკითხი, ვინაიდან ეს არის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. რომ არა საქართველოს ხელისუფლების უნიათობა, არა მგონია, თურქებს ეს გაებედათ.

**— პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, რომ, „თუ თურქებმა მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო, თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს“... თუმცა ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს, არ დავუშვათ ქვეყნის შემდგომი დაშლა. როგორ უნდა მოვახერხოთ ეს ამ პირობებში?**

— მოდი პირდაპირ ვთქვათ: **ეს ყველაფერი ომისა და მშვიდობის საკითხია და ჩვენ საპროტესტო აქციების გამართვას თავს ვარიდებთ. ჩვენ რომ ახლა აქციები გავმართოთ, ყარსის ხელშეკრულების თანახმად, თუ აჭარის ავტონომიას რაიმე საშიშროება დაემუქრა, ბათუმზე პასუხისმგებლობას თურქეთი აიღებს. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ სააკაშვილი შეგნებულად ამ გეგმაზე მუშაობს.**

სააკაშვილი პროვოკაციების მოსაწყობად ემზადება, ვინაიდან, თუ მიხვდა, რომ ოქტომბერში დაგეგმილ არჩევნებს ვერ გააყალბებს, პროვოკაციებს მოაწყობს. ის უკვე აკეთებს განცხადებებს, რომ რუსეთის მხრიდან მორიგი პროვოკაცია იგეგმებაო. აკაკი ბობოხიძემ კი ისიც თქვა, შეიძლება მომავალი პარლამენტი დეკემბრამდე ვერ შეიკრიბოსო. ეს პროვოკაცია, ძირითადად, სამეგრელოშია დაგეგმილი, რის შედეგადაც სააკაშვილი გამოაცხადებს, რომ აი, ხდება სახელმწიფო გადატრიალება, შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ და დააკეტავს რიკოთს. ამისთვის ჰყავს ზუსტად ის რეზერვისტები სამეგრელოში. ამის შემდეგ ქუთაისში დაჯდება მისი პარლამენტი, ბათუმში კი იქნება მისი საპრეზიდენტო რეზიდენცია. პარალელურად **დაგეგმილია სამცხე-ჯავახეთში სომხების გააქტიურება და გეგმა საქართველოს ექვს ნაწილად გაყოფის შესახებ, რომელიც რახანია არსებობს, შესაძლოა, უახლოეს მომავალში — არჩევნებამდე განხორციელდეს.**

**— მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მალე ბათუმი ოთხასიათასიანი ქალაქი გახდება. რის საფუძველზე აცხადებს ამას პრეზიდენტი?**

— ბათუმში — ოთხასი ათასი, ლაზიკაში — ნახევარი მილიონიო... და საიდან მოჰყავს ამდენი ხალხი? ასე უცებ შობადობა რომ ვერ გაიზრდება, ყველა კარგად ხვდება, მით უფრო, თუ ჩვენს დემოგრაფიულ პოლიტიკას გავითვალისწინებთ. მგონი, ფსიქიკურად უჭირს და ეს ყველაფერი შეიძლება ამის გამოხატულებაც იყოს. რაც ივანიშვილი გამოჩნდა, მისი სისულელე უკვე ყოველდღიურად მჟღავნდება და არჩევნებამდე „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორც ძალამ, შეიძლება აღარც იარსებოს.

გვაქვს ინფორმაცია, რომ **არამარტო თურქებს, არამედ ბევრ უცხოელს ფიქტიური ქორწინებების შედეგად აქვს მიღებული საქართველოს მოქალაქეობა.** მაგალითად, რამდენიმე დღის წინ კახეთში ჩინელების ოჯახი ვნახე და აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოქალაქეები ყოფილან. არადა, საქართველოში, სულ ერთი წელია, ცხოვრობენ. ფაქტია, რომ რაღაც სიყალბესთან გვაქვს საქმე და ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია. მაგალითად, **ბათუმში არსებობს ფირმები, რომლებიც ვაიქართველ მანდილოსნებს, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ხელს აწერინებენ თურქებთან, რის შედეგადაც ისინი საქართველოს მოქალაქეობას იღებენ.** ამიტომ ვაპირებთ, დავაყენოთ საკითხი: 1992 წლიდან დღემდე საჯარო გახდეს ყველა იმ პირის მონაცემები, ვინც მიიღო მოქალაქეობა. მაშინ, როცა ხელისუფლებამ წაართვა მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, ვის მისცა მოქალაქეობა.

**— ახალი მოძრაობა „ეროვნულები“ დააარსეთ. რატომ გახდა საჭირო ახალი მოძრაობის შექმნა და თუ აპირებთ თანამშრომლობას „ქართულ ოცნებასთან“ ან კოალიციის გარეთ დარჩენილ პარტიებთან?**

— „ეროვნულები“ — ეს არის ზომიერი კონსერვატიზმის იდეოლოგიის მატარებელი ორგანიზაცია, რომლის მთავარი ღირებულებაც არის ეროვნული ინტერესები. ორგანიზაციის წევრები არიან ის ადამიანები, რომლებიც წარსულში იყვნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები, პრეფექტები, სხვადასხვა თანამდებობის პირები. ამას გარდა, ის ადამიანებიც, რომლებიც იმ პერიოდში პოლიტიკურ პროცესებში საერთოდ არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ეროვნული მსოფლმხედველობის მატარებელნი არიან. ამას გარდა, ჩვენთან არიან ახალგაზრდებიც, რაც ძალიან მახარებს. იმ პერიოდში, როცა მსოფლიოში გაუგონარი მასშტაბის გლობალიზაცია მიმდინარეობს, თუ ისეთმა პატარა ერმა, როგორიც ჩვენ ვართ, არ დავიცავით ჩვენი ეროვნული ღირებულებები და ტრადიციები, სხვანაირად არ გამოვა.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას, ნორმალური დამოკიდებულება გვაქვს ბიძინა ივანიშვილთან, ასევე მეგობრული ურთიერთობა გვაქვს „სახალხო კრების“ წევრებთან და პოლიტიკურად ვისთან ვითანამშრომლებთ, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ჩვენი მიზანია, ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა და არ გამოვრიცხავთ არჩევნებში მონაწილეობაც მივიღოთ. დამოუკიდებლად გავაკეთებთ ამას, თუ რომელიმე ძალასთან ალიანსში, ამას გადავწყვეტთ.

**21-ე საუკუნეში ტირანის არსებობა, რომელიც სკამსაა ჩაბღაუჭებული, წარმოუდგენელია. ან როგორ შეიძლება ისეთი ადამიანების პოლიტიკაში ყოფნა, როგორიც მიხეილ მაჭავარიანია? კაცი, 30 წელიწადია, ვერ გავიტანეთ პოლიტიკიდან, იგივე ითქმის ხათუნა გოგორიშვილზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძეზე, რომელსაც შეუძლია ერთი და იგივე აზრი ათჯერ გაიმეოროს. ესენი უკვე გუშინდელი პოლიტიკოსები არიან.**

**— კულუარული ინფორმაციით, მოძრაობის ყრილობა ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა. ადასტურებთ ინფორმაციას?**

— არანაირი დაფინანსება ბიძინა ივანიშვილისგან არ მიგვილია და ამაზე საუბარიც არ ყოფილა. შეურაცხმყოფელიც კი იქნებოდა ამაზე საუბარი.

**— მაგრამ თქვენ შეხვდით ბიძინა ივანიშვილს, რაზე ისაუბრეთ?**

— ნამდვილად შევხვდით ერთმანეთს. ეს უფრო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იყო. მან გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას მიმართ და უარყოფითად შეაფასა მისი დამხობა. მაგრამ ვითანამშრომლებთ თუ არა მომავალში, ჯერ ვერაფერს გეტყვით, ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ჩემპიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შარშან ამ ჩვენმა მაღალმა ბავშვები ზურგსუკან დაიყენა, რადგან 26 მაისის წინა ღამეს დაღვრილი სისხლის შემდეგ, ერთეულების გარდა, ტრიბუნებზე დამდგომი ადამიანი ვერ იპოვა, თუმცა ის ერთეულებიც ორდენების მისაღებად მივიდნენ, თორემ სად ეცალათ ტრიბუნებზე ასვლა-ჩამოსვლისთვის. ის ბავშვები, სააკაშვილის უკან ტრიბუნები რომ შეავსეს, კურსანტები იყვნენ, ახლა იქნებ იარაღიც დაურიგეს, მაგრამ ქუთაისში გამართულ აღლუმზეც არ ეტყობოდა მთავარსარდალს დიდი შთაგონება. ბავშვი რომ რამეს დააშავებს და გარდაუვალ სასჯელს ელის, ისეთი დამტკბარი და შეშინებული ჩანდა.**

# ფრთხილად, ტრიბუნაზე ტერორისტია!



**თბილისში გამართული აქციის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ქუთაისში დააანონსა აქცია. ხელისუფლებას ბევრი არ უფიქრია, ისე განაცხადა, რომ ქუთაისში არამცთუ 7 ივნისს, არამეს 8, 9, 10 და შემდეგ დღეებში, 1 ივლისამდე ტაშ-ფანდური აქვს გაჩაღებული და ამიტომ მოთხოვნილ ადგილს ვერაფრით დაუთმობს „მეოცნებეებს“!**

როგორც საომარ მდგომარეობას შეეფერება, ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურმა **ნოტა** გამოაქვეყნა (რომელი საგარეო საქმეთა სამინისტრო ეგა მყავს, მაგრამ მოთხოვე ამათ რაიმეს ცოდნა!), რომელშიც ბრძანა:

**„ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური 1 ივნისიდან 1 ივლისამდე გიწვევთ განახლებულ მოედანსა და რეაბილიტირებულ თეატრში იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე და არტ სანახაობებზე. მთელი თვის განმავლობაში ყოველდღე, დილის 11-დან 8 საათამდე, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, იხილოთ მრავალფეროვანი პროგრამა, სხვადასხვა მუსიკალური მიმდინარეობის ჯგუფები, ფოლკლორული ანსამბლები და ადგილობრივი თეატრალური დასები. დაიწყეთ ზაფხული და საინტერესოდ გაატარეთ დრო ჩვენთან ერთად“!**

ერთი სიტყვით, „ქართული ოცნების“ სლოგანი „ჩვენ ვიწყებთ!“ ხელისუფლებამ „ზაფხულის დაწყებაში“ ჩაუთვალა და თავაზიანად შესთავაზა, დრო ჩვენთან ერთად ატარეთო! მასთან ერთად, დროსტარება კი კოალიციაში გაერთიანებულ ლიდერებს კარგა ხნის მობეზრებული აქვთ და აქციებსაც ამიტომ მართავენ. უახლოეს წარსულს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ **„არტ-ივნისი“ ლოგიკური გაგრძელებაა სააკაშვილის რეჟიმის მიერ უკვე გამართული „არტ-ნოემბრის“, „არტ-იანვრისა“ და „არტ-მაისის“, რომლებშიც უიარაღო მოქალაქეების ცემაში ტრენინგიც გაიარა, სისხლიც დაღვარა და შუბლის ძარღვიც საბოლოოდ გაიწყვიტა.**

თუმცა ამ „არტ-ივნისს“ ერთი რამ უთუოდ გამოარჩევს: ამჯერად ვარდისფერშელახულმა ხელისუფლებამ წინ ბავშვები აიფარა. ვასიკო ოდიშვილი რის ფარმაცევტი იქნებოდა, იქვე რომ არ ეპასუხა: **„ჯერ ბავშვებს ესროლეთ და მერეო“...** ჯიბიდან სროლას, ძირითადად, ყვავილის სახელით მოსული ტერორისტები არიან ჩვეულნი, მაგრამ შიში მაინც ოხერია და სააკაშვილიც პატარა მუსიკოს-მომღერლებს დაუდგა ზურგსუკან.

**შიმშილით გამოთავებული ქვეყანა მათ ხელში ერთ დიდ სცენას დაემსგავსა, რომელზეც ხან ტირაჟიდან გასული უცხოელი ვარსკვლავები ჩამოჰყავთ, ხანაც საკუთარ გულის ვარდებს უსრულებენ ბავშვობის ოცნებას.** ამ „ფეერიულ“ სანახაობებში დახარჯული ფული მშივრებსაც დააპურებდა და პენსიონერებსაც უზრუნველყოფდა სრული მომსახურების პაკეტით, მაგრამ რომაული გამოთქმა „პური და სანახაობა“, როგორც ყველაფერი დანარჩენი, ამ ხელისუფლებამ უკულმა გაიგო და „სანახაობა და პური“ შესთავაზა საკუთარ მოსახლეობას.

ხმელი პურის ჭამა კი უკბილო მოხუცებს უჭირთ და გულდამწვარმა პრეზიდენტმა მათ კბილების ჩასმის პირობა დაუდო. ახლა უცადეთ, ვიდრე უკანასკნელ პენსიონერს არ აჩუქებს „ჰოლივუდურ ღიმილს“, პრეზიდენტობიდან ფეხის მომცვლელი არ არის. პირობას ხომ არ გატეხს?!

**შარშან ამ ჩვენმა მაღალმა ბავშვები ზურგსუკან დაიყენა, რადგან 26 მაისის წინა ღამეს დაღვრილი სისხლის შემდეგ, ერთეულების გარდა, ტრიბუნებზე დამდგომი ადამიანი ვერ იპოვა. თუმცა ის ერთეულებიც ორდენების მისაღებად მივიდნენ, თორემ სად ეცალათ ტრიბუნებზე ასვლა-ჩამოსვლისთვის. ის ბავშვები, სააკაშვილის უკან ტრიბუნები რომ შეავსეს, კურსანტები იყვნენ, ახლა იქნებ იარაღიც დაურიგეს, მაგრამ ქუთაისში გამართულ აღლუმზეც არ ეტყობოდა მთავარსარდალს დიდი შთაგონება. ბავშვი რომ რამეს დააშავებს და გარდაუვალ სასჯელს ელის, ისეთი დამტკბარი და შეშინებული ჩანდა.**

რა „უშიშარი და უხორცოც“ იყო, ეს ოთხი წლის წინ მთელმა მსოფლიომ დაინახა. ახლა აღარც „სარკო“ ჰყავს გამომსარჩლებლად და პუტინიც მეორედ მოვიდა. ის კი მაინც ტაშფანდურშია. რა ქნას, არჩევნები აქვს მოსაგები, თორემ დაუსჯელობის პირობას ვერავინ მისცემს. **ლიბერიის პრეზიდენტს საერთაშორისო სასამართლომ 50 წელი მიუსაჯა, ჰოსნი მუბარაქს კი — სამუდამო პატიმრობა. ლიბერიელები ჩარლზ ტეილორმა ისეთი რაოდენობით გაწყვიტა, რომ ქუჩაში გამომსვლელი აღარავინაა, ხოლო ეგვიპტელები აქციას აქციაზე აწყობენ ყოფილი პრეზიდენტის სიკვდილით დასჯის მოთხოვნით.**

ამ დროს ყველა ქალაქის ცენტრალური მოედანი უნდა დაიკავო, აბა, რა უნდა ქნა, რა იცი, ეშმაკს არ სძინავს. თავი კიდევ უფრო დაცულად რომ იგრძნო, წინ ბავშვები უნდა დაიყენო. კადაფის ეს თავში არ მოუვიდა, ჰოდა, მოკლეს. ვერც აბიდინ ბენ ალიმ მოიფიქრა ტუნისელი ბავშვების ფარად გამოყენება და დაამხეს. სუდანის პრეზიდენტს ჭკუა ეყო და ამომრჩეველს დაჰპირდა, 2015 წელს კენჭს აღარ ვიყრიო და მათაც გადაწყვიტეს, აცალონ.

სააკაშვილმა ამ დაპირების მიცემას არჩია, პერმანენტული კონცერტები დაეგეგმა და „ქართული ოცნებისთვის“ ასე შეეშალა ხელი. კოალიციის წარმომადგენლებს რომ ჰკითხეს, ახლა რაღას იღონებთო, მათი პასუხი ასეთი იყო: **„ჩვენი ფანტაზია უკიდეგანოა და რამეს მოვიფიქრებთო“!** არა, ბატონო, მოფიქრებაში ვარდისფერი ბანდაა გაწაფული და აკი მოიფიქრა კიდეც ის, რაც მანამდე არავის მოუფიქრებია.

**ახლა წარმოიდგინეთ, ქართულად ამღერებულ პატარებს დავით ბერძენიშვილი მიუვარდეს და მიკროფონი გამოჰგლიჯოს, ვის მხარეზე იქნება ამის მნახველის სიმპატია? ან დავუშვათ, რომ „ქართულის“ მოცეკვავე ბავშვებს შუაში ირაკლი ალასანია ჩაუხტეს, — ვინმეს მოეწონება ეს? ახლა, დავით უსუფაშვილი რომ კრიმანჭულში პირველს ვერ იტყვის, თქვენც გესმით და სააკაშვილსაც!**

რასაც ვერ დაუკარგავ ხელისუფლებას, — „მეოცნებეებს“ ალტერნატიული ადგილი შესთავაზეს ბალახვანში — 100-საფეხურიან კიბესთან. კოალიცია უარზეა, რადგან „პოტიომკინის კიბეზე“ დაგორება არავის სურს. 1905 წელს ამბოხებული ჯარისკაცი ოფიცერმა მოკლა, რასაც ოდესაში მასობრივი გამოსვლები მოჰყვა. **სერგეი ეიზენშტეინის მიერ გადაღებული კადრები 200-საფეხურიან კიბეზე** (ამაშიც გვაჯობეს, ბალახვნის კიბე ორჯერ დაბალია!) **დახვრეტილი დემონსტრაციის შესახებ კლასიკად იქცა, ხოლო ბავშვობაში კინოპროდიუსერობით გატაცებული მიშიკო, ძნელად სავარაუდოა, რომ ეიზენშტეინის დაჩრდილვის შანსზე იტყვის უარს.**

მერე რა, რომ მისი კინომოღვაწეობა პორნოფილმების გადაღებით დაიწყო და იქვე დამთავრდა?! ახლა ყველაფერი მის ხელთაა და, ალბათ, არც ბალახვნის კიბე შეუთავაზებია „ქართული ოცნებისთვის“ შემთხვევით. აბა, რომელ კინორეჟისორს ჰყოლია ამდენი სტატისტი? — მხოლოდ სერგეი ბონდარჩუკს, როცა „ომსა და მშვიდობას“ იღებდა, მთელი საბჭოთა არმია ედგა „მასოვკაში“. იმდენს ვერა, მაგრამ **„პოტიომკინის კიბის“ საჯობნად ეიზენშტეინზე მეტ ადამიანს მოუყრის თავს, თან ისე, რომ თითის თითზე დაკარება არ დასჭირდება — „ქართული ოცნება“ საკუთარი მხარდამჭერების მობილიზაციას თავად უზრუნველყოფს!**

ბავშვები კი ერთი თვე იმღერებენ დავით აღმაშენებლის მოედანზე, რომელზეც თავად მეფე აღარ დგას. გაუშვი, იმღერონ, იქნებ ამ სიმღერამ იგივე ქნას, რაც „იავნანამ ჰქმნა“! პატარა ქეთომ დედაც გაიხსენა და დედა ენაც, ერთთვიანი სიმღერის შემდეგ იქნებ მოედნიდან გატანილმა აღმაშენებელმაც გამოიღვიძოს და მერე ნახეთ მიშიკოს ფორთხვა და ბაქრაძის მოთქმა!



კომუნისტების დროს საბავშვო ანსამბლ „მზიურისთვის“ ჩამოსულ უცხოელებს მოუსმენიათ და უთქვამთ: **„აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება“!** მიშიკოს არც „მზიურში“ უმღერია, არც მათი მოსმენით შეუწუხებია თავი, — ის კრისდე ბურგს აფანატებდა და სსრკ სასაზღვრო ჯარში კგბ-ს „შიგნიდან ებრძოდა“.

**საბჭოთა ლიდერებს „მზიური“ წინ არ აუფარებიათ და არც მთელი თვე უმღერებიათ, მაგრამ ისინი ჰუმანისტები იყვნენ, ჩვენთან კი ტრიბუნაზე ტერორისტი დგას და ბავშვებს ხან უკან დაიყენებს და ხან წინ.**

ფრთხილად იყავით!

**თამარ დავითულიანი**

მოკლედ

## გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო სირიის საკითხზე შეიკრიბა

**გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ სირიის საკითხზე არაგეგმიური შეხვედრა გამართა.** შეხვედრისას განიხილავდნენ სირიის დასახლება ჰულაში მომხდარ ტრაგედიას, რომლის დროსაც 100-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 34 ბავშვი, მოკლეს. ჰულაში მომხდარმა ტრაგედიამ მსოფლიო საზოგადოებაში უმწვავესი რეაქცია გამოიწვია. ევროპის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა სირიის ელჩები გააძევეს. ლიდერებმა სირიის საკითხის სამხედრო გადაწყვეტის შესახებაც განაცხადეს. აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლეონ პანეტამ კი აღნიშნულს, გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე, შეუძლებელი უწოდა.

## 12 წელი აშშ-ის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის

**მოსკოვის საქალაქო სასამართლომ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ყოფილ თანამშრომელს, სამხედრო პირს — ვლადიმერ ლაზარს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა აშშ-ის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებისათვის მიუსაჯა.** გამოძიების მსვლელობისას დადგინდა, რომ რუსეთის შეიარაღებილი ძალების გენშტაბის სამხედრო-ტექნიკური სამმართველოს ყოფილმა სამხედრომ, თადარიგის პოლკოვნიკმა, 2008 წლის დეკემბერში, აშშ-ის სამხედრო დაზვერვის აგენტის — ლესმენტის დავალებით, გადასცა მას დიდი ოდენობით ტიპოგრაფიული რუკა, რომლებზეც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია იყო დატანილი.

„მომავალი არჩევნები იოლი გასეირნება ნამდვილად არ იქნება... ყველაზე კარგი შედეგი, რაც შეიძლება უკეთეს შემთხვევაში მივიღოთ, ისაა, რომ ოპოზიცია მაქსიმალურად დიდი შემადგენლობით მოვიდეს პარლამენტში. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, ხელისუფლების დამხობის მოლოდინი ნურავის ნუ აქვს. ჯერ ერთი, ამის გამკეთებელი არავინაა და მეორეც, არ არის დღეს საკმარისი ერთიანობა იმისათვის, რომ ყველა ეს პრობლემა ასე ერთბაშად, მყისიერად გადაიჭრას“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თემურ ჩალაბაშვილი: ყველა დამაქცევარი, რომლებიც გუნდრუკს უკმევდნენ ამ ხელისუფლებას, ჩამოსახრჩობია!

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი თემურ ჩალაბაშვილი.**

**— ბატონო თემურ, 27 მაისის გრანდიოზული მანიფესტაციის შემდეგ საზოგადოებაში იმის რწმენა, რომ ხელისუფლების შეცვლა გარდაუვალია, ერთი-ორად გაიზარდა. თქვენი აზრით, დღესდღეობით არსებობს ამის რეალური წინაპირობა? ცოტა არ იყოს გადაჭარბებული ხომ არ გგონიათ ის მოლოდინი, რაც მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით გაჩნდა საზოგადოებაში?**

— ერთ რამეში ვარ ზუსტად დარწმუნებული და აგერ — მე, აგერ — თქვენ: როგორც კუზიანს ვერ გაასწორებს ვერაფერი, სამარის გარდა, ამ ხელისუფლებას გაყალბებაზე ხელს ვერ აალებინებ.

...ერთადერთი ნორმალური არჩევნები მე მახსოვს 1991 წელს, როცა არჩეულ იქნა პირველი პრეზიდენტი, ოღონდ ნორმალური იყო ის არჩევნები არა იმის გამო, რომ მაინცდამაინც ზვიადი უნდა მოსულიყო, უბრალოდ, ერში სულიერების განცდა ყვაოდა და ხალხს სჯეროდა ერთმანეთის. დღესდღეობით ეს განცდა, ფაქტობრივად, ჩამკვდარია. ასე რომ, არ მინდა, ავსიტყვაობა გამომივიდეს, მაგრამ **მომავალი არჩევნები იოლი გასეირნება ნამდვილად არ იქნება... ყველაზე კარგი შედეგი, რაც შეიძლება უკეთეს შემთხვევაში მივიღოთ, ისაა, რომ ოპოზიცია მაქსიმალურად დიდი შემადგენლობით მოვიდეს პარლამენტში. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, ხელისუფლების დამხობის მოლოდინი ნურავის აქვს.** ჯერ ერთი, ამის გამკეთებელი არავინაა და მეორეც, არ არის დღეს საკმარისი ერთიანობა იმისათვის, რომ ყველა ეს პრობლემა ასე ერთბაშად, მყისიერად გადაიჭრას.

**— გინდათ, თქვათ, რომ, ივანიშვილის გამოჩენის მიუხედავად, საზოგადოებაში საკმარისი მოტივაცია მაინც არ არის?**

— ეს ფაქტია და ჩანს კიდეც. ასე რომ, ამას ვერავინ უარყოფს. კი, არის საზოგადოებაში ძალიან დიდი პროტესტი და ბუნებრივიცაა, მაგრამ მარტო ეს არაა საკმარისი, მთავარია, მოსახლეობა რამდენად გამოხატავს ამ უკმაყოფილებას.

1991 წელს არჩევნების ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე ვიყავი მთაწმინდის ოლქში და ახლაც თვალწინ მიდგას, იქ რა ხდებოდა — ხმებს არც უნდოდა დათვლა, ხალხი მოდიოდა და იძახდა: „ზვიადი... თავისუფალი საქართველო...“ ანუ, რის თქმა მინდა ამით — ადამიანებს სწამდათ და გულწრფელად სჯეროდათ, რომ საარჩევნო ყუთთან მათი მისვლით მართლა რაღაც იცვლებოდა ქვეყანაში, ამიტომაც იყო იმხელა მოტივაცია და ერთსულოვნება.

დღეს ყველაფერი პირიქითაა — საზოგადოება გაცურებულია, სახტადაა დარჩენილი, ამიტომ, ბუნებრივია, ის ჟინი ბრძოლისა, რაც ადრე იყო, არ იქნება. ის კი არა, **სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, რომ 27 მაისს იმდენი ხალხი გამოვიდა ქუჩაში. ამხელა მანიფესტაციას ნამდვილად არ ველოდი. არა იმიტომ, რომ ბიძინას პოპულარობა აკლია ან ხელისუფლების მიმართ არაა უკმაყოფილების მუხტი საკმარისად მაღალი, არა, უბრალოდ, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ ე. წ. ოპოზიციამ და მათმა ლიდერებმა, ფაქტობრივად, დაასამარეს ერში მომავლის რწმენა. მადლობა უფალს, ყველა იმ მუხანათობის მიუხედავად, ხალხს მაინც შერჩენია ძალა, დაირაზმოს უსამართლობის წინააღმდეგ.**

**— 9 აპრილს, ოთხთვიანი აქციების დროს, ხელისუფლება ხალხის ქუჩაში გამოსვლის მიზეზად სოციალურ პრობლემებს ასახელებდა, რითაც პოლიტიკური კრიზისის ფაქტორს გამორიცხავდა. დღეს კი „ქართული ოცნების“ მაღალ რეიტინგს მმართველი გუნდისადმი საზოგადოების უკმაყოფილებით ხსნიან და არა ივანიშვილის პოპულარულობით. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ის, რომ ბიძინა ივანიშვილისადმი საზოგადოების უდიდესი ნაწილი დადებითადაა განწყობილი, ფაქტია, და ამას, მე მგონი, დამტკიცება არ სჭირდება, ეს უკვე ვნახეთ. რაც შეეხება მეორე და უმთავრეს მიზეზს, რის გამოც ხალხი ქუჩაში გამოდის, — მოსახლეობას უკვე ეზიზღება ეს მთავრობა. სააკაშვილი შეიძლება სულელია, მაგრამ იმას კი გრძნობს, რამხელა სიძულვილი მოდის მოქალაქეების მხრიდან მის მიმართ. ამიტომ ამ უბედურს მართლაც აღარ დარჩა უკვე სხვა გამოსავალი, გარდა იმ იდიოტური გამოხდომებისა, რითაც, ალბათ, ჰგონია, რომ რამეს უშველის. სხვათა შორის, ელინებს აქვთ ასეთი გამოთქმა: კაცს გონება წარტაცე, დასჯა თუ გინდაო. ზუსტად ასეა ამ ადამიანის საქმე, — **კაცს გონება წართმეული აქვს. ასე რომ, გინდ ასე თქვი, გინდ ისე, რასაც არ უნდა დააბრალონ ხალხის ქუჩაში გამოსვლა, მიზეზი მაინც ერთია — გიჟი არ გვინდა, ბატონო, გვყავდეს სათავეში, გიჟი, ესაა, მეტი კი არაფერი...**

**— 27 მაისის მანიფესტაციის შემდეგ ხელისუფლების დაბალ, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეშელონებში გარკვეული შიდაბზარები გაჩნდა. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მაია მიმინოშვილი გამოუშვეს, რასაც მთელი მისი აპარატის გათავისუფლება მოჰყვა. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება ეს ყველაფერი ხელისუფლების რღვევის პროცესად მივიჩნიოთ?**

— ხშირად მესმის ხოლმე ასეთი საუბრები: აი, ახლა ნახეთ, როგორ განუდგება სააკაშვილს ვანო მერაბიშვილი, როგორ უღალატებს ბოკერია და ა. შ. მე ვამბობ, რად მინდა ამათი ღალატი ან ერთგულება, თუ იგივე მთავრობა დარჩა. თუ შეცვლაა, ეგენი, როგორც მოვიდნენ, ისე ძირფესვიანად ერთად უნდა წავიდნენ, თორემ იმ სიბინძურის ბუდიდან რამდენი ადამიანი გადმობარგდება ოპოზიციაში და რამდენი უღალატებს ხელისუფლებას, რა აზრი აქვს?! სწორად გამიგეთ, **მე, როგორც ჰუმანიტარი, როგორც მწერალი, დასჯის მომხრე კი არ ვარ, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ ყველა სამშობლოს მოღალატე, ყველა დამაქცევარი, რომელიც წლების მანძილზე გუნდრუკს უკმევდა ამ ხელისუფლებას, დასასჯელია და ჯვარზე გასაკრავი, უფრო სწორად, ჩამოსახრჩობი, ჯვარზე გაკვრას ვინ აღირსებს, ჯვარზე ქრისტე აცვეს...**

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების სამსახურში ნამყოფი ხალხის ასე ხელგაშლილად მიღება ივანიშვილის კოალიციაში საფრთხის შემცველი არ არის?**

— მოღალატის გვერდით დაყენება, რა თქმა უნდა, ყოველთვის საშიშია, მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო კოალიციის ან პირადად ივანიშვილის საფრთხეებზე არ არის საუბარი. **რამე რომ მოხდეს, ბიძინა კი დარჩება მოტყუებული, მაგრამ სამშობლო იქნება ნაღალატევი. ესაა მთავარი საფრთხე და ამის უნდა გვეშინოდეს, თორემ კი, ბატონო, დაიყენოს გვერდით, ვინც უნდა.**

...სხვათა შორის, მე არაერთხელ განვაცხადე საჯაროდ, რომ ძალიან ბევრი საეჭვო ადამიანის ყოფნა არ მომწონს ივანიშვილის გვერდით, რის პასუხადაც ჩემი კოლეგები მუდმივად მეუბნებიან ხოლმე, ახლა ასეა საჭიროო. არ ვიცი, ბატონო, რომელ დღეს რა არის საჭირო, მაგრამ ერთი კი ვიცი, მოღალატე კაცის ადგილი არსად არ არის; არ შეიძლება ასეთმა კაცმა სიკეთე ჩაიდინოს...

**— პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე რა აზრის ხართ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, თქვენი აზრით?**

— საერთოდ, ხელისუფლება, რომელიც გრძნობს, რომ ყველას სძულს, ყოველთვის ცდილობს, გაექცეს საკუთარ ხალხს. რაც შეეხება პირადად სააკაშვილს, ხალხთან ურთიერთობა მისთვის, დიდი ხანია, სასიამოვნო პროცესი აღარ არის, ამიტომ, ბუნებრივია, გარბის ეს კაცი.

გარდა ამისა, პარლამენტის გადატანით ამათ კიდევ ერთ მიზანს მიაღწიეს — რიგითი მოქალაქეები და ხელისუფალნი საბოლოოდ გამიჯნეს ერთმანეთისგან. ეს კი, იცით, რას ნიშნავს? ბოდიში და ძალიან მარტივად, ქუჩის ენით თუ ვიტყვით, ამით ხელისუფლება პირდაპირ გვეუბნება, თავში ქვა გიხლიათ, ერთ ადგილზე მკიდიხართო. არ ერიდებათ უკვე ამის თქმა, იმიტომ, რომ, აქამდე რაც გაუკეთებიათ და რა უბედურებებიც დაატრიალეს, იოლად შერჩათ ყველაფერი. თუმცა ჯერ სად ვართ, უარესსაც ვნახავთ მომავალში, თუ დასცალდათ თავიანთი მზაკვრული ჩანაფიქრების ბოლომდე განხორციელება.

**— შენობის გახსნის დღეს სააკაშვილმა განაცხადა: ქუთაისს დავუბრუნეთ ის, რაც მას ეკუთვნოდაო. თქვენი აზრით, რა არის ცუდი იმაში, რომ პარლამენტი ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქში გადადის?**

— პირველ რიგში, მაგან ქუთაისს და მთელ საქართველოს რაც წაართვა, ის დაუბრუნოს და სად, რომელ ქალაქში რა განთავსდება, ხალხი თვითონ გადაწყვეტს. ჯერ ერთი, რას ჰგავდა იმ დღეს ამათი საქციელი, ის სამარცხვინო შენობა რომ გახსნეს, რა ილაპარაკეს და რა სანახაობა მოაწყვეს. ამ თარგამაძეს კიდევ, ამ ასლანას გამოჭყლეტილს, რა შეურაცხყოფაც მიაყენეს, მის ადგილზე კაცს გული გაუსკდებოდა. ჩაფხუტი რომ შეაჩეჩა ხელში სააკაშვილმა, იმას ვგულისხმობ. დღეს რომ ეს შეიფერა, ხვალ-ზეგ სხვა რამესაც დაახურავს ეს გიჟი.

ახლა ზოგიერთი გონებასუსტი ადამიანი ამბობს, პარლამენტის თავმჯდომარედ უპირებს გაშვებას და მაგ ჟესტით გადაულოცაო, კი არ გადაულოცა, დაამცირა, ბოდიში და, დაასვარა თავზე. აი, რა გააკეთა სინამდვილეში.

**— სხვათა შორის, იმ დღეს სააკაშვილმა ბრწყინვალების ორდენებიც უხვად დაარიგა.**

## «ხალხი თუ აღსდგა, კალისტრატეს წირვა-ლოცვა ვერ უშველის სააკაშვილს...»

— ეს ხომ საერთოდ თავის მოჭრა იყო, ამდენ „ბრწყინვალე“ ხალხს რა უნდა მოუხერხოს საქართველომ, არ ვიცი. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, **როცა ბრწყინვალების ორდენის კავალერი გახდები და შენი დამცირებული მოძმის გვერდზე ამას შეიფერებ, ამას ჰქვია უსინდისობა და უნამუსობა. ეს ეხება ყველა იმ „ბრწყინვალე“ ადამიანს, რომლებმაც სააკაშვილისგან „ჩინ-მენდლები“ მიიღეს.**

**— სააკაშვილმა ბრწყინვალების ორდენი სასულიერო პირებსაც გადასცა.**

— მეუფე კალისტრატე გყავთ, ალბათ, უწინარესად, მხედველობაში. არც ვიცი, რა ვთქვა, სამარცხვინოზე სამარცხვინო ფაქტია. ეს ადამიანი ლოცულობს თურმე სააკაშვილზე, ხოლო ვისაც სააკაშვილი არ მოსწონს, წყევლის. მაპატიოს უფალმა, მაგრამ მინდა, გულწრფელად ვკითხო მას: შეგიძლიათ, დამისახელოთ თუნდაც ერთი სასიკეთო შედეგი, რომელიც ამ თქვენი საფიცარი თუ სალოცავი სააკაშვილის მოქმედებებს მოჰყვა? **ტერიტორიები დავკარგეთ, მოსახლეობა სიღატაკის ზღვარზეა, ხალხი შიმშილობს, მოკლედ, როგორც კახელებმა იციან ხოლმე თქმა, ქვეყანა კუდზე დაიყვანა კაცმა და შეიძლება, კიდევ მას სცემდე თაყვანს?! რაზეა ლაპარაკი, რა აქვს ამ გიჟს სამღერი და სათაყვანებელი?!**

საქმე ისაა, რომ ამ ხალხმა ძალიან კარგად იცის, სინამდვილეში რა უბედურებაც გვჭირს სააკაშვილის ხელისუფლების სახით, მაგრამ მათთვის ეს არაფერს ნიშნავს. მთავარია, თავიანთ ტყავსა და სტომაქს გაუფრთხილდნენ; ვისგან მიიღებენ ორდენს, რა მნიშვნელობა აქვს. ესენი ნებისმიერ მთავრობას მოემსახურებიან, ოღონდ კარგად იყვნენ და არაფერი მოაკლდეთ. კონცერტები, ტაშ-ფანდური და დროსტარება. აი, რაზე აქვთ ამ ადამიანებს კბილები ალესილი, მიშა კიდევ ამას არ აკლებს.

**— ამ ე. წ. ორდენებისა და სიგელების ჩამორიგებით სააკაშვილი რასაც აკეთებს, გასაგებია, — მის მიერ წლების წინათ „ჩარეცხილი“ ინტელიგენტის ადგილზე ახალ „ინტელიგენტს“ აკოწიწებს. საკითხავი ისაა, რა წვლილი შეაქვს ამ „ნორჩ ინტელიგენტს“ არსებული რეჟიმის გამყარებაში?**

— ინტელიგენტი, რა თქმა უნდა, დიდი ძალაა და ყველა ხელისუფლებას სჭირდება იგი, როგორც ერთ-ერთი დასაყრდენი, მაგრამ მოდი, ამ შემთხვევაში იმით დავიწყოთ, თუ რა ინტელექტის მქონე ხალხისგან ქმნის სააკაშვილი ამ ე. წ. ახალ ინტელიგენტს, — ფსევდო ხელოვანები, მომღერლები, მსახიობები, მწერლები და ა. შ. ერთი სიტყვით, არაფრის მცოდნე და შესაბამისად არაფრისშემძლე ხალხისგან. ახლა მე თქვენ გეკითხებით, შეიძლება, მათგან რამე სერიოზული ძალა შექმნა?! არა მგონია. აქედან გამომდინარე, რამდენად სერიოზული დასაყრდენიც გააჩნია მათი სახით ხელისუფლებას, გასაგებია.

საერთოდ, რა მყარ საფუძველზეც უნდა იდგეს ხელისუფლება და რა მხარდაჭერაც უნდა ჰქონდეს მას საერთაშორისო ასპარეზზე, თუ ის ძალადობაზე გადადის, უკვე ავტომატურად თვითრღვევისკენ მიდის, საყრდენი მას თავისთავად ეცლება. ამას შეიძლება წლები და ათწლეულები დასჭირდეს, მაგრამ ბუნების კანონია. ასე რომ, **სააკაშვილის ხელისუფლების ბედი, შეიძლება ცოტა შორეულ პერსპექტივაში, მაგრამ ნათელია, — ტიპური ავტორიტარული რეჟიმის აღსასრულის ფორმით მისი აღსასრულიც გარდაუვალია. ამას წინ ვერაფერი აღუდგება,** იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, ეს ბუნების კანონია. მთავარია, მანამდე მოეგოს მთავრობა გონს, სანამ პიკის მომენტი დადგება, თორემ, საზოგადოება რომ აფეთქდება და პროცესები შეუქცევად ხასიათს მიიღებს, მერე უკვე კონტროლი შეუძლებელი იქნება; ხალხი თუ აღსდგა, კალისტრატეს წირვა-ლოცვა ვეღარ უშველის სააკაშვილს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

«ტრაგედია უცენზუროდ»

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სულით ბინძურმა სააკაშვილმა პარლამენტის შენობას, ამ „სურამის ციხეს“, ხომ ჩემი მეუღლის რძლისა და 8 წლის ძმისშვილის სიცოცხლე ჩაატანა ბალავერში, ახლა ტელეკომპანია „იმედისთვის“ ჩემი განადგურებული ცოლ-შვილის შეწირვაც მოინდომა... ვერ გამიგია, ამ ქალაქის „კეთილდღეობას“ სულ ჩემი ოჯახის წევრები რატომ უნდა შეეწირონ?! ამ ქვეყანას მარტო ჩემი ოჯახის სისხლი სჭირდება? მაშინ თვითონაც შესწირონ ქვეყნის კეთილდღეობას საკუთარი ოჯახის წევრები და ნათესავები.“

# «ნიკოლოზობას სააკაშვილმა თავის შვილს დაბადების დღე მიულოცა, მე კი 8 წლის ანგელოზი ხელში ჩამაკლა»

**„დიდების მემორიალის“ დემონტაჟის მსხვერპლი, ჯინჭარაძეთა ოჯახი, დღეს ტელეკომპანია „იმედის“ თვითნებობას ეწირება. ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქ. №17-ში, 8-სართულიან კორპუსს ტელეკომპანია „იმედმა“ საკუთარი ფილიალის ოფისისთვის კონსტრუქცია დააშენა. აღნიშნული კორპუსის მერვე სართულის მკვიდრი კი სწორედ ზემოთ ხსენებული ოჯახი გახლავთ. ნინო ჯინჭარაძე და ფარვიზ სინატაშვილი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ აღნიშნული ოჯახის ტრაგედიის დეტალებსა და ტელეკომპანია „იმედის“ ქუთაისის ფილიალის უკანონო მშენებლობის შესახებ ესაუბრება.**




**ფარვიზ სინატაშვილი:**

— ტელეკომპანია „იმედმა“ ჩვენს სხვენზე თავისი ფილიალისთვის ოფისი ისე დააშენე, რომ არც ჩვენთვის (კორპუსის მცხოვრებთათვის) უკითხავს რამე და არც ოფიციალური ნებართვა მიუღია ქალაქის მერიისგან. რაც მთავარია, არ არსებობს დოკუმენტაცია კორპუსის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. 25-ტონიანი კონსტრუქცია ისე დაადგეს ამ კორპუსს თავზე, რომ ფუნდამენტიც კი არ შეუსწავლიათ. თავად მერიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ყველაფერი წესის მიხედვით კეთდება და ექსპერტიზის დასკვნაც არსებობსო, თუმცა მე ეს ძალიან მეეჭვება, რადგან, რომ არსებობდეს, აუცილებლად ცხვირწინ აგვიფრიალებდნენ; და თუ არსებობს, უარყოფითი იქნება, შესაბამისად, არ ასაჯაროებენ.

**ეს კორპუსი 47 წლის წინათ კომუნისტებმა ააგეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ეს ბინა პრივატიზებულია და კერძო საკუთრებას წარმოადგენს. ხოლო ჩვენ, მერვე სართულზე მცხოვრები სამივე ოჯახი, სხვენის ავტომატურ მფლობელებად ვითვლებით. ტელეკომპანიამ კი ჩვენს თავზე უნებართვოდ სინკარი მოხსნა და ჩვენი ჭერი იატაკად გამოიყენა. ტელეკომპანიის სველი წერტილები კი ჩემი მისაღები ოთახის თავზე დაამონტაჟა. უკვე ოთხჯერ დაზიანდა ტელეკომპანიის კანალიზაციის მილი და ოთხივეჯერ ჩამოჟონა მასამ მისაღებ ოთახში. მსგავსი შემთხვევისგან დაზღვეული არც არასოდეს ვიქნებით.**

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სახურავი ზამთარში გადახადეს. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არაა, წლევანდელი ზამთრის პირობებში, რა დღეში აღმოვჩნდებოდით უსახურავოდ დარჩენილი მერვე სართულის ბინადარნი. როგორც გარეთ, ისე წვიმდა და თოვდა ჩვენს ბინებში. ამას ემატებოდა ნგრევითი სამუშაოებით გამოწვეული მტვერი და ხმაური დილიდან დილამდე. წერაქვი, „პერფორატორები“... მოკლედ, „ლაზიკის“ გარდა, ყველაფერი გამოიყენეს ამ ნგრევითი სამუშაოებისთვის. კომპანია „184“-ის მუშები და თავად საქმის მწარმოებელი, ბატონი ბიჭიკო ბოდიშებს გვიხდინენ, არ გვეგონა, თუ ამ პირობებში მოგვიწევდა მუშაობაო.

**უნდა გენახათ, რა საცოდაობა იყო, როცა დაღუპული დედა-შვილის ოჯახის ერთადერთი პატარა წევრი — ანი ამ ხმაურზე თვალებგაფართოებული კედელზე აკრული კიოდა: „მამიდა, მიშველე, ჭერი თავზე გვენგრევაო“. 10 წლის გოგონას ისედაც ფსიქიატრის ჩარევა დასჭირდა, იმ ტრაგედიის შემდეგ გონს რომ მოსულიყო. ბავშვი ოთახიდან ოთახში მარტო ვერ გადის და კიდევ სტრესი უნდოდა?** ცალკე ჩემი მეუღლე გადაიყოლა ამ ტელეკომპანიის ოფისის მშენებლობამ. საწყალ ქალს ეყოფა ამდენი კივილი. **სულით ბინძურმა სააკაშვილმა პარლამენტის შენობას, ამ „სურამის ციხეს“, ხომ ჩემი მეუღლის რძლისა და 8 წლის ძმისშვილის სიცოცხლე ჩაატანა ბალავერში, ახლა ტელეკომპანია „იმედისთვის“ ჩემი განადგურებული ცოლ-შვილის შეწირვაც მოინდომა.** არ ეყო მსხვერპლი ჩვენი ოჯახიდან? რას გვერჩის, რა დავუშავეთ ასეთი, რომ უბედურებას უბედურებაზე გვიმატებს? **ძალღი არ შეუყეფს ჩვენს ოჯახს ამ ტრაგედიის მერე, მაგრამ ესენი ძაღლებიც არ გამოდგნენ და ჭერსაც თავზე გვანგრევენ.**

**— გავრცელებული ინფორმაციით, მეცხრე სართულის დაშენება და მისი ტელეკომპანიის ოფისად გამოყენება კორპუსის მოსახლეობასთან შეთანხმებით მოხდა...**

— ეს არის ცრუ ინფორმაცია. შეთანხმებას, ალბათ, იმას ეძახიან, მშენებლობის დაწყებიდან თვე-ნახევრის შემდეგ რომ იკადრეს მოსახლეობასთან შეხვედრა და უმეტესობა სხვადასხვა დაპირებით გააჩუმეს: ზოგს სადარბაზოს შეღებვაზე შეუთანხმდნენ, ზოგს — ფანჯრების წინ ხის ტოტების მოჭრაზე, ზოგს — ლიფტის გაკეთებაზე, ზოგიც მიმდინარე სამუშაოებზე დაასაქმეს. თუმცა მთავარი აქ ჩვენ ვიყავით — მერვე სართულის სამი ოჯახი და ჩვენთან არავის არაფერი შეუთანხმებია, არც ოფიციალურად და არც სიტყვიერად. სამივე ოჯახი ერთმანეთზე უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით. **ჩემი კარის მეზობელი, 84 წლის ქალბატონი ჟუჟუნა მარტო ცხოვრობს და ქალი დღე-ღამეში სამჯერ-ოთხჯერ გვიწუხდებოდა. რამდენიმეჯერ სასწრაფოს ლამის ხელში ჩააკვდა. ასე გრძელდება უკვე ნახევარი წელი.**

თავდაპირველად, როცა ხელოსნები მოვიდნენ და გარკვეული მსუბუქი სამუშაოების შესრულება დაიწყეს, გვეგონა, სახურავზე ტოლს გვიგებდნენ. შემდეგ გვითხრეს, სახურავზე სათვალთვალო კოშკი იქნებაო, რა თქმა უნდა, მცირე მოცულობის, მაგრამ, როცა უკვე ნგრევითი სამუშაოები დაიწყო, ყველანი მივხვდით, რომ აქ გაცილებით მასშტაბური სამუშაო იგეგმებოდა. ადგილობრივ ხელისუფლებასთან რომ ვერაფერი გავარკვიეთ, პოლიტიკურ პარტიებს მივმართეთ და მათგან შევიტყვეთ, რომ თურმე ჩვენს თავზე „იმედის“ ფილიალი შენდებოდა, რომელიც 25-ტონიანი კონსტრუქციის დადგმას საჭიროებდა.

ის, რომ საკუთრების ხელყოფა მოხდა, არც თავად ტელეკომპანია და ადგილობრივი ხელმძღვანელობა უარყოფენ, თუმცა მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებას არ აპირებენ. „იმედის“ ხელმძღვანელობამ ჩვენთვის მხოლოდ ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯი გამოიმეტა, რომელსაც გიორგი ლომინაძე აწერს ხელს, იგი მოსახლეობას ბოდიშს გვიხდის, მშენებლობით გამოწვეული დისკომფორტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამასთანავე ვალდებულებას იღებს ყველა სახის მატერიალურ ზარალზე, სრული აბსურდი აღმოჩნდა. წერილის მიღებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ **ჩვენთან მოვიდნენ ტელეკომპანიის წარმომადგენლები და მხოლოდ ჭერის გაკეთებას დაგვპირდნენ. თითქოს ეს სველი, დაბურღული და დაბზარული კედლები მატერიალურ ზარალად არ ითვლებოდეს, მორალურ ზარალზე რომ აღარაფერი ვთქვათ.**

შევხვდით „იმედის“ იურისტ გიორგი გიორგაძეს, რომელმაც მხოლოდ იმით გვანუგეშა, რომ დაგვპირდა, ჩემს ხელმძღვანელობას დე- ▶

> «სააკაშვილს მისი ქვეშევრდომებისთვის რომ ეთქვა, წადით ახლა და იმ დაღუპული დედა-შვილის სასაფლაოზე იცეკვეთო, ისინიც დაუყოვნებლივ გაიქცეოდნენ. დამონებულია ეკლესიაც. რომელმა სასულიერო პირმა აღიმაღლა ხმა ჩვენი რომელიმე ტრაგედიის გამო?»


ფარვიზ სინატაშვილი და ანი ჯინჭარაძე

> «ძაღლი არ შეუყეფს ჩვენს ოჯახს ამ ტრაგედიის მერე, მაგრამ ესენი ძაღლებიც არ გამოდგნენ და ჭერსაც თავზე გვანგრევენ»

# «ტრაგედია უგმიროთ»

www.geworld.net
ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აფეთქების დროს გადმოსროლილი ქვები 4-5-მეტრიან მიწაყრილს გადმოსცდა და პირდაპირ ჩემს ძმისშვილს — 8 წლის ნინიკო ჯინჭარაძეს მოხვდა საფეთქლის არეში, დედას — ეკა ცუცხვალიშვილს — თვალისა და მუცლის არეში. ბავშვი იქვე გარდაიცვალა, ჩემმა რძალმა კი მხოლოდ ერთი საათი იცოცხლა. ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. პატარა ნინიკო ჩემ გვერდით იდგა. ქვების წვიმაში მოვყევით ყველანი, ვინც კი მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდექით.**



ტალურად ავუხსნი თქვენს პრობლემებსო. ქალაქ ქუთაისის მერი კი ისედაც გაუბედურებულ ოჯახებს დაგვემუქრა: მე ვიცი თქვენი მდგომარეობა, მაგრამ ეს ქალაქს სჭირდება და, თუ ჭკვიანად არ იქნებით, სამართალდამცავები მოაგვარებენ ამ საქმესო. თან დაგვცინა, ჩემი ოჯახის აწიოკებას „ქარიშხალი ჭიქაში“ უწოდა. **ვერ გამიგია, ამ ქალაქის „კეთილდღეობას“ სულ ჩემი ოჯახის წევრები რატომ უნდა შეეწირონ?! ამ ქვეყანას მარტო ჩემი ოჯახის სისხლი სჭირდება? მაშინ თვითონაც შესწირონ ქვეყნის კეთილდღეობას საკუთარი ოჯახის წევრები და ნათესავები.**

**— რატომ შესაბამისი ზომები არ მიიღეთ სამართლებრივი კუთხით?**

— სინდისი, ნამუსი, ღირსება — ყველაფერი ჩემს მხარესაა, მაგრამ რას მოვერევი ამ ორ მონსტრს — „იმედსა“ და ხელისუფლებას. დღევანდელი სასამართლო სასამართლოა? მაგათი სამართალი ყველაზე დიდი უსამართლობაა. არც ერთმა იურისტმა ამ საქმეს ხელი არ მოჰკიდა. ყველამ კარგად უწყის „იმედისა“ და ხელისუფლების კავშირი. როცა ქუთაისის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ მივმართე, მითხრეს: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის კერძო საკუთრების უხეშ დარღვევასთან გვაქვს საქმე, ვერც ჩვენ და ვერც სხვა საუკეთესო ადვოკატები ვერ დაგეხმარებიანო. შეუძლებელია ხელისუფლებასა და ტელეკომპანია „იმედს“ რომელიმე ადვოკატმა საქმე მოუგოსო. ფაქტობრივად, გულზე ხელებდაკრეფილი ვზივარ და ვუყურებ, როგორ მიწიოკებენ ცოლ-შვილს. მერედა რის გამო? იმ ამაზრზენი ტელევიზიის გამო, თითქოს ხალხის მსახური რომ არის?

სათაურშივე ტყუიან, კერძო კომპანია „იმედიო“, რომ გაიძახიან. კერძო კომპანია კი არა ხელისუფლების ფეხის მლოკველია. სხვა რომ არაფერი, **ჩვენი მაგალითიდანაც ჩანს, თუ ვისი მსახურია „იმედი“, როგორ გაგვანადგურა მორალურად და მატერიალურად. რატომ ერთხელ არ გააშუქეს, რა მოჰყვა მაგათი ფილიალის აგებას ქუთაისში? ან რატომ სათანადოდ არ გააშუქეს როგორ განვითარდა მოვლენები მემორიალის ტრაგედიის შემდეგ, როცა უშიშროების წარმომადგენლებმა ყველა იმ პიროვნებას ჩამოართვეს ტელეფონები, ვისაც ამ ტრაგედიის რეალური კადრები, ფოტოები და მასალები ჰქონდა აღბეჭდილი?** მაგრამ ტელეკომპანია „იმედი“ მხოლოდ იქ ჩნდება, სადაც ზარ-ზეიმია, ხოლო იმ ბედნიერი სახეებიდან ნახევარ მეტრში რომ უბედურება და ქაოსი მძვინვარებს, მათთვის სულერთია. ეს გარყვნილი ტელევიზია კიდევ აქეთ გვიკითხავს ლექციებს სინდისზე, მორალსა და ზნეობაზე.

**— კონკრეტულად რა მოთხოვნებს უყენებთ ტელეკომპანია „იმედს“?**

— ჩვენი მოთხოვნაა, მე-8 სართულის სამივე ოჯახს ან „იმედის“ პროექტში ჩაგვისვან ერთი ოთახი, ან კიდევ კომპენსაცია მოგვცენ როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზარალისთვის.

ცნობილი ფრანგული ფილმი „სათამაშო“ ყველას გინახავთ, ალბათ, იქ პრეზიდენტი თავის ხელქვეითს უბრძანებს: გაიხადე და ისე ეჩვენე ხალხსო. ისიც გახდას დაიწყებს, შემდეგ პრეზიდენტი მიუბრუნდება და ეუბნება, რომელია ჩვენ შორის ურჩხული — მე თუ შენო? ზუსტად ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოში. **სააკაშვილს მისი ქვეშევრდომებისთვის რომ ეთქვა, წადით ახლა და იმ დაღუპული დედა-შვილის სასაფლაოზე იცეკვეთო, ისინიც დაუყოვნებლივ გაიქცეოდნენ. დამონებულია ეკლესიაც. რომელმა სასულიერო პირმა აღიმაღლა ხმა ჩვენი რომელიმე ტრაგედიის გამო?** ერთადერთი ეგ იყო, რომ მეუფე კალისტრატემ მემორიალის ტრაგედიის შემდეგ ასეთი განცხადება გააკეთა: წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღე იმდენად დიდი დღესასწაულია, ამ დღეს ფოთოლიც არ უნდა შეირხესო. ჩვენ, სამღვდელოებამ, დემონტაჟის შესახებ არაფერი ვიცოდითო (მოგეხსენებათ, დემონტაჟი სწორედ ნიკოლოზობას განახორციელეს). მანვე აუგო წესი დაღუპულ დედა-შვილს და ამ ყველაფრის შემდეგ სწორედ დედა-შვილის ძვლებზე დაშენებული პარლამენტის შენობის წინ იგი ზარზეიმით იღებს პრეზიდენტისგან ბრწყინვალების ორდენს. **როცა მეუფე კალისტრატე, სულიერი მამა, ამას აკეთებს — ხალხს ერთ პიროვნებაზე ცვლის და საკუთარ განდიდებაზე ფიქრობს, სხვას რაღა უნდა მოვთხოვოთ?** ის ტრაგედიები, რომლებიც ჩემს ოჯახს დაატყდა თავს, ეკლესიის დამსახურებაა. **ეკლესია რომ თავის სიმაღლეზე იდგეს, ხელისუფლება ამდენ ზიანს ვერ მიაყენებდა ჩემს ოჯახს.** თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, 26 მაისი რა მტკივნეული იყო ჩვენი ოჯახისთვის, ყველა ტრაგედიის თითოეული წამი გაგვახსენა ამ დღემ.

**საუბარში ბატონ ფარვიზის მეუღლე — ნინო ჯინჭარაძე ჩაერთო, რომელსაც რძალი და 8 წლის ძმისშვილი თვალწინ ჩაუქოლა ლოდების წვიმამ „დიდების მემორიალის“ დემონტაჟის დროს.**

— ყველაფერს, მოველოდი, მაგრამ მეუფე კალისტრატე თუ ამ აღლუმზე საერთოდ მივიდოდა და მითუმეტეს ბრწყინვალების ორდენს მიიღებდა პრეზიდენტისგან, ვერც კი წარმოვიდგენდი. მან ხომ თავიდან ბოლომდე იცის ჩვენი ოჯახის ტრაგედია და ტკივილი. მაშინ ჩავთვალე, რომ კალისტრატე ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც ჩვენს ტრაგედიაზე ხმა აღიმაღლა და რაღაც ფორმით დაგვეხმარა-თქო.

ჩემი რძალი და ძმისშვილი ხომ სწორედ ამ ხელისუფლების დაუდევრობამ შეიწირა. მოსახლეობა გაფრთხილებული ვიყავით, რომ მემორიალის დემონტაჟი 21 ოქტომბერს მოხდებოდა, სააკაშვილის დაბადების დღეს. შემდეგ გაირკვა, რომ 21-ში მემორიალის წინ ოპოზიციური პარტიები მიტინგის გამართვას აპირებდნენ, დემონტაჟის ხელის შეშლის მიზნით, და ხელისუფლებამ მათ დაასწრო, მემორიალი

> **«როცა მეუფე კალისტრატე, სულიერი მამა, ამას აკეთებს — ხალხს ერთ პიროვნებაზე ცვლის და საკუთარ განდიდებაზე ფიქრობს, სხვას რაღა უნდა მოვთხოვოთ?.. ეკლესია რომ თავის სიმაღლეზე იდგეს, ხელისუფლება ამდენ ზიანს ვერ მიაყენებდა ჩემს ოჯახს»**

19 ოქტომბერს — სააკაშვილის უმცროსი ვაჟის დაბადების დღეს ააფეთქა. **19 ოქტომბერს — ნიკოლოზობას სააკაშვილმა თავის შვილს დაბადების დღე მიულოცა, მე კი 8 წლის ანგელოზი ხელში ჩამაკლა.**

ამბობენ, ეს იმერეთის გუბერნატორის ბრძანებით მოხდაო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენთან გუბერნატორები თვითნებურად ვერაფერს წყვეტენ. **პოლიციამ 3 საათზე გაგვაფრთხილა, ბინები დაცალეთო და 4-საათზე უკვე მემორიალი ააფეთქეს. გაფრთხილებისთანავე ბავშვები ეზოში ჩავიყვანეთ. ვინ იფიქრებდა, თუ შესაბამისი უსაფრთხოების ნორმები დაცული არ იქნებოდა.** ვინაიდან დემონტაჟი ორი დღით ადრე განხორციელდა, მუშებს დამთავრებული არც ჰქონდათ მიწაყრილების ამოვსება — 9 მეტრის მაგივრად 4-5 მეტრზე იყო ამოვსებული. შესაბამისად, **აფეთქების დროს გადმოსროლილი ქვები 4-5-მეტრიან მიწაყრილს გადმოსცდა და პირდაპირ ჩემს ძმისშვილს — 8 წლის ნინიკო ჯინჭარაძეს მოხვდა საფეთქლის არეში, დედას — ეკა ცუცხვალიშვილს — თვალისა და მუცლის არეში. ბავშვი იქვე გარდაიცვალა, ჩემმა რძალმა კი მხოლოდ ერთი საათი იცოცხლა. ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. პატარა ნინიკო ჩემ გვერდით იდგა. ქვების წვიმაში მოვყევით ყველანი, ვინც კი მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდექით.**

ამხელა ტრაგედიის მიუხედავად, ხელისუფლებამ მხოლოდ შემსრულებლები — კომპანია „საქფეთქმშენის“ სამი წარმომადგენელი დაიჭირა. არადა, როგორც ირკვევა, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა ქალაქს ევალებოდა. მართალია, დაკავებულებმა თავისი წილი დანაშაულისთვის პასუხი აგეს, არ უნდა დათანხმებოდნენ ბრძანებას, როცა იცოდნენ, რომ უსაფრთხოების ნორმები დაცული არ იყო, მაგრამ ამ საქმის მთავარი დამნაშავეები სხვები არიან. ისინი დღესაც თავისუფლად დადიან. უნდა დაეჭირათ ის ხალხი, ვინც ორი დღით ადრე დემონტაჟის ბრძანება გასცა და კომპანიის წარმომადგენლები აიძულა, რომ მემორიალი აეფეთქებიათ, ასევე ის ხალხი, ვინც უსაფრთხოების ნორმების დაცვა ვერ შეძლო. მე არ ვიცი, ვინ იყო რეალურად დამკვეთი, მაგრამ ფაქტია, არც ის და არც პოლიციელები დაკავებულნი არ არიან. ამ ტრაგედიას მხოლოდ იმერეთის გუბერნატორის მოხსნა აკმარა სააკაშვილმა, სამაგიეროდ ის სხვა თანამდებობაზე გადაიყვანა. მომხდარი ტრაგედია ყველა სახელისუფლო არხმა მალევე ჩაახშო, ხოლო ინტერნეტში დადებული მასალები იმ დღეებშივე გააქრეს. საქმეს, მოგეხსენებათ, მთავარი პროკურატურა იძიებდა და კი ხედავთ, რა განაჩენითაც დახურა. საქმის ხელახალი გამოძიება ჩვენ აღარ ჩავთვალეთ საჭიროდ, რა აზრი ჰქონდა?!




> **ჩვენი მაგალითიდანაც ჩანს, თუ ვისი მსახურია „იმედი“, როგორ გაგვანადგურა მორალურად და მატერიალურად. რატომ ერთხელ არ გააშუქეს, რა მოჰყვა მაგათი ფილიალის აგებას ქუთაისში? ან რატომ სათანადოდ არ გააშუქეს როგორ განვითარდა მოვლენები მემორიალის ტრაგედიის შემდეგ, როცა უშიშროების წარმომადგენლებმა ყველა იმ პიროვნებას ჩამოართვეს ტელეფონები, ვისაც ამ ტრაგედიის რეალური კადრები, ფოტოები და მასალები ჰქონდა აღბეჭდილი?**

**ნუთუ ხელისუფლებამ ამ ტრაგედიის ცოდვა იმით ჩამოირეცხა, რომ მიცვალებულთა ხარჯები დაფარა და პატარა ანი ჯინჭარაძეს, დედისა და დის სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით 25 ათასი ლარი დაუწესა სწავლისთვის, რომლითაც სრულწლოვნების ასაკში ისარგებლებს?!**

**ნუთუ ეს მიცვალებულები, იმ ანგელოზი ბავშვის სული იმდენს არ იმსახურებდნენ ხელისუფლებისა და სასულიერო პირებისგან, რომ 26 მაისს მათ საფლავებზე გასულიყვნენ, შენდობა ეთქვათ და ბოდიში მოეხადათ ჭირისუფლებისთვის? განა ამ პარლამენტს არ შეეწირა ეს ორი უდანაშაულო ადამიანი? რით იყო ის საცოდავი ბავშვი მაგათ შვილებზე ნაკლები?!**

ხელისუფლებას ხელს არ აძლევს იმ საზარელი ტრაგედიის გახსენება, ასევე „იმედის“ ფილიალის აშენებასთან დაკავშირებული ფაქტების გახმაურება, მაგრამ ნათქვამია: „კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი ვერ დამალაო“. **ფაქტები რომც გააქრონ, ეს ტრაგედიები ისტორიას დარჩება. ადამიანმა შეიძლება ყველანაირი გაჭირვება აიტანოს: სიცივე, შიმშილი, ტკივილი, მაგრამ, როცა ხედავ, არაფრად აგდებენ შენს სიმართლეს, გართმევენ ღირსებას და კიდეც გამცირებენ, ამის ატანა უკვე შეუძლებელია.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ქ. ქუთაისის მერიას და ტელეკომპანია „იმედს“ დავუკავშირდით.

ქუთაისის მერის — გიორგი თევდორაძის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ქეთი დეისაძემ ჩვენი შეკითხვები უპასუხოდ დატოვა. „მერი ძალიან დაკავებულია, მე კი სიცხიანი ვარ და ჩემი ავადმყოფობის გარდა ვერაფერზე ვფიქრობ. შეკითხვებს სხვასთან ვერ გადავამისამართებ. ასე რომ, პრობლემა არაა, თუ სტატიაში ჩვენი პოზიცია დაფიქსირებული არ იქნება“, — აღნიშნა მან სატელეფონო საუბრისას.

რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, ჩვენ მის გენერალურ დირექტორთან — გიორგი ლომინაძესთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ ისიც დაკავებული აღმოჩნდა. მართალია, დაკავშირების მოტივი დაწვრილებით გამოგვკითხეს და დაგვპირდნენ, რომ გენერალური დირექტორი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავად დაგვიკავშირდებოდა, მაგრამ სიტყვა არ შეასრულეს — კომენტარს ტელეკომპანიამაც თავი აარიდა.

**ეკა რობაქიძე,**
**„საქართველო და მსოფლიოს“ სპეციალური კორესპონდენტი ქუთაისიდან**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც ღიად აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება აუცილებელია, იქნება ეს კახა კუკავა თუ ნინო ბურჯანაძე, დანარჩენებიც უნდა შეუერთდნენ. ამას გარდა, უნდა გავითვალისოთ, რომ არაფერს გვარგებს ნატოსთან ასეთი ზერელე ურთიერთობა, როგორიც დღეს გვაქვს. ნატო, ფაქტობრივად, ატყუებს ქართველ ხალხს, მარტო ჩვენგან იღებს მოგებას და თავად არანაირ ვალდებულებას არ კისრულობს ქართველი ხალხი წინაშე.“**



# გულბაათ რცხილაძე: რუსეთის ხელისუფლება სააკაშვილისგან ელოდება პროვოკაციულ ქმედებას

# «ყველაზე საშიში შეშინებული სააკაშვილია»

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე ესაუბრება.**

**— საქართველოს პრეზიდენტმა ლატვიაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ოქტომბრისთვის რუსეთის მორიგ შემოტევას ელოდება. რამდენად რეალურია საფრთხე და რა გამოუსწორებელი შეცდომები შეიძლება დაუშვას ხელისუფლებამ?**

— ხელისუფლებამ, რა ხანია, რუსეთისგან მტრის ხატი შექმნა და მისთვის რუსეთი ერთგვარი პოლიტიკური ინსტრუმენტია. **ყოველთვის, როდესაც ხელისუფლებას საკუთარი უკანონობის გამართლება სურს, არჩევნების გაყალბების ჩათვლით, ეს გამოგონილი რუსეთის პრობლემის ფონზე ხდება.**

რუსი კოლეგებისგან ვიცი, რომ რუსეთის ხელისუფლება პირიქით — სააკაშვილისგან ელოდება პროვოკაციულ ქმედებას. სწორედ ამიტომ ატარებს რუსეთი სამხედრო წვრთნებს ჩრდილოეთ კავკასიაში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში, რათა ოქტომბერში 2008 წლის მსგავსი მოულოდნელობა გამოირიცხოს. მათ იციან, რომ, როცა **სააკაშვილი აგონიაშია, მისგან ყოველგვარი სიგიჟეა მოსალოდნელი. ყველაზე საშიში შეშინებული სააკაშვილია.**

სწორედ ის ფაქტი, რომ 27 მაისს, ათიათასობით ადამიანი გამოვიდა, ხელისუფლებას უფრო ისტერიულსა და აგრესიულს ხდის და მისგან ათასგვარი პროვოკაციაა მოსალოდნელი, — იქნება ეს ქვეყნის შიგნით ოპოზიციის მიმართ განხორციელებული უკანონო და ძალისმიერი ნაბიჯები თუ რუსეთის მიმართ გამომწვევი ქმედებები, რათა შემდეგ ეს ყველაფერი გაფორმდეს, როგორც რუსეთსა და ოპოზიციას შორის არსებული შეთანხმება საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ეს არის ხელისუფლების ნაცადი ხერხი და იმედი მაქვს, ეს აღარ გამოუვათ. თუმცა **ქვეყანა განსაცდელის წინაშეა, ვინაიდან ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც ძალაუფლებას ფლობს და ამას თავისი ქვეყნის წინააღმდეგ იყენებს, საშიშია. აქედან გამომდინარე, საფრთხე ნამდვილად არსებობს...**

**— როგორც თქვენ ახსენეთ, ხელისუფლება ფლობს ძალაუფლებას, მაგრამ რა გზა, რა ბერკეტები რჩება ოპოზიციას გასამარჯვებლად?**

— ოპოზიცია ეიფორიაში არ უნდა ჩავარდეს და დაიჯეროს, რომ ამდენი ხალხი ოპოზიციის დიდი სიყვარულისა და თაყვანისცემის გამო გამოვიდა. ეს არის იმის სიგნალი, რომ ხალხს რეალური ცვლილებებისა და ქმედებების დანახვა სურს.

**იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ვერ ჩაიდინოს უკანონო ქმედებები, აუცილებელია ოპოზიციის კონსოლიდაცია არა მხოლოდ არჩევნების წინ, არამედ შემდგომ პერიოდშიც, რათა არჩევნების გაყალბება თავიდან ავიცილოთ. თუ საჭირო გახდა, უნდა ჩატარდეს საყოველთაო გაფიცვები და დემონსტრაციები. მართალია, მოსალოდნელია, ამას მოჰყვეს ხელისუფლების ბრალდებები, რომ თურმე ოპოზიცია რუსეთთანაა შეკრული. ამას არ უნდა შეუშინდეს ოპოზიცია, არ უნდა გაჩერდეს და დაწყებული ბრძოლა ბოლომდე მიიყვანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიცია საბოლოოდ დაიმარხავს თავს.**

რაც შეეხება ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ კურსს, აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც ღიად აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება აუცილებელია, იქნება ეს კახა კუკავა თუ ნინო ბურჯანაძე, დანარჩენებიც უნდა შეუერთდნენ. ამას გარდა, უნდა გავითვალისოთ, რომ არაფერს გვარგებს ნატოსთან ასეთი ზერელე ურთიერთობა, როგორიც დღეს გვაქვს. **ნატო, ფაქტობრივად, ატყუებს ქართველ ხალხს, მარტო ჩვენგან იღებს მოგებას და თავად არანაირ ვალდებულებას არ კისრულობს ქართველი ხალხი წინაშე.**

**— ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებული პოლიტიკოსები ყოველთვის იმედიანად საუბრობენ, რომ ამერიკა უკვე ეძებს ხელისუფლების შემცვლელს. რამდენად შესაძლებელია, რომ აშშ სააკაშვილის შემცვლელს განიხილავდეს?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკაში სხვადასხვა ინტერესი და მიმდინარეობაა, შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის რეჟიმს ვაშინგტონში ძალიან სერიოზული მხარდამჭერები ჰყავს. მაგალითად, რამდენიმე სენატორი, მათ შორის მაკკეინი, ვინაიდან თავის დროზე მათი პროექტი იყო სააკაშვილი და ახლაც მათ იდეოლოგიას და მიზნებს ახორციელებს და მთლიანად მათი მორჩილია. ამას გარდა, დიდი ფულია დახარჯული. მართალია, ჩვენს პროვინციალურ ოპოზიციას ამაზე საუბარი უჭირს, მაგრამ ამერიკული პოლიტიკა რომ კორუფციაზეა აგებული და ამას მოკრძალებით „ლობიზმს“ ეძახიან, ეს უკვე საიდუმლო აღარაა და საქართველოს მიმართაც ვრცელდება.

**ნურავის ეგონება, რომ მაკკეინი, ლუგარი თუ სხვა ამერიკელი პოლიტიკოსი უარს იტყვიან სააკაშვილის ქრთამზე, ანუ ამ ყველაფერს ხშირად პირადი და პოლიტიკური სარგებელიც განაპირობებს და ეს ყოველთვის ამერიკის სახელმწიფო ინტერესებს არ ემთხვევა.** იქ არიან სხვა ძალებიც, მაგალითად, ობამას ადმინისტრაციაში მყოფი პიროვნებები, რომლებიც უკვე კარგად ხვდებიან, რომ შეერთებული შტატების იმიჯმა საქართველოში მარცხი განიცადა. ამის პარალელურად ივანიშვილმაც დაიწყო ფულის ხარჯვა ამერიკაში. არჩევნების შემდეგ გამოჩნდება, მართლა დაუჭერს თუ არა აშშ მხარს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც რეალურად ხელისუფლებაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ეს განპირობებული იქნება არა რაღაც დემოკრატიული პრინციპებისადმი ამერიკის ერთგულებით, არამედ ამ სახელმწიფოს რეალპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

**— 27 მაისს „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად ქუჩაში ათიათასობით ადამიანი გამოვიდა. მოახდენს თუ არა ეს ფაქტი ხელისუფლების წინასაარჩევნო პოლიტიკურ კურსზე გავლენას?**

— ხელისუფლება არჩეულ კურსს აგრძელებს. ის ყოველგვარი საპროტესტო აქციის იგნორირებას ახდენს, თითქოს ქვეყანაში არაფერი ხდება, თუმცა ეს იგნორირება მხოლოდ გარეგნულია. **ხელისუფლება შეიძლება არ ამჟღავნებდეს, მაგრამ მან კარგად დაინახა, რომ ხალხში მის მიმართ ნეგატიური განწყობაა. ეს აიძულებს ხელისუფლებას, იყოს უფრო ნევროზული და მეტი შეცდომები დაუშვას. მოგეხსენებათ, სწორედ ასეთ სტრესულ სიტუაციებში სააკაშვილის რეჟიმი უხეშ შეცდომებს უშვებს ხოლმე.** ეს არის პირადად მიხეილ სააკაშვილისთვის დამახასიათებელი თვისებაც, ვინაიდან ის ძალიან მშიშარაა და, ამ შიშიდან გამომდინარე, ხშირად რადიკალურ გადაწყვეტილებებს იღებს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**



# გიორგი გაბაშვილი: ოპოზიციის არაერთი ხალხმრავალი აქცია გვინახავს, მაგრამ... ხმებს არჩევნებზე ითვლიან!

**დააფიქრა თუ არა საქართველოს ხელისუფლება „ქართული ოცნების“ მიერ 27 მაისს გამართულ აქციაზე მისული ხალხის სიმრავლემ და მოქმედებს თუ არა ხელისუფლება ორმაგი სტანდარტებით — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი (გოკა) გაბაშვილი ესაუბრა.**

**— 27 მაისის საპროტესტო აქციის შემდეგ ცალკე „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები ითვლიდნენ აქციის მონაწილეებს და ცალკე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, მაგრამ ფაქტია, რომ უამრავი ადამიანი გამოვიდა საკუთარი პროტესტის გამოსახატად. ხელისუფლებისთვის არაფერს ნიშნავს, როცა ამდენი უკმაყოფილო ადამიანი გამოდის ქუჩაში?**

— ხელისუფლებისთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მოაგვაროს ხალხის პრობლემები — არის ეს დასაქმების პრობლემა თუ სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვის სფეროში დღეს არსებული პრობლემები. **ხელისუფლება სწორედ მოსახლეობის პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული და არა მიტინგებზე ადამიანების თვლით.**

**— ამ აქციის შემდეგ მაინც თუ მიიჩნევთ ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლების სერიოზულ კონკურენტად?**

— რა თქმა უნდა. ვინაიდან ვიცით, რომ ყველა პოლიტიკური ძალა, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობაც“ იბრძოლებს გამარჯვებისთვის, თუმცა ჩვენ ამ გამარჯვებაში დარწმუნებულები ვართ, ვინაიდან არსებული პრობლემების დაძლევის ყველაზე რეალისტური და კარგი პროგრამა სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს და შევეცდებით ამაში ხალხიც დავარწმუნოთ.

**— ექსპერტების აზრით, 27 მაისის საპროტესტო აქციამ დაადასტურა, რომ თბილისმა უკვე აირჩია საკუთარი ხელისუფლება...**

— ჩვენ ოპოზიციის არაერთი ხალხმრავალი აქცია გვინახავს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ხმებს არჩევნებზე ითვლიან და იმავე ოპოზიციის არჩევნების შედეგებიც ვნახეთ. ასე რომ, **ოპოზიციურ პარტიებს საშუალება აქვთ, აქციებიც მოაწყონ, თავიანთი პროგრამებიც წარმოადგინონ და ხალხსაც ესაუბრონ, ხალხი კი ხელისუფლებას ოქტომბერში აირჩევს.**

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებულია, როცა ხელისუფლება ერთი კაცის გამო ცვლის კონსტიტუციას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჯიუტად არ აძლევს ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობას?**

— ხელისუფლება არ ცვლის კონსტიტუციას ერთი ადამიანის გამო, ის აღნიშნულ ცვლილებებს ახორციელებს, რათა საქართველოში საარჩევნო პროცესი მაქსიმალურად ღია და გახსნილი იყოს და ყველანაირი შეკითხვა, არჩევნებთან თუ კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით, მოიხსნას. იმისთვის ვცვლით კონსტიტუციას, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას, დღევანდელი მდგომარეობით, დღევანდელი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ჰქონდეს სრული საშუალება, აწარმოოს საარჩევნო კამპანია და სწორედ ესაა მნიშვნელოვანი.

**— ბიძინა ივანიშვილი და მისი „რუსული ფული“ მისაღები იყო, სანამ ის ხელისუფლებას აფინანსებდა, თუმცა მაშინვე მიუღებელი გახდა, როგორც კი ოპოზიციაში გადავიდა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ხელისუფლება ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს?**

— ხელისუფლება ორმაგი სტანდარტებით არ მოქმედებს. **ბიძინა ივანიშვილმა ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა და ბევრი სასარგებლო პროექტი დააფინანსა, მაგრამ მის პოლიტიკურ პოზიციას, რომლის მიხედვითაც თურმე საქართველომ დაიწყო ომი რუსეთთან, საქართველოა ყველაფერში დამნაშავე და ჩვენ უნდა დავხაროთ თავი და ბოდიში მოვიხადოთ, მიუხედავად ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო საქმიანობისა, ვერ დავეთანხმებით და მის ამ პოზიციას მხარს ვერ დავუჭერთ.**

**— მიხეილ სააკაშვილი ხან რაღაცებს იჭრის და უგზავნის რუსეთის ხელისუფლებას, ხან აცხადებს, რომ „ვერავინ ვერასოდეს ვერ დააბრუნებს საქართველოს ჩექმის სალოკად“, როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატურია, როდესაც პრეზიდენტი ასეთი ტერმინოლოგიით საუბრობს?**

— საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს და გამოხატავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებში კი არის ის, რომ საქართველო იყოს თავისუფალი და აღარასოდეს გახდეს რუსეთის უკანა ეზო და ეს აუცილებლად ასე იქნება.

**— მაგრამ არ ფიქრობთ, რომ ამგვარი ტერმინებით რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება შეუძლებელია და პრეზიდენტი დიპლომატიურ ენაზე უნდა წყვეტდეს ასეთ საკითხებს?**

— პოლიტიკოსებს ზოგჯერ მკვეთრი გამონათქვამები ახასიათებთ და ეს გასაკვირი არ არის.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**„ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილზეც ამბობდა ბოლო დრომდე, რომ მასაც კი, ჯერ კიდევ აქვს შანსი, თუ აღიარებს შეცდომებს და გადადგებაო. მართლაც, ყველას აქვს შანსი, თუმცა დანაშაულს გააჩნია. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, რა მოხდა 7 ნოემბერს, 26 მაისს. როცა გაირკვევა, ვინ იყვნენ ამ სისასტიკის ინიციატორები და შემსრულებლები, ყველა დაისჯება“.**

პოზიცია

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გურამ ოდიშარია:

# «ნაციონალებისგან» განსხვავებით, ჩვენი ლიდერი არასდროს ამბობს იმას, რასაც არ გააკეთებს

**დაარწმუნა თუ არა „ქართული ოცნების“ ლიდერები 27 მაისს მათ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაზე გამოსული ხალხის სიმრავლემ გამარჯვებაში და როგორ აპირებენ მოქმედებას, რას ფიქრობს მიმდინარე მოვლენებსა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მწერალი და „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი გურამ ოდიშარია, რომელიც წლების მანძილზე, სახალხო დიპლომატიის ეგიდით, აფხაზ და ოს მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ახლახან კი მისი ინიციატივით გამოსული ერთობლივი ლიტერატურულ-პუბლიცისტური ალმანახის „სამხრეთ კავკასია“ მეორე ნომრის პრეზენტაციაც გაიმართა.**

**— 27 მაისს უამრავი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი „ქართულ ოცნებას“აკრიტიკებდა კიდეც, რომ ხალხი დასათვლელად შეკრიბეთ...**

— არ არის ასე. ჩვენ გვინდოდა, ხალხის განწყობა დაგვენახა. როცა ხელისუფლება არავის უსმენს, როგორც წესი, ასეთ ქმედებებს მოჰყვება ხოლმე რადიკალიზმი, რევოლუციები. პოლიტიკურ არენაზე ნაჯახიანი ხალხი გამოდის, რომელიც ყველაფრისთვის მზადაა, ოღონდ ხელისუფლება მოიშოროს, რაც ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. 27 მაისის აქციაზე კი ბოროტად განწყობილი, გაბრაზებული ხალხი არ ყოფილა. **ხელისუფლებამ რეალობის შეგრძნება მას შემდეგ დაკარგა, რაც საკუთარ ხალხთან დიალოგზე უარი თქვა. ქვეყანაში არის ერთი ჯგუფი, რომელსაც მიაჩნია, რომ, რაც უნდა, იმას გააკეთებს, ხოლო საზოგადოების აზრი უგულებელყოფილია.**

**— მაგრამ მშვიდობიანი გზით როგორ მოახერხებთ, არჩევნებში დაამარცხოთ ხელისუფლება, რომელიც ამ ეტაპზე მეტ რესურსს ფლობს? მაგალითად, ჩვენთან საუბარში პარლამენტარმა გოკა გაბაშვილმაც განაცხადა, რომ გამარჯვებაში დარწმუნებულები არიან, ვინაიდან „ნაციონალურ მოძრაობას“, ყველა სხვა პარტიისგან განსხვავებით, რეალისტური და კარგი პროგრამა აქვს და ისინი ხალხის ამაში დარწმუნებასაც შეძლებენ. თქვენც ასევე ხართ დარწმუნებული გამარჯვებაში და რას შესთავაზებთ ამომრჩეველს მათგან განსხვავებულს?**

— არც ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლას გეგმავს, ოთხი-ხუთი თვით ადრე არ დაიწყებს პოლიტიკური გზავნილების გახმოვანებას. მითუმეტეს, ჩვენი რამდენიმე ინიციატივა ხელისუფლებამ უკვე მიითვისა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა განაცხადა, რომ ყველა მოქალაქე იქნება დაზღვეულიო, ხელისუფლებამ აღნიშნული ინიციატივა მიითვისა. საარსებო მინიმუმზეც იგივე მოხდა, მაგრამ „ნაციონალებისგან“ განსხვავებით, **ჩვენი ლიდერი არასდროს ამბობს იმას, რასაც არ გააკეთებს, და ამას მისი ცხოვრებაც კარგად ადასტურებს. თუმცა პოლიტიკაში არის მეორე გზაც — როცა ბევრს ლაპარაკობ, ხალხს ატყუებ და, რაც დრო გადის, გგონია, ხალხს დაავიწყდა, რასაც დაჰპირდი. სწორედ ეს გზა აქვს არჩეული „ნაციონალურ მოძრაობას“.**

რაც შეეხება გოკა გაბაშვილის განცხადებას, რომ თურმე ყველაზე კარგი და რეალისტური პროგრამა „ნაციონალებს“ აქვთ, კარგად მახსოვს, „ვარდების რევოლუციის“ წინაც ზუსტად ასე გამოდიოდნენ ედუარდ შევარდნაძე და მისი მომხრეები და მაშინდელ ოპოზიციაზე ამბობდნენ: ვინ არის ეს ხალხი, რას სთავაზობს საზოგადოებას და რისი გამკეთებელია, ჩვენ გვაქვს ყველაზე კარგი პროგრამაო. მაშინ შევარდნაძის ხელისუფლებამაც ასევე დაკარგა რეალობის გრძნობა.

**მალე საქართველოს სხვა ქალაქებშიც გაიმართება აქციები და ამ ყველაფერს ერთი დიადი რამ უძღვის წინ: ადამიანები შიშისგან თავისუფლდებიან. დღეს ხელისუფლება ცდილობს, ისეთი შიში დანერგოს ხალხში, როგორიც კომუნისტების დროსაც კი არ ყოფილა. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც კი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდნენ, რაც დღეს წარმოუდგენელია.**

**— ალბათ, მაია მიმინოშვილის შემთხვევას გულისხმობთ. თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ ის შეხვდა ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ვინც წამოვა ან გამოუშვებენ „ნაციონალების“ სამსახურიდან, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს უნდა ეპატიოს დაშვებული შეცდომები?**

— ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილზეც ამბობდა ბოლო დრომდე, რომ მასაც კი ჯერ კიდევ აქვს შანსი, თუ აღიარებს შეცდომებს და გადადგებაო. მართლაც, ყველას აქვს შანსი, თუმცა დანაშაულს გააჩნია. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, რა მოხდა 7 ნოემბერს, 26 მაისს. როცა გაირკვევა, ვინ იყვნენ ამ სისასტიკის ინიციატორები და შემსრულებლები, ყველა დაისჯება. ოღონდ ეს ყველაფერი სამართლიანმა სასამართლომ უნდა გაარკვიოს.

**— და ბოლოს, ერთობლივი ალმანახის უკვე მეორე ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. მასში ქართველი, აფხაზი, ოსი, სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლების ნაწარმოებებია დაბეჭდილი. რამდენად მოახდენს ლიტერატურა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას?**

— ამ ალმანახის პრეზენტაცია, „ინტერნეიშენალ ალერტის“ ორგანიზებით, ლონდონში შედგება და ჩვენს აფხაზ და ოს კოლეგებს შევხვდებით, ახალ გეგმებს დავსახავთ.

თუმცა, რა თქმა უნდა, თუ პოლიტიკური ნება არ იქნება, ვითარება არ შეიცვლება. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დიპლომატია მუშაობს, ვერა და ვერ მოხერხდა, გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკოსებთან ერთად ჰარმონიულად გვემუშავა. **უამრავი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ და ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა ერგნეთის ბაზრობის დაკეტვა იყო, სადაც ქართველები და ოსები ხვდებოდნენ ერთმანეთს, აქ ხშირად ნახავდით ორ ჯარისკაცს, რომლებიც ერთად სვამდნენ სადღეგრძელოებს, მეგობრულად საუბრობდნენ, არადა, იგივე ჯარისკაცები ომში ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ავტობუსიც დადიოდა თბილისი-ცხინვალის მარშრუტით...** მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას სულ სხვა კურსი ჰქონდა არჩეული და ურთიერთობაში სულ სხვა გამაღიზიანებელ პოლიტიკურ ფაქტორებს იყენებდა. ფაქტი სახეზეა: 2004 წლის შემდეგ ვითარება გაუარესდა, ანუ ამ ხელისუფლებამ მოსვლისთანავე ძალიან უხეში, თითქმის დანაშაულებრივი შეცდომები დაუშვა. **სულ რაღაც ათი კაცი თუ იქნება საქართველოში, ვინც პირდაპირ დიალოგს ვაწარმოებთ აფხაზებთან, მაგალითად: პაატა ზაქარეიშვილი, ალე გამახარია და სხვები... რამდენადაც ვიცი, პოლიტიკური კუთხით ამ პროცესში ალექსანდრე ჭაჭიაც მონაწილეობდა. მე, პირადად, მივესალმები ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც აფხაზეთს დაგვიბრუნებს, ვინაიდან თუ დღეს კიდევ არსებობს დიალოგი ჩვენ შორის, სწორედ ასეთი პროექტებისა და ხალხის წყალობითაა, მაგრამ ხელისუფლება ამ ხალხს არ იყენებს, არ ესაუბრება.** ხელისუფლება ძალიან სწრაფ, დაუფიქრებელ ნაბიჯებს დგამს, რაც ხშირად ჩვენთვის ფატალურად მთავრდება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ზუგდიდელი“ იმიტომ შეიქმნა და არსებობს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ზუგდიდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გვესაუბრება საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი მურმან ნაჭყებია.**

მურმან ნაჭყებია:

# გინდათ ჩვენი ხმები? — დადეთ სამოქმედო გეგმა!

**— ბატონო მურმან, საზოგადოება „ზუგდიდელი“ არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია და ვიცი, თქვენ თავს არიდებთ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას, მაგრამ ახლოვდება ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები და როგორ ფიქრობთ, ჩატარდება ის დემოკრატიულად?**

— მიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ აუცილებელია, რომ ეს არჩევნები ჩატარდეს ნორმალურად, დემოკრატიულად. ქართველ ხალხს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვროს, ვის მისცემს ხმას.

**— მალე რეგიონებში ჩამოვლენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, დაიწყება საარჩევნო კამპანია. რა ძირითადი მოთხოვნები უნდა გაითვალისწინონ მათ?**

— პოლიტიკურმა პარტიებმა ამომრჩევლებს უნდა გააცნონ თავიანთი რეალური სამოქმედო გეგმები. ეს გეგმები არ უნდა იყოს ზოგადი, არამედ დეტალური, ცალკეული რეგიონების მიხედვით: რომელ რეგიონში რას ენიჭება უპირატესობა, რა უნდა განვითარდეს... არჩევნებში ეს იქნება მათთვის წარმატების გარანტი. ასე რომ, მივმართავ ყველა პოლიტიკურ პარტიას: გინდათ ჩვენი ხმები? — დადეთ სამოქმედო გეგმა! უნდა იყოს ურთიერთპასუხისმგებლობა ამომრჩეველსა და არჩეულს შორის ერისა და ქვეყნის წინაშე, რათა ჩვენს ცნობიერებაში ამოიძირკვოს ურთიერთგადაბრალების პოლიტიკა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და კადრებს უნდა გავუფრთხილდეთ. ქართული ინტელექტი — ეს ჩვენი უდიდესი საგანძურია, ამიტომაც, **თუ ადამიანს ხელისუფლებისგან განსხვავებული ხედვა გააჩნია და თუ ეს ხედვა არის ქვეყნისთვის სასარგებლო, არ შეიძლება მისი უგულებელყოფა და უნდა მიეცეს რეალიზაციის უფლება. ასეთი პიროვნებაა ალექსანდრე ჭაჭია. მე გულდასმით გავეცანი თქვენს გაზეთში მასთან ინტერვიუს და ძალიან ვწუხვარ, რომ პირადად არ ვიცნობ. თითქმის ყველა მის მოსაზრებას ვეთანხმები, ეს იქნება ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა, რუსეთთან ურთიერთობა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა თუ სხვა რამ. მისი, როგორც ქვეყნის პატრიოტის, რჩევები აუცილებლად გასათვალისწინებელი და მისაღებია.**

ჩვენ რეალობას ვერსად გავექცევით, გვინდა თუ არა, აუცილებლად უნდა აღდგეს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, ხოლო ნატოსთან ურთიერთობისას კი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის. ასევე არც ევრაზიული კავშირი არ უნდა განიხილებოდეს ნეგატიურ კონტექსტში.

**— სამეგრელოს, განსაკუთრებით ზუგდიდს, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. რა კეთდება ამ მხრივ თქვენს საზოგადოებაში?**

— სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული, მათთვის დამახასიათებელი ძიძიშვილობა, მორდუობა, ძმური, ნათესაური და უღალატო მეზობლური ურთიერთობის მტკიცე ხიდი. სამწუხაროდ, ორივეს მხრიდან მოუქნელმა, ხისტმა, მე ვიტყოდი, ახლომხედველურმა პოლიტიკამ ეს ხიდი ჩატეხა. ამიტომაც, უპირველესად, ორ მოძმე ხალხს შორის ურთიერთობის აღდგენაა საჭირო. უნდა მივაღწიოთ დიალოგის დაწყებას აფხაზებთან ყოველგვარი შუამავლობის გარეშე.

**— ბატონო მურმან, მოდით იმ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე ვილაპარაკოთ, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია სამეგრელოსთვის...**

— უპირველესად, უნდა განვითარდეს აგროსექტორი: ჩაის წარმოება, ხილის დამზადება-გადამუშავება — ამის ადგილობრივი რესურსი ჩვენ გაგვაჩნია. სოფლებში უნდა მოხდეს ფერმერული მეურნეობის, მემარცვლეობის, მეცხოველეობის კოოპერირება და აქედან გამომდინარე, — რძისა და ხორცის წარმოება. ზუგდიდი მცირემიწიანი რაიონია, ამიტომ საჭიროა მიწის რაციონალურად გამოყენება. ერთ მაგალითს მოგახსენებთ: სოფელ ორსანტიაში ცხოვრობს ერთი ჩვეულებრივი გლეხი ვალერი მოხვაში. მას ერთ ჰექტარზე გაშენებული აქვს თხილის პლანტაცია, ცოლიკაურის ჯიშის ვენახი, მოჰყავს სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული; ჰყავს ძროხები, ღორები, ქათმები და იხვები და ამით ის ქმნის ოჯახის ბიუჯეტს. ასე უნდა მოიქცეს ყველა, თითოეული გლეხი უნდა ეცადოს, შექმნას თავისი ოჯახის ბიუჯეტი, მაგრამ რატომღაც გლეხობა ამ პრინციპს არ მისდევს.

**დღევანდელ გლეხს აკლია მზრუნველობა სახელმწიფოსგან, არ აქვს ხელმისაწვდომი კრედიტები, მაგრამ მათ შრომისმოყვარეობასა და ინტელექტზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.** ყველამ რატომღაც ორიენტაცია აიღო თხილზე. ყველგან თხილს რგავენ და დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო კულტურები დაივიწყეს. არადა, მარტო თხილით ოჯახის ბიუჯეტს ვერ შეავსებ. გლეხმა უარი უთხრა მემარცვლეობას, რომელზეც პირდაპირ არის დამოკიდებული მეცხოველეობა-მეფრინველეობა, თხილი კი ხან არის მოსავლიანი, ხან არა და ეს თხილიც ბევრს კიდევ წინასწარ აქვს გაყიდული. ყოველივე ამის გამო ბაზარი გაძვირდა. აუცილებელია შიდა ბაზრის ადგილობრივი პროდუქტებით გაჯერება.

ესაუბრა **ლადო ქირია**, ზუგდიდი

კიბერტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პიერ-მარკ ბიურო, ESET-ის დაზვერვის უსაფრთხოების პროგრამის მენეჯერი: „ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება ამაში მონაწილეობს. ხშირად ხალხს ეჭვიც არ აქვს, რომ მათი სისტემები გატეხილია. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო და სახელმწიფო ჯგუფი CERT-ი სრულად იყვნენ ინფორმირებულნი სიტუაციის თაობაზე ჯერ კიდევ 2011 წელს და თავისი მიმდინარე მონიტორინგის პარალელურად ამ საკითხში ESET-თან თანამშრომლობდნენ“.

# ESET-მა საქართველოს მთავრობის ინტერნეტრესურსი ჯაშუში კომპიუტერული ვირუსის გავრცელებაში ამხილა

## Facebook, Twitter, YouTube და სხვა სოციალური ქსელები სპეცსამსახურებისთვის ინფორმაციის მიღების უძვირფასესი წყაროებია

**სოციალური ქსელები სულ უფრო მნიშვნელოვანი ოპერატიული სივრცე ხდება იმ დასავლური სპეცსამსახურებისთვის, რომლებიც ადრე საკუთარი მიზნებისთვის უპირატესად რადიოტრანსლაციის ქსელს იყენებდნენ („ამერიკის ხმა“, „თავისუფალი ევროპა“ და ა. შ.), ახლა კი „უტკები“, როგორც მედიაში დეზინფორმაციას უწოდებენ, ინტერნეტში გადმოასახლეს და მათ ჰაკერები ან რევოლუციონერები როდი უშვებენ. ამ სივრცეში „სპეცოპერაციებს“ საქართველოს მთავრობაც ახორციელებს, რა თქმა უნდა, ტოტალიტარიზმის საუკეთესო ტრადიციებში – საკუთარი მოსახლეობის მიმართ, რაშიც იგი კიბერუსაფრთხოების სფეროში ერთობ კომპეტენტურმა და ავტორიტეტულმა საერთაშორისო კომპანია eset-მა ამხილა. სანამ კიბერთვალთვალის ქართულ პერიპეტიებზე დეტალურად მოგითხრობთ, მოკლედ მოგახსენებთ ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო გამოცდილებაზე.**




სპეციალურმა ფსიქოლოგიურმა კიბეროპერაციებმა დიდწილად „სამოქალაქო საზოგადოების“ გარემოში გადაინაცვლა. ჯერ კიდევ 2006 წელს პენტაგონის ოფიციალურ ანგარიშში „ინფორმაციული ოპერაციების საგზაო რუკა“ ნათქვამია: **„სტრატეგია უნდა იყოს აგებული იმ წინაპირობაზე, რომ თავდაცვის სამინისტრო „შეებრძოლება ქსელს“, რადგან ეს შეიძლება მტრის შეიარაღების სისტემა იყოს“.** ეს გამოთქმა — **Fight the net** — არაერთხელ გვხვდება დოკუმენტში. პენტაგონის სპეციალისტები შესაძლებლობების ფართო სპექტრს გულისხმობენ, რომელიც ინტერნეტ-ტექნოლოგიებთანაა კავშირში — უცხო რესურსების ბლოკირებიდან და რადიოელექტრონული დახშობიდან ამა თუ იმ ინფორმაციის წაშლამდე (მაგალითად, მორიგი ომის საწინააღმდეგო კამპანიის ან ჟურნალისტური გამოძიების ცენზურა).

**2006 წელს პენტაგონმა ოფიციალურად აღიარა, რომ ინტერნეტში „შავ პროპაგანდას“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დეზინფორმაციის გავრცელებას ეწევა.** ასე რომ, **საომარი მოქმედებების ადგილებიდან ამერიკელი სამხედრო ბლოგერების შეტყობინებებში შეგნებულად გადაიცემოდა მცდარი ინფორმაცია. ვთქვათ, ამერიკელი საზღვაო ქვეითების მორიგი ჩავარდნები ერაყსა და ავღანეთში, მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობები და ა. შ. „თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლის“ მიღწევებად საღდებოდა.** სამხედრო მოსამსახურეთა თვითმკვლელობები ან სხვა არასამხედრო დანაკარგები ისახებოდა როგორც სამხედრო დავალების შესრულების დროს ჩადენილი გმირობა და ა. შ.

სოციალური ქსელების გაჩენისთანავე აშშ-მა ამ მიმართულებით მუშაობის საზღვრებიც გააფართოვა. ასე რომ, **2011 წელს თავდაცვის სააგენტო DAPRA-მ ჩაატარა სპეციალური კვლევა და გაუშვა პროგრამა SOCIAL MEDIA IN STRATEGIC COMMUNICATION, რომელიც სოციალურ მედიაქსელებში მიმდინარე პროპაგანდისტული პროგრამების სამართავად იყო განკუთვნილი.** პროგრამას ორი მიზანი ჰქონდა: პირველ რიგში, დახმარებოდა სამხედროებს, უკეთ გაეგოთ, რა ხდება სოციალურ ქსელებში რეალურ დროში — განსაკუთრებით სამხედრო კონტინგენტის განთავსების ზონებში; მეორე – მიეცათ სამხედროებისთვის საშუალება, სოციალურ ქსელებში დამოუკიდებლად ემართათ პროპაგანდა.

ეს არა მარტო აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ინტერესებზე საუბრობს, არამედ ინტერნეტის შესაძლებლობების ღრმა წვდომაზეც. **პენტაგონის დირექტივებში მითითებულია, რომ „მსგავსი პროგრამების ალგორითმები მიმართულია იდეებისა და ცნებების (მემები) ფორმირების, განვითარებისა და გავრცელების გამოვლენასა და თვალთვალზე სოციალურ ქსელებში, რაც მომავალში მოგვცემს საშუალებას, დამოუკიდებლად და შეგნებულად მოხდეს პროპაგანდისტული კამპანიების ინიცირება, რომლებიც დამოკიდებული იქნება აშშ-ის მიზანზე, რეგიონსა და ინტერესებზე“.**

ცოტა ხნის წინ ჩატარებულ კვლევათა რიგი გვიჩვენებს, რომ **ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი სისტემატურად ექვემდებარება „დიდი ძმის“ მხრიდან ცენზურას.** მოჰყავთ კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ როგორ ახდენენ სოციალური ქსელები Facebook-ი და Reddit-ი საიტების კონტენტის ცენზურას. პოლიტიკური ელფერის მქონე შეტყობინებები იშლება. მაგალითად, პალესტინური წინააღმდეგობის ჯგუფების მიერ შექმნილი აქაუნთები წაშალეს. მხოლოდ ესეც კმარა, რომ დავასკვნათ: **ზოგიერთი სოციალური ქსელი შექმნილია არა ინფორმაციის თავისუფლად გაცვლისთვის, არამედ გარკვეული ინფორმაციული კვანძების საკონტროლებლად და მონაცემთა შესაგროვებლად.**

ჩვენს პოსტმოდერნისტულ კულტურულ გარემოში ყურადღების დეფიციტი ჩვეულებრივი ამბავია. ხალხი ცდილობს, შეავსოს ეს ვაკუუმი ვირტუალური რეალობის მეშვეობით, რომელიც აქაუნთის მფლობელს გარკვეული აუდიტორიის ილუზიას უქმნის. ეს **ადამიანური ფაქტორი, უკვე დიდი ხანია, გათვალეს დასავლურმა სპეცსამსახურებმა და მისი სოციალური ქსელების სპეციფიკური სადაზვერვო არხების სახით მიზანმიმართულად გამოყენება დაიწყეს.** ჯოზეფ ფასტანკისი IntelNews.org-იდან, რომელიც დაზვერვის კვლევის, ხმელთაშუაზღვისპირეთის საბჭოს მიერ მომზადებული 2012 წლის Studies Yearbook-ის ანგარიშის თანაავტორიც გახლავთ, ამის შესახებ ამბობს: **„ჩვენ განვმარტავთ, რომ FACEBOOK, TWITTER, YOUTUBE და სხვა სოციალური ქსელები სპეცსამსახურების მიერ სულ უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც ინფორმაციის მიღების უძვირფასესი წყაროები. ჩვენს შედეგებს ბოლოს ჩატარებულ 3 სოციალურ კვლევაზე ვაფუძნებთ, რომელთა მიხედვითაც აუცილებლად მივიჩნევთ, გამოვყოთ სოციალური ქსელების სადაზვერვო ფუნქციები“.** აღნიშნული ანგარიში ნაწილობრივ **„არაბული გაზაფხულის“** მოვლენებს ეყრდნობა, რომელთაც თითქოს **„უბიძგეს აშშ-ს მთავრობას, დაეწყოთ სოციალური ქსელებიდან სადაზვერვო მონაცემების შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება“.**

„ყურადღების დეფიციტის“ გარემოში, როგორც ჩანს, ძალოვანი სტრუქტურების კონსპირატიულობის დეფიციტიც გაჩნდა. აშშ-ის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ ბოლო კვლევაში აღნიშნულია, რომ **„ამერიკელი გადასახადის გადამხდელები იძულებულნი არიან, წელიწადში ასობით მილიონი დოლარი იხადონ პროპაგანდისთვის ერაყსა და ავღანეთში, სადაც იმ ბლოგერების მომსახურებით სარგებლობენ, რომლებიც ტვიტერსა და ვიკიპედიაში ყალბ აქაუნთებს იყენებენ. ისინი ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, ხოლო საკუთარი ადგილსამყოფელის დასაფარად პროქსი-სერვერებს იყენებენ“.** USA Today-ს კორესპონდენტმა და პენტაგონის პროპაგანდისტული კამპანიების გამოძიების პროექტის ხელმძღვანელმა აღმოაჩინა, რომ მათი ნაწილი ფიქტიური საიტების მეშვეობით ხორციელდებოდა.

გამოძიებაში მითითებულია, რომ დომენების სახელთა რეესტრში აღმოჩენილ იქნა საიტი TomVandenBrook.com, რომელიც 2012 წლის 7 იანვარს იყო შექმნილი, სულ რამდენიმე დღის შემდეგ, რაც პენტაგონის კორესპონდენტი ტომ ვანდენ ბრუკი პირველად დაუკავშირდა კონტრაქტორებს — ინფორმაციული ოპერაციების პროგრამის განხორციელების მონაწილეებს. ორი კვირის შემდეგ ამ პროცესს მისი რედაქტორი რეი ლოკერიც შეუერთდა და იმავე კომპანიის მეშვეობით დარეგისტრირდა ანალოგიური საიტი RayLocker.com. **„დომენური სახელის ოფიციალური რეგისტრაციისთვის 10 დოლარია საჭირო, მაგრამ კიდევ 50 უნდა გადაიხადო პროქსი-სერვერისთვის, რათა მესაკუთრის იდენტურობა დამალო. თუ ეს ვებსაიტები სახელმწიფო სახსრების გამოყენებით არის შექმნილი, ეს ფედერალური კანონის დარღვევაა, რომელიც შიდა მოხმარებისთვის პროპაგანდას კრძალავს“,** — აღნიშნულია პუბლიკაციაში.

აღნიშნულმა გამოძიებამ სკანდალი გამოიწვია და ოფიციალურმა ხელისუფლებამ ინციდენტში საკუთარი მონაწილეობის უარყოფა დაიწყო. პენტაგონის პრეს-მდივანმა, პოლკოვნიკმა ჯეიმს გრეგორიმ განაცხადა, რომ მის უწყებაში „ასეთი ტიპის საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ არაფერი იციან, ასეთი რამ არ ყოფილა და ეს მიუღებელია“. განცხადება აშკარად წარუმატებელი იყო: **აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ ხომ ოფიციალურად აღიარა, რომ სამხედრო-ინფორმაციული ოპერაციებისთვის იყენებენ კონტრაქტორებს, რომლებიც ინტერნეტში დამკვეთის (პენტაგონის) ინტერესებში ეწევიან საქმიანობას. ამავე დროს, ასეთი სახის სამხედრო-ინფორმაციული ოპერაციები ერაყსა და ავღანეთში პენტაგონმა გააკრიტიკა, როგორც არაეფექტური და ცუდად კონტროლირებადი.**

ამჟამად ვაშინგტონისთვის ყველაზე აქტუალური ინტერნეტ-სფეროში სირიისა და ირანის წინააღმდეგ ინფორმაციული ოპერაციების გატარებაა. სიაში შემდეგ მოდიან — ვენესუელა, კუბა, ჩრდილოეთ კორეა. ამ სიაშია რუსეთიც, მაგრამ მის მიმართ ისეთ მახასიათებლებს იყენებენ, როგორიცაა „ავტორიტარიზმი“, „ტოტალიტარული მემკვიდრეობა“, „არაპროგნოზირებადი ქცევა“, „ბარბაროსობა“, „დიქტატორული რეჟიმი“ და ა. შ. იმის ანალოგიური ტერმინოლოგია, რომელიც 10 წლის წინ ერაყში შეჭრის მოსამზადებლად გამოიყენებოდა.

**როდესაც საქმე გვაქვს დასავლური მედიასაშუალებების მიერ სოციალურ ქსელებში განხორციელებულ ვერბალურ აგრესიასთან, რომელიც რეალობის დამახინჯებული სურათის შესაქმნელად და ადამიანის ცნობიერების შესაცვლელად არის მოწოდებული, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ქმედებების უკან დაქირავებული ბლოგერების ჯარი დგას, რომლებსაც შეერთებული შტატების სახელმწიფო სტრუქტურები აფინანსებენ, და ეს ყველაფერი გლობალური ინფორმაციული ომის ნაწილია რუსეთისა და მათ წინააღმდეგ, ვინც აშშ-ის საერთაშორისო დიქტატს უარყოფს.**

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო ფართომასშტაბიანი გეგმის რეალიზაციისთვის ემზადება, რომელიც კიბერსივრცეში უპირატესობის მოსაპოვებლადაა შემუშავებული.** გაზეთ **„ვაშინგტონ თაიმსის“** მონაცემებით, **ამისთვის პენტაგონი კერძო სპეციალისტების, უნივერსიტეტების და თუნდაც კომპიუტერული თამაშების მწარმოებელთა მიზიდვას აპირებს.**

პროექტმა უკვე მიიღო კოდური სახელწოდება „გეგმა იქსი“. მისი ერთ-ერთი ამოცანა იქნება სამინისტროს კომპიუტერული ქსელების დაცვის სისტემების გაუმჯობესება, მაგრამ ამით ყველაფერი არ შემოიფარგლება. ახალი ტექნიკური საშუალებები სამხედროებს უნდა დაეხმაროს მტრის რაკეტების დამიზნების სისტემების „დაბრმავებასა“ და საბრძოლო მოქმედებების დროს კავშირის დარღვევაში.

**ამერიკელი სამხედროები, აგრეთვე, ეცდებიან, შექმნან ახალი დიდი საოპერაციო სისტემა, რომელსაც თვითონ შეეძლება დარტყმების განხორციელება და კონტრშეტევებს გაუძლებს. ადამიანის როლი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.**

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პოსტის დაკავების შემდეგ რამდენიმე ▶

როდესაც საქმე გვაქვს დასავლური მედია-საშუალებების მიერ სოციალურ ქსელებში განხორციელებულ ვერბალურ აგრესიასთან, რომელიც რეალობის დამახინჯებული სურათის შესაქმნელად და ადამიანის ცნობიერების შესაცვლელად არის მოწოდებული, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ქმედებების უკან დაქირავებული ბლოგერების ჯარი დგას, რომლებსაც შეერთებული შტატების სახელმწიფო სტრუქტურები აფინანსებენ, და ეს ყველაფერი გლობალური ინფორმაციული ომის ნაწილია რუსეთისა და მათ წინააღმდეგ, ვინც აშშ-ის საერთაშორისო დიქტატს უარყოფს.

## კიბერტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «საქართველოში მოქმედი «ბოტნეტი» პირველად ESET-მა გაშიფრა, ხვალ შეიძლება «კასპერსკის» ან სხვა ცნობილი ანტივირუსული პროგრამის «ბადეშიც» მოხვდეს. რადგან მის მიერ დაინფიცირებულ კომპიუტერთა 70% ქართველ მომხმარებელს ეკუთვნის, «ბოროტმოქმედის» მიზანი სწორედ ქართველი მომხმარებლის კომპიუტერებში შეღწევაა»

◀ თვეში, 2009 წელს, ირანის ატომურ პროგრამასთან დაკავშირებულ სისტემებზე კიბერშეტევების აქტივიზაციის განკარგულება გასცა. ასეთ მტკიცებულებას შეიცავს დევიდ სენგერის წიგნი **„წინ აღუდგე და დაფარო: ობამას საიდუმლო ომები და ამერიკული ძალის მოულოდნელი გამოყენება“,** რომელიც სამშაბათს, 5 ივნისს, უნდა გამოსულიყო. The New York Times წიგნიდან ადაპტირებულ ამონარიდებს აქვეყნებს.

როგორც ავტორი დაუსახელებელ ამერიკელ ჩინოვნიკებზე დაყრდნობით ამტკიცებს, **ამგვარი შეტევები ჯერ კიდევ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უმცროსის დროს დაიწყო და კოდური სახელწოდება „ოლიმპიური თამაშები“ მიიღო. ეს პროგრამა, როგორც ჩანს, ამერიკის მიერ სხვა სახელმწიფოების ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ კიბერშეტევების მასშტაბური გამოყენების პირველი მაგალითი გახდა.**

თვით ობამას ადმინისტრაციის შეფასებების მიხედვით, რომელიც სენგერს მოყავს, ირანული ატომური პროგრამა ამგვარი ძალისხმევის შედეგად, სულ მცირე, 18 თვიდან 2 წლამდე ვადით შეაფერხეს, თუმცა ექსპერტთა ნაწილი ეჭვობს, რომ პროგრამა ამდენად ეფექტური ყოფილიყო.

**ირანის ატომური ობიექტების წინააღმდეგ კიბერშეტევებმა ყურადღება 2010 წელს მიიპყრო, როდესაც ვირუს STUXNET-ის გამოყენების შესახებ გახდა ცნობილი. 2011 წლის იანვარში ირანმა პირდაპირ დაადანაშაულა აშშ მის ატომურ ობიექტებზე განხორციელებულ კიბერშეტევებში.** აშშ უარყოფდა თავის მონაწილეობას, ხოლო ისრაელის სახელმწიფო მოხელეები კომენტარზე უარს ამბობდნენ. **2012 წლის მაისის ბოლოს კი გაჩნდა შეტყობინებები იმის შესახებ, რომ ვირუსი Flame იპარავს კონფიდენციალურ ინფორმაციას ირანისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების კომპიუტერებიდან. დაუსახელებელმა ამერიკელმა ჩინოვნიკმა NBC-ს განუცხადა, რომ ვირუსის შემუშავების უკან აშშ დგას.**

აშშ და ისრაელი ცდილობენ, არ დაუშვან ირანის მიერ ატომური იარაღის შექმნა. თუმცა გაურკვეველია, ატარებს თუ არა მსგავს სამუშაოებს თეირანი. მანამდე აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ირანს არ გააჩნია ატომური იარაღის შექმნის პროგრამა, ასეთივე დასკვნამდე მივიდა ამერიკული სადაზვერვო თანამეგობრობაც. მიუხედავად ამისა, როგორც პანეტამ და დაზვერვამ ივარაუდეს, თეირანი აპირებს, ტექნიკური განვითარების ისეთ დონეს მიაღწიოს, რომელიც მისცემს მას საჭიროების შემთხვევაში ბირთვული იარაღის შექმნის საშუალებას.

**WIN32/GEORBOT კი არის საქართველოში მოქმედი ტროიანი და ბოტნეტი, რომელიც ინფორმაციას იპარავს.**

მიმდინარე წლის დასაწყისში კომპანია ESET-ის (კიბერსაფრთხეებისგან პროგრამული დაცვის ლიდერი) მკვლევარებმა აღმოაჩინეს ბოტნეტი, რომელსაც მეტად საინტერესო საკომუნიკაციო მახასიათებლები აქვს. მათ შორის, იგი იპარავს დოკუმენტებსა და სერტიფიკატებს, შეუძლია აუდიო და ვიდეო ჩანაწერების შექმნა და ადგილობრივ ქსელში ინფორმაციის დაძებნა. საინტერესოა, რომ მართვისა და კონტროლის შესახებ საკუთარი ინფორმაციის განახლებისთვის იგი საქართველოს მთავრობის ვებსაიტს იყენებს. ამიტომ ESET-ის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ Win32/Georbot საქართველოში კომპიუტერის მომხმარებლებს აკონტროლებს. ამ მავნე პროგრამის კიდევ ერთი მახასიათებელია ის, რომ **იგი ეძებს „დაშორებული სამუშაო მაგიდის კონფიგურაციის ფაილებს“, რაც ქურდებს საშუალებას აძლევს, ჩატვირთონ ისინი დაშორებულ მანქანებზე ყოველგვარი სირთულის გარეშე.** კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ ამ მავნე პროგრამის განვითარება გრძელდება – 20 მარტს ESET-მა ახალი „ველური“ ვარიანტები აღმოაჩინა.

Win32/Georbot-ს გააჩნია განახლების მექანიზმი, რომელიც მას საშუალებას აძლევს, ბოტის ახალი ვერსიების ტრანსფორმაცია მოახდინოს, რათა თავი აარიდოს მავნე პროგრამული უზრუნველყოფის სკანერებს. გარდა ამისა, ბოტს გააჩნია ავარიული მექანიზმი იმ შემთხვევისთვის, თუ იგი ვერ დაამყარებს კავშირს C&C-ს (მართვა და კონტროლი) სერვერთან: ამ შემთხვევაში იგი მიერთდება სპეციალურ ვებსაიტთან, რომელიც სისტემაშია განლაგებული, რომლის ჰოსტსაც საქართველოს მთავრობა წარმოადგენს. **„ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება ამაში მონაწილეობს. ხშირად ხალხს ეჭვიც არ აქვს, რომ მათი სისტემები გატეხილია,** — ამბობს პიერმარკ ბიურო, ESET-ის დაზვერვის უსაფრთხოების პროგრამის მენეჯერი. — **თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო და სახელმწიფო ჯგუფი CERT-ი სრულად იყვნენ ინფორმირებულნი სიტუაციის თაობაზე ჯერ კიდევ 2011 წელს და თავისი მიმდინარე მონიტორინგის პარალელურად ამ საკითხში ESET-თან თანამშრომლობდნენ“,** — დასძინა მან. **ყველა ინფიცირებული ჰოსტიდან 70% საქართველოში იმყოფებოდა, რომელსაც ბევრად მცირე მოცულობით მოსდევდნენ შეერთებული შტატები, გერმანია და რუსეთი.**

ESET-ის მკვლევარებმა ბოტის სამართავ პანელთანაც კი მოიპოვეს წვდომა, რამაც მათ მისცა რეალური მონაცემები ინფიცირებული მანქანების, მათი ადგილმდებარეობისა და იმ ბრძანებების თაობაზე, რომლებიც შეიძლება მათ მიეღოთ. ყველაზე საინტერესო ინფორმაცია, რომელიც მართვის პანელზე იქნა აღმოჩენილი, საკვანძო სიტყვების სიაა, რომლებიც ინფიცირებული სისტემების დოკუმენტების სამიზნე გახდა. ინგლისურენოვან სიტყვებს შორის გვხვდებოდა: „ministry, service, secret, agent, USA, Russia, FBI, CIA, weapon, FSB, KGB, phone, number“ („სამინისტრო, სამსახური, საიდუმლო, აგენტი, აშშ, რუსეთი, გფბ, ცსს, იარაღი, ფსბ, კგბ, ტელეფონი, ნომერი“).

**„რამდენიმეჯერ შეინიშნებოდა ფუნქციონალურობის გამოყენება, რომელიც ვებკამერის მეშვეობით ჩანაწერების კეთების, სკრინ-შოტების გაკეთებისა და დოშ-შეტევების წამოწყების საშუალებას იძლევა,“** — ამბობს პიერმარკ ბიურო. **ის ფაქტი, რომ „ბოტნეტი“ თავის C&C ინფორმაციის განახლებისთვის ქართულ ვებსაიტს იყენებს, ხოლო იგივე ვებსაიტი, შესაძლოა, გავრცელებისთვის გამოიყენებოდეს, წარმოშობს ვარაუდს, რომ მთავარი სამიზნე ქართველი მომხმარებელი უნდა იყოს.** მეორე მხრივ, ამ საფრთხის სირთულის დონე დაბალია. ESET-ის მკვლევართა აზრით, ოპერაცია სახელმწიფოსგან რომ ყოფილიყო სპონსირებული, იგი მეტად პროფესიონალური და ფარული იქნებოდა. უფრო სავარუდოა მოსაზრება — ბოტი Win32/Georbot კიბერდამნაშავეთა გუნდის მიერაა შექმნილი, რომლებიც ცდილობენ, მოიპოვონ საიდუმლო ინფორმაცია, რათა შემდეგ სხვა ორგანიზაციებს მიჰყიდონ.

**„კიბერდანაშაული სულ უფრო პროფესიონალური და მიზანმიმართული ხდება, მოედანზე უფრო ძლიერი მოთამაშეები გამოდიან. Win32/Stuxnet და Win32/Duqu მაღალტექნოლოგიური კიბერდანაშაულის მაგალითებია და ისინი კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდნენ, მაგრამ თუნდაც Win32/Georbot, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლები სირთულით გამოირჩევა, იყენებს უნიკალურ (ახალ) მეთოდებს, რათა იმის დედააზრამდე მივიდეს, რის მიღწევასაც მისი შემქმნელები ლამობენ. Win32/Georbot-ის შემთხვევაში, მიზანი სისტემებსა და დიდი ოდენობის სპეციფიკური ინფორმაციაზე წვდომის მოპოვებაა: აქედან მოდის იმ ფაილების ძებნა, რომლებიც სამუშაო პანელის კონფიგურაციიდან წაშლილი იყო,“** — აკეთებს დასკვნას ESET-ის კვლევებისა და განვითარების მთავარი ექსპერტი რიხარდ ცვინენბერგი.

* * *

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების სპეციალისტმა, რომელმაც ჩვენთან სახელისა და გვარის დასახელებისგან თავი შეიკავა, ასეთი კომენტარი გააკეთა:

**„ბოტნეტი“ წარმოსდგება ორი ინგლისური სიტყვისგან: roBOT და NETwork. ეს არის „ბოტების“ მიერ შექმნილი კომპიუტერული ქსელი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ფუნქციონირებს. ხშირ შემთხვევაში, „ბოტი“ ასეთ ქსელში წარმოადგენს პროგრამას, რომელიც მსხვერპლის მოწყობილობაზე (კომპიუტერში) უჩუმრად ყენდება და ბოროტმოქმედს საშუალებას აძლევს დაინფიცირებულ კომპიუტერში შეასრულოს სასურველი მოქმედებები. როგორც წესი, ესაა პაროლების მოძიება მსხვერპლის კომპიუტერში, ინფორმაციის ან დოკუმენტების მოძიება, შეტევა, სანამ კომპიუტერი არ გამოვა მწყობრიდან.**

**როგორც ESET-ის სპეციალისტები ამბობენ, იმდენად მოდიფიცირებულია საქართველოში მოქმედი ეს პროგრამა, რომ ვერც ერთი ანტივირუსი, ჯერჯერობით, ვერ აღიქვამს. “ბოტნეტის” არსებობა არავის უკვირს, იმდენად გახშირდა ასეთი შემთხვევები, მაგრამ, რამაც შეიძლება დაგვაფიქროს, ესაა მისი უჩვეულო შესაძლებლობები, კონკრეტულად: დოკუმენტების და სერტიფიკატების მოპარვა, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების შექმნა.**

**ESET-ის წარმომადგენლები არ ამბობენ, კონკრეტულად რომელ საიტზეა განთავსებული „ბოტნეტი“, მაგრამ მიგვითითებენ ამ საიტის სპეციფიკას — „სამთავრობო საიტი“. არდასახელებით ერთგვარად იზღვევენ თავს უსიამოვნებისგან, რადგან საქმე ხელისუფლების კუთვნილ საიტს ეხება.**

როგორც წესი, ახალი ვირუსის აღმოჩენას გარკვეული პერიოდი სჭირდება. გასულ წლებში იყო შემთხვევები, როცა ძლიერი ვირუსი გაავრცელეს და, სანამ აღმოაჩენდნენ, უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობის კომპიუტერები იყო დაინფიცირებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საქართველოში მოქმედი „ბოტნეტი“ პირველად ESET-მა გაშიფრა, ხვალ შეიძლება „კასპერსკის“ ან სხვა ცნობილი ანტივირუსული პროგრამის „ბადეშიც“ მოხვდეს. რადგან მის მიერ დაინფიცირებულ კომპიუტერთა 70% ქართველ მომხმარებელს ეკუთვნის, „ბოროტმოქმედის“ მიზანი სწორედ ქართველი მომხმარებლის კომპიუტერებში შეღწევაა.

„ქართული ბოტნეტის“ დანიშნულების თაობაზე, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. პირადად შემიძლია გითხრათ: ეს რომ რიგით ჰაკერს შეექმნა (რომელსაც რაც შეიძლება მეტ კომპიუტერში შეღწევა სურს), იგი მას ისეთ საიტზე განათავსებდა, რომელსაც ბევრი მომხმარებელი ჰყავს. გასართობი ან აზარტული თამაშების საიტებთან შედარებით, სახელისუფლო საიტები არ სარგებლობენ დიდი პოპულარობით, ამასთანავე, არც ერთი ჰაკერი, თავისი ნებით, „ომს არ გამოუცხადებს“ ხელისუფლებას”.

## ყველა ინფიცირებული ჰოსტიდან 70% საქართველოში იმყოფებოდა, რომელსაც ბევრად მცირე მოცულობით მოსდევდნენ აშშ, გერმანია და რუსეთი






## ბაშარ ასადი უნდა წავიდეს

**სირიაში არსებული სიტუაცია ბაშარ ასადის წასვლას მოითხოვს.** ეს განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა რუსეთის პრეზიდენტთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ვლადიმერ პუტინი სწორედ სირიის თემაზე გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ პარიზში ფრანსუა ოლანდთან შესახვედრად გადაფრინდა. „ბაშარ ასადის რეჟიმი და მისი საქციელი მიუღებელია, მან სრულიად უკანონო აქტები განახორციელა და ეს სიტუაცია მის წასვლას მოითხოვს“, — განაცხადა ოლანდმა. ვლადიმერ პუტინმა კი ისევე, როგორც მერკელთან შეხვედრის შემდეგ, განაცხადა, რომ რუსეთმა და საფრანგეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, ერთობლივი ძალისხმევა მიმართონ სირიაში შემნილი სიტუაციის პოლიტიკურ-დიპლომატიური გზით მოგვარებისკენ.



## სერბეთი კოსოვოზე უარს არ იტყვის

**სერბეთი უნდა გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ისე, რომ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე უარი არ თქვას, მან უარი არ უნდა თქვას „თავის კოსოვოსა და მეტოხიაზე“.** ეს განცხადება პრეზიდენტმა **ტომისლავ ნიკოლიჩმა** გააკეთა, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად შეუდგა. „მინდა, რომ სერბეთი იყოს ქვეყანა, რომელიც დაცლილი იქნება შიშისგან ხვალინდელი დღის წინაშე, რომელიც იქნება ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი და რომელიც არასოდეს იტყვის უარს კოსოვოსა და მეტოხიაზე“, — განაცხადა ნიკოლიჩმა. „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შეიძლება, რომ იყვნენ დამოუკიდებელნი, კოსოვო და მეტოხია კი — არა“, — აცხადებდა რამდენიმე დღის წინ ნიკოლიჩი, მოსკოვში ყოფნისას. მან ასევე გააკეთა განცხადება სერბეთის პარლამენტის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე. წ. დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარების შესახებ.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საჯარო რეესტრს 2011 წლის დეკემბერში, მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში, 79 ადამიანმა მიმართა მიწის და ზედ დამაგრებული ქონების მიტოვების მოთხოვნით. ამ ადამიანებს შორის ბევრი ყოფილი და ბევრიც ახლანდელი ჩინოსანია — სწორედ მათი სახლების ასაშენებლად განადგურდა ბახმაროში რეკრეაციული ზონა.

# გარემოვაჭრეები ხელისუფლების შეთავაზებაზე უარს აცხადებენ



**გარემოვაჭრეები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროს თენგიზ შანავასთან და „დაიცავი საქართველოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელ კახა მიქაიასთან ერთად მივიდნენ ე.წ. როგავას ბაზრობასთან და ის ადგილი დაათვალიერეს, რომელსაც მათ ხელისუფლება სთავაზობს.**

livepress.ge-ს ინფორმაციით, გარემოვაჭრეებმა კატეგორიული უარი განაცხადეს მათთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვაჭრობაზე, რადგან ამბობენ, რომ „აქ მყიდველები არ მოვლენ“ და ვერ გადაიხდიან ყოველთვიურ გადასახადს, რადგან წვრილი საქონლით ვაჭრობენ და ამდენის შესაძლებლობა არ აქვთ. თენგიზ შანავამ გარემოვაჭრეებს განუცხადა, რომ გამგეობა მათთვის გამოსაყოფი სხვა ალტერნატიული ტერიტორიის შესაძლებლობაზე იფიქრებს.

# რა მოელის კიბერშეტევისთვის დაკავებულ ლევან დარჯანიას?

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით, პოლიციამ დააკავა 1993 წელს დაბადებული ლევან დარჯანია, რომელსაც ბრალი ედება კომპიუტერული პროგრამის უკანონოდ დამზადებასა და გავრცელებაში, რამაც ინტერნეტპორტალების ფუნქციონირების განზრახ შეფერხება გამოიწვია. საქმე ეხება რამდენიმე დღის წინ ინტერნეტგვერდების: presa.ge-სა და droni.ge-ს პარალიზებას.**

„2012 წლის 31 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო გამოძიება სხვადასხვა ინტერნეტპორტალზე კიბერშეტევის განხორციელების ფაქტთან დაკავშირებით.



ლევან დარჯანია ბრალდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში“, — წერია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აღნიშნული მუხლი, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან (და) თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

# ასხვისებს თუ არა ხელისუფლება ბახმაროს არაბებზე

**იმ ადგილზე, საიდანაც გასული წლის შემოდგომის მიწურულს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ ამცნო, ახლა თოვლია... თოვლი იყო მაშინაც, როცა ქვეყნის პირველი პირი პირობას დებდა, რომ განახლებულ სეზონზე, ბახმაროს დამსვენებელს ახალი კონოთეატრი, სუპერმარკეტი, აფთიაქი, განახლებული სტადიონი, სასტუმრო და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა დახვდებოდა.**




ბახმარო ზღვის დონიდან 2050 მეტრზე მდებარეობს. ცნობილი კურორტითა და უნიკალური ჰავით წლების განმავლობაში ხელისუფლება არ დაინტერესებულა. თანამდებობის პირების ინტერესში კურორტი მას შემდეგ მოხვდა, რაც გაირკვა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარემ და ფრაქცია „ნაციონალების“ ლიდერმა შოთა სირაძემ ბახმაროში 300-ზე მეტი მიწის საკუთრების მოწმობა გასცა.

**გამოძიების მტკიცებით, სირაძემ, რომელიც ახლა მიმალვაშია, დოკუმენტაცია გააყალბა. მთავარ კითხვას — როგორ დაარეგისტრირა საჯარო რეესტრმა ასობით ყალბი დოკუმენტი, პასუხი დღემდე არ გასცემია. ამ საქმეში კიდევ ბევრი კითხვაა, რომლებზეც პასუხის მიღებას, სამი წელია, ამაოდ ცდილობს საზოგადოება, მათ შორის ის ადამიანები, რომლებსაც ჯერ მიწები დაუკანონეს, შემდეგ კი წაართვეს, თანაც ერთ კვირაში. საჯარო რეესტრს 2011 წლის დეკემბერში, მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში, 79 ადამიანმა მიმართა მიწის და ზედ დამაგრებული ქონების მიტოვების მოთხოვნით. ამ ადამიანებს შორის ბევრი ყოფილი და ბევრიც ახლანდელი ჩინოსანია — სწორედ მათი სახლების ასაშენებლად განადგურდა ბახმაროში რეკრეაციული ზონა.**

დღეს ეს ადამიანები კამერასთან საუბარს გაურბიან, კამერის მიღმა კი აღნიშნავენ, რომ ყალბი დოკუმენტები და მხოლოდ ერთი დამნაშავე ხელისუფლებამ პიარისთვის გამოიყენა. **ამბობენ იმასაც, რომ ამ ყველაფრის უკან არაბი ინვესტორები დგანან, რომელთაც ხელისუფლება კურორტს მალე გადაულოცავს.** მაგრამ ეს ინფორმაცია საჯაროდ არ ხმაურდება. საზოგადოების ფართო მასებისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბახმაროში ინფრასტრუქტურის განვითარება მიმდინარეობს, თანაც დიდი ხანია...

პრეზიდენტის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრების ბახმაროში სტუმრობის შემდეგ, ნაციონალური არხებით ბახმაროს განვითარების შესახებ რამდენიმე სიუჟეტი გავიდა.

„რუსთავი 2“-ის მტკიცებით, ბახმაროში სამშენებლო პროცესი უკვე დაწყებულია და სეზონზე დამსვენებელს კურორტი განახლებული სახით უმასპინძლებს. იმავეს ამბობდა ტელეკომპანია „იმედი“, რომლის ეთერში გასულ სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ სამუშაოები, რომლებიც გასული წლის ოქტომბერში დაიწყო, ზაფხულში დასრულდებოდა, ხოლო შემდეგ ხელისუფლება ბახმაროს ზამთრის კურორტად გამოყენებაზე ზრუნვას დაიწყებდა.

ეს ინფორმაცია რომ სიმართლეს არ შეესაბამება, კარგად იციან იმ ადამიანებმა, რომლებსაც ბახმაროს მთებში საქონელი ყოველ გაზაფხულზე მიჰყავთ. მათ ისიც იციან, რომ შემოდგმის მიწურულს და ადრიან გაზაფხულზე, კურორტზე, სადაც თოვლის საფარი ხშირად 5 მეტრს აღემატება, სამშენებლო სამუშაოების შესრულება შეუძლებელია. **„გამორიცხულია აქ მარტსა და აპრილში სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, დეკემბრის ბოლოსაც ვერ იმუშავებდნენ. შარშან აქედან რომ წავედით, 2 დეკემბერი იყო. იმხელა თოვლი მოვიდა, რომ სამაშველო სამსახურმა გადაგვიყვანა. მახსოვს, რომ ვიღაცები ამოვიდნენ, რაღაც დანადგარები უნდა დაედგათ, მაგრამ მიწა ისე იყო გაყინული, ვერაფერი დადგეს და წავიდნენ, გაზაფხულზე ამოვალთო“,** — იხსენებს „გურია ნიუსთან“ საუბრისას ამირან ბერიძე და აღნიშნავს, რომ ბახმაროში სამუშაოები არც ახლა მიმდინარეობს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის შესასვლელში განახლებული ბახმაროს მაკეტის ფოტოები კედელზეა გაკრული. გამგებლის მოადგილე დიმიტრი კორიფაძე განახლებული კურორტის შესახებ კომენტარს მოუცლელობის მიზეზით არ აკეთებს, ამბობს, რომ ის შენობები, რომლებიც მაკეტების სახითაა წარმოდგენილი, აუცილებლად აშენდება, მაგრამ როდის, არავინ იცის.

ადგილობრივი ხელისუფლება პირად საუბრებში ამტკიცებს, რომ სეზონის გახსნისთვის ყველაფერი მოგვარდება, თუმცა, ვერ ხსნის, როგორ უნდა აშენდეს სასტუმრო, კინოთეატრი და სხვა ობიექტები 22 დღეში და როგორ უნდა ისიამოვნოს დამსვენებელმა განახლებული ინფრასტრუქტურით მაშინ, როცა სამშენებლო სამუშაოები ჯერ დაწყებულიც არ არის.

**გურია-ნიუსი**
**gurianews.com**

# ესტონეთში პედოფილებს ქიმიურ კასტრაციას ჩაუტარებენ

**ესტონეთის პარლამენტმა სექსუალური დანაშაულის ჩამდენთა მიმართ ქიმიური კასტრაციის ჩატარება დააკანონა.** კანონპროექტის განხილვისას იუსტიციის მინისტრმა კრისტენ მიხალმა ახსნა, რომ **ქიმიური კასტრაცია, პირველ რიგში, პედოფილების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.** სასამართლო დამნაშავეს სამი წლის განმავლობაში ამგვარი პრეპარატების მიღებას დაუნიშნავს. ამასთანავე ქიმიური კასტრაცია პირობით ვადამდე გათავისუფლების წინაპირობაც იქნება.



**„ასეთი დამნაშავეების მკურნალობა, ნარკომანების მსგავსად, თავად მათი თანხმობით შეიძლება. მკურნალობის მინიმალური ხანგრძლივობა 18 თვე იქნება, რადგან უფრო ხანმოკლე კურსი შედეგს არ იძლევა. თუ მსჯავრდებული მკურნალობას შეწყვეტს, იგი სასჯელს ციხეში მოიხდის“,** — განაცხადა მინისტრმა.

# ნიგერიაში ავტოკატასტროფის ადგილი მაროდიორებმა გაძარცვეს

**ნიგერიის ქალაქ ლაგოსში 3 ივნისს ჩამოვარდნილი თვითმფრინავის მგზავრთა პირადი ნივთები მაროდიორებმა დაიტაცეს. The daily Times-ის ინფორმაციით, სამაშველო სამსახურები ადგილზე მხოლოდ 45 წუთის შემდეგ მივიდნენ. ამ დროის განმავლობაში მაროდიორებმა ძარცვა მოასწრეს.**

შემთხვევის ადგილზე ათასობით ნიგერიელი მივიდა და მაშველებს თვითმფრინავთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა, რის გამოც პოლიციამ ხელკეტები გამოიყენა. დაიწყო ჭყლეტა. დაზარალებულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.




**ავიაკომპანია Dana Air-ის თვითმფრინავი, რომელიც აბუჯის მიმართულებით რეისს ასრულებდა, კვირას, საღამოს, ლაგოსის ღარიბ რაიონში ჩამოვარდა. თვითმფრინავის ბორტზე 153 მგზავრი იმყოფებოდა. ყველა დაიღუპა.**

# გერმანიაში ნეონაცისტებმა 38 პოლიციელი დაჭრეს

**ჰამბურგში ნეონაცისტებსა და მემარცხენეებს შორის შეტაკებისას 38 პოლიციელი დაიჭრა. დემონსტრანტებმა სამართალდამცავებს ქვები, ბოთლები და ფაიერები დაუშინეს, ხოლო პოლიციამ მათ წინააღმდეგ წყლის ქვემეხები და წიწაკის გაზი გამოიყენა. სამი ავტომობილი, მათ შორის, ერთი — პოლიციის კუთვნილი, დემონსტრანტებმა დაწვეს.**



2 ივნისს, შუადღისას, 700-მდე ულტრამემარჯვენე შეთანხმებულ მსვლელობაზე გამოვიდა, მაგრამ დათქმულ ადგილს ვერ მიაღწია, რადგან მათ გზა ულტრამემარცხენეებმა გადაულობეს. **სულ ქუჩაში 3500 ადამიანი გამოვიდა. დემონსტრაციას 4400 პოლიციელი იცავდა. შეტაკებისას 63 ადამიანი დააკავეს, 17 დააპატიმრეს.** იმავე დროს ქალაქის სხვა ნაწილში ნეონაცისტების წინააღმდეგ მშვიდობიანი მანიფესტაცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა 10 ათასი ადამიანი.

**„ჰამბურგის ალიანსი მემარჯვენეთა წინააღმდეგ“ შეტაკებებში პოლიციას ადანაშაულებს. მათი აზრით, ნეონაცისტებისთვის დემონსტრაციის ნებართვა საერთოდ არ უნდა მიეცათ. პოლიცია აღიარებს, რომ ულტრამემარჯვენეებისთვის სხვა მარშრუტი უნდა შეეთავაზებია, მაგრამ დემონსტრაციაზე უარის თქმა მათი შეკრების თავისუფლების ხელყოფა იქნებოდა.** ჰამბურგის პოლიცია, თავის მხრივ, შეტაკებებში ულტრამემარცხენეთა მცირე ჯგუფს ადანაშაულებს.

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ლგბტ-ს, ანუ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების მთელ მსოფლიოში დაცვას ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი უწოდა, ხოლო პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირდაპირ დაუკავშირა ამა თუ იმ ქვეყნისთვის აშშ-ის ფინანსური დახმარება მოცემულ ქვეყანაში ამ უფლებების დაცვას!**

No comment

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰილარი კლინტონისა და ბარაკ ობამას აღიარებითი ჩვენებები...

**ბარაკ ობამამ შარშან გააუქმა აშშ-ის ჯარში მამათმავლების მსახურების ამკრძალავი „დისკრიმინაციული“ კანონი; იქვე ისაუბრა გეების დამსახურების შესახებ ამერიკის წინაშე და მაშინვე გამოაცხადა ყოველი წლის ივნისი, ანუ თიბათვე, მსოფლიო მამათმავლების თვიურად, როდესაც მსოფლიო მასშტაბით უნდა გაიმართოს გეიაღლუმები; სულ ახლახან კი ამერიკის პრეზიდენტის განცხადებამ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების შესახებ ხომ საერთოდ დეტონატორის ფუნქცია შეასრულა პოსტსაბჭოთა სივრცეში და ისე, რომ ობამას მიერ დათქმული „თაფლობის თვის“, ივნისის, დადგომას აღარც დაელოდნენ და, ალპინისტების ენით თუ ვიტყვით, თბილისის, კიევის, ერევნის, მოსკოვის პედერასტული ტრავერსი მაისშივე სცადეს.**



**იქიდან, რომ მამათმავლებს ღია მხარდაჭერას უცხადებენ ამერიკის უმაღლესი ხელისუფალნი, ხოლო მათი ელჩები პირადად მონაწილეობენ გეიპარადებში, იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ პედერასტობის პროპაგანდა-აგიტაცია შორს გასცდა ამ «ჩაგრულ მესაჯდომეთა» უფლებების დაცვას**

ობამას ამ „ვაჟკაცური ინიციატივების“ შემდეგ, თითქოს რაღა უნდა გაგვკვირვებოდა, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ, მართლაც შოკისმომგვრელი იყო ის ინფორმაციები, რომლებიც რიგაში გასამართი გეიპარადის წინ გახდა ცნობილი ჰილარი კლინტონისა და ბარაკ ობამას განცხადებების სახით, რომლებიც საინფორმაციო სააგენტო LENTA.RU-მ გაავრცელა 1 ივნისს:

„გეიპარადში, რომელიც 2 ივნისს უნდა გაიმართოს ქალაქ რიგაში, ამერიკელი დიპლომატებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ამერიკის ელჩი ლატვიაში — ჯუდით გარბერი სიტყვით მიმართავს ღონისძიების მონაწილეებს.

აღლუმში ასევე მიიღებენ მონაწილეობას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის (ჰილარი კლინტონის) თანაშემწის მოადგილე თომას მელია, ამერიკის ელჩი ესტონეთში მაიკლ პოლტი და ბალტიის ქვეყნებში აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობების სხვა თანამშრომლები.

ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას გეიპარადში, რათა მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ლესბოსელ-გეი-ბისექსუალ-ტრანსექსუალებს ლატვიაში და მთელ მსოფლიოში“, — განაცხადა ჯუდიტ გარბერმა.

**შეგახსენებთ, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ლგბტ-ს, ანუ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების მთელ მსოფლიოში დაცვას ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი უწოდა, ხოლო პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირდაპირ დაუკავშირა ამა თუ იმ ქვეყნისთვის აშშ-ის ფინანსური დახმარება მოცემულ ქვეყანაში ამ უფლებების დაცვას!**

ვფიქრობ აქ, როგორც იანკები იტყოდნენ, NO COMENT, მაგრამ მაინც გავბედავ და ვიტყვი: ანუ რა გამოდის? **აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი აღარ არის ტერორიზმთან ბრძოლა ან დემოკრატიის ექსპორტი მთელ მსოფლიოში თუ, როგორც იტყვიან, ერთი მეორეს ხელს არ უშლის ან კიდევ უფრო „უკეთესი“ — პედერასტობის პროპაგანდა-აგიტაცია და მათი უფლებების დაცვაა სწორედ ლიბერალური დემოკრატიის მთავარი მონაპოვარი და ხიბლი?**

ან ბარაკ ჰუსეინის უზნეო განცხადება რას ნიშნავს? იმას ხომ არა, ჩვენებურად და მარტივად თუ ვიტყვით, თუ გინდა, რომ მწვანე დოლარები მოგცე, შენ ერთი ადგილის მიცემა უნდა დაიწყო?

ახლა ვნახოთ, თუ რას იუწყება იგივე საინფორმაციო სააგენტო უკვე 3 ივნისს, ანუ რიგაში შემდგარი გეიპარადის შემდეგ, საიდანაც ამონარიდებს შიგადაშიგ, საკუთარი ტერმინების თანხლებით, მაგრამ შინაარსის დაუმახინჯებლად მოგაწვდით:

„პოლიციის მონაცემებით, 2 ივნისს რიგაში 400-მდე ლგბტ-მ მიიღო მონაწილეობა პარადში, რომელიც პოლიციის მნიშვნელოვანი ძალების მეთვალყურეობის ქვეშ, განსაკუთრებული ინციდენტების გარეშე დამთავრდა.

დაპირებისამებრ აქციაში მონაწილეობდნენ აშშ-ის ელჩი ლატვიაში — ჯუდიტ გარბერი, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა სექსუალურ უმცირესობებს“.

ვერმანის პარკში, რომელიც გეიპარადის მარშრუტის ბოლო, სამიტინგო ადგილი იყო, სიტყვებით გამოვიდნენ, აგრეთვე, ამერიკის ელჩი ესტონეთში — მაიკლ პოლტი, ჰილარი კლინტონის თანაშემწის მოადგილე თომას მელია და სხვები. აქციაში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ ჰოლანდიის, ნორვეგიისა და დანიის (პედერასტებისთვის ცნობილი სამოთხე ქვეყნები. — დ.მ.) ელჩები ლატვიაში.

ამ ყველაფერს პარკის მიმდებარე ტერიტორიიდან (რადგანაც პარკში შესვლა შეზღუდული იყო არაპედერასტებისთვის) სტვენით აპროტესტებდა დაახლოებით ათკაციანი ჯგუფი, რომელსაც ხელში პლაკატი ეჭირა წარწერით — შეწყდეს ლატვიაში ჰომოსექსუალიზმის აგრესიული პროპაგანდა!

**იქიდან, რომ მამათმავლებს ღია მხარდაჭერას უცხადებენ ამერიკის უმაღლესი ხელისუფალნი, ხოლო მათი ელჩები პირადად მონაწილეობენ გეიპარადებში, იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ პედერასტობის პროპაგანდა-აგიტაცია შორს გასცდა ამ „ჩაგრულ მესაჯდომეთა“ უფლებების დაცვას.** ჩემი სუბიექტური აზრით, ეს არის მსოფლიო მასონ გლობალისტების ტოტალური პიდარშეტევა მთელი კულტურული კაცობრიობის მიმართ, აქედან გამომდინარე, შორს მიმავალი მიზნებით. მიზანი კი „ერთია, დიადი ნათელი“ — მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა ყოველგვარი საზღვრების, ერების მორალის სიწმინდის გარეშე, სადაც ტრადიციული, „ჩამორჩენილი, ბნელი“ რელიგიების ნაცვლად, ახალი და „პროგრესული“ ერთადერთი რელიგია იბატონებს — უფალი მამონა და პედერასტობა, მოციქული მისი!

**ყოველივე ზემოთ თქმულიდან კი, ალბათ, დროა, რომ ჩვენთვის, საქართველოსთვის, მთავარი კითხვა დავსვათ — რა ელის საქართველოს და საით მიდის „სტრატეგიულ პარტნიორთან“ ერთად, ამერიკასთან, რომლის მთავარი პრიორიტეტი საგარეო პოლიტიკაში პედერასტების უფლებების დაცვა ყოფილა მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ვისაც ბრმა ცინდალივით ავეტორლიალეთ?**

მოკლედ თუ ვიტყვით, კარგი არაფერი — აშშ-თან სტრატეგიული ფლირტი დაკარგულ ტერიტორიებზე ოცნებასაც კი გამორიცხავს. თუმცა მაგისთანა საშვილიშვილო ფიქრებიც რომ მივატოვოთ და მხოლოდ დღევანდელობით, ჩემს შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა, ანუ მხოლოდ კუჭის ფილოსოფიით, ვიცხოვროთ, გაპედერასტების გარეშე აღარც სტომაქს ამოგვიყორავენ ამერიკელები!

ხატოვნად თუ ვიტყვით, ჰილარი კლინტონისა და ბარაკ ობამას ეს მოულოდნელი აღიარებითი ჩვენებები საქართველოში პროამერიკული განწყობების კუბოზე დაჭედებული ბოლო ლურსმანია და პირიქით — პრორუსული განწყობებისთვის კიდევ ერთი წონადი არგუმენტია. კიდევ ერთი, რადგანაც უმთავრესი ის არის, რომ, თუ არსებობს ბუნებაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი, ეს მხოლოდ მოსკოვში, ერთმორწმუნე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენაშია.

საქართველოში, რა თქმა უნდა, ჭკუათმყოფელ და თანაც ზნეობასთან მწყრალად არ მყოფ ხალხს ვგულისხმობ და არა, უკეთეს შემთხვევაში, უტვინო ურაპატრიოტებს და უარესში პროამერიკელ მონა კომფორმისტებს.

ურიგო არ იქნება, თუ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების პერსპექტივის მძლავრ არგუმენტთან ერთად, რაზეც მუდმივად აპელირებენ ხოლმე პრორუსულობის იარლიყმიწებებული ბურჯანაძე-კუკავას პარტიები, ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად მესაჯდომეების უპირობო მხარდაჭერის და „უმნიშვნელო“, მაგრამ ზნეობრივ არგუმეტებსაც გამოიყენებენ ამერიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის გულახდილობის სახით საკუთარი პოლიტიკური ვექტორის სასარგებლოდ.

**დავით მხეიძე**



## ვლადიმერ პუტინი ბელარუსს ეწვია

**მოლდოვასა და რუსეთს შორის გამწვავებული ურთიერთობების ფონზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ბელარუსს ეწვია.** ვიზიტის ფარგლებში პუტინსა და ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შორის შეხვედრა გაიმართა. ბელარუს კოლეგასთან საუბრისას მან ხაზი გაუსვა რუსეთის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ბელარუსის მიმართ და პირობა დადო, რომ ქვეყანას კიდევ ერთ ტრანშს გამოუყოფს. შეხვედრისას საუბარი ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებასაც შეეხო. ვიზიტის დასასრულს პუტინმა ლუკაშენკო მოსკოვში მიიწვია. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთსა და ბელარუსს ურთიერთობა განსაკუთრებით დაეძაბათ, რაც ორი ქვეყნის ლიდერების მწვავე განცხადებებშიც აისახა.



## ნაზარბაევმა ყაზახი მესაზღვრეების დაღუპვას ტერაქტი უწოდა

**ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ალმა-ატაში 15 მესაზღვრის დაღუპვას ტერორისტული აქტი უწოდა.** „მე ვთვლი, რომ ეს არის ტერორისტული აქტი. ალბათ, ეს იყო შიდა კონფლიქტის შედეგი, თუმცა ამაზე დარწმუნებით საუბარი ჯერ ნაადრევია“, — აღნიშნა ნაზარბაევმა. პრეზიდენტის თქმით, ჯარისკაცების ყაზარმები და ოფიცერების სახლი დაწვეს. ყაზახეთის პრეზიდენტი აღნიშნული საქმის დეტალურ გამოძიებას აუცილებლად მიიჩნევს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ყაზახეთის სამხრეთ აღმოსავლეთით, ალმა-ატას სასაზღვრო პუნქტთან ხანძარს 15 მესაზღვრის სიცოცხლე ემსხვერპლა.

## პატრიოტიზმი ობამასეულად

„სრული შემოწმება პატრიოტიზმზე — ეს არის მზადყოფნა თავისუფლად და თავაზიანად დაუთმო მმართველობის საჭე სხვას“, — ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მისი წინამორბედის — ჯორჯ ბუშ უმცროსისა და მისი მეუღლის — ლორა ბუშის პორტრეტების წარდგენისას თეთრ სახლში განაცხადა. ობამამ აშშ-ის პირველი პრეზიდენტის — ჯორჯ ვაშინგტონის მაგალითი მოიყვანა, რომელმაც საფუძველი დაუდო უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების გადაცემას. „ჩვენ მივყვებით ამ სწორ აზროვნებას და გმირულ მაგალითს“, — განაცხადა ობამამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ჯორჯ ბუშსაც, რომელიც სამი წლის წინ, კრიზისის დროს, თავად შეცვალა.



## ანგელა მერკელი: სირიაში კატასტროფული სიტუაციაა

**გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი სირიაში არსებულ სიტუაციას კატასტროფულს უწოდებს.** „სირიაში კატასტროფაა“, — განაცხადა მერკელმა ბალტიის ზღვის საბჭოს წევრი სახელმწიფოების შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას. შეგახსენებთ, რომ გერმანიამ ჰულაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მსგავსად, თავისი ქვეყნიდან სირიელი დიპლომატები გააძევა.

განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საჭიროა, წინ აღვუდგეთ მსოფლიო ბატონობის ამერიკულ პოლიტიკას. წინააღმდეგობა პოლიტიკური უნდა იყოს, მაგრამ — უაღრესად ენერგიული, ყველა დამოუკიდებელი ქვეყნის მონაწილეობით, ვითარება თავისთავად არ განიმუხტება.**

# ახალი ომი გარდაუვალია

**დღევანდელი მსოფლიო ერთი საერთო თვისებით ხასიათდება — არასტაბილურობით: არ მშვიდდება ახლო აღმოსავლეთი, ბობოქრობს ევროპა, აშშ და ისრაელი ირანს თავდასხმით ემუქრებიან, ჩინეთში ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელდა.**
**რას უნდა ველოდოთ?**
**„თავისუფალი პრესის“ ამ და სხვა შეკითხვებს უპასუხებს რუსეთის ფედერაციაში იუგოსლავიის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, იუგოსლავიის უკანასკნელი პრეზიდენტის — სლობოდან მილოშევიჩის ძმა ბორისლავ მილოშევიჩი.**


ბორისლავ მილოშევიჩი

**— ევროპით დავიწყოთ.**

— ევროკავშირის შესაძლო დაშლის ნიშნები სახეზეა. კავშირის წევრ ბევრ ქვეყანაში კრიზისია. ეს არის საბერძნეთი, პორტუგალია, აგრეთვე, ესპანეთი, იტალია, პლიუს პრაქტიკულად მთელი „ახალი ევროპა“, კერძოდ, ბულგარეთი, რუმინეთი, ბალტიისპირა ქვეყნები. თავის დროზე ეს „ახალი ევროპა“ საჩქაროდ შეიყვანეს ევროკავშირში, რასაც საფუძვლად კონკრეტული მიზეზები ედო — რაც შეიძლება მალე ხელთ ეგდოთ ის, რაც უწინ სსრ კავშირის გავლენის სფეროს მიეკუთვნებოდა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი: ევროკავშირში შესვლისთანავე დაიწყო ამ ქვეყნების დეგრადაცია.

სავსებით შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ზოგიერთმა ამ ქვეყანამ დატოვოს ევროპული გაერთიანება. ყოველ შემთხვევაში, ამ კავშირის „პირველი ვიოლინო“ — გერმანია სწორედ ამითაა დაინტერესებული. აი, ამერიკა — არც თუ ძალიან.

**— შეძლებს აშშ უახლოეს წლებში შეინარჩუნოს გლობალური დომინირება?**

— საერთაშორისო ურთიერთობათა ორპოლუსიანი სისტემის კრახის შემდეგ ამ სახელმწიფომ დაიწყო „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნა იმპერიული პოლიტიკის განხორციელების გზით. „დემოკრატიის მთავარი იმპორტიორი“ თავისი წესისა და რიგის დამყარებას ცდილობს, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში, რისთვისაც აქტიურად იყენებს თავის მოკავშირეებს, მაგალითად, საუდის არაბეთს, და სხვადასხვა რეგიონულ ფაქტორებს. აშკარა ხდება თურქეთის გააქტიურება ამ მიმართულებით — ოტომანთა ყოფილ იმპერიაში თავისი გავლენის აღსადგენად. ეს აშკარად ჩანს ბალკანეთშიც, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში — სადაც, როგორც ტერიტორიაზე, თურქეთის გავლენაა გასაძლიერებელი, დაუფარავად ლაპარაკობენ თურქეთის მაღალი რანგის მოღვაწენი.

მიუხედავად ამისა, აშშ კრიზისშია. ბევრ საკითხში აშკარად გამოვლინდა მისი სისუსტე. მძიმე პრობლემები დაუგროვდა შიდა პოლიტიკაში. სიძნელეებია ფინანსებში — გახსოვთ, როგორ გაურთულდათ სახელმწიფო ვალის თამასის აწევა? არადა, ეს უდიდესი ვალია: 14 ტრილიონი მარტო ფედერალური ვალია (თანაც იგი გამუდმებით მატულობს), რასაც ვერასოდეს გაისტუმრებენ. ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ „ამერიკა უკვე ის არ არის“, ყოველ შემთხვევაში, მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს ყველაფერი მსოფლიო ურთულესი სიტუაციის გაუარესების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანია.

თავისთავად ცხადია, რომ მსოფლიო ბატონობის მცდელობა, რომელსაც აშშ თავის მოკავშირეებთან ერთად განახორციელებს, ძალიან საშიშია. მართალია, იგი გადამწყვეტად ვერ იმოქმედებს რუსეთსა და ჩინეთზე, მაგრამ ეს „ახალი“ იმპერიალიზმი ემუქრება საერთაშორისო სტაბილურობას და ამრავლებს პრობლემებს დედამიწის სხვადასხვა წერტილში. ხვალ შეიძლება დაიწყოს ახალი დაპყრობითი ომები, თანაც არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, სირიაში, არამედ ირანშიც, რომლის წინააღმდეგ დარტყმა ამერიკის მხრიდან პრაქტიკულად გარდაუვალია... ანუ ახალი ომები გარდაუვალი მეჩვენება.

**სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის დაწყების კვირაძალს გვაგონებს, რომელსაც უაღრესად სერიოზულად და უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. ეს ეხება რუსეთსაც. საჭიროა, წინ აღვუდგეთ მსოფლიო ბატონობის ამერიკულ პოლიტიკას. წინააღმდეგობა პოლიტიკური უნდა იყოს, მაგრამ — უაღრესად ენერგიული, ყველა დამოუკიდებელი ქვეყნის მონაწილეობით, ვითარება თავისთავად არ განიმუხტება.**

**— შეგიძლიათ გაავლოთ პარალელი 1999 წლის იუგოსლავიის მოვლენებსა და 2011 წლის ლიბიის მოვლენებს შორის?**

— ანგარიშის გასწორება ლიბიასთან ამერიკა-ნატოს ისტორიის ყველაზე სამარცხვინო ფურცელია. ქვეყანა განადგურებულია, მისი ლიდერი მხეცურადაა მოკლული, რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა კი ძალაუფლებას ნატოს ხიშტების წყალობით ინარჩუნებს. ამ ბინძურ ისტორიაში თავი ისახელეს ევროპაში ამერიკის ვასალებმა, ყველაზე მეტად — საფრანგეთმა.

დამაფიქრებელია, რომ ამ არამზადობას მსოფლიო უსულგულოდ ადევნებდა თვალს, ისევე, როგორც ეს იუგოსლავიის შემთხვევაში იყო. სწორედ ესაა, ჩემი აზრით, ძირითადი მსგავსება, რაც დიდად სამწუხაროა.

ვინაა შემდეგი? ახლო აღმოსავლეთის „რევოლუციების“ უხილავი ჩრდილი პოსტსაბჭოთა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს ეფინება, აგრეთვე, ამიერკავკასიას. ეს ქვეყნები ხვალ შეიძლება გახდეს ირანზე, მომავალში კი, ამას ვერ გამოვრიცხავთ, რუსეთზე თავდასხმის პლაცდარმი.

თითქმის 10 წლის წინათ, 2002 წელს, აშშ-ში შეიმუშავეს „დიდი ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაციის“ ე. წ. დოქტრინა. „დიდისა“ იმიტომ, რომ აშშ-მა აქ ჩართო ავღანეთი და პაკისტანი. ამერიკელები ამბობენ, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორი მათ მიწაზე მოვიდა, და ამიტომ იგი გადატანილი უნდა იქნას იქ, სადაც იშვა. ეს „დოქტრინა“ იმპერიული პოლიტიკის იდეოლოგიური დასაბუთებისა და გამართლების მცდელობაა.

ამ ამერიკულ „დოქტრინაში“ ნახსენები არ არის უმთავრესი — ენერგეტიკული რესურსები, ახლო აღმოსავლეთის ნავთობი, თხევადი ნახშირწყლების გადაზიდვის მაგისტრალები, მოკლედ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სივრცე, რომლის სრული გაკონტროლება სურთ ამერიკელებს. ეს სურვილი არის მათი პოლიტიკის ძრავა.

ბჟეზინსკის, ოლბრაიტს, მაკკეინს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ რუსეთი ფლობს უთვალავ სიმდიდრეს, რომელიც სხვებმაც უნდა გაინაწილონ. მაკკეინმა ისიც კი თქვა, რომ ლიბიელი ამბოხებულების მაგალითმა უნდა აღაფრთოვანოს რუსეთი და ჩინეთი! ასე რომ, რუსეთის დანაწევრების, მის სიმდიდრეთა დაუფლების სურვილი სახეზეა. თუ რუსეთი არ გადაწყვეტს თავის დემოგრაფიულ პრობლემებს, თუ არ განავითარებს მეცნიერებას, მრეწველობას, თუ შეასუსტებს თავდაცვისუნარიანობას, დააკნინებს სამხედრო პოტენციალს (ასეთი ტენდენციები კი შეიმჩნევა), ვერ გამორიცხავს მისი უზარმაზარი ტერიტორიის გადანაწილებას.

ყველამ უნდა გაათვითცნობიეროს: 90-იან წლებში განცხადებული მსოფლიო ახალი წესრიგი არის მსოფლიო ბატონობის, მსოფლიო პროცესებისა და რესურსების, უწინარესად, ენერგეტიკული რესურსების მართვის კურსი. ასეთ პოლიტიკას წინ უნდა აღვუდგეთ!..

**— რუსეთს ტრადიციულად გამოარჩევდა თბილი დამოკიდებულება სერბებისადმი. როგორ აფასებთ რუსეთის დღევანდელ პოლიტიკას სერბეთის მიმართ?**

— მე ისეთ სიტყვებს გამოვიყენებდი, როგორიცაა „დახმარება“ და „მოკავშირეობა“... მაგრამ ზოგჯერ ყალიბდება ისეთი სიტუაციები, როცა გინდა, რომ რუსები იყვნენ „უფრო მეტად სერბები“, როცა სასურველია, რომ მათ აღიმაღლონ ხმა კოსოვოს ჩრდილოეთის სერბების დასაცავად. ამჟამად ამ პატარა რეგიონში გლობალური ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს. საკითხებიც გლობალური დგება: საერთაშორისო სამართლიანობის დაცვა, იმ ხალხის ადამიანის უფლებათა დაცვა, რომელიც საკუთარ მიწაზე გადაშენების საშიშროების წინაშე დგას...

**— როგორ გესახებათ რუსეთის მომავალი?**

— ამჟამად რუსეთის წინაშე სერიოზული პრობლემები დგას. უპირველესად, სახელმწიფომ უნდა დაძლიოს ურთულესი დემოგრაფიული კრიზისი. თუ რუსეთი ამის გაკეთებას ვერ შეძლებს, თუ არ აღკვეთს მეცნიერებისა და მრეწველობის დაცემას, თუ ვესტერნიზაციიდან მეურნეობის ნამდვილ ეროვნულ მოდერნიზაციაზე არ გადავა, თუ არ განამტკიცებს თავის ისტორიულ იდეალებს, არ შეინარჩუნებს თავის ცივილიზაციას და არ დაუშვებს მის ჩანაცვლებას სხვა ცივილიზაციით, იგი თავს ვერ დააღწევს თავისი უზარმაზარი ტერიტორიის გადანაწილებას. ამ სივრცეებს მისჩერებიან ისინი, ვინაც რუსი ხალხის სიმდიდრე „საყოველთაო საკუთრებად“ გამოაცხადეს.

მე არ მჯერა „რუსეთის დაღუპვის“ პროგნოზების, მაგრამ დიდი შრომა მოუწევთ როგორც უბრალო მოქალაქეებს, ასევე ხელისუფლებას, რათა მოიპოვონ სრულფასოვანი ცხოვრების უფლება — როგორც პირადი, ისე სამოქალაქო, თანამედროვეობის ყველა სიძნელისა და საფრთხის მიუხედავად.


ომის სისხლიანი კადრები. სერბეთი

მოკლედ

## იტალიაში მიწისძვრას 13 ადამიანი ემსხვერპლა

**იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში 5,8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი ბოლონიიდან ჩრდილო-დასავლეთით იყო.** პირველი მიწისქვეშა ბიძგების შემდეგ განმეორებითი მიწისძვრაც დაფიქსირდა, რომლის სიმძლავრეც 5,3 მაგნიტუდას შეადგენდა. ამ დროისათვის არსებული ინფორმაციით, მიწისძვრისგან გამოწვეული ნგრევის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა. მანამდე 10 დაღუპულის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია. დაშავებულია დაახლოებით ასი ადამიანი. მიწისქვეშა ბიძგების შედეგად მრავალი სახლი დაინგრა, ასობით ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

## კოფი ანანი: სირია ტოტალური ომისკენ მიექანება

სირიაში გაეროსა და არაბეთის სახელმწიფოების ლიგის სპეცწარგზავნილმა კოფი ანანმა მსოფლიო გააფრთხილა, რომ ქვეყანა ტოტალური ომისკენ მიექანება. მისი თქმით, ომის საფრთხე დღითიდღე იზრდება. სირიაში შექმნილი ვითარება მოითხოვს პრეზიდენტ ბაშარ ასადის წასვლას, ამის შესახებ კი პარიზში ფრანსუა ოლანდმა ვლადიმერ პუტინთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. სირიის ოპოზიცია მიიჩნევს, რომ რუსეთი ხელს არ უწყობს კრიზისის დარეგულირებას და ასადის ხელისუფლებას უჭერს მხარს. სირიის ანტისამთავრობო აქციების მონაწილეთა განცხადებით, გასული წლის მარტიდან სირიაში 15 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

**საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის რისკის ფასად, უცხო ქვეყანაში ჩვენი ჯარისკაცების დაღვრილი სისხლის ფასად ხდება მხოლოდ ერთი ადამიანის (მასთან ერთად — მმართველი კლანის) პირადი ინტერესების დაკმაყოფილება — გადაფაროს თავისი ანტიდასავლური, ანტიდემოკრატიული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, მოაგვაროს თავისი კომერციული ინტერესები და მოიპოვოს მხარდაჭერა ხელისუფლებაში ყოფნის გასაგრძელებლად, ამიტომ ამ ვაჟკაცების სისხლიც მთლიანად ხელისუფლების სინდისზეა!**

ფოსტა



# რისთვის იღვრება ქართული სისხლი ავღანეთში

**საქართველოში დღეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული კითხვაა: რატომ და რისთვის მონაწილეობს საქართველო ნატოს ISAF-ის ოპერაციაში, ანუ რატომ იბრძვიან ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში, მითუმეტეს ნატოს არაწევრ სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდი კონტინგენტით წარმოდგენილი (ამჟამად 936 ჯარისკაცია და 749 დამატებით ემზადება წასასვლელად), თან ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო და რთულ უბანზე — ჰელმანდის პროვინციაში?**



ყოველი მეომრის დაღუპვა (სამწუხაროდ, უკვე მეთექვსმეტე დაიღუპა, ღმერთმა აცხონოს მათი სულები) საზოგადოებაში იწვევს ამ თემაზე ახალ-ახალ ცხარე დისკუსიებს. გარკვეული ნაწილისთვის ეს კითხვა პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებისა და სპეკულაციის საბაბი გახდა.

ქართული სამხედრო კონტინგენტის ავღანეთში ყოფნას (მითუმეტეს, მსხვერპლს!) უნდა ჰქონდეს გამართლება, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან უნდა მომდინარეობდეს. რა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე შეიძლება ამ შემთხვევაში ლაპარაკი? ხელისუფლებისა და მისი სატელიტ-მომსახურე პარტიების „პასუხი" შედგება „ლოკალური", ანუ საქართველოს ინტერესებით დასაბუთებული, და „გლობალური", ანუ მსოფლიო ინტერესებით არგუმენტირებული ნაწილებისგან.

**I. ლოკალური** — „ქართულ ჯარს ბევრი რამის სწავლა სჭირდება — საქართველო ავღანეთში უფრო რელევანტურ გამოცდილებას იღებს, რადგან იქ რეალური ბრძოლა მიმდინარეობს. ამგვარ გამოცდილებას კი ვერც ერთი წვრთნა ვერ შეცვლის... მნიშვნელოვანია პარტიზანული ბრძოლისთვის საჭირო უნარების განვითარება, ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობა კი ამის საშუალებას იძლევა... გარდა ამისა, NATO-ს ძალებთან საქართველოს შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობაც უმჯობესდება...".

**II. გლობალური** — „ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების, „თალიბანის", „ალ ქაიდასა" და მსგავსი დაჯგუფებების განეიტრალება დღეს თავისუფალი სამყაროსთვის და მსოფლიო უსაფრთხოებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავის დროზე ნაციზმსა და კომუნიზმთან ბრძოლა იყო... ISAF-ის მისია რეგიონში სტაბილურობის დამყარებას ესწრაფვის და საქართველო, როგორც ცივილიზებული სამყაროს ნაწილი და დასავლეთის ფორპოსტი რეგიონში, თავის სამოკავშირო ვალდებულებას ასრულებს... თუ ახლა ჩვენ დავუდგებით დასავლეთს გვერდით, ისიც დაგვიჭერს მხარს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში".

ნატოს ISAF-ის ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობის მოტივის კონსტატაცია ხელისუფლების, მისი სატელიტი ფსევდოოპოზიციური პარტიებისა და კარის-ექსპერტების ციტირებულ ტექსტებში ძირითადად სწორია, მაგრამ როგორც საქართველოს დღევანდელი თავდაცვითი პოლიტიკის სისწორის დასაბუთება და საქართველოსადმი ამ ხელისუფლების ერთგულების ილუსტრირების მცდელობა, ეს მსჯელობა პირწმინდად ყალბია. **საქართველოს მთავრობას არ აქვს არც სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე და არც ქვეყნის ერთგულება, რომლითაც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი შეიძლება გაიაზროს.**

თუ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგადად ჩამოვაყალიბებთ საქართველოს სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობის არსს ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში, **ეს მისია ხელს უნდა უწყობდეს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგიის იმ ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების ხორცშესხმას, რომელსაც ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაცია ჰქვია** (სხვათაშორის, ამისთვის იბრძოდა ეროვნული მოძრაობა და გვაქვს ისტორიული გამოცდილება), მაგრამ **რამდენად ემთხვევა ეს დეკლარირებული პოზიცია ხელისუფლების რეალურ მოტივებსა და მიზნებს? რამდენად გულწრფელი და თანმიმდევრულია საქრთველოს მთავრობა დეკლარირებული ამოცანების რეალიზაციის პროცესში? მართლა ეს მიზანი აქვს ხელისუფლებას დასახული და ამას ეწირება ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლე? ნამდვილად ემსახურება თუ არა ქართული კონტინგენტის ყოფნა ავღანეთში სახელმწიფოებრივ ინტერესებს?**

## სააკაშვილის რეჟიმის ქმედებები საქართველოში ნატოს ავტორიტეტს აუფასურებს და ანტინატოური პოზიციების გაძლიერებას იწვევს

ვნახოთ, სრულდება თუ არა ის უმთავრესი მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისთვის:

არმია, ეს სახელმწიფოებრივი სეგმენტი, ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობისკენ გადადგმული ნაბიჯების ერთ-ერთ გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს: შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაციის, შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის არსებობისა და ჯარისკაცთა უფლებების დაცვის გარეშე ნატოს სტანდარტებამდე მისვლა შეუძლებელია. **რამდენად ნებაყოფლობითია ავღანეთში წასვლა შეიარაღებული ძალებში გაუმჭვირვალობის გამო, საზოგადოება არ არის დარწმუნებული.** ასევე, მთავრობის ბარბაროსობაა ის, რომ საზოგადოებამ არ იცის ჩვენი ღირსეული მეომრების დაღუპვის ფაქტებიც კი, მითუმეტეს, მათი დაღუპვის დეტალები — მათი ჩამოსვენებისა და დასაფლავების ამბავი. საბჭოთა ტრადიციისამებრ, ამ ფაქტების გასაიდუმლოებით ხელისუფლება თავის თავს შიფრავს. **საზოგადოებაში ნატოს მიმართ უკმაყოფილებას ზრდის ქართველი და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების ფინანსური ანაზღაურების ოდენობაში დიდი სხვაობა, მითუმეტეს, რომ ფინანსური პრობლემების მოგვარება წამსვლელთა ერთ-ერთ მთავარ მოტივაციას წარმოადგენს** (საბჭოთა დროსაც კი ავღანეთში მომსახურე ქართველ, რუს, უზბეკ მეომრებს თანაბარი ანაზღაურება ჰქონდათ). აღნიშნული სხვაობის შემცირებას ხელისუფლება არც ცდილობს და არც იმის ახსნას აპირებს, თუ სად მიდის ამ ოპერაციისთვის გამოყოფილი სახსრები. ასევე ნათლად ჩანს, რომ ნატოს ხელმძღვანელობა და დასავლელი პოლიტიკოსები უფრო აქცევენ ყურადღებას და ზრუნავენ ქართველი ჯარისკაცების შემდგომ ბედზე, ვიდრე საქართველოს მთავრობა. ერთადერთი, რაშიც ვეთანხმებით ხელისუფლებას, არის ის, რომ „ამგვარ გამოცდილებას ვერც ერთი წვრთნა ვერ შეცვლის". მაგრამ ესეც ხელისუფლების განსაკუთრებული დამსახურება არ არის, ბიჭები იბრძვიან და თან სწავლობენ.

კარგია, საქართველო მსოფლიოში დემოკრატიის დაცვაგანვითარების საქმეში რომ „მონაწილეობს", მაგრამ როგორ დავიჯეროთ ხელისუფლების გულწრფელობა, როცა საქართველოში მისი ტირანიის განუხრელი დამკვიდრება ხდება! დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე ხომ გაჩერება — „ტირანია" არ არსებობს! თუ ასე არ არის, მაშინ სად არის ის თანმდევი ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს ევროკავშირისა და ნატოს წევრობისთვის აუცილებელი მთელი რიგი კონკრეტული მოთხოვნების შესრულებას? საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის დაწყების (სასამართლო, პოლიცია, თვითმმართველობა და სხვ.) და დემოკრატიული სამართლიანი არჩევნებით ხელისუფლების შექმნის გარეშე დეკლარირებული მიზნების მისაღწევად ავღანეთში დაღვრილი ქართული სისხლი შედეგს ვერ მოიტანს!

**სააკაშვილის რეჟიმი კიდევ ერთხელ ამტკიცებს თავის იდენტურობას თავის სულიერ წინაპრებთან — ბოლშევიკებთან, რომელნიც მსოფლიოში „მშვიდობას" იცავდნენ, ქვეყნის შიგნით კი — დესპოტიას. დღეს ქართველი ნეობოლშევიკები ავღანეთში თითქოს ისლამისტ-ფუნდამენტალისტების წინააღმდეგ ჯარს აგზავნიან, საქართველოში კი მათ მწვანე შუქი აქვს ანთებული.** ავღანეთის პრობლემის მოგვარების პროცესში რუსეთიც მონაწილეობს, ოღონდ არა სამხედრო კონტინგენტით, როგორც ნატოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა. **ხელისუფლება მსოფლიო საზოგადოებას რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევს, რის გამოც ამერიკის უკიდურესი მემარჯვენე პოლიტიკოსების მხარდაჭერით სარგებლობს, თვითონ კი ამ ნდობას ქართულ საზოგადოებაზე ძალადობისა და საქართველოში ავტოკრატიული რეჟიმის დამკვიდრების აუცილებლობის დამტკიცებისთვის იყენებს.**

ალსანიშნავია ისიც, რომ, სამხედრო ფორმატის გარდა, ავღანეთის ოპერაცია ითვალისწინებს ბევრ სხვა, მათ შორის, კომერციულ პროექტებს. საილუსტრაციოდ, ქართული საზოგადოება ცოტა ხნის წინ მოწმე გახდა ქართული ავიაკომპანიების ბრძოლისა სატრანსპორტო გადაზიდვების ქართული წილის გადასანაწილებლად.

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ **სააკაშვილის რეჟიმის ასეთი ქმედებები საქართველოში ნატოს ავტორიტეტს აუფასურებს და ანტინატოური პოზიციების გაძლიერებას იწვევს.**

საქართველოს ხელისუფლებას თუ მართლა უნდა, რომ საქართველო გახდეს ცივილიზებული სამყაროს ნაწილი და დასავლეთის ფორპოსტი რეგიონში, მან უნდა შეასრულოს სამოკავშირო ვალდებულება არა მხოლოდ ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში ცივილიზებული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ელემენტარული ნორმების მდგრადი სისტემის დანერგვით. და რამდენადაც ამ მნიშვნელოვან საქმეში **ხელისუფლება არ ცდილობს საზოგადოების მხრიდან ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვებას,** შეგვიძლია დიდი ალბათობით ვამტკიცოთ, რომ **საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის რისკის ფასად, უცხო ქვეყანაში ჩვენი ჯარისკაცების დაღვრილი სისხლის ფასად ხდება მხოლოდ ერთი ადამიანის (მასთან ერთად — მმართველი კლანის) პირადი ინტერესების დაკმაყოფილება — გადაფაროს თავისი ანტიდასავლური, ანტიდემოკრატიული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, მოაგვაროს თავისი კომერციული ინტერესები და მოიპოვოს მხარდაჭერა ხელისუფლებაში ყოფნის გასაგრძელებლად, ამიტომ ამ ვაჟკაცების სისხლიც მთლიანად ხელისუფლების სინდისზეა!**

თუ ხელისუფლებას დამატებითი არგუმენტები გააჩნია თავისი პოლიტიკის გასამართლებლად, ჩვენს პრინციპულ დებულებებში ასახულ ყველა თემაზე დისკუსიისთვის მზად ვართ.

**მამუკა გიორგაძე,**
**პაატა კოღუაშვილი**

## საქართველოს მთავრობას არ აქვს არც სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე და არც ქვეყნის ერთგულება, რომლითაც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი შეიძლება გაიაზროს

არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტრატეგია, რომელიც დასავლეთმა ლიბიისა და სირიის მსგავსად ბელარუსის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენოს, არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ანალიტიკოსები მიგვითითებენ, რომ ეს სტრატეგია ორდონიანია. და მეორე დონე (ძალის გამოყენებით) დასავლეთისთვის ძირითადია. მისი მიზანია ბელარუსის ხელისუფლების დისკრედიტაცია, „ლუკაშენკოს რეჟიმს“ (როგორც „კადაფის რეჟიმს“, „ასადის რეჟიმს“) წარმოგვიდგენენ მორიგ „სისხლიან დიქტატურად“, რომელიც ხალხის ნების ნებისმიერ გამოხატვას ძირშივე ახშობს.**

# ყელში გაჩხერილი ძვალი, ანუ დასავლეთი ბელარუსს ლიბიის სცენარს უმზადებს

**ბელარუსი დასავლეთის ყელში გაჩხერილი ძვალივითაა. ვერა და ვერ მოუნელებიათ, რომ ბატკო — ალექსანდრე ლუკაშენკო ვერ აიძულეს, ოკეანის იქიდან ამოსულ მზეზე ელოცა. არც თვითონაა სალოცავი და სახატე ლიდერი, ძნელია სიმპათიურად განეწყო ამ, ცოტა მოძველებული ყაიდის პრინციპულობის აბჯარასხმული კაცის მიმართ, ცოტა — ნარცისული ელემენტები, ცოტა — დიქტატორული ჩვევები, კომპრომისების სრული უგულებელყოფა და ოპოზიციის მიმართ შეურიგებლობა... და კიდევ — ეს ხმა, თითქოს ვიღაც ყელში სწვდა და ახრჩობს...**



**დასავლეთის მიზანია ბელარუსის ხელისუფლების დისკრედიტაცია, «ლუკაშენკოს რეჟიმს» წარმოგვიდგენენ მორიგ „სისხლიან დიქტატურად“, რომელიც ხალხის ნების ნებისმიერ გამოხატვას ძირშივე ახშობს**

მაგრამ, რა გინდა: ქვეყანა არ დაუნგრევია, სამათხოვროდ არ გაუწირავს ხალხი, ტერიტორია არ დაუკარგავს, სახელმწიფოს მართვის მექანიზმები არ მოუშლია. შეინარჩუნა ძველი სტრუქტურები და კადრები, მაგრამ ამით არაფერი დაუშავებია.

**ორიოდ წლის წინათ ჩვენი გაზეთის ერთი ძველი ავტორი მოვიდა რედაქციაში, აგრონომი კაცი, რომელსაც კარგა ხნის მანძილზე გაწყვეტილი ჰქონდა ჩვენთან ურთიერთობა.**

**— რა მოხდა-მეთქი, — ვკითხე, — ხომ მშვიდობაა?**

**— მშვიდობაცაა და მეტიცო, — მიპასუხა და მოყვა, როგორ ჩავიდა ბელარუსში, როგორი პატივისცემით მიიღეს იქაურებმა და ერთ-ერთი კოლმეურნეობის მთავარი აგრონომობა შესთავაზეს. ძალიან სჭირდებათ გამოცდილი სპეციალისტებიო.**

**ახლა ოჯახიც მიჰყავდა და დასამშვიდობებლად იყო მოსული.**

ლუკაშენკოს დროს ქარხნები ჯართად არ გაუყიდიათ, არც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაუძარცვავთ.

რა თქმა უნდა, **ბელარუსში სამოთხე არ არის, მაგრამ ხალხი ნორმალურად ცხოვრობს და „პერსპექტივის განცდა“ კი არ ასულდგმულებს, არამედ — გარანტირებული სამუშაო და, ქვეყნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სოციალური უზრუნველყოფა.**

ეს ყველაფერი ერთი მხარეა.

ბუნებრივია, არის სხვა მხარეც, პოლიტიკური კლიმატი ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ პროდასავლური აქცენტით.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მოწყობილი ოპოზიციური ინფრასტრუქტურის წმენდის შემდეგ ბელარუსის პროდასავლური ძალები ჯერ კიდევ არ არიან გონს მოსული. მოძრაობა დანაწევრებულია, პარტიული და სხვა საზოგადოებრივი სტრუქტურები ძალაგამოცლილია, ყრუდ და გაუგებრად ყალიბდება საერთო მიზნები და ამოცანები, არ არსებობს ერთიანი სტრატეგია და ტაქტიკა.

ასეთ შეფასებას ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტებიც იზიარებენ და აღნიშნავენ, რომ **ოპოზიციური მოძრაობა ვერ გამოაცოცხლა დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ ალეს ბელიაცკისთან, ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერთან, დაკავშირებულმა პროვოკაციამ,** რომელიც შარშან მოეწყო. ჩაიფუშა ბელარუსი უფლებადამცველისგან ახალი ლეხ ვალენსას, ვაცლავ ჰაველის ან ნობელის პრემიის ახალი ლაურეატის გამოძერწვის მცდელობა.

ძნელი მოსაცილებელია ყელში გაჩხერილი ძვალი, მაგრამ **ევროატლანტიკური „დემოკრატიზატორების“ კარგად დაფინანსებული მონდომება ახალი და ახალი სტრატეგიული მიმართულებებით ორსულდება** ასეთი დისკომფორტის დასაძლევად.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამ სტრატეგიებიდან ერთ-ერთი შედარებით მშვიდია და გარეგნულად დაცლილია აგრესიისგან. ლაპარაკია აღმოსავლურ პარტნიორობაზე.

მეორე უფრო ხისტია, დაკავშირებულია პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან და მიმართულია ვადამდელი უპირატესობის მისაღებად ბელარუსის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კვირაძალს. მოლაპარაკებები, როგორც ჩანს, ივნისში დაიწყება.

დასავლეთში შეეცადნენ, ჩამოეყალიბებიათ მოლაპარაკების მესამე, მაქსიმალურად ხისტი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის ჩათრევას გაძევებული ევროპელი დიპლომატების კონფლიქტში და **ბელარუსში სირიის მსგავსად ახალი „ცხელი წერტილის“ ფორმირებას, „მაგრამ ეს სტრატეგია მინსკისა და მოსკოვის შეთანხმებული მოქმედების წყალობით ჩავარდა ისე, რომ, ფაქტობრივად, არც დაწყებულა“,** — აღნიშნავენ ექსპერტები.

ამ განუხორციელებელი გეგმის ჩავარდნამ ბიძგი მისცა ახალ პროვოკაციას, რომელიც ერთგვარად მოულოდნელიც კი იყო.

**წლევანდელ მაისში ბელარუსმა პოლიტემიგრანტებმა, ძირითადად, ბელარუსის სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომლებმა, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ევროპაში და ევროპელ კოლეგებთან ურთიერთობაში არიან „შემჩნეულნი“, წამოაყენეს ინიციატივა „ეროვნული გადარჩენის საბჭოს“ შექმნის თაობაზე.**

**საბჭო — ამ ეტაპზე, ხვალ-ზეგ — „დევნილობაში მყოფი მთავრობა“.**

ნაცნობი მოვლენაა, ისტორიაში არსებული, „დეჟავიუ“ მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან — ლონდონს თავშეფარებული „პოლონეთის მთავრობა“, დიდი პრეტენზიებითა და არაფრის მაქნისი, რომელმაც მხოლოდ ის მოახერხა, რომ ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ვარშავაში უდროო დროს და საბჭოთა სარდლობასთან შეუთანხმებლად წამოიწყო ავანტიურა — აჯანყება, რომელიც განწირული იყო და დამთავრდა კიდეც ტრაგიკულად.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ემიგრანტული „საბჭოს“ შექმნის შესახებ განაცხადა ორგკომიტეტის თავმჯდომარემ, სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოს (გრუ) სპეცდანიშნულების ცალკე ბრიგადის ყოფილმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა ვლადიმერ ბოროდაჩმა. მის მოადგილედ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი მაიორი ონუფრი რომანოვიჩი დაინიშნა.

ყოფილი უფროსი, ყოფილი მაიორი! გჯერათ, რომ არსებობენ ყოფილი ჩეკისტები?!

რა თქმა უნდა, არ გჯერათ, რადგან ჯერ არავის უნახავს ასეთი „ყოფილები“.

ამიტომაა, რომ ცოტა კომიკურად ჟღერს მათ მიერ გაცხადებული „დაუნდობელი ბრძოლისკენ“ მოწოდება „დიქტატურის წინააღმდეგ“.

მიმომხილველებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ, რომ **ბელარუსის წინააღმდეგ მიმართული „ინიციატივები“ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთის სივრცეში აპრობირებული სქემის ანალოგიურია — სირიის ან ლიბიის სცენარის გამეორებაა.**

„სიახლეც“ ეგ არის.

**და არც არაფერია ორიგინალური იმაში, რომ იმ სცენარში ყოფილი ბელარუსი ძალოვნებისთვის მარიონეტის როლია გათვალისწინებული: დიდი და პატარა როლები, რა თქმა უნდა, არ არსებობს, მაგრამ სამარცხვინო როლები თავზე საყრელია.**

კაცმა რომ თქვას, დასავლეთის „ინიციატივებს“ ბელარუსის ოპოზიციის აღფრთოვანება არ გამოუწვევია, ცივადაც კი შეხვდნენ. სპეციალისტები ასეთ გულგრილობას ხსნიან იმით, რომ, **ერთის მხრივ, კარგად გამოკვებილ ოპოზიციონერებს აშინებთ რესურსების გადანაწილება, მეორე მხრივ, „ბელარუსის რეჟიმის“ წინააღმდეგ მებრძოლი ახალი ჯგუფის მაქსიმალიზმმა შეიძლება გამოიწვიოს ადეკვატურად მკაცრი რეაქცია ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან. და ვინაიდან ემიგრანტები შორს არიან, დარტყმის მთელი სიმძიმე ადგილობრივი ოპოზიციის გადასატანი იქნება.**

არ დაიჯეროთ, რომ ოპოზიციაში მხოლოდ „ხალხისთვის წამებული რაინდები“ არიან გაერთიანებული, „კომფორტული ცხოვრების განცდა“ ამათთვის არც ახალია და არც მიუღებელი მწვალებლობაა.

**სტრატეგია, რომელიც დასავლეთმა ლიბიისა და სირიის მსგავსად ბელარუსის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენოს, არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.**

ანალიტიკოსები მიგვითითებენ, რომ ეს სტრატეგია ორდონიანია. და მეორე დონე (ძალის გამოყენებით) **დასავლეთისთვის ძირითადია. მისი მიზანია ბელარუსის ხელისუფლების დისკრედიტაცია, „ლუკაშენკოს რეჟიმს“** (როგორც „კადაფის რეჟიმს“, „ასადის რეჟიმს“) **წარმოგვიდგენენ მორიგ „სისხლიან დიქტატურად“, რომელიც ხალხის ნების ნებისმიერ გამოხატვას ძირშივე ახშობს.**

ექსპერტების შეფასებებს თავი რომ მოვუყაროთ, ასეთ დასკვნამდე მივალთ:

„ბელარუსის ხელისუფლების დემონიზაცია, როგორც ინფორმაციულ ღონისძიებათა სისტემა, არის ბელარუსის მიმართ დასავლეთის ხანგრძლივი დროისთვის გათვალისწინებული პროექტის მთავარი ღერძი, მიზანი — არ დაუშვან „ტრანსატლანტიკური სოლიდარობის“ განვითარება რუსეთ-ევროპის თანამშრომლობის ხაზით, მოახდინონ რუსეთის ხელმძღვანელობის დემონიზაცია და ამ საფუძველზე უარი უთხრან „პუტინის რეჟიმს“, ისევე, როგორც „ლუკაშენკოს რეჟიმს“ — ცივილიზებულობასა და ევროპულობაზე“.

**მსოფლიოს „ერთი ბატონი უნდა მართავდეს“.**

**არმაზ სანებლიძე**

---

მოკლედ

## ირანმა ისრაელი კომპიუტერული ვირუსის გავრცელებაში დაადანაშაულა

თეირანმა ისრაელი ქსელში კომპიუტერული ვირუსის, Flame -ს გაშვებაში დაადანაშაულა. **რუსული მედიის ცნობით, მისი გამოვლენა რუსი სპეციალისტების დახმარებით მოხერხდა.** ირანში აცხადებენ, რომ „უკანონო რეჟიმის“ ასეთმა მავნებლურმა ნაბიჯმა ქვეყანას სერიოზული ზარალი მიაყენა და საიდუმლო დოკუმენტები დიდი რაოდენობით გაუნადგურა. ექსპერტების შეფასებით, ვირუსი ახლო აღმოსავლეთის კომპიუტერულ სისტემაში, 5 წელია, არსებობს და ორგანიზებული კიბერჯაშუშობის ნაწილია. მისი მსხვერპლი ირანის 189 და სირიის 30 კომპიუტერული სისტემა გახდა. ის ერთ-ერთი უძლიერესი ვირუსია, რომელსაც, სხვა ფუნქციებთან ერთად, კომპიუტერის მიკროფონის დამოუკიდებლად ჩართვა და მომხმარებელთა საუბრების ჩაწერაც შეუძლია.



**სააკაშვილი იმედოვნებს, რომ რეგიონული განვითარება დაეხმარება მას აფხაზეთის დაბრუნებაში. ლაზიკა აფხაზეთისა და ბათუმის გვერდით იქნება და ჩინოვნიკებს სჯერათ, რომ იქ მზარდი კეთილდღეობის საგანგებო ხაზგასმა დაარწმუნებს აფხაზებს, რომ თბილისის მმართველობის ქვეშ ისინი თავს უკეთ იგრძნობენ. პარლამენტის ქუთაისში გადატანა იმავე პროგრამის ნაწილია.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართული დემოკრატიზაციის» შავბნელი მხარე

**თავისუფლებას მეორე მხარეც აქვს. საქართველოში ეს გამოიხატება ციხეებში პატიმრების რაოდენობით – რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი, პროპორციული თვალსაზრისით, რუსეთზე მაღალია, ასევე, სასამართლო სისტემაში, რომელიც ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე თემად რჩება.**



**მაშინ, როდესაც საქართველოში დაახლოებით 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ქვეყანაში პატიმრების რაოდენობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში – 531 პატიმარი 100 ათას ადამიანზე.** და მაინც, ლონდონის ციხეების კვლევების საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით, საქართველო სერიოზულად ჩამორჩება ამ მხრივ მსოფლიო ლიდერს — შეერთებულ შტატებს, სადაც 100 ათას ადამიანზე 731 პატიმარი მოდის...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დეკლარირებული აქვს გამჭვირვალობისადმი ერთგულება, ინფორმაციის მიღებას პატიმრების რაოდენობასა და საპატიმროებში არსებულ პირობებზე, სირთულეები ახლავს, რადგან ხელისუფლება სერიოზულად ზღუდავს მსგავს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

ბოლო არგუმენტებად ისეთ დავაში, როგორიცაა შესაძლო ბოროტმოქმედებები საქართველოს საპატიმროებში, იქცა 1 მაისს გარდაცვლილი 39 წლის ზურაბ დელიანიძის სხეულზე არსებული აშკარა სისხლჩაქცევებისა და ღია ჭრილობების ამსახველი ფოტოები. დელიანიძე მარიხუანის შენახვის ბრალდებით ექვსწლიან სასჯელს იხდიდა. ინტერნეტში გამოქვეყნებულ ფოტოებზე ჩანს ავადმყოფურად გამხდარი ადამიანი, საშინელი ჭრილობებითა და ლაქებით მთელ სხეულზე.

**პატიმარ დელიანიძესთან დაკავშირებული ტრაგიკული ინციდენტი ერთ-ერთია ბოლო დროს ატეხილ მთელ რიგ სკანდალებს შორის; მათგან კიდევ ერთი შემთხვევა 46 წლის მამაკაცის დაღუპვას უკავშირდება, რომელიც თითქოს იმიტომ გარდაიცვალა, რომ პოლიციის განყოფილების კიბეზე დაგორდა; საუბრობენ ასევე ციხის ზედამხედველების მიერ პატიმრის გაუპატიურების ფაქტზე.**

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ, რომელიც ციხეების სისტემას ზედამხედველობს, და შსს-მ არაერთხელ უარყო ქართულ ციხეებსა და პოლიციის განყოფილებებში პატიმრებისადმი სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებული ბრალდებები. დელიანიძის შემთხვევაში გამოძიება მის გარდაცვალებას უკავშირებს „ვენერიულ დაავადებას", რაც მის სხეულზე ჭრილობების და სხვა ლაქების მიზეზი გახდა.

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნათია იმნაძე ხელისუფლების ამ ვერსიების მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი და ვარაუდობს, რომ დელიანიძის საქმე ქართულ ციხეებში არსებულ პრობლემებს ასახავს. ამ პრობლემებს განეკუთვნება პატიმრებისთვის სამედიცინო დახმარების არაადეკვატური გაწევა.** მისი თქმით, შენარჩუნებულია ციხეებში ასევე „ცუდი მოპყრობის" პრობლემაც, მიუხედავად ხელისუფლების აქტიური ქმედებებისა აღნიშნული დაწესებულებების რეფორმირების მიმართულებით.

**ამ მოსაზრებას იზიარებენ, ასევე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებული ანგარიშის ავტორები. 2012 წლის 24 მაისს გამოქვეყნებულ დოკუმენტში ისინი აღნიშნავენ, რომ ამ სფეროში ხელისუფლების ყველაზე დიდი ბოროტმოქმედება ადამიანის უფლებების სფეროში, რაც შარშან საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა, არის „ხელისუფლების მხრიდან ჩადენილი ბოროტმოქმედებები პატიმრებთან და დაკავებულებთან მიმართებაში, ასევე სტანდარტების შეუსაბამო და საფრთხის შემცველი პირობები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში".**

საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროში რესპუბლიკის ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე EurasiaNet.org-ის კორესპონდენტთან საუბარზე უარი განაცხადეს, ურჩიეს ამ წერილის ავტორს სამინისტროს საიტისთვის მიემართა.

პატიმრებთან დაკავშირებულ ბოროტმოქმედებებს ხელს უწყობს ციხეების გადატვირთულობა და დაუსჯელობის განცდა ციხის პერსონალში, — აღნიშნავს ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა" ამიერკავკასიის განყოფილების დირექტორი ცირა ჭანტურია, რომელიც საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობას 2003 წლიდან აკვირდება. **„მათ, უბრალოდ, მისცეს უფლება, ციხეები მართონ საკუთარი მეთოდებით... ამიტომ, როდესაც მათ არ ჰყოფნით პერსონალი, ისინი ციხეების მართვის სხვა მეთოდებს მიმართავენ, როგორიცაა ძალადობა, სასტიკი მოპყრობა პატიმრების მიმართ და ა. შ.",** – ამბობს ის ციხის ხელმძღვანელობაზე.

**სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში მიჩნეულია, რომ რესპუბლიკის 9 ციხე არის გადატვირთული. მაგალითად, თბილისის №1 ციხეში, რომელიც პროექტით 750 პატიმარზეა გათვლილი, დღევანდელ დღეს 1053 ადამიანი იხდის სასჯელს.**

**ძალადობრივი ზემოქმედების გარდა, ხელისუფლება პატიმრების მიმართ ისეთ სადამსჯელო ზომებს მიმართავს, როგორიცაა მათი უწყლოდ და სამედიცინო დახმარების გარეშე დატოვება,** — ამტკიცებს უფლებადამცველი ორგანიზაციის „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" აღმასრულებელი დირექტორი ნაზი ჯანეზაშვილი.

გარდა ამისა, ხელისუფლება კრიტიკის ობიექტია ისეთი მიდგომისთვის, რასაც ზოგადად სამართალდარღვევისთვის დაპატიმრება ჰქვია. მაგალითად, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის — Human Rights Watch-ის (HRW) 2012 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული დაკავება (ადამიანების უმნიშვნელო სამართალდარღვევის გამო დაპატიმრება) საქართველოს მოქალაქეებს ადეკვატური სამართლებრივი პროცედურის უფლებას ართმევს.

გიორგი გოგიას თქმით, რომელიც HRW-ის კავკასიური ოფისის მკვლევარია და იმ საკონსულტაციო ჯგუფის წევრი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების საკითხებზე მუშაობს, **არანაირი ზომები არ მიიღება იმ ადამიანების დაკავების პროცესის გამოსწორებისთვის, რომლებსაც ბუნდოვანი, ზოგჯერ კი დაუსაბუთებელი ბრალდებებით აპატიმრებენ.**

მოქმედი მდგომარეობით, **სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ, არ წაუყენონ ბრალი დაპატიმრებიდან 12 საათის შემდეგაც, და არ არსებობს მონაცემთა არანაირი ცენტრალიზებული ბაზა, საიდანაც ადვოკატები შეძლებდნენ იმის გაგებას, თუ სად ჰყავთ დაკავებული მათი კლიენტები,** ამბობს ექსპერტი.

სასამართლოში საქმის განხილვა ფორმალურია და სულ რამდენიმე წუთს გრძელდება. პროტოკოლების მიღება, მხოლოდ სამი დღის გასვლის შემდეგ შეიძლება, მაშინ, როცა აპელაციაზე განაცხადი 48 საათზე გვიან არ უნდა გაკეთდეს. იუსტიციის სამინისტრომ არ გამოაქვეყნა ამ პროცედურაში მის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები და პუბლიკაციის გამოქვეყნების მომენტისთვის ინტერვიუსთან დაკავშირებულ თხოვნაზე არ გვიპასუხა.

**მოლი კორსო**
**EURASIANET.org**

# აღმშენებელი თუ მეგალომანი

## საქართველოს პრეზიდენტის გრანდიოზულ კონსტრუქციებს ყველა არ იწონებს



**მდიდრული სასტუმროები, გადატკეცილი საჯარო შენობები და ახალი ქალაქის დაგეგმვა — რა არის ეს: საქართველოს პრეზიდენტის აღმშენებლობა ქვეყნის მომავლისთვის თუ მეგალომანის საქმიანობა?**

ძველებური საათი ოთახში ინგლისურია, მაგრამ პიანინო — ფრანგული, ისევე, როგორც შესანიშნავი ფაიფურის ჭურჭელი, რომელიც სასადილო მაგიდაზე დევს რუსულ დანა-ჩანგალთან ერთად.

ჭავჭავაძის ოჯახმა ევროპიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ყველაფერი საუკეთესო თავის ამ იტალიურ ვილაში, საქართველოში, ჩამოიტანა და ველური კავკასიის ჩრდილში ის კულტურული საზოგადოების ოაზისად აქცია.

აქ, წინანდალში, სტუმრად იმყოფებოდა ალექსანდრე დიუმა, ისევე, როგორც რუსი პოეტები: ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი და ალექსანდრე გრიბოედოვი. ეს უკანასკნელი 16 წლის ნინო ჭავჭავაძეზე დაქორწინდა...

**მოგვიანებით, დაღესტნის მთებიდან გადმოსულმა მუსლიმანმა მებრძოლებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ კავკასიაში რუსეთთან მებრძოლ შამილს, გაძარცვეს წინანდალი და მოიტაცეს ნინოს ძმის ცოლი, მათი ცხრა შვილი და ფრანგი ძიძა. ოჯახის გამოსყიდვის მცდელობისას დავით ჭავჭავაძემ სახლი დაკარგა, რადგან დაგირავებული წინანდალი რუსული ბანკებისგან ველარ გამოისყიდა.**

დღეს ირანი ისევ ბორგავს სამხრეთში, დაღესტანი თავნებობს კავკასიაში და წინანდალი კვლავ ძვირფასი სამკაულივითაა ვენახებისა და მთების პირველქმნილი სილამაზით გარშემორტყმული.

ცხოვრება იცვლება აქ, თანაც სწრაფად – მუშები ღვინის სარდაფებს აღადგენენ და შთამბეჭდავი ახალი შენობაც ფორმას იძენს.

ის 2014 წელს გაიხსნება, როგორც „რადისონის" 100-ნომრიანი სასტუმრო, იუწყება „სილქ-როუდ ჯგუფი", რომელიც ამ პროექტში 15 მილიონი ევროს ინვესტიციას ახორციელებს.

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პერსონალურად „დალოცა" პროექტი... პრეზიდენტი დაახლოებით 500 მილიონი ევროს ინვესტიციის მოზიდვას იმედოვნებს, რომელიც მას ახალი სანაპირო ქალაქის — ლაზიკის შექმნისთვის სჭირდება. ლაზიკა ჭაობზე, ბათუმიდან ჩრდილოეთით უნდა აშენდეს.**

**სააკაშვილის თქმით, ლაზიკა ათი წლის განმავლობაში ნახევარმილიონიანი ქალაქი გახდება, რაც მას თბილისის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქად აქცევს.**

**სააკაშვილის ოპონენტები ამ გეგმებს განდიდების მანიით დაავადებული ადამიანის პატივმოყვარეობის პროექტებს უწოდებს.**

ისინი ვერ ხვდებიან, ვინ შეიძლება იცხოვროს იმ უზარმაზარ Trump Tower-ში, წარმოდგენა არ აქვთ, ვინ არის ლაზიკის ის 500 ათასი სავარაუდო მცხოვრები; და პოლიტიკურ მაქინაციებს ხედავენ პარლამენტის თბილისიდან გადატანაში.

ისინი ჩივიან ასევე, რომ **საქართველოს მოქმედი ინფრასტრუქტურა სასწრაფო განახლებას საჭიროებს, რასაც ადასტურებს ამ თვეში თბილისში მომხდარი წყალდიდობის დროს ძველი სახლების ნგრევა და ხუთი ადამიანის დაღუპვა.**

სააკაშვილი იმედოვნებს, რომ რეგიონული განვითარება დაეხმარება მას აფხაზეთის დაბრუნებაში. ლაზიკა აფხაზეთისა და ბათუმის გვერდით იქნება, და ჩინოვნიკებს სჯერათ, რომ იქ მზარდი კეთილდღეობის საგანგებო ხაზგასმა დაარწმუნებს აფხაზებს, რომ თბილისის მმართველობის ქვეშ ისინი თავს უკეთ იგრძნობენ. პარლამენტის ქუთაისში გადატანა იმავე პროგრამის ნაწილია.

„ქუთაისის მეორე დედაქალაქად გარდაქმნა, როგორც ეს იყო დიდი მეფე დავით აღმაშენებლის დროს, ძალიან მნიშვნელოვანი ფუნდამენტია დასავლეთ საქართველოს სრული კონტროლის აღდგენის დაწყებისთვის, — თქვა სააკაშვილმა. — ჩვენ აფხაზეთი ქუთაისიდან უნდა დავიბრუნოთ".

დავით აღმაშენებელმა საქართველო მე-12 საუკუნეში გააერთიანა, და სააკაშვილი ხშირად ავლებს პარალელებს თავის მმართველობასა და შუა საუკუნეების მეფის მმართველობას შორის.

**მაგრამ რას აშენებს ის? სოლიდურ ფუნდამენტს საქართველოს მომავლისთვის თუ ძვირადღირებულ პოტიომკინის ფასადებს?**

**დენიელ მაკლაფლინი**
**THE IRISH TIMES**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაინც რად უნდა ამერიკას ამდენი პატიმარი? პასუხი შემზარავია. როგორც გაირკვა, ციხე კარგი ბიზნესია. ისინი ძირითადად არა სახელმწიფო, არამედ კერძო საკუთრებას წარმოადგენს. საპატიმრო ინდუსტრიის ინტერესებს ვაშინგტონში ძალზე გავლენიანი ლობისტები წარმოადგენენ და შტატის დონის პოლიტიკოსთა უმეტესობა მათ ჯიბეში უზით.**



# თავისუფალი ადამიანების სამშობლო, ანუ ამერიკის შეერთებული ციხეები

**აშშ-ში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 5% და პლანეტის ყველა პატიმრის 25%. აშშ-ის ჰიმნის მაღალ პატრიოტულ ნოტზე დამამთავრებელი სიტყვები „Land of the free and the home of the brave“ („თავისუფალთა მიწა და მამაცთა სამშობლო“), როგორც ჩანს, აღარ შეესაბამება სინამდვილეს. თავისუფალ ადამიანთა მიწა გარკვეული პერიოდის წინ დედამიწაზე პატიმრების ყველაზე დიდ დასახლებად იქცა.**





2011 წელს აშშ-ში პატიმრების რაოდენობა 7 ათასს აჭარბებდა — ეს უფრო მეტია, ვიდრე მასაჩუსეტსის შტატის მთელი მოსახლეობა.

მსოფლიოში არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰყავს პატიმართა ასეთი რაოდენობა. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ, შესაძლოა, მხოლოდ ჩრდილოეთ კორეა იყოს. ამ ქვეყნის შესახებ, უბრალოდ, არ არსებობს შესაბამისი ინფორმაცია და ის თავისთავადაა ერთი დიდი ციხე.

**დღეისათვის აშშ-ის ციხეებში ქვეყნის 100 000 მოსახლეზე 760 პატიმარია.**

**ევროპის ქვეყნების უმეტესობაში 100 000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობა დაახლოებით 100-ს შეადგენს, ანუ ამერიკის მაჩვენებლის ზუსტად 1/7-ია.**

**პატიმართა რაოდენობის მიხედვით, მსოფლიო ლიდერები, ისეთები, როგორიცაა ბრაზილია და პოლონეთი, აშშ-ის მოსახლეობას პროპორციული რაოდენობით სამჯერ ჩამოუვარდებიან.**

აი, როგორ გამოიყურება ეს დისპროპორციულობა პროცენტულ თანაფარდობაში.

**აშშ-ში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 5% და პლანეტის ყველა პატიმრის 25%.**

1980 წელს ეს ციფრები ოთხჯერ ნაკლები იყო.

პატიმართა რაოდენობის ასეთი მძლავრი ზრდის საბაბი „ნარკოტიკებთან ომის“ წარუმატებელი კამპანია გახდა. ამ კამპანიის შედეგად დაიწყო თითქმის უკონტროლო ზრდა იმ კანონების რაოდენობისა, რომლებიც ადამიანებს ციხეში უშვებდნენ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ყველაზე უაზრო და არასერიოზული დანაშაულებისთვისაც კი.

და ამგვარი კანონების რაოდენობა სამ ათასს აღემატებოდა! უკანასკნელ 20 წელიწადში პატიმრების შენახვისათვის საჭირო თანხების მატება უმაღლესი განათლებისათვის საჭირო სახსრების ზრდას ექვსჯერ აღემატებოდა.

კალიფორნია, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ჰოლივუდის კი არა, ციხეების შტატიცაა. მაგალითად, **2011 წელს კალიფორნიამ ციხეებზე 9,6 მილიარდი დოლარი დახარჯა, უმაღლეს განათლებაზე კი — 5,7 მილიარდი.**

1980 წლიდან კალიფორნიაში ერთი უნივერსიტეტი და 21 ციხე აშენდა. **კალიფორნია წელიწადში ერთ პატიმარზე დაახლოებით 50 000 დოლარს ხარჯავს.**

**მაინც რად უნდა ამერიკას ამდენი პატიმარი?** პასუხი შემზარავია.

**როგორც გაირკვა, ციხე კარგი ბიზნესია. ისინი ძირითადად არა სახელმწიფო, არამედ კერძო საკუთრებას წარმოადგენს. საპატიმრო ინდუსტრიის ინტერესებს ვაშინგტონში ძალზე გავლენიანი ლობისტები წარმოადგენენ და შტატის დონის პოლიტიკოსთა უმეტესობა მათ ჯიბეში უზის.**

შედეგად, მრავალი შტატის ბიუჯეტი გაკოტრების პირასაა, მაგრამ ამ ფენომენის ტრაგედიას გაცილებით გრძელვადიანი შედეგები აქვს — ჩნდება ადამიანების მთელი არმია, რომელიც გათავისუფლების შემდეგ ვერ შეძლებს პროდუქტიულ ცხოვრებას.

ამრიგად, თავისუფალთა ნაცია იმ გაუაზრებელი გადაწყვეტილებების გამო, რომელთა შესაცვლელად პოლიტიკური ნება არავის ჰყოფნის, იქცა ნაციად, რომელიც სხვებზე ხშირად სვამს თავის მოქალაქეებს გისოსებს მიღმა.

# ვაშინგტონის თვალთმაქცობა

**აშშ მეორე ქვეყანაა მსოფლიოში, ისრაელის შემდეგ, ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს ვაშინგტონს, რომ თითი სხვებისკენ გაიშვიროს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებამ „ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაციის“ შესახებ მთელი მრისხანება ვაშინგტონისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად ცოდვილ ირანსა და სირიას დაანთხია, მაგრამ უყურადღებოდ არ დატოვა ჩინეთიც, რომელიც აშშ-მა ბოლო პერიოდში ახალ მტრად ამოიჩემა ახალ ცივ ომში.**




ჰილარი კლინტონმა, პროფესიულად შეუსაბამო სახელმწიფო მდივნის სიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, მთელი მსოფლიოს ქვეყნებს აცნობა: „ჩვენ ვაკვირდებით და პასუხისმგებლობას გაკისრებთ“, მაგრამ არ ვაკისრებთ არანაირ პასუხისმგებლობას საკუთარ თავს ან ჩვენს მოკავშირეებს, მაგალითად ბაჰრეინს, საუდის არაბეთს, ისრაელს და ნატოს მარიონეტებს.

ჰილარიმ ასევე აგრძნობინა „მთელი მსოფლიოს მოქალაქეებსა და აქტივისტებს: თქვენ მარტონი არ ხართ, ჩვენ თქვენ გვერდით ვდგავართ“, მაგრამ არა ჩიკაგოში ნატოს სამიტის საწინააღმდეგო აქციებზე ან „დაიკავე უოლსტრიტის“ აქტივისტთა საპროტესტო გამოსვლებზე.

სახელმწიფო დეპარტამენტი იმ პროტესტანტთა გვერდით, რომელთაც აშშ აფინანსებს იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებათა შეცვლა აშშ-ს სურს. აშშ-ში რაიმეს გამპროტესტებლები კი თავისთვის არიან, ისევე, როგორც ოკუპირებული პალესტინელები, რომელთაც, როგორც ჩანს, არ აქვთ ადამიანის უფლებები საკუთარ სახლზე, მიწაზე, ზეთისხილის ხეივნებზე ან სიცოცხლეზე.

**აი ზოგიერთი ფაქტი აშშ-ში ბოლო პერიოდში მომხდარი დაკავებების შესახებ: 2011 წლის 17 ნოემბერს მხოლოდ ნიუ იორკში 1700 პროტესტანტი დააკავეს. 2011 წლის 2 ოქტომბერს ბრუკლინის ხიდზე 700 ადამიანი დააკავეს, ჩიკაგოს ნატოს სამიტზე ამ არმიას კიდევ 90 ადამიანი შეუერთდა.**

შიდა პროტესტანტებიდან ზოგიერთები აშშ-ში ოფიციალურად განაკუთვნეს „შიდა ექსტრემისტთა“ კატეგორიას ან „შინაურ ტერორისტებს“. ეს არის საფრთხის ახალი კატეგორიები, რომლებიც ახლა შიდა უშიშროების დეპარტამენტის ყურადღების ქვეშაა და რომლებმაც ისლამიზმი, როგორც აშშ-ის ნომერ პირველი საფრთხე, დიდი წარმატებით ჩაანაცვლეს. 2010 წლის სექტემბერში მინეაპოლისში ფედერალურმა პოლიციამ მშვიდობიანი პროტესტანტების სახლებში რეიდი ჩაატარა. გამოძიების ფედერალური ბიურო ცდილობს, როგორმე მათ წინააღმდეგ საქმე შეკეროს და ირწმუნება, რომ ეს ხალხი ფულს სწირავდა პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტს. ეს უკანასკნელი ორგანიზაცია კი, როგორც ისრაელი მოითხოვდა, აშშ-მა ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა.

ჩიკაგოს სამიტზე დაკავებულთა შორის აღმოჩნდა სამი თეთრკანიანი ამერიკელი, რომლებსაც „შიდა ტერორიზმი“ ედებათ ბრალად. თუ აშშ ამ ადამიანებზე შექმნის საქმეს ტერორიზმის მუხლით, მათ საიდუმლო მტკიცებულებების საფუძველზე სულაც გაუსამართლებლად სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობა ელით.

**ჯერჯერობით სამივე მარტოდმარტოა გამომწყვდეული კამერაში. როგორც ჩიკაგოში გამომსვლელთა უმეტესობა, ეს სამიც სხვა ქალაქიდან იყო იქ ჩასული. დაადანაშაულეს რა ტერორიზმისათვის მატერიალური დახმარების გაწევაში, სასამართლომ თითოეულ მათგანს მილიონ-ნახევარი დოლარი მოსთხოვა გირაოს სახით.**

მათ იმაში სდებენ ბრალს, რომ ამის გაკეთების განზრახვით ჩავიდნენ ჩიკაგოში. როგორღაც ისე მოხდა, რომ 16 ფედერალურმა სააგენტომ, პლუს ნატოსა და ისრაელის მარიონეტებმა ვერ შეძლეს 9/11-ის მზადების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, სამაგიეროდ, მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ეს სამი ჩიკაგოში ჩავიდოდა და ისიც იცოდნენ, რისთვის. შიდა ტერორიზმის შემთხვევები პოლიციის გამოგონებებია, ამიტომაც ამერიკაში არის უამრავი ტერორისტი და არც ერთი ტერორისტული აქტი.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ადამიანის უფლებების შესახებ მოხსენებაში აშშ საერთოდ არაა ნახსენები.

სამაგიეროდ, ადამიანთა უფლებებზე ფიქრით შეწუხებული ამერიკა განაგრძობს პაკისტანის, იემენისა და ავღანეთის ნაციონალური სუვერენიტეტის დარღვევას იქ უპილოტო საფრენი აპარატების, ბომბებისა და ჯარების გაგზავნით, რათა დახოცოს ადამიანები — ქალები, ბავშვები და მოხუცები. ქორწილები, დაკრძალვები, ბავშვების სათამაშო მოედნები, სკოლები და სხვა ამგვარი ადგილები ვაშინგტონის საყვარელი სამიზნეებია.

**სავარაუდოდ, აშშ აფინანსებს ირანის ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელიც თავადვე გამოაცხადა ტერორისტულად. ამერიკამ ხომ ირანში თავისუფლება და დემოკრატია უნდა ჩაიტანოს, ამისათვის კი ძალადობრივ გზას ამჯობინებს.**

ვაშინგტონი უშედეგოდ ცდილობს, ჩამოაგდოს სირიის ხელისუფლება, რათა გათავისუფლდეს რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზისაგან. ვაშინგტონი კოორდინირებას უწევს სირიელი მეამბოხეებისთვის იარაღის მიწოდებას. ვაშინგტონის მხრიდან სირიის საქმეებში ჩარევის გამართლებად იქ ადამიანთა უფლებების დარღვევები სახელდება, მაგრამ გაეროს მიერ მომზადებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ მეამბოხეები სირიის ხელისუფლებაზე მეტად არ დარდობენ იქ ადამიანთა უფლებების დარღვევებს. ეს მეამბოხეები თავად აწამებენ და ხოცავენ ტყვეებს, იტაცებენ მდიდარ მოქალაქეებს გამოსასყიდის მიღების მიზნით.

ნიუნბერგის პრინციპების შესაბამისად, ომის დაწყება სამხედრო დანაშაულია, რისი ორგანიზებაც მოახდინეს ვაშინგტონმა და მისმა ნატოელმა მარიონეტებმა ლიბიაში, მაგრამ ნურას უკაცრავად — მათ იქ თავისუფლება და დემოკრატია დაამყარეს.

სულ ცოტა ხნის წინ მალაიზიაში სამხედრო დანაშაულებათა ტრიბუნალმა ჯორჯ ბუში უმცროსი, დონალდ რამსფელდი და მათი იურიდიული მრჩეველები სამხედრო დანაშაულებებში დამნაშავეებად გამოაცხადა, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ვაშინგტონი ამას რაიმე ყურადღებას დაუთმობს. სამხედრო დანაშაულებებში განაჩენი, უბრალოდ, „პოლიტიკური განცხადებაა“.

mixednews.ru



ევროპა განწირულია. როგორც მოხუცი ვერსად გაექცევა თავის ასაკსა და მოახლოებულ აღსასრულს, ისე ვერც მომაკვდინებელ კომფორტში ნელ-ნელა ჩაძირული ევროპელები დააღწევენ თავს თავიანთ ლიბერალურ ჩიხს. ეს ევროპის ბედია. ცრუ ღმერთის — ტოლერანტობის არჩევით მათ აირჩიეს სამარისაკენ მიმავალი გზა. ასეთია მომაკვდინებელ ცივილიზაციაში გარდამავალი კულტურული განვითარების ლოგიკა.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპის გადაშენება

**რა აზრი აქვს დემოკრატიისა და თავისუფლების ყველა მიღწევას, თუ ამ ყველაფრის მთავარი შედეგი ტოლერანტების მიერ „გაბედნიერებული" მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირებაა?**

ყველას გვსმენია იმ დემოგრაფიული კატასტროფის შესახებ, რომელიც ეწვია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს ქვეყნების ნგრევის შედეგად მოხდა, მაგრამ ამ საშინელების თავიდან აცილების გზებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მათგან ყველაზე მცდარის მიხედვით, „ცივილიზებულ სამყაროზე" სწორებაა საჭირო.

არადა, „ცივილიზებული ევროპული ქვეყნები", რომლებზე სწორებისკენაც მოუწოდებენ ლიბერალები, თავადაც იხოცებიან. ცსს-ს ოფიციალურ საიტზე მოცემულია ციფრები, რომლებიც ყველასათვის ხელმისაწვდომია და რომლებსაც მალე 2012 წლის მონაცემები შეემატება. ცხადია, ცსს-ის მონაცემებს თვალდახუჭული ვერ ვენდობით, მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით ტენდენციებს, ევროპის ბედი აბსოლუტურად ნათელია, მიუხედავად იმისა, თუ ვისი მონაცემების საფუძველზე მოხდება გათვლა.

მაგალითისთვის განვიხილოთ ევროპის ყველაზე წარმატებული ქვეყნების ხუთეული (ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია), წარმატებულად მიჩნეული რეგიონული ქვეყნები (შვედეთი, დანია, ავსტრია), პოლონეთი, რომელმაც ყველასათვის გასაგონად გააკეთა „ევროპული არჩევანი" და რომელსაც ლიბერალები მუდამ მაგალითად იშველიებენ, და ბალტიის ქვეყნები, რომლებმაც იმავე გზით იარეს. რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი მხოლოდ შედარებისთვის განიხილება. ასევე განიხილება „ცივილიზებული მსოფლიოსაკენ" მიმავალი საქართველო და აზერბაიჯანი, რომელთაც 1990-იანი წლებისთვის დაახლოებით ერთნაირი სასტარტო პირობები ჰქონდათ. და ბოლოს, სურათის სრულფასოვნებისთვის დავამატოთ ყველანაირ ბოროტებაში ბრალდებული ირანი, დასავლურ მსოფლიოში ინტეგრირებადი იაპონია, კანადა და აშშ.

**ცსს-ს საიტზე არის საეჭვოზე უარესი ციფრები, რომელთა თანახმადაც აშშ-ის მოსახლეობის 80% თეთრკანიანი ყოფილა. ეს ხომ თვალხილული ტყუილია, მაგრამ ამ რაოდენობაში შედის ყველა ლათინოსი, რომლებიც მხოლოდ პირობითად არიან თეთრები, ანუ ეს არის ციფრებით მანიპულირების მსუბუქი ფორმა, გამოკვეთილი მოტივების გარეშე, მაგრამ საჭირო მიმართულებით.**

შედარებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები ერთსა და იმავე მაჩვენებლებზე. მართალია, ძნელია იმის მტკიცება, თუ ვინ იძლევა ყველაზე ზუსტ მაჩვენებლებს, მაგრამ ეს განსხვავებები თავისთავად საინტერესოა.

**ევროპის ქვეყნებში შობადობა სიკვდილიანობას მხოლოდ ბრიტანეთში, ესპანეთსა და საფრანგეთში აღემატება; დანიაში, შვედეთსა და პოლონეთში ეს მაჩვენებლები თანაბარია; იტალიაში, ავსტრიასა და გერმანიაში კი მოსახლეობა გადაშენების გზაზეა. არადა, ლიბერალები ხომ სულ გაიძახიან, რომ ევროპის ქვეყნებში ყველაფერი კარგადაა და სწორედ მათზე სწორებაა საჭირო. ბალტიის ქვეყნებში ეს ყველაფერი უფრო მძაფრადაა გამოხატული. საქართველოში შობადობა ოდნავ აჭარბებს სიკვდილიანობას, მაგრამ, ვინაიდან ქვეყნიდან ბევრი ადამიანი მიდის, საერთო ჯამში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. საკითხავია, რატომ გარბის ხალხი იმ ქვეყნიდან, რომელმაც ევროპული გზა აირჩია. სამაგიეროდ, მეზობელ აზერბაიჯანში სიცოცხლის სასარგებლოდ სხვაობა იმდენად დიდია, რომ ახსნასაც არ საჭიროებს. არადა, ეს ორი ქვეყანა ხომ მეზობლები არიან. ცხადია, რომ დემოგრაფიის ახსნის გასაღები კულტურაშია. ირანში მდგომარეობა კიდევ უფრო უკეთესადაა, ცივილიზებულ იაპონიაში კი მოსახლეობა დიდი სისწრაფით მცირდება. კანადაში ესპანეთის მსგავსი მდგომარეობაა, აშშ-ში კი შობადობა ბევრად მაღალია.**

ახლა კი გამოიცანით, რით განსხვავდება დასავლეთის ხუთი ქვეყანა (ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, კანადა და აშშ), რომლებშიც შობადობა სიკვდილიანობას აღემატება, დანარჩენებისაგან? სწორი პასუხია მაღალი მიგრაცია. ამ




**«ცივილიზებული მსოფლიო» ან უკვე გაწყვეტის პროცესშია, ან უზრუნველყოფს მოსახლეობის მატებას მიგრანტებისა და უცხო კულტურის მოსახლეობის ხარჯზე**

ქვეყნებში ან უამრავი მიგრანტი, ძირითადად მუსლიმანი, ჩადის, ან იქ მიგრაციის დაბალი დონეა, მაგრამ უკვე ბევრი მიგრანტი მუსლიმანია. რა წვლილი შეაქვთ მათ საერთო შობადობაში, დაზუსტებით უცნობია, მაგრამ ცხადია, რომ ეს წვლილი მნიშვნელოვანია. განვითარებად ქვეყნებში ხომ არა მხოლოდ მოხუცები, არამედ ძირითადად ახალგაზრდები ჩადიან. რაც შეეხება აშშ-ს, არათეთრი ანგლოსაქსი მოსახლეობის რაოდენობა უკვე იმდენად დიდია, რომ მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენს. არადა, ყველაზე მაღალი შობადობა ხომ სწორედ არათეთრკანიან მოსახლეობას შორის აღინიშნება.

**„ცივილიზებული მსოფლიო" ან უკვე გაწყვეტის პროცესშია, ან უზრუნველყოფს მოსახლეობის მატებას მიგრანტებისა და უცხო კულტურის მოსახლეობის ხარჯზე.** მაგრამ იტალიაში შობადობას მიგრანტების დიდი ნაკადიც ველარ შველის. მუსლიმანურ და არც ისე „ცივილიზებულ" აზერბაიჯანსა და ირანში დემოგრაფიული მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. **რაც შეეხება რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსს, სიკვდილიანობის უპრეცენდენტო მაჩვენებლები იმაზე მიანიშნებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კრიზისმა პირველ რიგში სლავურ ქვეყნებს შეუტია, ანუ მათ, ვინც სახელმწიფოებრიობის მატარებელი იყო. ბალტიის ქვეყნებისა და კავკასიისათვის ეს პროცესი რომ ნაკლებად კატასტროფული იყო, ეს იმის დამადასტურებელია, რომ რუსეთმა სწორედ თავისი სახელმწიფო დაკარგა**. მაგრამ, მიაქციეთ ყურადღება, რომ რუსეთში ახლა შობადობა ისეთივეა, როგორიც „ცივილიზებულ ევროპაში" ან კიდევ უფრო მეტი. მაშ, რა გამოდის?



**დემოგრაფიული კატასტროფის შედეგად რუსეთი მიიჩნევს, რომ ფსკერამდე დავიდა, მაგრამ ევროპა, უკვე დიდი ხანია, ამ ფსკერზეა თავისი ნაქები ცივილიზებულობით. მაშ, ვისზე მიგვითითებენ მაგალითის სახით? ეს, უბრალოდ, სიცრუეა — ევროპა შეუქცევადი გადაშენების გზაზეა.**

მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის შობადობის ჯამური კოეფიციენტი, სულ მცირე, 2,15 უნდა იყოს. ევროპის არც ერთ ქვეყანაში ის ამ დონეს არ აღწევს. ევროკავშირში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 1,5-ს უტოლდება. კოეფიციენტი ყველაზე მაღალია ბრიტანეთში, შვედეთში, საფრანგეთსა და დანიაში, მაგრამ სწორედ ამ ქვეყნებში ცხოვრობენ ყველაზე მეტი ისლამისტები. რა საოცარი დამთხვევაა. რაც შეეხება რუსეთს, „გრანდიოზულმა კატასტროფამ" ის „ცივილიზებული ევროპის" დონემდე დაიყვანა. ასე რომ, რუსეთს ევროპაში ინტეგრირება და მასობრივ დამკრძალავ პროცესიასთან შეერთება კი არა, პირიქით, ევროპული ორმოდან თავის დაღწევა სჭირდება.

შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, თუ როგორ ხდება, 2,15-ზე გაცილებით ნაკლები შობადობის კოეფიციენტის პირობებში ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა.

შობადობა და სიკვდილიანობა მიმდინარე მაჩვენებლებია, რომლებიც ფიქსირდება მკვეთრად განსაზღვრულ დროის მონაკვეთებში. შობადობის ჯამური კოეფიციენტი თითქოს გაწელილია დროში და აჩვენებს, რამდენ ბავშვს აჩენს საშუალოდ ერთი ქალი. ამიტომ მოცემული მაჩვენებელი დიდწილად ინერციულია, მაგრამ ბევრად ფატალურიც. ეს ბედია.

ასე რომ, შობადობის სიკვდილიანობაზე მატების მიმდინარე მაჩვენებელი, შესაძლოა, აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგებოდეს დასკვნას, რომ მოსახლეობა შეუქცევადად მცირდება. ახლა ჯერ კიდევ მოქმედებს შედარებით მაღალი დონე სოციალური დაცვისა, რომელიც უზრუნველყოფს დაბალ სიკვდილიანობას. სოციალური სტანდარტების ეს დონე წინა თაობის მიერ მომზადდა და ახლა ეს მარაგი იხარჯება. იხარჯება, მაგრამ აღარ ივსება. თითქოსდა შესაძლებელია, დაიბადოს ცოტა ბავშვები, მაგრამ სიკვდილიანობის დაბალი დონით შენარჩუნდეს მოსახლეობის ზრდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ გამოვა. საქმე ისაა, რომ რამდენადაც არ უნდა გაუხანგრძლივო ადამიანს სიცოცხლე, ადრე თუ გვიან ის მაინც მოკვდება და მის ნაცვლად ახალი თაობები უნდა მოდიოდნენ. ჯერჯერობით ევროპაში ისევ მუშაობს ის მრავალრიცხოვანი თაობა, რომელიც დაიბადა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დემოგრაფიული ბუმის დროს. იმის ხარჯზე, რომ ისინი ბევრნი არიან, ჯერჯერობით შენარჩუნებულია მაღალი სოციალური სტანდარტი, მაგრამ ოდესმე, და არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, ისინიც პენსიაზე გავლენ.

როგორ ფიქრობთ, **რატომ ზრდიან ბოლო დროს ევროპაში საპენსიო ასაკს?** გაიხსენეთ, რამდენი წლისანი არიან ისინი, ვინც ომისშემდგომო დემოგრაფიული ბუმის დროს (1945-1960) დაიბადნენ? სწორედ საპენსიო ასაკს უახლოვდებიან. ევროპული ხელისუფლებების შფოთვა კი იმითაა განპირობებული, რომ ამ ხალხის ჩამნაცვლებელი არავინაა. ამიტომ სასოწარკვეთილი ევროპა სულელურად ცდილობს, ცოტა ხანს კიდევ დატოვოს ეს ხალხი სამსახურში.

ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების დონის ნელ-ნელა შემცირების ნაცვლად არჩეულია მისი როგორმე შენარჩუნების და შემდეგ მკვეთრი ვარდნის სტრატეგია. გავა 10-15 წელი და შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება კატასტროფული მასშტაბებით მოხდება. გამოთავისუფლებულ ადგილებს მიაწყდება მიგრანტების კიდევ უფრო მეტი რაოდენობა, არადა, ევროპა უკვე შევიწროებულია მიგრანტებისგან, უბრალოდ, ვერაფერს ხდება მათთან. ასე დაეცა ძველი რომიც.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირდება ბავშვების და იზრდება მოხუცების რაოდენობა. დაბერების ტენდენცია სახეზეა და გაუგებარია, ვინ გადაუხდის პენსიას ომისშემდგომ გაჩენილ თაობას, რომელიც ახლა სამუშაო ადგილების უმეტეს ნაწილს იკავებს. ევროპა ბერდება და კვდება. თვით რომის პაპმაც კი ევროპულ კულტურას სიკვდილის კულტურა უწოდა.

**ევროპა განწირულია. როგორც მოხუცი ვერსად გაექცევა თავის ასაკსა და მოახლოებულ აღსასრულს, ისე ვერც მომაკვდინებელ კომფორტში ნელ-ნელა ჩაძირული ევროპელები დააღწევენ თავს თავიანთ ლიბერალურ ჩიხს. ეს ევროპის ბედია. ცრუ ღმერთის — ტოლერანტობის არჩევით მათ აირჩიეს სამარისაკენ მიმავალი გზა. ასეთია მომაკვდინებელ ცივილიზაციაში გარდამავალი კულტურული განვითარების ლოგიკა.**

nstarikov.ru

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მსოფლიო

**ლეონარდო დავინჩი:
„ჩვენ ვინარჩუნებთ სიცოცხლეს სხვა ადამიანების სიკვდილის წყალობით, მკვდარ სხეულში რჩება უგრძნობი სიცოცხლე. ის ცოცხლდება, როდესაც ცოცხლების კუჭს უერთდება“.**



# XX საუკუნის დასაწყისამდე ევროპელები მიცვალებულებს ჭამდნენ და სისხლს სვამდნენ



**ახლახან სამხრეთკორეელმა მებაჟეებმა დააკავეს ჩინეთიდან წამოსული ტვირთი, რომელშიც ყველა დაავადების განმკურნებელი, სასწაულმოქმედი 17 ათასი აბი იდო. როდესაც გაირკვა, რომ ეს იყო დაფქვილი მკვდრადშობილი ჩვილები და ემბრიონები, წარმოუდგენელი სკანდალი ატყდა. ამგვარი ამბები შიშსა და ზიზღს განაპირობებს. XXI საუკუნისათვის ეს თითქოს აბსოლუტურად ჩვეულებრივი გრძნობაა, მაგრამ სულ რაღაც ასი წლის წინათ კაციჭამიობისადმი ევროპას სულ სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა.**



გვამებისგან სასწაულმოქმედი აბების დამამზადებელი ფარმაცევტები ჯერჯერობით, საბედნიეროდ, არ დაუკავებიათ, თუმცა, იქ ისედაც საკმარისადაა არანაკლებ შემზარავი შემთხვევები — ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში საკმაოდ ხშირად ისმის ცნობები ერთი შეხედვით იმ ჩვეულებრივი ადამიანების დაკავების თაობაზე, რომლებიც ადამიანთა ხორცით იკვებებიან.

საკმარისია, გავიხსენოთ ის გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომელიც გერმანელი არმინ მაივესის საქმეზე იმართებოდა. განსასჯელმა სახლში შეიტყუა ადამიანი, მოკლა და შეჭამა. „ჩვენთან უამრავი კანიბალია“, — განაცხადა მან სასამართლოს წინაშე და დასძინა, რომ ინტერნეტში გამოქვეყნებულ მის განცხადებას რამდენიმე ათეული ადამიანი გამოეხმაურა. განცხადებაში მაივესი წერდა, რომ ეძებს ადამიანს, რომელსაც სურს, რომ შეჭამონ.

ცნობილია, რომ ევროპელები კანიბალიზმით თავს XX საუკუნის დასაწყისამდე ინებივრებდნენ, XIX საუკუნეში კი მასში უცნაურს ვერაფერს ხედავდნენ და სულაც არ გრძნობდნენ ზიზღს ადამიანის ხორცისადმი, იმიტომ, რომ მუმიები და გვამების ნაწილები ფართოდ გამოიყენებოდა იმ პერიოდის ქარვასლებში.

ავსტრალიის ახალი ინგლისის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტი ლუიზა ნოუბლი ამ საკითხით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ლექსის „სიყვარულის ალქიმია“ უკანასკნელი სტრიქონები წაიკითხა (ლექსის ავტორი ჯონ დონია):

**„არა, ვინც ქალებს იცნობს, დაუფიქრებლად იტყვის:
მათ შორის საუკეთესო მუმიაზე მეტად მკვდარია“.**

ლუიზას უცნაურად მოეჩვენა სიტყვა „მუმიის“ ხსენება, მაგრამ მალე გაარკვია, რომ მუმიებისა და მკვდარი სხეულების შესახებ მუდმივადაა საუბარი XVI-XVII საუკუნეების ნაწარმოებებში — დონის „სიყვარულის ალქიმიიდან“ შექსპირის „ოტელომდე“.

**ლუიზას კვლევის შედეგია ახლახან გამოსული წიგნი სახელწოდებით „სამედიცინო კანიბალიზმი ევროპის ადრეულ თანამედროვე ლიტერატურასა და კულტურაში“. წიგნში ავტორი ირწმუნება, რომ მრავალი ევროპელი, უბრალო ადამიანებიდან დაწყებული მეფეებით დამთავრებული, ყველა დაავადებას ადამიანის ძვლების, ცხიმისა და სისხლისაგან დამზადებული დანამატებისა და ნაყენების საშუალებით მკურნალობდა.**

იმ, არც თუ ისე შორეულ პერიოდში, არავის ეკითხებოდნენ: „ხომ არ მირთმევთ ადამიანის ხორცს“, არამედ პირდაპირ სვამდნენ კითხვას: „რომელი ნაჭერი მოგართვათ?“

სამედიცინო კანიბალიზმის საფუძველში დევს ფართოდ გავრცელებული თეორია, რომელიც ირწმუნება, რომ რომელიღაც ორგანოს ან სხეულის რომელიმე ნაწილში გაჩენილი დაავადების სამკურნალოდ სწორედ ეს ორგანო ან სხეულის ნაწილი უნდა შეჭამო. ამიტომ თავის ტკივილს დაფქული თავის ქალით მკურნალოდნენ, სისხლის გაწმენდისთვის კი ვიღაცის სისხლი იყო საჭირო.

**ლუიზა ნოუბლის დასკვნებს იმის შესახებ, რომ სულ ახლო წარსულში ყველა ევროპელი კანიბალი იყო, ეთანხმება ინგლისელი რიჩარდ საგსი, დარემის უნივერსიტეტიდან.** მისი წიგნის სახელწოდებაა „მუმიები, კანიბალები და ვამპირები: გვამური მედიცინის ისტორია რენესანსიდან ვიქტორიანულ პერიოდამდე“. ის ევროპაში კანიბალიზმის ისტორიას ასახავს.

თომას უილისი (1621-1675), სახელგანთქმული ინგლისელი ექიმი, ანატომი და ფიზიოლოგი, პირველი დოკუმენტირებული რეანიმაციის მონაწილე და ლონდონის სამეფო სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, **ინსულტებს კურნავდა ნაყენით, რომელსაც ადამიანის თავის ქალის ფხვნილისა და შოკოლადისგან ამზადებდა.**

შეგვიძლია გავიხსენოთ ინგლისელი მეფის — კარლ II-ის (1660-1685) საყვარელი სასმელი, რომელსაც **„სამეფო წვეთებს“** ეძახდნენ. **ეს სასმელი სხვა არაფერი იყო, თუ არა ადამიანის დაფხვნილი თავის ქალისა და ღვინის ნარევი.**

**ძალიან სასარგებლოდ ითვლებოდა ადამიანის ქონი. მედიკოსები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ის უებარი წამალია ჭრილობების მოსაშუშებლად. ამიტომ გერმანიაში ჭრილობების გადახვევამდე დოლბანდზე ექიმები ადამიანის ქონს უსვამდნენ.**

სამკურნალოდ ყველაფერი გამოდგებოდა. მაგალითად, საფლავზე გაზრდილი მცენარეები კურნავდნენ ცხვირიდან სისხლდენასა და ეპილეფსიას. განსაკუთრებით ძვირად ფასობდა სისხლი, რომელიც, როგორც იმ პერიოდის ოფიციალური მედიცინა ირწმუნებოდა, სასიკეთოდ მოქმედებდა ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებზე. იტალიელი ფილოსოფოსი, ჰუმანისტი და ასტროლოგი **მარსილიო ფიჩინო** (1433-1499) ამბობდა, რომ **საჭიროა ახალგაზრდა ადამიანის სისხლის დალევა მისი სასიცოცხლო ძალების შეძენისთვის.** სახელგანთქმული ექიმი, ალქიმიკოსი და ოკულტისტი — **პარაცელსი** (1493-1541) ასევე დარწმუნებული იყო, რომ **ადამიანის სისხლს უდიდესი სამკურნალო ძალა აქვს და მისი სმა ძალიან სასარგებლოა.** პარაცელსის რადიკალური მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ საჭიროა ახალ-ახალი სისხლის სმა. მართალია, ეს პრაქტიკა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ღარიბი ადამიანები, რომელთაც ფული არ ჰყოფნიდათ სისხლის აფთიაქში შესაძენად, პირდაპირ ჯალათებისგან ყიდულობდნენ სიკვდილით დასჯილის ჯერ კიდევ თბილ სისხლს.

სისხლი გადამუშავებული სახითაც გამოიყენებოდა. მაგალითად, საგს მაგალითად მოჰყავს სისხლისგან დამზადებული მარმელადი, რომელიც 1679 წლით თარიღდება.

ამ საზარელი გატაცებისთვის თავის არიდება თვით **ლეონარდო დავინჩიმაც** კი ვერ შეძლო. **„ჩვენ ვინარჩუნებთ სიცოცხლეს სხვა ადამიანების სიკვდილის წყალობით,** — ამბობდა იგი. — **მკვდარ სხეულში რჩება უგრძნობი სიცოცხლე. ის ცოცხლდება, როდესაც ცოცხლების კუჭს უერთდება“.**

ცხადია, ევროპელების ძალზე მკაცრად განსჯა არ ღირს, რადგან კანიბალიზმი ევროპაში არ გაჩენილა. ის პლანეტის თითქმის ყველა კუთხის თითქმის ყველა კულტურაში გვხვდება.

მაგრამ სამედიცინო კანიბალიზმის ისტორიის განხილვისას თვალშისაცემია ევროპელთა თვალთმაქცობა, როდესაც ისინი თავგამოდებით კიცხავდნენ იმავეს ცოტა ხნის წინ აღმოჩენილ ამერიკაში და ღიად მოიხსენიებდნენ მას ადგილობრივი მოსახლეობის ჩამორჩენილობისა და განუვითარებლობის დადასტურებად. ამასთან, ისინი ცალსახად ხუჭავდნენ თვალს იმაზე, რაც თავად ევროპაში ხდებოდა.

**ცოტა ვინმე თუ გაბედავდა ყურადღების გამახვილებას იმაზე, რომ ევროპელები სინამდვილეში ისეთივე კაციჭამიები იყვნენ, როგორებიც ამერიკელი ინდიელები. მცირერიცხოვანი კრიტიკოსებისგან შეიძლება დავასახელოთ ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი მიშელ მონტენი (1533-1592), რომელმაც ესეში „კანიბალების შესახებ“ დაწერა, რომ ბრაზილიის კანიბალიზმი არაფრითაა უფრო საშიში და საზარელი, ვიდრე მისი სამედიცინო ვერსია ევროპაში.** თუმცა, ერთი განსხვავება ევროპულ კანიბალიზმსა და სხვა კანიბალიზმებს შორის მაინც არსებობს: თუ ევროპელებისთვის აბსოლუტურად სულერთი იყო, ვის ორგანოეს ჭამდნენ და ვის სისხლს სვამდნენ, სხვა დანარჩენ კულტურებში მჭამელსა და შესაჭმელს შორის მკვეთრი სოციალური კავშირი იყო.

სამედიცინო კანიბალიზმი ნელ-ნელა ჩაქრა მეცნიერების განვითარების პარალელურად. ის უკვე საკმაოდ სუსტი იყო XVIII საუკუნეში, როდესაც ევროპელებმა ჩანგლებით დაიწყეს ჭამა და საპნით დაბანა. მიუხედავად ამისა, სამედიცინო კანიბალიზმი ევროპამ მაინც შემოინახა XIX-XX საუკუნემდე.

**რიჩარდ საგსს მოჰყავს მაგალითები, რომლებშიც XIX საუკუნეში კანიბალიზმის შემთხვევებია აღწერილი. ერთ-ერთი ასეთი მაგალითის თანახმად, 1847 წელს ერთ ინგლისელს ურჩიეს, დაეფხვნა ახალგაზრდა ქალის თავის ქალა, დაემზადებია ნაყენი და დაელევნებინა შვილისთვის, რომელიც ეპილეფსიით იყო დაავადებული. კაცმა სიტყვასიტყვით შეასრულა ექიმის დანიშნულება, მაგრამ მკურნალობას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.**

XIX საუკუნის 90-იან წლებამდე ადამიანის ქონისაგან ამზადებდნენ მაგიურ სანთლებს, რომლებიც თითქოსდა ახშობდა ადამიანის გრძნობებსა და გონებას. ეს სანთლები ძალზე პოპულარული იყო ქურდბაცაცებში და „ქურდული სანთლები“ შეარქვეს. ითვლებოდა, რომ, თუ ქურდი ამ სანთელს აანთებდა, გასაქურდი სახლის პატრონები მისთვის ხელის შეშლასა და წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებდნენ.

უკანასკნელი დასაბუთებული შემთხვევა, რომლის დროსაც სიკვდილით დასჯილთა სისხლს სვამდნენ, საგსის მტკიცებით, 1908 წლითაა დათარიღებული. XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის სამედიცინო კატალოგებში ჯერ კიდევ შეხვდებოდით განცხადებებს იმის თაობაზე, რომ წამლების დასამზადებლად მუმიები იყიდებოდა.

expert.ru

მოკლედ

## ჰოსნი მუბარაქს ნერვებმა უღალატა



**ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს ნერვული შეტევა დაემართა.** მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მას არა საერთაშორისო სამედიცინო ცენტრში, არამედ ციხეში გადაიყვანდნენ, ყოფილ პრეზიდენტს ტირილი აუვარდა. „დიდო ღმერთო, მე ამ ქვეყანას ვემსახურებოდი“! — ამ სიტყვების შემდეგ მას გულის შეტევა დაემართა. შეგახსენებთ, რომ ქაიროს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს სამუდამო პატიმრობა შეეფარდა. იგი რეჟიმის წინააღმდეგ გამოსული დემონსტრანტების მკვლელობაში დაადანაშაულეს.

## მიტ რომნი ოფიციალური კანდიდატია

**რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი მიტ რომნი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა.** მან პრაიმერლიზში რესპუბლიკური პარტიის დელეგატების ხმების უმრავლესობა დაიმსახურა და აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა. რომნის 1144 ხმის მოგროვება სჭირდებოდა და ხმების ეს საჭირო რაოდენობა ტეხასში გამარჯვების შემდეგ დააგროვა. რომნი მორმონების ისტორიაში აშშ-ის პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი იქნება. ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 6 ნოემბერს გაიმართება. მიტ რომნის მოწინააღმდეგე აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი ბარაკ ობამა იქნება.

**ვაშინგტონი უშედეგოდ ცდილობს, ჩამოაგდოს სირიის ხელისუფლება, რომ გათავისუფლდეს რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზისაგან. ვაშინგტონი კოორდინირებას უწევს სირიელი მეამბოხეებისთვის იარაღის მიწოდებას. ვაშინგტონის მხრიდან სირიის საქმეებში ჩარევის გამართლებად იქ ადამიანთა უფლებების დარღვევები სახელდება, მაგრამ გაეროს მიერ მომზადებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ მეამბოხეები სირიის ხელისუფლებაზე მეტად არ დარდობენ იქ ადამიანთა უფლებების დარღვევებს. ეს მეამბოხეები თავად აწამებენ და ხოცავენ ტყვეებს, იტაცებენ მდიდარ მოქალაქეებს გამოსასყიდის მიღების მიზნით.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპელი ინტელიგენტები — ევროპის წინააღმდეგ



**ევროპა სხვა, უფრო გლობალური კრიზისის ზოლში გადადის. ერთის მხრივ, პარალიზებულმა ეკონომიკამ, მეორე მხრივ კი, მიგრანტების სიჭარბემ და მულტიკულტურიზმის სრულმა კრახმა ის ახალი კატასტროფის ზღვარზე დააყენა. ამ კატასტროფის მასშტაბების წინასწარ განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ნათელია ერთი რამ: ნორვეგიელებს არ სურთ იმასთან შეგუება, რომ ოსლოში დაბადებული ბავშვების 47% მიგრანტია, ამიტომაც აჩუქეს მათ მსოფლიოს ბრეივიკის კლასის სასწაული, ბერძნები, რომელთაც ცვლილებები მოენატრათ, პარლამენტში ნეონაცისტებს ამარჯვებინებენ, საფრანგეთში კი, სადაც ფრანგები მუსლიმანების მოშორებაზე ოცნებობენ, ულტრამემარჯვენეები აგროვებენ გამსვლელ ქულებს. არც ავსტრიასა და გერმანიაშია სიმშვიდე: საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო ხშირად მოითხოვს ამ ქვეყნების მიგრანტებისაგან გაწმენდას.**



ულტრამემარჯვენე ნეონაცისტური ტენდენციები ევროკავშირის ყველა ქვეყანაში შეინიშნება. მაგრამ სხვა ტენდენციებიც სახეზეა. მაგალითად, ევროპის მუსულმანურ მოსახლეობას არ სურს იმით დაკმაყოფილდეს, რაც აქვს, და უფრო მეტს ითხოვს. კერძოდ, შვეიცარიის მუსლიმანებმა დაიწყეს კამპანია ქვეყნის სახელმწიფო დროშის შესაცვლელად — მათ თურმე არ სიამოვნებთ დროშაზე ჯვრის ყურება და ითხოვენ ისეთ ნახატებს, რომლებიც მათ რელიგიურ გრძნობებს არ დათრგუნავს. ადამიანები, რომელთაც მისცეს თავშესაფარი, განათლება, სამუშაო, კეთილდღეობა, ახლა ცდილობენ, სხვის სახლში თავიანთი აბორიგენული წესრიგი დაამყარონ. ცხადია, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხვალ შვეიცარიის პარლამენტი ნეონაცისტების ხელში აღმოჩნდება.

მაგრამ მიგრანტების გაგებაც შეიძლება. ისინი ამბობენ, რომ 50-60 წლის წინ ისინი ევროპაში იაფი მუშახელის სახით შეზიდეს, სასტიკ პირობებში ამუშავეს, მათ საშუალებით მიაღწიეს კოლოსალურ ეკონომიკურ ზრდას და ახლა, როდესაც დასავლეთ ევროპა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერია, ეუბნებიან, რომ ისინი უცხონი არიან ამ ქვეყანაში.

მომწიფებული პრობლემების ადეკვატური გადაწყვეტისთვის პოლიტიკური ნების არარსებობა ევროპაში ექსტრემიზმის პროვოცირებას ახდენს. თუ საფრანგეთში პრეზიდენტად ირჩევენ სოციალისტ ოლანდს, რომელიც მომავალშიც აპირებს მულტიკულტურიზმის პოლიტიკის გაგრძელებას, მაშინ ცხადია, საფრანგეთში ნელ-ნელა გაძლიერდება ულტრამემარჯვენე ტენდენციები, ვიდრე ელისეის სასახლეში მარინ ლე პენი არ შევა და იქ თავის წესრიგს არ დაამყარებს. და ასე იქნება ევროპის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში.

**ევროპაში ნეონაციზმის აღორძინება შესაძლებელი გახდა რესპუბლიკურ იდეალებზე უკიდურესი მემარჯვენე პარტიების სისტემატიური შეტევების შედეგად. ნეონაციზმის აღორძინება პროვოცირებულ იქნა ეგრეთ წოდებულ ევროპის ისლამიზაციასთან „კულტურული“ ბრძოლით.**

ევროპული ელიტა ასკვნის: „ბერძნულ პარლამენტში ნეონაცისტების არჩევის მაგალითზე ამ საშინელ სიტუაციასთან შეჯახებით ვაცხადებთ ჩვენს სოლიდარობას: ჩვენ ყველანი ბერძენი ებრაელები ვართ. ჩვენ უარს ვაცხადებთ აღიარებაზე, რომ ჩვენს კონტინენტზე ებრაელები, იმიგრანტები, მუსლიმანები, ბოშები და ფერადკანიანები შფოთავენ იმის გამო, თუ ვინ არიან ისინი. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ ბრძოლისაკენ ევროპული ოცნების ასახდენად. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ოცნება ფაშიზმის ნანგრევებზე შეიქმნა. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ებრაელთა ჟლეტა. **ჩვენი ოცნებაა რასიზმისა და ანტისემიტიზმისაგან თავისუფალი კონტინენტი. ამ ოცნების განხორციელებისთვის აუცილებელია ბოლო მოეღოს ორ დოგმას: ჯერ ერთი, ჩვენ უნდა უარვყოთ მკაცრი საბიუჯეტო ეკონომიის პოლიტიკა. მეორეც, უნდა უარვყოთ დოგმა „ევროპული ციხესიმაგრის“ შესახებ, რომელიც ხელს უწყობს ანტიიმიგრანტული განწყობების გავრცელებას“.**

უნდა ითქვას, რომ ამ დასკვნებით ევროპა შორს წავა და ბოლოს ნაციზმის რეაბილიტაციისა და ნაცისტური რეჟიმის აღორძინებამდე მივა. თუ ევროპის ელიტა თვლის, რომ ევროპელების მთავარი პრობლემა ისლამიზაციასთან ბრძოლაა და ამ დროს თავად ისლამისტებს მშვიდად სძინავთ, მაშინ ეს უკვე დასასრულია.

**n-idea.am**

# ახალი ჯვაროსნები



**კონსტანტინოპოლის გაძარცვის მიზეზი უზარმაზარი ვალები იყო, რომლებიც დასავლეთში დაგროვდა. დღეისათვის ბერძენთაგან ცოტა ვინმე თუ იტყვის რაიმე კარგს ევროპულ საბანკო სისტემაზე. ისინი თვლიან, რომ სწორედ ეს სისტემაა მათი ახლანდელი კრიზისის საბაბი.**

მსგავსი რამ ხდებოდა 800 წლის წინათაც: წმინდა მიწაზე ქრისტიანობის დასაცავად მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა საბოლოო ჯამში გაძარცვეს კონსტანტინოპოლი — ბერძნულენოვანი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი იმ უზარმაზარი ვალების გამო, რომლებიც დასავლეთში დაგროვდა.

**ის, თუ როგორ იქცევა ევროპა საბერძნეთის ახლანდელ კრიზისთან დაკავშირებით, სულაც არაა იმაზე სამარცხვინო, რასაც ჯვაროსნები მრავალი საუკუნის წინათ აკეთებდნენ. მუქი ლაქა დასავლეთის ისტორიულ სინდისზე სულ მცირე გაფრთხილება უნდა იყოს იმ ბანკირებისა და პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც უმალ საბერძნეთის კრახს დაუშვებენ, ვიდრე საკუთარ მფლანგველობაზე აიღებენ პასუხისმგებლობას.**

ახლა საბერძნეთი ევროპის პერიფერიაა, მაგრამ XII საუკუნეში კონსტანტინოპოლის გავლით მიმდინარეობდა აღმოსავლური სანელებლებით, აბრეშუმითა და ფუფუნების საგნებით მაღალშემოსავლიანი ვაჭრობა. ამ ვაჭრობამ გაამდიდრა უამრავი ევროპელი, ისევე, როგორც საბერძნეთის, ესპანეთის, პორტუგალიისა და იტალიის ეკონომიკები უკანასკნელ ოც წელიწადში.

**XII საუკუნის ბოლოს ვენეციის, გენუის, პიზის და სხვა მათი მსგავსი ქალაქების ვაჭრებმა კონსტანტინოპოლში ისეთ უპირატესობებს მიაღწიეს, როგორისთვისაც ახლანდელი ახალგაზრდა საფონდო მენეჯერები არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდნენ. ისინი ადგილობრივ ვაჭრებზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ხელი მოაწერეს ეშმაკურ კომერციულ შეთანხმებებს, რომლითაც ან საერთოდ თავიდან აიცილეს, ან მინიმუმამდე შეამცირეს გადასახადები. როგორც თანამედროვე საბერძნეთის შემთხვევაში, მაშინაც ამან ბაზარზე იაფი უცხოური კაპიტალის მოდინება განაპირობა.**

მაგრამ დაახლოებით 1200 წელს საქმეები აირ-დაირია. ბიზანტიის იმპერიაში საქონელბრუნვა მკვეთრად შემცირდა, რაც განაპირობა სახსრების უზომო ფლანგვამ ვენეციაში ევროპული ცენტრალური ბანკის შუასაუკუნოვანი ექვივალენტის მიერ. დაახლოებით ერთ საათში აუცილებელი გახდა იოლი ფულიდან ისეთ ნაკლებსასიამოვნო საქმეზე გადასვლა, როგორიცაა გადასახადების მოკრება. როგორც ათონის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ფინანსური კრიზისი სერიოზულ სტადიაში გადავიდა, ცხადი გახდა, რომ არავინ აპირებდა პასუხისმგებლობის აღებას გადამეტებულ კრედიტირებაზე და საუკეთესო პროგნოზების გაკეთებას. ვიღაცას პასუხი უნდა ეგო ზარალზე, მაგრამ ვენეციელმა ვაჭრებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ ეს „ვიღაც“ ისინი არ იქნებოდნენ. ყველა კონსტანტინოპოლისა და ბერძნულენოვანი ბიზანტიისაკენ იყურებოდა.

**საბოლოო ჯამში, კონსტანტინოპოლის ერთ-ერთმა მეამბოხე პარტიამ წამოაყენა წინადადება — გარიგება მომხდარიყო ვენეციასთან: უბრწყინვალესი რესპუბლიკის ვალების დაბრუნების სანაცვლოდ, ეს პარტია ვენეციისაგან სამხედრო მხარდაჭერას მიიღებდა ბიზანტიის ტახტზე საკუთარი პრეტენზიების გასამყარებლად. ვენეცია სიხარულით ჩაეჭიდა ამ შესაძლებლობას.**

მაგრამ კონსტანტინოპოლმა თავისი სავალე ვალდებულებების მოცულობა სათანადოდ ვერ შეაფასა, ვენეციური იარაღის ეფექტი კი გადაჭარბებულად შეაფასა. უცხოეთში ფინანსური ვალდებულებები იზრდებოდა, ქვეყანაში კი პოლიტიკური პარალიჩი მწვავდებოდა.



**რომის პაპიდან დაწყებული, ევროპელი მეფეებით დამთავრებული — ყველამ მშვენივრად იცოდა კონსტანტინოპოლის მზარდი პრობლემების შესახებ. ევროპული დელეგაციები ერთმანეთის მიყოლებით უჩიჩინებდნენ ბერძნებს, დაეწყოთ ადეკვატური ქმედება, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, დაებრუნებიათ ვალები. ვენეციის ზეწოლით ჯვაროსნებმა ქალაქი აიღეს.**

საბოლოო ჯამში, ევროპელებს მოსწყინდათ უსაქმურობა. რაინდებმა კონსტანტინოპოლი შტურმით აიღეს. ამის შემდეგ **სირცხვილის ისტორია** იწყება: გაიძარცვა ქალაქის უძვირფასესი ქონება, რომელიც ვალების დაფარვის მიზეზით ბრბომ დაიტაცა. ეს ბრბო საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას ქალაქის მცხოვრებლებს, მათ კულტურასა და ისტორიას.

წმინდა სოფიას ტაძრის საკურთხეველზე მეძავები ცეკვავდნენ. გაიძარცვა სასახლეები, ბაღები და სიწმინდეები. რაინდები იტაცებდნენ ხელოვნების უძვირფასეს ნიმუშებს, რომლებითაც შემდეგ მთელი დასავლეთ ევროპის ტაძრები და ეკლესიები მოირთო.

**თვლიდნენ რა ბერძნებს არაკომპეტენტურებად ფისკალურ და პოლიტიკურ საკითხებში, დამპყრობლებმა დანიშნეს რეგენტი. ეს იყო ახლანდელი მსოფლიო სავალუტო ფონდის ჩვეულებრივი მოხელე, რომელთანაც საქმის დაჭერა შეეძლოთ დასავლეთის ლიდერებს.**

ამ ყველაფერთან ერთად, კეთილშობილმა რაინდებმა, რომლებიც სათავეში ედგნენ ჯვაროსნულ ლაშქრობას, ქალაქიცა და იმპერიაც გავლენის სფეროებად დაანაწილეს, ეს არის ფასების დაწევის წინ აქტივების მიტაცების კლასიკური მაგალითი. ახალმა ლათინურმა იმპერიამ, რომლის ცენტრიც კონსტანტინოპოლი იყო, 50 წელიწადს გაძლო, შემდეგ ხელისუფლებაში ბერძნები დაბრუნდნენ.

**პიტერ ფრანკოპენი,**
**ოქსფორდში ბიზანტიური კვლევების ცენტრის დირექტორი,**
**ავტორი წიგნისა „პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა: ძახილი აღმოსავლეთიდან“.**

**International Herald Tribune**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„...შემთხვევითი არ არის, რომ იუგოსლავიის დრამის თითქმის ყველა მონაწილე სამმხრივი კომისიის წევრია: პრეზიდენტ ბუშიდან დაწყებული, რომელმაც პირველი ნაპერწკალი შეუნთო ბალკანეთის დენთის საწყობს კოსოვოელი ალბანელების მხარდაჭერით, შემდეგ ლორდ კარინგტონით გაგრძელებული და საირუს ვენსითა და უორენ კრისტოფერით დამთავრებული...“

# მართლმადიდებლობა და ახალი მსოფლიო წესრიგი

**დღეს „საქართველო და მსოფლიო“ შემოგთავაზებთ მრავალმხრივ საინტერესო ინტერვიუს დოქტორ მარკო მარკოვიჩთან ისეთ საკითხებზე, რომლებიც იშვიათად განიხილება პრესის ფურცლებზე, მაგრამ გვაწუხებს, უფრო — ქვეცნობიერად, პასუხებს კი ვერ ვპოულობთ. ეს ისეა, როგორც ფეხქვეშ მიწა გეწვოდეს, გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე მიაბიჯებდე და გაცნობიერებული არ გქონდეს, რა ხდება. სანამ ამ საკითხებში გასარკვევად დოქტორ მარკოვიჩს მივმართავთ, მისი ბიოგრაფიის დეპეშურ ჩანაწერს გავეცნოთ.**



**დოქტორი მარკო მარკოვიჩი (1924-2012) იყო ღმრთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, იურისტი, პოლიტოლოგი, ფილოლოგი, ბელეტრისტი და პუბლიცისტი, ოცი წიგნისა და რამდენიმე ასეული სტატიის ავტორი.**

**თანამედროვენი მას XX საუკუნის უჭკვიანეს სერბად მოიხსენიებენ.**

**60 წელიწადზე მეტ ხანს ცხოვრობდა და მუშაობდა პარიზში. სორბონაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „უთანაბრობის ფილოსოფია და ნიკოლაი ბერდიაევის პოლიტიკური იდეები“.**

**სხვადასხვა დროს მუშაობდა ღვთისმსახურად, მართლმადიდებელი ახალგაზრდობის კავშირის მდივნად, თარჯიმან-დოკუმენტალისტად, იურისტ-კონსულტად, მრჩევლად სხვადასხვა ორგანიზაციაში.**

**იყო თავისუფალი ანალიტიკოსი და ლიტერატორი.**

**სერბეთში მას სიტყვიერების დიდ მოღვაწედ მოიხსენიებენ, სიტყვის მსახურად, მეცნიერებისა და სიწმინდის მატარებელ ადამიანად.**

* * *

**ინტერვიუს დასაწყისში მარკო მარკოვიჩი აზუსტებს, რომ, უმჯობესი იქნება, თუ მხოლოდ ევროპით არ შემოვიფარგლებით და ვისაუბრებთ ახალ მსოფლიო წესრიგსა და მართლმადიდებლობაზე, ვინაიდან ევროპა ჩაშენებულია თანამედროვე მსოფლიო რეალობაში და განცალკევებით არ არსებობს.**

**— რა სიახლეა ამ ახალ მსოფლიო წესრიგში?**

— ორმა მოვლენამ საფუძველშივე შეარყია არსებული წესრიგი — წონასწორობის დარღვევამ მსოფლიოში და დემოკრატიის გახრწნამ. ბერლინის კედლის დანგრევისა და კომუნიზმის დაღუპვის შემდეგ რუსეთი უუნარო აღმოჩნდა, საბჭოთა კავშირს რომ ჩანაცვლებოდა. საბჭოთა კავშირის ნანგრევების ქვეშ, მის გეოპოლიტიკურ სივრცეში უდიდეს სიცარიელეს დაუღია პირი, და სანამ არ აღდგება რუსეთის სამეფო, მსოფლიოში იბატონებს ამერიკული თვითმპყრობელობა და ქაოსი. ლაქუცა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უკვე ისე იქცევა, როგორც მსოფლიოს უფალი... მაგრამ რეალურად მსოფლიოს ხელმწიფებას იგი ვერ შეძლებს მანამდე, სანამ რუსეთი, ატომური ძალის მქონე სახელმწიფო, მთლიანად არ განადგურდება. და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, იგი არასოდეს გახდება მსოფლიოს მპყრობელი, დარჩება თოჯინად იმათ ხელში, ვინც ჩვენ მსოფლიო კატასტროფისკენ გვიბიძგებს. ამიტომ **დღეს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკოსებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, გააფართოონ რუსული უფსკრული, ხოლო ადამიანები სივრცის ამ სექტორში ან ურთიერთამოწყვეტამდე მიიყვანონ, ან თავად გაანადგურონ. იუგოსლავია ამ პროცესის მხოლოდ პირველი ეტაპია...**

ანალიზისას ყველაზე უფრო დემოკრატიის მორალურმა გახრწნამ განმაცვიფრა **(მარკო მარკოვიჩი დეტალურად ჩამოთვლის იმ აშკარად არადემოკრატიულ ქმედებებს, რომელთა მეშვეობით დაშალეს ყოფილი იუგოსლავია, სახელმწიფოებად აღიარეს ამ ქვეყნის ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც ერები არ არიან, პარალელურად მიმდინარეობს სერბების დათრგუნვა და მათი უფლებების ყოველმხრივი შებღალვა და ა. შ.).**

**— და ასეთი დემოკრატიით სურთ კომუნიზმის ჩანაცვლება?**

— არ ვიცი, საიდან აქვთ ისეთი თავხედობა, რომ სხვებს ჩაუტარონ დემოკრატიის გაკვეთილები. ჩემი მოკრძალებული აზრით, **გაეროსა და ევროპის თანამეგობრობის მოქმედებებმა დაგვანახა, რომ დასავლელ სახელმწიფო მოღვაწეებს თვითონ არ სჯერათ თავიანთი დემოკრატიული იდეების. დემოკრატიული პრინციპების საფარის გამოყენებით ისინი ყოველ ნაბიჯზე ფეხქვეშ თელავენ ამ პრინციპებს...** რადგან დემოკრატი პოლიტიკოსები განუწყვეტლივ და უდიდესი ცინიზმით დემოკრატიული იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ იქცევიან, ისინი ჩვეულებრივი ფარისევლები არიან, რომელთაც არ სჯერათ ამ იდეოლოგიის ჭეშმარიტების.

**— თუ თქვენი კრიტიკა დასავლეთის პოლიტიკოსების მიმართ სამართლიანია, რით შეიძლება ავხსნათ, რომ არც ერთი სამართალმცოდნე დასავლეთში არ აღმდგარა დემოკრატიული პრინციპების დასაცავად და არ დაუგმია ამ პრინციპების შემლახველები? რით შეიძლება ავხსნათ, რომ სერბებს დასავლეთში ვერ უპოვიათ ვერც ერთი ავტორიტეტული და მჭევრმეტყველი ადვოკატი, ვინც მათ ინტერესებს დაიცავდა?**

— მეც მაწუხებს ეს საკითხი. ნუთუ ცნობილ სამართალმცოდნეებს ისე ეშინიათ თავიანთი კარიერის გაცუდების, რომ მათ შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც დაიცავდა დემოკრატიას? სერბები კი არ დაეცვათ, არამედ სწორედ დემოკრატია და დემოკრატიული პრინციპები.

საბედნიეროდ, გამონაკლისები იყო, მაგრამ არ ხდებოდა მათი პროპაგანდა. აი, მაგალითად, პროფესორმა მორის დივერჟემ, ერთ-ერთმა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანმა ფრანგმა იურისტმა, ჯერ კიდევ 1993 წელს დაგმო დასავლეთის ოფიციალური პოლიტიკა სერბების მიმართ და სამართლებრივი კუთხით დაადასტურა სერბული პოზიცია: **„პოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი შეცდომა იყო სამხრეთ სლავების ბლოკის დაშლა, რომლებიც საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში გაერთიანებას ცდილობდნენ. იურიდიული თვალსაზრისით, ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფას, თუმცა ეს განხორციელდა საფრანგეთის, იტალიისა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოების თავდებობით... საკითხი შეიძლებოდა კომპრომისის საშუალებით გადაწყვეტილიყო, ევროპის თანამეგობრობას კანონსაწინააღმდეგოდ ფედერალური სახელმწიფოს შიდა საზღვრებზე რომ არ გაევრცო საერთაშორისო საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპი“...**

**— ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ სერბების წინააღმდეგ რაღაც მსოფლიო შეთქმულება არსებობს? რისთვის? როგორ შეიძლება ამის წარმოდგენა?**

— უაზრობა იქნება, თუ წარმოვიდგენთ, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი გაერთიანდა სერბების მოსასპობად, მაგრამ, თუ წარმოვიდგენთ სერბეთს, როგორც პირველ პაიკს, რომელიც შეწირულ უნდა იქნას მსოფლიო საჭადრაკო პარტიაში, ეს რეალობა იქნება. მხოლოდ საჭიროა, ჩავწვდეთ მოწინააღმდეგის აზრებსა და ჩანაფიქრს.

**— ხომ შეიძლება, შევცდეთ?**

— ასეთი რამ რომ არ მოხდეს, ზეპირად უნდა ვისწავლოთ ჩვენი მოწინააღმდეგის ყველა წინა საჭადრაკო პარტია, სხვა სიტყვებით, უნდა დავუბრუნდეთ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის სათავეებს. თქვენ უთუოდ გსმენიათ სამმხრივი კომისიის შესახებ. მისი ძლიერება განაპირობეს ადამიანებმა, ვისაც საკვანძო პოზიციები უკავიათ ამერიკაში, ევროპასა და იაპონიაში. ამ კომისიის ფესვები ორგანიზაცია „მრგვალ მაგიდაშია“ ჩამარხული, რომელიც თავის დროზე ზემოქმედებდა ამერიკის პრეზიდენტ ვილსონზე. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში „მრგვალი მაგიდა“ ორ სტრუქტურად განივრცო — ინტერნაციონალურ საქმეთა სამეფო ინსტიტუტად დიდ ბრიტანეთში და ინტერნაციონალურ ურთიერთობათა საბჭოდ აშშ-ში. ამ ორგანიზაციის შტაბბინა ნიუ იორკში მდებარეობდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოს თავმჯდომარეს — დავით როკფელერს, რომელიც ამავე დროს ბანკ „ჩეიზ მანჰეტენის“ დირექტორიც იყო, დაებადა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ ორგანიზაციას განავრცობდა სამ კონტინენტზე და მიეცემოდა პლანეტარული მასშტაბი.

სამმხრივი კომისია ოფიციალურად დააარსდა 1973 წელს ტოკიოში. ხაზგასმით ვთქვათ, რომ იგი არ არის საიდუმლო ორგანიზაცია. მასში გაერთიანებულია რამდენიმე ასეული წევრი — აუცილებლად გავლენიანი პირები ფინანსური და პოლიტიკური სფეროებიდან, რომელთა სახელები საყოველთაოდაა ცნობილი. საკმარისია, დავასახელოთ კისინჯერი, ანელი ან როტშილდი. რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ რომში შეკრებილი კომისიის წევრები მიიღო და მათ ასე მიმართა: **„თქვენი ცოდნის უზარმაზარი სიმდიდრე პოლიტიკის, ეკონომიკისა და ფინანსების სფეროებში მნიშვნელოვანი ძლიერების საშუალებას განიჭებთ“**. ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა კი მიუკიბავ-მოუკიბავად დაწერა: **„მათი გავლენა და გადაწყვეტილებანი... დაღს ასვამს მილიარდზე მეტი ადამიანის ბედ-იღბალს“.**

**...შემთხვევითი არ არის, რომ იუგოსლავიის დრამის თითქმის ყველა მონაწილე სამმხრივი კომისიის წევრია: პრეზიდენტ ბუშიდან დაწყებული, რომელმაც პირველი ნაპერწკალი შეუნთო ბალკანეთის დენთის საწყობს კოსოვოელი ალბანელების მხარდაჭერით, შემდეგ ლორდ კარინგტონით გაგრძელებულ და საირუს ვენსითა და უორენ კრისტოფერით დამთავრებული...**

**— ...მაგრამ ამით ვერ აიხსნება, რატომ განახორციელებენ ისინი სწორედ ასეთ პოლიტიკას და არა სხვაგვარს, და ვერ დამტკიცდება, რომ სამმხრივი კომისიის პოლიტიკა მიმართულია სერბებისა და იუგოსლავიის წინააღმდეგ.**

— ამ კომისიას აქვს იდეოლოგიური მიზანდასახულობა ან, უფრო ზუსტად, პოლიტიკური მიზანდასახულობა, რადგან იგი **ყველა იდეოლოგიის წინააღმდეგია...** ამ თვალსაზრისით ღირს, შევჩერდეთ ზბიგნევ ბჟეზინსკის პიროვნებაზე, რომელიც ამ კომისიის პირველი „იდეოლოგი“ იყო. იგი დაბადებულია ვარშავაში 1928 წელს, არის პოლონელი დიპლომატის — ტადეუშ ბჟეზინსკის ვაჟიშვილი. 1949 წელს ამერიკის მოქალაქე ხდება და სწავლობს პოლიტიკურ მეცნიერებებს ჰარვარდში, სადაც გაიცნობს ჰენრი კისინჯერს. ცოლად ჰყავს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის — ედვარდ ბენეშის ქალიშვილი. 1961 წელს ხდება დირექტორი კომუნისტური პრობლემების შემსწავლელი ინსტიტუტის, რომელსაც აფინანსებს როკფელერის ფონდი. დავით როკფელერს იგი სამმხრივ კომისიაში შეჰყავს. კომისიის ჩამოყალიბებიდან 1976 წლამდე ბჟეზინსკი არა მხოლოდ დირექტორია, არამედ ამ კომისიის თეორეტიკოსიც გახლავთ. ამ პერიოდში იგი მიიწვევს ამერიკის მომავალ პრეზიდენტს — ჯიმი კარტერს, რომელიც მადლიერების ნიშნად 1977 წელს მას აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნავს.

**— რა სურს ბჟეზინსკის?**

— იგი მრავალი მიმართულებით მოქმედებს, მაგრამ ჩვენ, მგონი, მისი სამი ტენდენცია დაგვაინტერესებს: **ყველა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რუსეთის წინააღმდეგ, ყველა ევროპული და იაპონური მისწრაფების წინააღმდეგ, რომლებიც ამერიკისგან დამოუკიდებლობისკენ არის მიმართული.**

ტრადიციულმა პოლონურმა სიძულვილმა რუსეთის მიმართ იგი ბოლშევიზმის გამართლებამდე მიიყვანა. **„სტალინური კომუნიზმის ისტორიული როლი,** — წერს იგი, — **უთუოდ გამოიხატა ეროვნული გამოღვიძების და რუსი ხალხის მიერ ინტენსიური იმპერიალიზმის შეცნობის შედეგების შეზღუდვაში“.** ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა კი აქედან ასეთი დასკვნა გამოიტანა: **„უსტალინოდ მეფის რუსეთი გახდებოდა** ▶

«დღეს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკოსებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, გააფართოონ რუსული უფსკრული, ხოლო ადამიანები სივრცის იმ სექტორში ან ურთიერთამოწყვეტამდე მიიყვანონ, ან თავად გაანადგურონ. იუგოსლავია ამ პროცესის მხოლოდ პირველი ეტაპია...»

**„კათოლიკები ხოცავდნენ მართლმადიდებლებს, როგორც კი სადმე ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდებოდნენ, განურჩევლად იმისა, მათ ერეტიკოსებად თუ სქიზმატიკოსებად მოიხსენიებდნენ... მაგალითად დავუსახელებ პოლონელების შეჭრას რუსეთში XVII საუკუნის დასაწყისში, რომელიც, ძალადობის თვალსაზრისით, რაც კი რუსი ხალხის წინააღმდეგ განხორციელდა, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ უსტაშის გენოციდს...“**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თანამედროვე შოვინისტური დიქტატურა“, გაცილებით უფრო საშიში, ვიდრე ბოლშევიკური რუსეთი“**, საბჭოთა კავშირთან შეიძლებოდა დისკუსიის გამართვა როგორც ნაკლებ ბოროტებასთან, რადგან ბოლშევიზმმა მოთოკა რუსული იმპერიალიზმი, აი, ნაციონალური რუსეთის მიმართ მოწყალებრივი მიდგომა არ ღირს. როგორც ხედავთ, მთელი პოლიტიკური აქტუალობა უკვე აქ, როგორც ჩანასახში, თავმოყრილია.

**(სერბეთის მომავალზე საუბრისას მარკო მარკოვიჩი განსაკუთრებით გამოჰყოფს რუსეთის როლს:** „თუ რუსეთი თავისით დაიშლება, — ამბობს იგი, — მაშინ აუცილებელი არ იქნება, გავირთულოთ სიტუაცია ჰაბსბურგების მონარქიისა და, შესაბამისად, ოტომანთა იმპერიის აღდგენით. მაგრამ, **თუ რუსეთი კვლავ მომძლავრდება როგორც მსოფლიო იმპერია და ინტერესების სფეროების მიხედვით განაწილებაზე, ახალ იალტაზე მიდგება საქმე, ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსებმა სერბები უცხოთა მოწყალების იმედად დატოვონ... მაგრამ, თუ რუსეთის სახელმწიფო დიდხანს დარჩება უძლური... დასავლეთი განაგრძობს კოსოვოსა და მაკედონიაში მინავლებული ნაკვერჩხლების გაღვივებას.** მიკვირს კიდეც, დღემდე რომ არ ყოფილა ინტენსიური მცდელობა ჩერნოგორიის სერბეთიდან გამოყოფის, რადგან საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა პრინციპი — ზღვაზე გასასვლელი ჩაეკეტათ სერბებისთვის. ამასთან, აღსაკვეთი იქნება რუსეთის მცდელობა, მოკავშირე სერბეთიდან გაიჭრას ადრიატიკისკენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ეს იყო დასავლეთის მიერ ტიტოს მხარდაჭერის მიზეზი მოსკოვის წინააღმდეგ“).

**— თქვენ გჯერათ „ვარიაბელური გეომეტრიის“, როგორც ახლა ამბობენ, ერთგვარი სახეობის არსებობა?**

— გვჯერა თუ არა, ეს პოლიტიკის ძირითადი კანონია. ტაქტიკა სტრატეგიაზე არის დამოკიდებული, იგი არის სტრატეგიის მისადაგება არსებულ ვითარებასთან და შესაძლებლობებთან, ამიტომ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი ბჟეზინსკის მაგალითი: იგი შეიძლება ნაწილობრივ, მაგრამ მაინც გვიმხელს ჩვენ წინააღმდეგ გამოყენებული სტრატეგიის მიზნებს.

მიაქციეთ ყურადღება ჩინეთის მაგალითს.

**ამერიკელები წლების განმავლობაში იმედოვნებდნენ, რომ ჩინეთი ერთ მშვენიერ დღეს ომს გამოუცხადებს საბჭოთა კავშირს.** ამიტომ იყო, რომ 1981 წელს სამმხრივმა კომისიამ სხდომა მოაწყო პეკინის ცენტრში — ტიენ ან მენის მოედანზე და დენ სიაო პინი მიესალმა მას. მაგრამ, როგორც კი დაიწყო მოლაპარაკება ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გორბაჩოვის ვიზიტის დროს, იმავე მოედანზე „სპონტანურად“ დაიწყო საპროტესტო აქციები. **ჩინეთმა იმედები ვერ გაუმართლა, არ შეასრულა მისთვის განსაზღვრული მისია. ამიტომ იყო, რომ დასავლეთის ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალება ქვებითა და კომბლებით თავს დაესხა ჩინეთს კომუნისტური ტერორის გამო სტუდენტებისა და უდანაშაულო მოსახლეობის წინააღმდეგ.** გაიხსენეთ ჩაუშესკუ, ყველაზე სისხლისმსმელი კომუნისტური ტირანი, და აღფრთოვანება, რომლითაც მიესალმნენ მის კრახს. ხანმოკლე აღმოჩნდა ასეთი რეაქცია... რადგან ამბოხებულებმა დაუყოვნებლივ არ გაილაშქრეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მეორე დღესვე მიაკერეს მათ „კაგებეს“ აგენტობა, ხოლო **მასობრივი დახვრეტა, რომელიც თითქოს მოაწყო ჩაუშესკუმ ტიმიშვარის სასაფლაოზე, წარმოგვიდგინეს, როგორც ჩვეულებრივი ტყუილი.** მაგრამ, როცა მოლდოვაში დაიწყო ომი რუსებსა და რუმინელებს შორის, ახალი რუმინეთის ხელმძღვანელების წინააღმდეგ თავდასხმები მინელდა.

ან მაგალითად რუსეთი ავიღოთ. **სანამ გორბაჩოვი ხელისუფლების სათავეში იყო, საეჭვო და არასასურველი ჩანდა მისი განზრახვა „თანდათან გაესწორებია ანგარიში კომუნიზმისთვის“, რადგან საბჭოთა კავშირის საზღვრები უცვლელი დარჩებოდა. ეს გახდა საზოგადოება „პამიატისა“ და „რუსული ანტისემიტიზმის“ წინააღმდეგ დასავლეთის მიერ მოწყობილი კამპანიის მიზეზი. დე მარანშის, საფრანგეთის დაზვერვის სამსახურის შეფს, არც უყოყმანია, ისე დაესხა თავს რუსებს, არც ოტო ჰაბსბურგელმა დაიზარა მათთვის ლექციების წაკითხვა „პოგრომების“ (დარბევების) თემაზე, ამასთან, სრულად დაივიწყა, ოცმა მილიონმა რუსმა თავი რომ შესწირა ნაციზმთან ბრძოლას.**

ელცინის მოსვლისთანავე საბჭოთა კავშირი დაიშალა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები მისი შემადგენლობიდან გავიდნენ, უკრაინა გამოეყო რუსეთს, ფლოტის ბედი გაუგებარი გახდა და „რუსული ანტისემიტიზმის“ წინააღმდეგ კამპანია თავისთავად ჩააცხრეს.

**— ვფიქრობ, ჩვენ თანდათან დავცილდით დათქმულ თემას და ზედმეტადაც კი შევჩერდით პოლიტიკაზე, ანუ, თუ გნებავთ, „ახალ მსოფლიო წესრიგზე“, მართლმადიდებლობას კი საერთოდ არ შევხებივართ. ამასთან, თუკი არსებობს თუნდაც უმცირესი პერსპექტივა ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობათა გაწონასწორებისა და ნორმალიზაციის, ამის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ რელიგიის მეშვეობით, მართლმადიდებელი, ქრისტიანული ეკლესიის მეშვეობით.**



**«რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ რომში შეკრებილი კომისიის წევრები მიიღო და მათ ასე მიმართა: «თქვენი ცოდნის უზარმაზარი სიმდიდრე პოლიტიკის, ეკონომიკისა და ფინანსების სფეროებში მნიშვნელოვანი ძლიერების საშუალებას განიჭებთ». ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა კი მიუკიბავ-მოუკიბავად დაწერა: «მათი გავლენა და გადაწყვეტილებანი... დაღს ასვამს მილიარდზე მეტი ადამიანის ბედ-იღბალს»**

— ნუ ღელავთ, ჩვენ გზა არ აგვბნევია, დავიწყეთ ფაქტებით და მივდივართ პირდაპირ დასახული მიზნისკენ. გეთანხმებით, რომ **გადარჩენა შეიძლება რელიგიის მეშვეობით, თუ მართლმადიდებელი ეკლესიები და ხალხები შეძლებენ, დროზე მიაღწიონ შეთანხმებას. არავითარ გულწრფელ და იმედიან დახმარებას დასავლეთიდან არ უნდა ველოდოთ.**

რაც შეეხება მართლმადიდებლურ ეკლესიას, ვფიქრობ, რომ ეკუმენიზმი კრახს განიცდის. სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დოკუმენტური ცნობის მიხედვით, არც ერთი მართლმადიდებლური ეკლესია ოფიციალურად არ დამდგარა წამებული სერბი ხალხის მხარეს, მის დასაცავად.

**— ხომ არ გინდათ, თქვათ, რომ ამგვარად დამტკიცდა მამა იუსტინე პოპოვიჩის თქმული: „ყველა ეს ფსევდოეკლესია სხვა არაფერია, თუ არა მწვალებლობა მწვალებლობაზე“?**

— რახან მამა იუსტინე ახსენეთ, ისიც გავიხსენოთ, რაც მან კათოლიკურ ეკლესიაზე თქვა: „ქრისტე ზეცაში გაისტუმრეს, მის ადგილას კი დააყენეს „ნაცვალი“ — პაპი. ღმერთკაცი შეცვალეს კაცით, სიყვარული კი „ყველაფრის სისტემატიური განრიდებითა და მოსპობით, რაც თაყვანს არ სცემს პაპს, პაპის სარწმუნოებაში ძალადობრივი მოქცევითაც კი და ცოდვილთა კოცონზე დაწვით თვინიერი და კეთილი იესო ქრისტეს განსადიდებლად“.

**— მიუხედავად ამისა, მამა იუსტინე წინააღმდეგი არ იყო ქრისტიანთა ჭეშმარიტი შერიგების, მაგრამ იმ პირობით, რომ აღსარებით მისულიყვნენ წმინდა გრაალამდე. მას მიაჩნდა, რომ ამის გარეშე უაზრობა და არაბუნებრივი იქნებოდა ეკლესიათა რაიმე ერთობაზე, დიალოგზე, ინტერკომუნიოზე ლაპარაკი. ღმერთკაცის წინაშე აღსარებაში ხედავდა იგი პაპიზმის „ყოველცოდვისგან“ განკურნების წამალს.**

— ვფიქრობ, რომ აქ ჩვენ შევეხეთ პრობლემის არსს, რადგან საქმე ისაა, რომ ჭია, უკვე დიდი ხანია, შემძვრალია ვაშლში. სიძულვილი არაკათოლიკეთა მიმართ ჯერ კიდევ თომა აქვინელიდან მოდის. თავის ნაშრომში „თეოლოგიის ჯამი“ იგი წერდა: „რაც შეეხება ერეტიკოსებს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი რამ, რომელთაგან ერთი მათ ეხება, მეორე — ეკლესიას. მათი მხრიდან არსებობს ისეთი ცოდვა, რომლის გამოც ისინი იმსახურებენ არა მხოლოდ ექსკომუნიკაციით ეკლესიიდან განდევნას, არამედ ცხოვრებიდან სიკვდილით მოცილებას. და მართლაც, რწმენის დამახინჯება, რომელსაც ეფუძნება სულიერი ცხოვრება, უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე ფულის ფალსიფიცირება, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება. ამიტომ, თუ ფულის გამყალბებლებს ხელისუფალნი უპირობოდ უსჯიან სიკვდილს კანონის სამართლიანობით, ერეტიკოსებიც, როგორც კი დადასტურებული იქნება მათი მწვალებლობა, შეიძლება არა მხოლოდ ექსკომუნიცირებული იყვნენ, არამედ სრულიად სამართლიანად მოკვდინებულნი. ეკლესიის მხრიდან კი პირიქით, არსებობს გულმოწყალება გზასაცდენილთა მოქცევით განხორციელებული... მაგრამ, თუ ერეტიკოსი თავისაზე დარჩება, ეკლესია, რომელსაც მისი აღსარების იმედი გადაეწურება, ხელს შეუწყობს სხვათა გადარჩენას, მოიცილებს მას ექსკომუნიკაციის მეშვეობით და დამატებით გადასცემს მას საერო სასამართლოს, რათა ის ამქვეყნიერებიდან იქნას მოცილებული სიკვდილით“.

თანამედროვე მკითხველი ამ ტექსტმა რომ არ შეაცდინოს, 1985 წლის ფრანგული გამოცემის რედაქტორი მიაწერს: „ჩვენ ახლა არ შეგვიძლია დავძრახოთ მენტალიტეტი, რომლის განსჯის ელემენტები გვაკლია“.

**— იგი მიიჩნევს, რომ ამ მინაწერით კათოლიკებმა ხელი დაიბანეს?**

— არა. მას სწამს, რომ ამით თანამედროვე მკითხველი მოატყუა. როგორც განათლებულ თეოლოგს, მას უნდა სცოდნოდა, რომ თომა აქვინელის პრინციპმა საუკუნეები გამოიარა და რომ 1910 წელს მამა ლეპისიემ, მომავალმა კარდინალმა, თავის ნაშრომში „დემაგოგის სტაბილურობისა და პროგრესის შესახებ“, რომელიც პაპმა პიუს X-მ მოიწონა, წერდა შემდეგს: „თუ ერეტიკოსები, რომლებიც თავიანთი ნებით ერეტიკოსები გახდნენ, დაუფარავად ქადაგებენ მწვალებლობას და თავიანთი მაგალითით, თავიანთი მავნე მსჯელობით უბიძგებენ სხვებს, მიიღონ იგივე, არავინ არ უნდა დაეჭვდეს, რომ ისინი არა მარტო იმსახურებენ ეკლესიიდან მოკვეთას ექსკომუნიკაციის გზით, არამედ (აგრეთვე) უნდა იქნენ ამოშლილი ცოცხალთა სიიდან“.

**— ნებისმიერი იეზუიტი გეტყვით, რომ მათი ეკლესია განასხვავებს ერეტიკოსებს სქიზმატიკოს-გამთიშველებისგან და რომ მართლმადიდებლები მეორეებს განეკუთვნებიან.**

— მე კი ვუპასუხებ იეზუიტს, რომ **კათოლიკები ხოცავდნენ მართლმადიდებლებს, როგორც კი თვითონ ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდებოდნენ, განურჩევლად იმისა, მათ ერეტიკოსებად თუ სქიზმატიკოსებად მოიხსენიებდნენ...** მაგალითად დავუსახელებ პოლონელების შეჭრას რუსეთში XVII საუკუნის დასაწყისში, რომელიც, ძალადობის თვალსაზრისით, რაც კი რუსი ხალხის წინააღმდეგ განხორციელდა, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ უსტაშის გენოციდს... ვაცნობებდი მას ავსტრო-უნგრეთში მართლმადიდებელი სერბების საშინელი ჩაგვრის შესახებ, როცა იეზუიტი გაბრიელ ხევენეში ურჩევდა იმპერატორ იოსებ I-ს, მოეკლა სერბი მეუფე ისაია ჯაკოვიჩი, რომელიც ერთი წლის თავზე „მოულოდნელად“ გარდაიცვალა ვენაში. დაბოლოს, ვაცნობებდი, რომ რუსმა ემიგრანტებმა 1993 წელს ხელმეორედ გამოსცეს პოპოვ-გრინენკოს წიგნი „მართლმადიდებლობისა და რუსეთის დევნა პოლონეთში XX საუკუნეში“. ეს წიგნი პირველად გამოიცა ბელგრადში 1937 წელს.

**— და კედელთან მიაყენებდით მას, რადგან კათოლიკური ეკლესია ამ ყველაფერს ვერ გაემიჯნება და ამგვარ დანაშაულს ცალკეულ პირებს ვერ მიაწერს, რადგან ისინი თავიანთ მოქმედებაში ეკლესიის მითითებებით ხელმძღვანელობდნენ. მაშასადამე, საჭიროა, რომ რომის ეკლესიამ მოინანიოს კათოლიკეთა მიერ საუკუნეების მანძილზე ჩადენილი ცოდვები, რადგან მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს ქრისტიანების გაერთიანების ერთადერთი გზა.**

— ასეთ დასკვნამდე უნდა მივიდეს ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებელი... მაგრამ რომის პაპი ამას არ იქმს, რადგან მაშინ ის უნდა წავიდეს თომა აქვინელისა და კარდინალ ლეპისიეს წინააღმდეგ...

**— მოდით, განვაზოგადოთ. იქიდან გამომდინარე, რაც თქვენ თქვით, ახალ მსოფლიო წესრიგში ადგილი არ აქვთ არც სერბებს, არც მართლმადიდებლობას. თუმცა არ შეიძლება ყველაფერი დავიყვანოთ გერმანიისა და ვატიკანის შეთქმულებამდე სერბების წინააღმდეგ. თქვენ მაინც მიიჩნევთ, რომ დასავლეთის ყველაზე უფრო გავლენიან სახელმწიფო მოღვაწეთა (მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი სამმხრივი კომისიის წევრები) და რომის პაპს შორის არსებობს თანხმობა, შესაძლოა, საერთო სურვილიც კი, განდევნონ მართლმადიდებელი ხალხები ისტორიის კალაპოტიდან?**

— სამწუხაროდ, ამით ყველაფერი არ ამოიწურება.

**«გადარჩენა შეიძლება რელიგიის მეშვეობით, თუ მართლმადიდებელი ეკლესიები და ხალხები შეძლებენ, დროზე მიაღწიონ შეთანხმებას. არავითარ გულწრფელ და იმედიან დახმარებას დასავლეთიდან არ უნდა ველოდოთ»**

გაგრძელება იქნება

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა ჩერჩილი 11 წლის განმავლობაში საქმეს არ გააკარეს, უმთავრესად იმიტომ, რომ 30-იანი წლებში იგი მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის დაახლოებას გერმანიისა და იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ...**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-20 (139-158)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### ბრძოლა გავლენის სფეროების მოსაპოვებლად

**თეირანის კონფერენციის დამთავრებისთანავე ჩერჩილი მისი გადაწყვეტილებების რევიზიას შეეცადა.**

1943 წლის 4 დეკემბერს კაიროში პრეზიდენტ რუზველტთან შეხვედრისას ოპერაცია „ოვერლორდის“ განხორციელების სიძნელეებზე დაიწყო ლაპარაკი და კვლავ დაჟინებით იმეორებდა, რომ პარალელურად აუცილებელია დესანტის გადასხმა საბერძნეთის კუნძულ როდოსზე. ამ კუნძულის დაპყრობას იგი უკავშირებდა თურქეთის გერმანიასთან ომში ჩაბმის საკითხს, რაც ჩერჩილის ბალკანური სტრატეგიის მნიშვნელოვანი რგოლი იყო.

თურქეთს დიდი არმია ჰყავდა. ბრიტანეთის **პრემიერი იმედოვნებდა, რომ ბულგარეთში შეჭრის შემდეგ თურქები ინგლისელთა მხარდაჭერით საბერძნეთისა და ალბანეთისკენ, შემდეგ — იუგოსლავიისკენ და მისგან ჩრდილოეთშიც გადაიდოდნენ. ამრიგად, წითელ არმიას ბალკანეთში და, შესაძლოა, აღმოსავლეთ ევროპაში შესასვლელი გზა გადაეკეტებოდა.**

მაგრამ რუზველტმა ჩერჩილს თეირანის კონფერენციის შეთანხმებათა რევიზიაზე ხელი აალებინა. კვლავ გაამართლა სტალინის ნაბიჯმა — მისმა დაპირებამ იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის შესახებ, რაშიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული აშშ.

ჩერჩილი იმასაც ითვალისწინებდა, რომ მეორე ფრონტის გაუხსნელობით საფრანგეთში იქმნებოდა რეალური საფრთხე იმისა, რომ წითელი არმია დაიპყრობდა მთელ გერმანიას, გაათავისუფლებდა ბელგიასა და საფრანგეთს. იტალიაში გამართულმა ბრძოლებმა ცხადყო, რომ ვერმახტის ძალებთან შეტაკებისას მოკავშირეებს, მაშინაც კი, როცა მათი ცოცხალი ძალა და ტექნიკა გერმანელებისას სჭარბობდა, ძალიან უჭირდა. თურქეთის არმიის ბრძოლისუნარიანობაში დარწმუნებული არავინ იყო, უფრო — პირიქით. ამიტომ ვერავინ დარჩებოდა იმის იმედად და ბალკანეთისა და უფრო ჩრდილოეთის ტერიტორიების თურქების მიერ სწრაფად ხელში ჩაგდება ილუზორული ხასიათის შეიძლება აღმოჩენილიყო. მით უფრო, რომ მოკავშირეთა ოპერაციების შესაძლო წარუმატებლობა ინგლისსა და აშშ-ს რთულ მდგომარეობაში ჩააყენებდა აღმოსავლეთის ფრონტზე წითელი არმიის წარმატებათა ფონზე.

დგებოდა 1944 წელი. ბრიტანეთის პრემიერს ესმოდა, რომ აზიაში განცდილი კატასტროფული დამარცხებების შემდეგ განუხრელად გრძელდებოდა საერთაშორისო საქმეებში ინგლისის როლის დაცემის პროცესი. საჭირო იყო მისი შეჩერება მოქნილი დიპლომატიის მეშვეობით, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ბალანსირების გზით, მაგრამ საამისოდ მას არც ძალა, არც შესაძლებლობა აღარ გააჩნდა.

იაპონელებმა ინგლისს მისი აზიური კოლონიების უმეტესობა წაართვეს. დიდი ბრიტანეთის ხელში რჩებოდა ინდოეთი, რომლის შემადგენლობაში მაშინ პაკისტანიც შედიოდა, და ცეილონი. ჩინეთიდან იგი გამოაძევა აშშ-მ, რომელიც იყენებდა მასზე ორიენტირებულ ჩან კაიშის. იგივე ხდებოდა ლათინურ ამერიკაში, ინგლისის დომინიონებში: ავსტრალიაში (რომელიც იაპონელების ოკუპაციისგან ამერიკელების ჯარებმა იხსნა), ახალ ზელანდიასა და, განსაკუთრებით, — აშშ-ს მეზობელ კანადაში. ბრიტანეთის უზარმაზარი სამფლობელოები აფრიკაში ეკონომიკურად უაღრესად სუსტი იყო (სამხრეთ აფრიკის კავშირის გარდა) საიმისოდ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათზე დაყრდნობა.

**მსოფლიო კაპიტალიზმის ცენტრი უფრო და უფრო გადაადგილდებოდა ინგლისიდან ამერიკაში. ჩერჩილი ამას მტკივნეულად აღიქვამდა, მაგრამ იძულებული იყო ეღიარებინა ფაქტი. იგი თვითდამცირებასაც არ მოერიდა, როცა განაცხადა, რუზველტის „ლეიტენანტი“ ვარო.**

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში სტალინი ამჯობინებდა, უფრო მეტად საქმე ჰქონოდა აშშ-თან, რომელიც საომარ მოქმედებათა კვალზე სწრაფად ძლიერდებოდა, ხოლო ინგლისი ასევე სწრაფად სუსტდებოდა. თავისი როლი ითამაშა იმანაც, რომ იმ დროს სსრკ-სა და აშშ-ს მსოფლიოში არ ჰქონდათ რეგიონები, სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდებოდა, თუ არ ჩავთვლით რუმინეთს, ერთადერთ ნავთობმომპოვებელ ქვეყანას ევროპაში.

**აშშ-ისგან განსხვავებით, ინგლისი დაინტერესებული იყო აღმოსავლეთ ევროპით — ფინეთიდან საბერძნეთამდე, განსაკუთრებით კი — პოლონეთით. სსრკ თვლიდა, რომ ეს რეგიონი მისი ინტერესებისა და გავლენის სფერო იყო.**

ჩერჩილის პირადი და პოლიტიკური ტრაგედია, მიაჩნიათ მკვლევარებს, იყო ის, რომ იგი, მისი არაორდინალური გამჭრიახობის, დიდი გამოცდილების, სახელმწიფოს მართვის ნიჭის მიუხედავად, ვერაფრით შეაჩერებდა დიდი ბრიტანეთის იმპერიის მზის ჩასვენებას, თუმცა აცხადებდა, რომ იგი პრემიერი გახდა არა იმიტომ, რომ მისი დაშლის ჟამს ეთამადა.

1941 წელს ჩერჩილმა შეძლო მნიშვნელოვნად შეემცირებია ინგლისის დამოკიდებულება ამერიკაზე, ამიტომ 1942 წელს რუზველტთან თანატოლად მიიჩნევდა თავს. მაგრამ სამხედრო კატასტროფებმა აზიაში იგი დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენა, ამერიკის „უმცროსი პარტნიორი“ გახადა.

**ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა ჩერჩილი 11 წლის განმავლობაში საქმეს არ გააკარეს, უმთავრესად იმიტომ, რომ 30-იანი წლებში იგი მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის დაახლოებას გერმანიისა და იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ...** ჰიტლერმა ეშმაკობით აჯობა, რითაც შეიძლება აიხსნას ინგლისელების დამარცხებები მეორე მსოფლიო ომის საწყის ფაზაში.

გავიხსენოთ, რას წერდა ჩერჩილი პატარა ინგლისელ ვირუკაზე, რომელიც უზარმაზარ რუსულ დათვსა და ამერიკულ ბიზონს შორის იჯდა, მაგრამ ის იყო ერთადერთი, რომელმაც იცოდა სწორი გზა შინისკენ. სამწუხაროდ, დიდი ბრიტანული იმპერიისკენ დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო. ჩერჩილი იძულებული იყო, მიემართა ეშმაკური მანევრებისთვის, რათა შეენარჩუნებია ინგლისის თანაბარუფლებიანობა კავშირში, სადაც სრულიად აშკარა სამხედრო უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა კავშირს, ინდუსტრიული კი — აშშ-ს.

ჩერჩილი, რა თქმა უნდა, შეეცადა, მოეძებნა ამ ორი ზესახელმწიფოს საპირწონე. მიაჩნდა, რომ იპოვა კიდეც მუდმივად გაძლიერებადი მოძრაობის „თავისუფალი საფრანგეთის“ სახით. გენერალ დე გოლს იგულებდა მოკავშირედ სტალინთან და რუზველტთან დიპლომატიურ ურთიერთობაში.

მაგრამ მისი ეს განზრახვა ვერ შესრულდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ როლის შესასრულებლად დე გოლს არც ძალა, არც პოლიტიკური წონა არ გააჩნდა. **საფრანგეთის ლიდერს შესანიშნავად ესმოდა, რომ ჩერჩილი მას უმზადებდა ისეთივე „ლეიტენანტის“ როლს, ოღონდ რუზველტის კი არა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლეიტენანტისას. გენერალი კი იბრძოდა საფრანგეთის დამოუკიდებლობის სრული აღდგენისთვის.**

რუზველტთან დე გოლმა ურთიერთობა ვერ ააწყო იმის გამო, რომ ამერიკელებმა თავის დროზე მხარი დაუჭირეს ვიშის მოღალატურ რეჟიმს, ეს ერთი, და, მეორე, — მის მეტოქეს გენერალ ჟიროს. დე გოლს რჩებოდა ერთი, ყველაზე მეტად მისაღები პოლიტიკური მოკავშირე — საბჭოთა კავშირი.

თავის მხრივ, სტალინი დაინტერესებული იყო დასავლეთში მესამე ძალის შექმნით, რომელიც წინ აღუდგებოდა ინგლისსა და აშშ-ს. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ლიდერმა დე გოლთან მტკიცე, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა.

ამ დიპლომატიურ ორთაბრძოლაშიც სტალინმა გაიმარჯვა.

1944 წლის ნოემბერში სტალინმა დე გოლი საბჭოთა კავშირში მიიწვია. 2 დეკემბერს გენერალი მოსკოვში ჩავიდა. მან სტალინს შესთავაზა დაედოთ პაქტი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების შესახებ. სტალინმა დაუყოვნებლივ საქმის კურსში ჩააყენა ჩერჩილი და რუზველტი. მიუთითა იმ საკითხებზეც, რომლებიც უნდა განეხილათ, კერძოდ, ორმხრივი სამშვიდობო ხელშეკრულების შესახებ.

ბრიტანეთის პრემიერმა, რომელსაც ხელს არ აძლევდა სსრკ-საფრანგეთის თანამშრომლობა, შესთავაზა, ორმხრივის ნაცვლად სამმხრივი ხელშეკრულება დაედოთ — სსრკ-ს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. სტალინი დათანხმდა. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ დე გოლი ამ შეთავაზებას შორს დაიჭერდა. ასეც გამოვიდა. სტალინმა ჩერჩილს აცნობა, რომ ორმხრივი ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია.

**საფრანგეთის ლიდერი შემდგომ აღიარებდა: „ანგლოსაქსები არასოდეს გვექცეოდნენ ისე, როგორც ნამდვილ მოკავშირეებს შეჰფერის“. სწორედ ამ მიზეზით დაიჟინა მან ხელშეკრულების გაფორმება ინგლისის მონაწილეობის გარეშე, რითაც ხაზი გაუსვა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას.**

ასე განახორციელა სტალინმა კიდევ ერთი წარმატებული დიპლორმატიური მანევრი. ერთის მხრივ, ჩერჩილს ნება არ დართო, მის წინააღმდეგ ფრანგული კარტა გამოეყენებია, მეორე მხრივ, არ გაიფუჭა მასთან ურთიერთობა — ოპერატიურად საქმის კურსში ჩააყენა დე გოლთან მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ და რჩევასაც დაეკითხა, მიანიშნა, რომ მზად იყო მისი აზრის გასათვალისწინებლად.

მაშინ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა თამაშში მეორე, საფრანგეთზე უფრო სუსტი ფიგურის ჩართვა. ეს იყო იტალია, რომელსაც უწინ დიდ სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ. ჩერჩილს ეგონა, რომ ამ ქვეყანაში ინგლისისთვის კეთილსაიმედო სიტუა- ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სტალინმა დამაჯერებლად დაადასტურა, რომ ჩერჩილს სურდა, საბჭოთა კავშირი პოლონეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოდ წარმოეჩინა და უარეყო „გერმანული აგრესიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ომის გამათავისუფლებელი ხასიათი. ეს ნიშნავს საბჭოთა კავშირისათვის იმის დაბრალებას, რაც სინამდვილეში არ არსებობს და ამით მის დისკრედიტაციას“.

ცია ყალიბდებოდა: ამერიკის ჯარები აქ ემორჩილებოდნენ ინგლისელ ფელდმარშალ ალექსანდრეს (საფრანგეთში — პირიქით: ამერიკის ჯარები ემორჩილებოდნენ ამერიკელ გენერალ ეიზენჰაუერს, აზიაში კი ფორმალურად ჩან კაიშის, ფაქტობრივად, — იმავე ამერიკელებს).

ჩერჩილი ცდილობდა მდგომარეობის გამოყენებას საიმისოდ, რომ იტალია მთლიანად დაექვემდებარებინა ინგლისელების კონტროლისთვის, მთავრობა კი მისი პოლიტიკის იარაღად ექცია.

მაგრამ სტალინმა შეძლო დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებია იტალიის პრემიერ-მინისტრ ბადოლიოსთან, რისთვისაც ჩერჩილის წინააღმდეგობის დაძლევა დასჭირდა. ამან ინგლისის პრემიერი, რა თქმა უნდა, გაანაწყენა, მაგრამ 5 აპრილს მასაც მოუწია ბადოლიოს მთავრობასთან ურთიერთობის დამყარება.

მოცემულ ეტაპზე სტალინმა შეძლო, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად შეევიწროებია თავისი დასავლელი მოკავშირეების გავლენის სფეროები.

ამ ასპექტში ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩებოდა პოლონეთის პრობლემა. ჩერჩილი გაუთავებლად იმეორებდა, რომ ინგლისი სწორედ პოლონეთის გამო ჩაება გერმანიასთან ომში, და ლეგიტიმურია პოლონეთის ის მთავრობა, რომელიც ემიგრირებული იყო ლონდონში. ჩერჩილს არ სურდა ხელიდან გაეშვა ისეთი მსუყე ლუკმა, როგორიც პოლონეთი იყო.

**ამის გაკეთება ორი გზით შეიძლებოდა: ერთი — სწორხაზოვანი — პოლონეთის, ან, თუნდაც, მისი ერთი ნაწილის, დედაქალაქის ჩათვლით, გათავისუფლება არა საბჭოთა ჯარების მიერ, არამედ ლონდონური ორიენტაციის პოლონური წინააღმდეგობის ძალების მიერ. ამის იმედი გაჩნდა 1944 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ჯარების პოლონეთზე სწრაფი შეტევის დროს, მაგრამ ისიც ჩაიფუშა.**

მეორე გზას გონივრული დიპლომატიური მანევრების განხორციელება სჭირდებოდა, რომლებიც წარმატებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის ლონდონში გახიზნული მთავრობა და მისი მომხრენი პოლონეთში დაამყარებდნენ მეგობრულ ურთიერთობას, თუნდაც პირფერულს, საბჭოთა კავშირთან. მაგრამ საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილის გამო ასეთი რამ არ განხორციელებულა. პირიქით, როგორც სტალინმა თეირანის კონფერენციაზე ნათელყო, პოლონეთის ლონდონური მთავრობა არც მალავდა თავის სიძულვილს საბჭოთა კავშირის მიმართ.

ძნელია, გავუგოთ ჩერჩილს, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია, გაერთულებია და გაეწყვიტა ურთიერთობა ძლევამოსილ მეზობელთან, თანაც იმ დროს, როცა პოლონეთი ფაშისტების მიერ იყო ოკუპირებული, ხოლო ე. წ. პოლონეთის მთავრობა ქვეყნის მართვის ყოველგვარ შესაძლებლობას იყო მოკლებული და ლონდონს იყო შეფარებული. საოცარია, რატომ არ გაიაზრა ჩერჩილმა, რომ სტალინზე ძალდატანების პოლიტიკის განხორციელებით პოლონეთის საკითხის გადაწყვეტა უპერსპექტივო იყო?!

თვად განსაჯეთ.

პოლონეთის ყოფილმა მთავრობამ ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის ორგანიზება ჰიტლერელებისათვის, რომლებიც მათ ქვეყანაში შეიჭრნენ — დაკარგა და გადასცა ჰიტლერს სრულ მფლობელობაში. ამ ტერიტორიას უმძიმესი ბრძოლებით ათავისუფლებდა წითელი არმია. იღვრებოდა ასიათასობით საბჭოთა ჯარისკაცის სისხლი. **ნუთუ ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ლონდონელ მდგმურებს, რომლებიც მუდმივად შეურაცხყოფდნენ სტალინსა და სსრკ-ს, საზეიმოდ დაბრუნების შემდეგ ემართათ ქვეყანა?! ნუთუ საბჭოთა კავშირი ასე მტრულად განწყობილ მმართველებს ლანგარზე მიართმევდა პოლონეთს, თანაც იმ მიწებითურთ, რომლებიც კერზონის ხაზის აღმოსავლეთით მდებარეობდა?**

**საეჭვოა, რომელიმე სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც იცავდა თავისი ქვეყნის ინტერესებს, სტალინის ადგილზე რომ ყოფილიყო, გაეთვალისწინებია პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის მოთხოვნები, რომელთაც ასეთი მონდომებით მხარს უჭერდა ჩერჩილი. ეტყობა, გულის სიღრმეში იგი გრძნობდა თავისი პოზიციის სისუსტეს და ამიტომაც აბრკოლებდა მეორე ფრონტის გახსნას.**

ბრიტანეთის პრემიერს, რა თქმა უნდა, ესმოდა, რომ თავის პირობებს სტალინს ვერ უკარნახებდა, მაგრამ სულ ისწრაფოდა, მომრიგებელი მოსამართლის როლი ეთამაშა ტერიტორიულ საკითხებში. ამასთან, ყოველთვის იცავდა ინგლისის სახელმწიფო ინტერესებს და ყოველმხრივ მხარს უჭერდა პოლონეთის ლონდონურ მთავრობას. მან შენიშვნაც კი გააკეთა პოლონეთის მომავალი მთავრობის შემადგენლობის სტალინისეულ ხედვასთან დაკავშირებით, როცა განაცხადა, რომ უცხოეთის ქვეყნის მთავრობისათვის ცვლილების თაობაზე რეკომენდაციის მიცემა ნიშნავს „მიახლოებას შიდა სუვერენიტეტში ჩარევასთან...“ ამასთან, ჩერჩილს არ დაუზუსტებია, ვის სუვერენიტეტს გულისხმობდა. მოცემულ მომენტში არ არსებობდა სუვერენული პოლონეთი, ხოლო მისი ყოფილი მთავრობა სრულად ემორჩილებოდა ინგლისელ „პატრონს“.

უცნაური ლოგიკაა.

ამას ემატებოდა მუქარის ტონი: **„ვარშავაში პოლონეთის სხვა მთავრობის შექმნა, ვიდრე ის, რომელსაც დღემდე ვაღიარებდით, პოლონეთში მღელვარების დაწყებასთან ერთად, დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს დააყენებდა ისეთი საკითხის წინაშე, რომელიც დიდად დააზარალებდა სამ დიდ სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთგაგებას...“** და ამას მოსდევდა დარწმუნება იმაში, რომ ეს წერილი არ არის ჩარევა სსრ კავშირისა და პოლონეთის მთავრობათა ურთიერთობაში, რაც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა მანამდე თქმულს.

სწორედ ამიტომ საპასუხო წერილი სტალინმა ირონიით დაიწყო: **„ვხედავ, რომ თქვენ დიდ ყურადღებას უთმობთ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის საკითხს. ჩვენ დიდად ვაფასებთ ასეთ ძალისხმევას“.**

სტალინის პასუხები ჩერჩილის მრავალსიტყვიან წერილებზე ყოველთვის მოკლე იყო. საბჭოთა ბელადი იძულებული იყო, ზოგიერთი უტყუარი ფაქტი ხშირად შეეხსენებია ჩერჩილისთვის, მაგალითად, პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის მუდმივი თავდასხმების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმდინარე ომის დროს. და ამასთან: „გაგახსენებთ, რომ შარშან, მაისში, თქვენ მწერდით, რომ შესაძლებელია პოლონეთის მთავრობის შემადგენლობის გაუმჯობესება და რომ თქვენ ამ მიმართულებით იმოქმედებდით. მაშინ თქვენ არ მიიჩნევდით, რომ ეს პოლონეთის შიდა სუვერენიტეტში ჩარევა იქნებოდა“.

სხვათა შორის, **თავის მომდევნო წერილში ბრიტანეთის პრემიერს სიტყვაც არ წამოსცდენია სტალინის რეპლიკების თაობაზე, მხოლოდ მადლობა მოახსენა პასუხისათვის და აცნობა, რომ გრძელდება მოლაპარაკება პოლონელებთან.** მაგრამ მოგვიანებით კვლავ გაუგზავნა დიდი წერილი. შესაძლებელია, იგი ვარაუდობდა, რომ უმაღლესი მთავარსარდალი, რომელიც მუდმივად დაკავებული იყო ფრონტისა და ზურგის უამრავი საქმით, ყურადღებას არ მიაქცევდა ზოგიერთ დიპლომატიურ ეშმაკობას. ყოველ შემთხვევაში, ჩერჩილმა საჭიროდ ჩათვალა, „დაევიწყებია“ პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ მიღწეული შეთანხმება!

ეს საოცარი სიტუაცია განსაკუთრებულ ანალიზს საჭიროებს. ამჯერად ჩერჩილი სტალინს სთავაზობდა, დახმარებოდა ლონდონელ პოლონელებს — „გათავისუფლებულ ტერიტორიაზე“ დაბრუნებაში, რათა მათ, პოლონელ ხალხთან კონსულტაციის შემდეგ გადაეწყვიტათ ქვეყნის საზღვრების საკითხი. „ბუნებრივია, — განმარტავდა იგი, — რომ პოლონეთის მთავრობისთვის ფრიად სასურველია, რომ რაიონებში, რომლებიც გადაეცემა პოლონეთის სამოქალაქო ადმინისტრაციის განკარგულებაში, ჩართული იყოს ისეთი პუნქტები, როგორიცაა ვილნო და ლვოვი... და რომ სადემარკაციო ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები იმართებოდეს საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების მიერ გაეროს წარმომადგენლების დახმარებით“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მიწებიც კი, რომლებიც უწინ რუსეთსა და საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა, წითელი არმიის მიერ გათავისუფლების შემდგომ პოლონეთს უნდა გადასცემოდა, ან დარჩენილიყო საერთაშორისო კონტროლის ქვეშ!

**ჩერჩილი დამატებით იტყობინებოდა, რომ, მისი ძალისხმევის მიუხედავად, მან ჯერჯერობით ვერ დაარწმუნა პოლონეთის ლონდონური მთავრობა, კენისბერგის რაიონი საბჭოთა კავშირს რომ უნდა მიკუთვნებოდა.**

უცნაური ლოგიკაა: დაღვარეთ სისხლი პოლონეთის გასათავისუფლებლად, რაც შეიძლება სწრაფად მოაწყვეთ აქ პოლონელი ემიგრანტები, რომლებსაც თქვენ სძულხართ, გადაეცით მათ ყველაფერი, რაც უწინ თქვენი იყო, და შემდეგ უკვე დაიწყეთ მათთან მოლაპარაკება, როგორც დამოუკიდებელ (თქვენგან და არა ჩვენგან დამოუკიდებელ) სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან.

სტალინმა ლაკონურად უპასუხა:

**„გავეცანი ემიგრანტული პოლონური მთავრობის მოღვაწეებთან თქვენი საუბრების დაწვრილებით ანგარიშს და კვლავ და კვლავ ვასკვნი, რომ ასეთ ადამიანებს უნარი არ შესწევთ, დაამყარონ ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ მათ არა მარტო არ სურთ კერზონის ხაზის აღიარება, არამედ პრეტენზია აქვთ როგორც ლვოვზე, ასევე ვილნოზე. რაც შეეხება მისწრაფებას, რომ უცხოურ კონტროლს დაექვემდებაროს ზოგიერთი საბჭოთა ტერიტორია, ასეთ მცდელობას განსახილველადაც ვერ მივიღებთ, რადგან ამგვარი საკითხის დაყენებაც კი მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის შეურაცხყოფად“...**

გასაკვირია, როგორ ვერ გათვალა ჩერჩილმა ასეთი საპასუხო დარტყმა, რომლის შესაძლებლობის ამოცნობა იოლი იყო. შესაძლებელია, რომ იგი კვლავ სათანადოდ ვერ აფასებდა მეტოქეს, რაც, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, დამარცხების წინაპირობაა. იგი იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ უკან წაეღო ზოგიერთი თავისი წინადადება.

აქაც სტალინმა აჯობა.

შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ჩერჩილმა კიდევ ერთი საეჭვო ნაბიჯი გადადგა: ზოგიერთ ჟურნალისტს აცნობა იმ დაპირისპირებათა შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ მოლაპარაკებათა პროცესში. ინგლისურ და ამერიკულ პრესაში შესაბამისი წერილები გაჩნდა. ამის გამო **სტალინმა კვლავ მკაცრად მიუთითა ჩერჩილს. საპასუხო წერილი ჩერჩილმა დაიწყო მილოცვით წითელი არმიის „ყველა შესანიშნავი გამარჯვების“ გამო, რის შემდეგაც თავისი ბრალი ლონდონში საბჭოთა საელჩოს დააკისრა და კვლავ გაიმეორა, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრის საკითხი უნდა გადაიდოს „დაზავებამდე“, ან გამარჯვებულ სახელმწიფოთა სამშვიდობო კონფერენციამდე“.**

განვიხილოთ.

სიცრუეა, თითქოს საბჭოთა საელჩომ გაავრცელა საიდუმლო ინფორმაცია სტალინის მიმოწერის შესახებ, ადვილად უარსაყოფია. მაგრამ მთავარია, რომელ დაზავებაზე მიანიშნებს ჩერჩილი: სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის? მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ეომებიან, ომი მიმდინარეობდა გერმანიის წინააღმდეგ, რომელმაც დაიპყრო პოლონეთი. ეს, სტალინმა, რა თქმა უნდა, შეახსენა გულმავიწყ ოპონენტს. მეორე შეხსენება ასეთი იყო: „თეირანში თქვენ, პრეზიდენტი და მე შევთანხმდით კერზონის ხაზის მართლზომიერების საკითხზე. საბჭოთა მთავრობის პოზიციას თქვენ მაშინ სავსებით სწორად მიიჩნევდით, ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლებს კი გიჟს უწოდებდით, თუ ისინი უარს იტყოდნენ კერზონის ხაზის აღიარებაზე. ამჟამად კი სრულიად საწინააღმდეგო პოზიციას იცავთ“.

**სტალინმა დამაჯერებლად დაადასტურა, რომ ჩერჩილს სურდა, საბჭოთა კავშირი პოლონეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოდ წარმოეჩინა და უარეყო „გერმანული აგრესიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ომის გამათავისუფლებელი ხასიათი. ეს ნიშნავს საბჭოთა კავშირისათვის იმის დაბრალებას, რაც სინამდვილეში არ არსებობს და ამით მის დისკრედიტაციას“.**

თითქოს ასეთ პასუხს უნდა აღეშფოთებია ჩერჩილი, მით უფრო, რომ სტალინმა საჭიროდ ჩათვალა გაემეორებია: „მაგრამ ვშიშობ, რომ დამუქრებისა და დისკრედიტაციის მეთოდი, თუ იგი კვლავაც გაგრძელდება, ხელს შეუწყობს ჩვენს თანამშრომლობას“.

რით უპასუხა ბრიტანეთის პრემიერმა?

არაფრით.

იგი იძულებული გახდა, ჩუმად მიეღო სტალინის მკაცრი პასუხი. ეს მის ღირსებაზე მიუთითებს, მაგრამ **მთავარი მაინც ისაა, რომ სიმართლე სტალინის მხარეს იყო. წაგებულ პოზიციას ჩერჩილი ვერ დაიცავდა: აშკარა გახდა, რომ სრულიად უადგილო იყო მისი ჩარევა ორი მხარის ურთიერთობის საკითხში, როცა ერთს აქვს პრეტენზია ქვეყნის მართვის, მეორე კი ამ ქვეყანას აგრესორისგან ათავისუფლებს.**

ბოლო მცდელობა პოლონეთის ხელისუფლების სათავეში ლონდონელი ხიზნების ჩაყენებისა იყო აჯანყება ვარშავაში, რომელიც მათმა მომხრეებმა მოაწყვეს. ამბოხი ცუდად იყო ორგანიზებული და არ იყო შეთანხმებული საბჭოთა სარდლობასთან. აჯანყებულთა მიზანი დედაქალაქის ხელში ჩაგდება და პოლონეთის დევნილი მთავრობის ქვეყნის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად გამოცხადება იყო. როცა აჯანყებულთა მდგომარეობა კრიტიკული გახდა, ჩერჩილმა სტალინს დახმარებისთვის მიმართა. მისი სურვილი გასაგები იყო, იგი ცდილობდა საბჭოთა კავშირი აქტიურად ჩაება ღონისძიებაში, რომელიც მიმართული იყო პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის ქვეყნის სათავეში მოსაყვანად.

სტალინმა უპასუხა, რომ ზოგიერთი ღონისძიება მიღებული იყო და დაამატა: „მას შემდეგ, რაც ახლოს გავეცანი ვარშავის საქმეს, დავრწმუნდი, რომ ვარშავის აქცია უაზრო, საშინელი ავანტიურაა, რომელიც მოსახლეობას დიდ მსხვერპლად დაუჯდა. ეს არ მოხდებოდა, საბჭოთა სარდლობა ვარშავის აქციის დაწყებამდე წინასწარ ინფორმირებული რომ ყოფილიყო და პოლონელებს ამ უკანასკნელთან კონტაქტი რომ დაემყარებინათ“.

**ჩერჩილი რუზველტთან ერთად დაჟინებით მოითხოვდა, ყველაფერი გაკეთებულიყო აჯანყებულთა დასახმარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ნეგატიური რეაქციით.**

**აჯანყებულთა გადარჩენა საბჭოთა ჯარის უსწრაფეს შეტევას შეეძლო, მაგრამ ამის განხორციელება წინასწარი მომზადების გარეშე უდიდეს მსხვერპლს გამოიწვევდა.**

სტალინი არ შეეცადა სიმართლის დამალვას და ცრუ დაპირისპირებების მიცემას. მან ასე უპასუხა: „ადრე თუ გვიან, მაგრამ სიმართლე დამნაშავეთა ჯგუფის შესახებ, რომლებმაც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად წამოიწყეს ვარშავის ავანტიურა, გაცხადდება. ამ ადამიანებმა გამოიყენეს ვარშაველების მიმნდობლობა და ბევრი, თითქმის უიარაღო ადამიანი, გერმანელთა ტყვიების, ტანკებისა და ავიაციის სამხვერპლოდ გაწირეს. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა ყოველი ახალი დღე პოლონელების მიერ ვარშავის გასათავისუფლებლად კი არ გამოიყენება, არამედ ჰიტლერელების სასარგებლოდ მუშაობს, რომლებიც არაადამიანურად ხოცავენ ვარშავის მოქალაქეებს...

...უეჭველია, რომ წითელი არმია ძალას არ დაიშურებს, ვარშავაში გერმანელების გასანადგურებლად და ვარშავის პოლონელებისთვის გასათავისუფლებლად...“

ყველაფერი ნათელი იყო არა მარტო სტალინისთვის, არამედ ჩერჩილისთვისაც, რომელსაც შენიშვნებზე რეაქცია არ ჰქონია.

ვარშავის აჯანყება იმთავითვე განწირული იყო.

აჯანყებულთა პატრული. ვარშავა, 1944 წ.



**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ათასკარა

**სამხრეთ კორეელმა მხატვარმა და დიზაინერმა ჩოი ჯოინჯ-ჰამ გადაწყვიტა, აეგო ყველაზე კრეატიული სახლი მხოლოდ კარებით და თან დაემყარებია მსოფლიო რეკორდი მშენებლობაში გამოყენებული კართა რაოდენობის მიხედვით.**

ჯოინჯმა განაცხადა: „ძალიან მიყვარს უცნაური რაღაცების კეთება, ერთი არასწორი ნაბიჯიც და შენ უკვე ფრინავ“. ამ ნათქვამმა თითქოს მყიდველები დააფრთხო, თუმცა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სახლს ყიდვის ბევრი მსურველი გამოუჩნდა.

# ყველაზე უცნაური ქორწინებები

**მეორე ნახევარს ადამიანები, როგორც წესი, ადამიანთა შორის ეძებენ ხოლმე, მაგრამ არიან გამონაკლისებიც, რომელთათვისაც ამგვარი შეზღუდვა მიუღებელია და აბსოლუტურად ვერაფერს ხედავენ უცნაურს იმაში, მათი მეუღლე თუნდაც უსულო საგანი თუ იქნება.**



## ერიკა ეიფელი

ეს ქალბატონი ქორწინებით უზომოდ ბედნიერია და გათხოვებისთანავე გადაწყვიტა, მეუღლის — ეიფელის კოშკის „გვარზე“ გადასულიყო. სწორედ მას შემდეგ გახდა ერიკა **ეიფელი**, თორემ მანამდე მისი გვარი **ლა ტური** გახლდათ.

ერიკა ლა ტურ ეიფელი 37 წლისაა, ცხოვრობს საყვარელი მეუღლისგან საკმაოდ მოშორებით — სან-ფრანცისკოში. მას ფსიქოლოგიური მიდრეკილება აქვს უსულო საგნებისადმი, რისი შედეგიც ლამის მთელმა მსოფლიომ იხილა, როდესაც ერიკამ ეიფელს შეჰფიცა, რომ სიცოცხლის ბოლომდე, მწუხარებასა და სიხარულში ეყვარებოდა. ცერემონია რამდენიმე მეგობრის გარემოცვაში ჩატარდა, პატარძალი კი ოფიციალურად გადავიდა მეუღლის გვარზე.



## წარმოსახვითი ცოლი

**ნოემბერში, იაპონელი მამაკაცი, რომელიც ცნობილია შალ9000-ის სახელით, დაქორწინდა ნენე ანეგასაკიზე.** მას ნამდვილი საქორწინო ცერემონია ჰქონდა და ამით გამოხატა სურვილი იმის შესახებ, რომ წარმოსახვით ხალხზეც უნდა შეიძლებოდეს ქორწინება. საბედნიეროდ, ჯერჯერობით არაა ცნობილი მისი მიმდევრების გამოჩენის შესახებ და მთელი დაარჩენი მსოფლიო ჯერ კიდევ რეალურ ადამიანებზე ქორწინდება.



## ატრაქციონის ცოლი

ემი ვოლფი 32 წლისაა. ქალი ნიუ იორკში ცხოვრობს და დიდი ხანია ასპერგერის სინდრომი ახასიათებს. ბავშვობიდან ჰქონდა მიდრეკილებები უსულო საგნების მიმართ. ატრაქციონი „1001 Nacht“, რომელზეც იგი აპირებს დაქორწინებას, პენსილვანიაში მდებარეობს. ტერიტორიული სიშორის გამო, ემის მის სურათთან ერთად სძინავს. ქალი თვლის, რომ მასა და „1001 Nacht“-ს შორის ფსიქიკური კავშირია და არ ეჭვიანობს, როდესაც მის საქმრო-ატრაქციონზე უამრავი ადამიანი ჯდება.



## სიკვდილი ქორწილს ვერ ჩაშლის

მაგალი ჯაზკივიჩი და ჯონათანი 2008 წლის ნოემბერში დაქორწინებას აპირებდნენ, მაგრამ ჯონათანი ქორწინებამდე 2 დღით ადრე მოკლეს. სასოწარკვეთილმა 32 წლის ჯაზკივიჩმა მიაგნო ფრანგულ კანონს, რომელიც გარდაცვლილ პარტნიორზე დაქორწინების უფლებას იძლევა იმ შემთხვევაში, თუ ქორწინება დაგეგმილი იყო და ყველა საბუთი ამის შესახებ ოფიციალურადაა დამოწმებული. ამის შემდეგ რაც მოხდებოდა, ადვილი მისახვედრია — ქალი გარდაცვლილ საქმროს გაჰყვა ცოლად.

## ერთ სულ და ერთ ხორც

**ამ ფრაზის აბსოლუტური განსახიერებაა 39 წლის ჩინელი ლიუ იე, რომელიც საკუთარ თავზე დაქორწინდა. ცერემონიას 100-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა.** მას და მისსავე მუყაოს ორეულს, რომელიც საქორწინოდ წითელ კაბაში „გამოეწყო“, თან ახლდა თითო-თითო მეჯვარე. ლუიმ განაცხადა, რომ ბევრი მიზეზი აქვს საკუთარ თავზე დასაქორწინებლად, მაგრამ ამას იმიტომ აკეთებს, რომ უკმაყოფილებას გამოხატავს რეალობისადმი, ეს ქორწინება მას მთლიანს ხდის.



# ვიტამინებით ყველაზე მდიდარი პროდუქტი



**ბრიტანელმა მეცნიერებმა ვიტამინებით ყველაზე მდიდარი პროდუქტი დაასახელეს. მათ უარყვეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კარტოფილი ფიგურას აფუჭებს და მისი სარგებლიანობა საეჭვოა. მასშტაბური კვლევის ჩატარების შედეგად, დიეტოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კარტოფილი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე კომბოსტო, ბანანი ან თხილი. ამ პროდუქტის რეგულარული მიღება ორგანიზმისთვის ზიანის მიყენების გარეშე არეგულირებს სისხლის წნევას და სხვა რამდენიმე დადებით ეფექტსაც იძლევა.**

ექსპერტმა-დიეტოლოგებმა: სიან პორტერმა და სიგრიდ გიბსონმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომელშიც 1000-მდე ზრდასრული ადამიანი და 900 ბავშვი მონაწილეობდა. მოხალისეები კარტოფილით დამზადებულ კერძებს მიირთმევდნენ, მეცნიერები კი მათ ორგანიზმში მომხდარ ცვლილებებს აკვირდებოდნენ.

აღმოჩნდა, რომ კანიანად მოხარშული კარტოფილი 5-ჯერ უფრო მეტ უჯრედისს შეიცავს, ვიდრე ბანანი, ვიტამინი Ⴠ კი მასში 3-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე სამ ცალ ავოკადოში. თუმცა კარტოფილი ბოსტნეულს შორის ლიდერი სელენიუმის შემცველობით აღმოჩნდა, რომელიც მასში იმაზე უფრო მეტია, ვიდრე მზესუმზირასა და თხილში.

## ზარმაცების ფეხბურთი



**მათთვის, ვისაც სპორტული სამოსის ჩაცმა და მოედანზე გასვლა ეზარება, „ზარმაცების ფეხბურთი“ ნამდვილი აღმოჩენაა. იტალიელმა დიზაინერმა ემანუელე მაჯინიმ „სკამის ფეხბურთი“ შექმნა.** ეს არის სკამი, რომელსაც წინა ოთხი ფეხი გვერდებზე აქვს გაწეული და მასზე ბადეა დამაგრებული. ასე რომ, ამ სპორტის ზარმაც მოყვარულებს შეუძლიათ ორი ასეთი სკამი შეიძინონ, დასხდნენ, ისაუბრონ და პარალელურ რეჟიმში ფეხბურთი ითამაშონ.

# ვაგონი სახლში

**ბრიტანეთში, კორნოულში, უჩვეულო სახლი დგას. ყოფილი ტრანსპორტის მენეჯერის — 64 წლის ჯიმ ჰიგინსის სახლი ძველი, 130 წლის სარკინიგზო ვაგონის გარშემოა აშენებული. შენობა სხვა ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლებისგან არაფრით გამოირჩევა; უჩვეულო მისი ინტერიერია — კედლებში სარკინიგზო ვაგონია მოქცეული.**

მისტერ ჰიგინსმა ქონება ყოფილი სიმამრისგან — ჩარლზ ალენისგან მიიღო, რომელიც იძულებული გახდა, სახლი მატარებლის ვაგონის გარშემო აეშენებია, რადგან, დაგეგმარების დებულების მიხედვით, მისი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა. ჟურნალისტებთან საუბარში განმარტა, რომ 1930 წლიდან ვაგონში ვინმე ელიზაბეტ რიჩარდსი ცხოვრობდა. ის 1966 წელს გარდაიცვალა და ამ ტერიტორიას „ლიზის ადგილს“ ეძახდნენ. წლების განმავლობაში ვაგონი ცარიელი იყო და არავინ ცხოვრობდა. შემდეგ კი ჰიგინსის სიმამრს (პროფესიით დურგალს) ეს ადგილი ძალიან შეუყვარდა.

„როდესაც მას ნება დართეს, ამ ადგილზე ერთსართულიანი სახლი აეშენებია, აუხსნეს, რომ ვაგონის გადატანა არ შეიძლება. მან გადაწყვიტა, სახლი ვაგონის გარშემო აეშენებია. საძინებელი ოთახები სარკინიგზო ვაგონშია განთავსებული, ხოლო სამზარეულო, კორიდორი, სააბაზანო და სასტუმრო ოთახი მის გარშემოა აშენებული“, — ამბობს იგი.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გამაგრილებელი ბუსტჰალტერები

**საცვლების იაპონურმა კომპანიამ — Triumph-მა შექმნა გამაგრილებელი ბუსტჰალტერები, რომელთა წყალობითაც ქალებს ზაფხულში აღარ დაცხებათ.** Super Cool Bra — ასე ეწოდება ახალ ბუსტჰალტერს, რომლის ნიჟარებშიც სპეციალური გელის საფენებია ჩადებული, რომლებიც დაბალი ტემპერატურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ნიჟარები წყალმცენარეებისა და თევზების გამოსახულებითაა გაფორმებული. სახლიდან გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე ქალებმა გელის საფენები მაცივარში უნდა გააცივონ, შემდეგ კი ბუსტჰალტერში ჩაამაგრონ. იაპონურმა კომპანიამ ამგვარი საცვლების დამზადება კონდიცირებისთვის საჭირო ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით გადაწყვიტა.



# საკვები კარგი განწყობისთვის

**ყველამ ვიცით, რომ არსებობს ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ან მავნე პროდუქტები, მაგრამ, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, განსხვავება მხოლოდ ეს არაა. ზოგიერთი საკვები ადამიანს ხასიათს უფუჭებს, ზოგიერთი კი — საუკეთესო განწყობაზე აყენებს.**



## შვეიცარიული მხალი

**ეს კერძი შეიცავს დიდი რაოდენობით მაგნიუმს.** მაგნიუმი საკვებს ნოყიერს ხდის და ამავე დროს მონაწილეობს იმ ბიოქიმიური რეაქციებში, რომლებიც ადამიანს ენერგიულსა და ხალისიანს ხდის. მეცნიერებმა ჯერ კიდევ 2009 წელს მთელი რიგი კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ ადამიანის სხეულში მაგნიუმის ნაკლებობა დეპრესიას იწვევს.



## სატაცური

**სატაცური შეიცავს დიდი რაოდენობით ამინომჟავას, რაც ასევე ხელს უწყობს ნეიროტრანსმიტერების გამომუშავებას.**



## თაფლი

**ჯანმრთელობისთვის თაფლი გაცილებით სასარგებლო პროდუქტია, ვიდრე შაქარი.** თაფლი შეიცავს დიდი რაოდენობით კომფეროლს და ქორცეტინს, რომლებიც ადამიანს ეხმარება დეპრესიის თავიდან აცილებაში, თუმცა თაფლი სისხლში შაქრის მაჩვენებელს გაცილებით მეტად ზრდის, ვიდრე შაქარი.





## ლურჯი კარტოფილი

**ეს პროდუქტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მაღაზიებში ძნელი საპოვნელია, თუმცა ღირს ძებნა, რადგან ის შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს — ანტოციანინებს.** ანტოციანინი უზრუნველყოფს ნეირონთა დაცვას და ასევე იცავს ტვინს ანთებისგან. ლურჯი კარტოფილი ადამიანს იცავს დეპრესიისგან და სკლეროზისგან. ეს პროდუქტი უზრუნველყოფს ფარისებრი ჯირკვლის მწყობრ მუშაობას და სხეულს იოდით ამარაგებს.



## შავი შოკოლადი

**შავ შოკოლადს ადამიანის სხეულისთვის ის სარგებლობა მოაქვს, რომლითაც სხვა სახეობის შოკოლადები ვერ დაიკვეხნიან.** შავი შოკოლადი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ტვინში და უზრუნველყოფს კონცენტრაციისა და განწყობის მყისიერ მომატებას. მუქი შოკოლადი ადამიანს ენერგიით აღავსებს და აქტიურს ხდის.



## პომიდორი

**ყველა სახის პომიდორი შეიცავს ნივთიერებას, რომელსაც ლიკოპენი ჰქვია.** ლიკოპენი არის ანტიოქსიდანტი, რომელიც ზოგადად იცავს თავის ტვინს. ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგი იქნება, თუ პამიდორს შეჭამთ ზეითუნის ზეთთან ერთად. ზეითუნის ზეთი ზრდის სხეულის მიერ ლიკოპენის შეწოვის სიჩქარეს.

## ქოქოსი

**მიუხედავად იმისა, რომ ქოქოსი ხშირად გვხვდება არაჯანსაღ დესერტებში, ის შეიცავს საშუალო ჯაჭვის ტრიგლიცერიდებს.** საშუალო ჯაჭვის ტრიგლიცერიდები არის სპეციალური ცხიმები, რომლებიც ზოგადად უზრუნველყოფს ადამიანის კარგ განწყობას და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.





## ხამანწკები

**ხამანწკები ზომაზე მეტი რაოდენობით შეიცავს B12 ვიტამინს, სელენიუმს, იოდს, ცილას და თუთიას.** იოდი, სელენიუმი და თუთია ხელს უწყობს ფარისებრი ჯირკვლის ნორმალურ მოქმედებას. ვიტამინი B12 კი აძლიერებს თავის ტვინის ნერვულ უჯრედებს.



## ბერძნული იოგურტი

**კალციუმი, რომელსაც ბერძნული იოგურტი დიდი რაოდენობით შეიცავს, ეხმარება ადამიანის ტვინს,** რომ გამოიმუშაოს ნეიროტრანსმიტერები, რაც, თავის მხრივ, ადამიანს კარგ ხასიათზე აყენებს. ამავე დროს ბერძნული იოგურტი შეიცავს გაცილებით ნაკლები რაოდენობის ცილას, ვიდრე ჩვეულებრივი იოგურტი.



## კვერცხი

**კვერცხი შეიცავს დიდი რაოდენობით თუთიას, ვიტამინ B-ს, ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებსა და ცილებს.** კვერცხი ადამიანს მხოლოდ განწყობას კი არ უუმჯობესებს, არამედ სხვა პროდუქტებზე მეტი დროითაც ანაყრებს მას.



# არმაზ სანებლიძის «ერთი წლის მონაგარი» Magti Club-ში



**31 მაისს Magti Club-ში საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის — არმაზ სანებლიძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი კომპანია „მაგთიკომმა“ გამოსცა. მასში თავმოყრილია 2011 წელს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული ინტერვიუები ქვეყნის თვალსაჩინო ადამიანებთან.**

წიგნს ავტორმა სახელად „ერთი წლის მონაგარი“ დაარქვა და, როგორც პრეზენტაციაზე მისულმა სტუმრებმა აღნიშნეს, თუკი ბატონი არმაზი ასეთი ტემპით გააგრძელებს მუშაობას, იმედს ვიტოვებთ, რომ 30 წიგნს მაინც გამოსცემსო.

პრეზენტაციაზე სტუმრებს შორის იყვნენ როგორც ბატონი არმაზის ოჯახის წევრები და ახლობლები, ასევე წიგნში წარმოდგენილი ინტერვიუების გმირები. **ბატონ არმაზს წიგნის გამოცემა მიულოცეს ჟანსუღ ჩარკვიანმა, კახი კავსაძემ** (მან მოგვიანებით მუსიკალურ ბენდთან ერთად იმპროვიზირებული „მრავალჟამიერიც“ მიუძღვნა წიგნის ავტორს), **გურამ ფირცხალავამ, გუგული მაღრაძემ, ანზორ ბალუაშვილმა, გენო კალანდიამ, ნაპოლეონ ქარქაშაძემ, ვალერი კვარაცხელიამ.**

**წიგნში შესულია ოტია იოსელიანის ინტერვიუ „თუ ვინმემ თქვა, კარგად ვარო, ცოტა შორს დაიკავეთ თავი, რამე არ მოგწიოთ“, რომელიც მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრეა ჩაწერილი. წიგნში ასევე იხილავთ ჭაბუა ამირეჯიბის, ედუარდ შევარდნაძის, რეზო ამაშუკელის, რეზო ჩხეიძის, გიგა ლორთქიფანიძის, თემურ ჩხეიძის, იური მეჩითოვის, გურამ საღარაძის, სოსო ცისკარიშვილის, რეზო ძოძუაშვილის, ვოვა გუცაევის, ვასიკო ოდიშვილის და სხვათა საუბრებს. სულ წიგნში 39 ინტერვიუა შესული.**

არმაზ სანებლიძე, 55 წელიწადზე მეტია, ქართულ ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს. მისი პირველი რეპორტაჟები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში ჯერ კიდევ 1955 წელს დაიბეჭდა. წლების მანძილზე რედაქტორობდა გაზეთებს „მოლოდიოჟ გრუზიი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ „საქართველოს რესპუბლიკა“. 1977 წლიდან მუშობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, 1985 წლიდან — თავმჯდომარედ. 2004 წლიდან ჟურნალისტური საქმიანობა განაგრძო გაზეთ „ასავალ-დასავალში“, 2009 წლიდან კი „საქართველო და მსოფლიოშია“.

როგორც ღონისძიებაზე მოსულმა ერთ-ერთმა სტუმარმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ყოფილმა დეკანმა — ნუგზარ ფოფხაძემ განაცხადა, **არმაზ სანებლიძისთვის არც არავის დაუვალებია და ყველასთვის მოულოდნელი იყო, როდესაც ჩერნობილში წავიდა რეპორტაჟის გასაკეთებლად. მისმა რეპორტაჟებმა ჩერნობილიდან, ავღანეთიდან, საგაზეთო პუბლიკაციებმა აფხაზეთის, ქვემო ქართლის „ცხელი წერტილებიდან“ სათავე დაუდო ექსტრემალური რეპორტაჟების ახალ ეტაპს ქართულ ჟურნალისტიკაში — „დახურული თემების“ საჯაროდ გამოტანას.**

არმაზ სანებლიძე არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სერგი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთა“ პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის, უკრაინის „დამსახურებისთვის“ და სხვა ორდენებითა და მედლებით.

## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

# 10 ივნისს ალექსი მაჭავარიანის ბალეტი-პოემა «ფიროსმანის» პრემიერაა

**10 ივნისს ქართული საკონცერტო სივრცე კვლავ დაეთმობა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის — ალექსი მაჭავარიანის შესანიშნავ მუსიკას, კომპოზიტორისა, რომელსაც არასდროს აკლდა არც ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები და არც საერთაშორისო აღიარება. ბალეტი-პოემა „ფიროსმანი“, რომელიც 20 წლის მანძილზე ელოდა დღის სინათლეს, აუდიტორიასთან შეხვედრას, 10 ივნისს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტო ვერსიით პირველად შესრულდება. ალექსი მაჭავარიანის „ფიროსმანის“ პრემიერას საზოგადოებას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარუდგენს მისი ვაჟი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი.**




ალექსი მაჭავარიანმა ერთმოქმედებიან ბალეტ-პოემაზე „ფიროსმანი“ მუშაობა 1992 წელს დაასრულა. ლიბრეტოს ავტორად თავად კომპოზიტორი გვევლინება. საგულისხმოა, რომ „ფიროსმანი“ დაიწერა პირდაპირ პარტიტურის სახით (კლავირი არ არსებობს). ბალეტ-პოემის მუსიკა უხვად საზრდოობს თბილისური ქალაქური ჰანგებით. ნაწარმოებში ნათლად შეიგრძნობა კომპოზიტორის ერთგვარი ნოსტალგია მისივე ახალგაზრდობის პერიოდის შემოქმედებისადმი, რაც მკაფიოდ ვლინდება თხზულების მელოდიკაში, ჰარმონიაში. ამასთანავე, მთლიანობაში პარტიტურის მუსიკალური ენა ულტრათანამედროვეა, რაც ბალეტ-პოემა „ფიროსმანს“ ძალზე საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

„ფიროსმანის“ იდეას იმთავითვე დიდი ინტერესით გამოეხმაურა სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ოლეგ ვინოგრადოვი, მაგრამ 1992 წლის მოვლენებმა ნაწარმოების სცენურ ხორცშესხმას მარიას თეატრში ხელი შეუშალა.

**ბალეტი-პოემა „ფიროსმანი“ დიდი მხატვრის ეპოქის თბილისის ხატებას აცოცხლებს. ნაწარმოების ქვესათაურია „ძველი თბილისის სურათები“. კომპოზიტორს ასე აქვს დასათაურებული „ფიროსმანის“ ნაწილები: შესავალი, „კარნავალი“, „მეთევზეები“, „მწვანე ფერიები“, „აღმოსავლური ფრესკა“ (ყარაჩოხელის მონოლოგი), „მანდილოსნების ცეკვა“, „ჩაკრულო“, ცეკვა „ცერული“, „ფიროსმანის არღანი“, „ფიროსმანის ზმანება“, „ფიროსმანის სიზმარი“, ცეკვა „ციბრუტი“, „არღანი“, „ფრანგი ბალერინა მარგარიტა სცენაზე“, „ვაჟკაცების ცეკვა“, „ფრანგი მოცეკვავე“ (მარგარიტა), „ფიროსმანის სასოწარკვეთა“.**



ეწვიეთ 10 ივნისს, 19 საათზე, კონსერვატორიის დიდ დარბაზს, მოისმინეთ ალექსი მაჭავარიანის „ფიროსმანი“ და ისიამოვნეთ.

# მიმართვა თანამემამულეებისადმი!

**„ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს,
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!“**

საქართველოს შადიმანები რომ არასდროს აკლდნენ, ეს არახალია! ისიც, რაც მოგვიტანა შევარდნაძის ვერაგულმა „მოღვაწეობამ“, მიმართულმა საქართველოსა და ქართველი ხალხის კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ, რომელიც სათავეს იღებს 1972 წლის სექტემბრიდან და დღემდე გრძელდება, ნათელია! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: დაწყებული მასობრივი დაპატიმრებებით, „თვითმფრინავის ბიჭებით“ და მათთან ერთად იმ მომენტისათვის(!) უდანაშაულო მღვდლის – თევდორე ჩიხლაძის დახვრეტით! მისი ხელდასხმით, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებული სისასტიკით კი სამეგრელოში, ხუთგზის სადამსჯელო ექსპედიციების (ეგზეკუციების) მოწყობა! და ბოლოს, აფხაზეთში (მანამდე სამაჩაბლოში) ე. წ. ომის წამოწყება, რამაც უამრავი ახალგაზრდის (და არა მარტო ახალგაზრდის) სიცოცხლე შეიწირა! დაღუპულებს დარჩათ ოჯახები (მშობლები, შვილები. მეუღლეები), რომლებიც მძიმე სოციალური პირობების გამო საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებას.

საჭიროა, გვახსოვდეს დიდი გალაკტიონის ომახიანი შეძახილი: **„გამარჯობა, აფხაზეთო შენი!..“.** როდესაც ახდა მურმან ლებანიძის დიდი ხნის წინათ ავი წინათგრძნობით დაწერილი სტრიქონები: **„აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს, ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის...“,** როგორც არასდროს, წინა პლანზე იწევს ჩვენი ძირძველი კუთხეების, უფრო სწორად, აფხაზი და ოსი თანამოძმეების, დაბრუნების იდეა, აგრეთვე, ბრძოლებში (აქეთაც და იქითაც, რომელიც გაიმეორეს 2008 წლის აგვისტოში) ათასობით გმირულად დაცემული მებრძოლის სახელის უკვდავყოფის და მათი ოჯახების წევრთა სოციალური დაცვის საკითხები. ამას ემატება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ათიათასობით დევნილის საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე ზრუნვა!

**ნამდვილად დადგა დრო, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა ნასისხლარზე მშვიდობიანი, წითელი ყაყაჩოები აბრიალდეს!**

ამ უდავოდ კეთილშობილური მიზნების განხორციელების საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილის შესატანად დაფუძნდა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავყოფის საქველმოქმედო ფონდი „სანთელი“!

შემთხვევითი არ არის, რომ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია ორი დაღუპული ვაჟკაცის მამა — ანზორ დანელია!

**ფონდის ძირითადი მიზნებია:**

**დაღუპულთა უმწეო ოჯახების ეტაპობრივი დახმარება;**

**დაღუპულთა სწავლაში წარჩინებული შვილებისთვის სტიპენდიის დანიშვნა;**

**დაღუპულთა შვილებისათვის სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებლობის ფარგლებში;**

**დაღუპულთა ოჯახების წევრების მკურნალობისათვის ფინანსური დახმარება;**

**დაღუპულთა არსებული მემორიალის რეკონსტრუქციის, გაფორმების და კეთილმოწყობის სამუშაოებში წილობრივი მონაწილეობა;**

**ახალი მემორიალების შექმნა რეგიონებში;**

**პრესსამსახურის დაარსება და გაზეთის გამოცემა;**

**დაღუპულთა ხსოვნის მუზეუმის დაარსება.**

როგორც ფონდის სახელწოდებიდან ჩანს, იგი დასაწყისში შემოწირულობებით იარსებებს.

ტრადიციულად, საქართველოს არასოდეს აკლდა ქველმოქმედი, კეთილი, მოწყალე, ანუ, როგორც სულხან-საბა განმარტავს, „წყალობის მოქმედი“ ადამიანები! ამის დასტურად ზუბალაშვილებისა და სარაჯიშვილების საყოველთაოდ ცნობილი გვარებისა და მათ მიერ განხორციელებული წამოწყებების გახსენებაც კმარა. სწორედ ასეთ, სიკეთისა და სამადლო საქმის მქმნელ პიროვნებებზე წერს დიდი ილია:

**„მადლისმყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიედ იხრის თავს, იყრის მუხლსა“.**

ქველმოქმედები არც დღეს აკლია საქართველოს!

ამდენად, ვიმედოვნებთ, რომ შეძლებისდაგვარად თანადგომას, შემწეობასა და დახმარებას არ დაიშურებთ ფონდ „სანთელისთვის“. თქვენს წილს შეიტანთ მის გაძლიერება-განმტკიცებასა და მისი კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში. თქვენი თანადგომა იქნება კიდევ ერთი ანთებული სანთელი, მიძღვნილი მათი ხსოვნისადმი!

გფარავდეთ მამაზეციერი და დედა ღვთისმშობელი!

წინასწარ გიხდით მადლობას!

**პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,**

**ფონდ „სანთელის“ გამგეობა:**
**ანზორ დანელია,**
**ომარ ჩხენკელი,**
**ჯიმი დავლიანიძე**

# რუსეთის საგარეო უწყებამ სირია გაეროს საბჭოსგან დაიცვა

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სირიულ დასახლება ჰულაში მასობრივი ჟლეტის შესახებ მიღებული რეზოლუცია დაგმო. რეზოლუცია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ რიგგარეშე სესიაზე მიიღო.**

რუსეთის საგარეო უწყება არ ეთანხმება იმას, რომ საბჭო პასუხისმგებლობას მხოლოდ სირიის ხელისუფლებას აკისრებს და არა ბანდიტებსა და ტერორისტებს. რეზოლუციის დაუბალანსებელი, ცალმხრივი და არაობიექტური დასკვნა საბჭოს მანდატის ფარგლებს სცდება და მის მიერ ადრე გაკეთებულ დასკვნებს ეწინააღმდეგება.

**რეზოლუციას საბჭოს 47 წევრიდან 41-მა მხარი დაუჭირა. წინააღმდეგი რუსეთი, ჩინეთი და კუბა გამოვიდნენ.**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894